

ჯუზეპე ტომაზი დი ლამპედუზა

ლ ე ო ვ ა რ დ ი

რომანი

იტალიურიდან თარგმნა

ნოდარ ლადარიამ



გაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

**ჯუზეპე ტომაზი დი ლამპედუზა
ლეოპარდი**

იტალიურიდან თარგმნა ნოდარ ლადარიამ

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
აღმაშენებლის 150, 380012, თბილისი
ელ. ფოსტა: bakur@ access.sanet.ge

Giuseppe Tomasi di Lampedusa
Il Gattopardo
in Georgiano
Tradotto dalla lingua italiana da **Nodar Ladaria**

Si ringrazia la Direzione Generale per la Promozione e la Cooperazione Culturale del Ministero degli Affari Esteri italiano che ha contribuito a finanziare la pubblicazione di questo libro.

ნიგნი გამოცემულია იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული კულტურული კოოპერაციისა და გავრცელების გენერალური დეპარტამენტის ხელშეწყობით

ISBN 99940-15-98-2

Casa editrice Bakur Sulakauri
150 Agmashenebell ave.
380012 Tbilisi Georgia
bakur@access.sanet.ge

www.sulakauri.ge

როზარიუმი და თავადის ნარდგენა – ბალი და მოკლული ჯარისკაცი – სამეფო აუდიენციები – ვახშამი – ეტლით პალერმოსაკენ – მარიანინასთან – სან ლორენცოში დაბრუნება – საუბარი ტანკრედისთან – ადმინისტრაცია: ფეოდეები და პოლიტიკური განაზრებანი – ობსერვატორიაში პადრე პირონესთან – დასვენება სადილის წინ – დონ ფაბრიციო და გლეხები – დონ ფაბრიციო და მისი ვაჟი, პაოლო – ცნობა გადმოსხდომის შესახებ და კვლავ როზარიუმი.

„Nunc et in hora mortis nostrae“.¹

როზარიუმის ყოველდღიური კითხვა დასრულდა. ნახევარი საათის განმავლობაში თავადის მშვიდი ხმა ქრისტეს ვნებებს იგონებდა; ნახევარი საათის განმავლობაში ერთმანეთში არეული სხვა ბგერებისაგან იქსოვებოდა ჰაერში მონარნარე ერთიანი ზუზუნი, რომელსაც დროდადრო უჩვეულო სიტყვების მოოქროვილი ყვავილები სწყდებოდა: სიყვარული, ქალწულობა, სიკვდილი. სანამ ეს ზუზუნი ისმოდა, როკოკოს სტილით განწყობილმა დარბაზმა თითქოს სახე იცვალა; თუთიყუშებს, შპალიერის აბრეშუმზე რომ შლიდნენ ათასფერ ფრთებს, მათაც კი ერთგვარი მონინება დასტყობოდათ; ორ სარკმელს შორის გამოსახული მაგდალინელიც, რომელსაც სხვა დროს ვინ იცის რა ოცნებებს აყოლილ მშვენიერ ქერათმიან გოგოდ თუ მიიჩნევდა მნახველი, ახლა ნამდვილად დასგავსებოდა მონანიეს.

სიჩუმის დამყარებასთან ერთად კი ყოველივე ჩვეულ ნესრიგსა თუ უნესრიგობას უბრუნდებოდა. კარიდან, სადაც ახლახან გავიდნენ მსახურები, მარტოობით გაბეზრებული მეძებარი ძალლი ბენდიკო შემოშლივინდა კუდის ქიცინით. ქალები ნელ-ნელა დგებოდნენ. მათი სამოსის ნარნარი მიმოფენა სივრცეს უთმობდა რძისფერ შორენკეცებზე გამოსახული მითოლოგიური ფიგურების სიშიშვლეს. მხოლოდ ანდრომედე დარ-

¹ აწ და ჩვენი სიკვდილის ყამს (ლათ.) – აქ და შემდგომ მთარგმნელის შენიშვნებია.

ჩა ერთხანს დაფარული: მისკენ გზას დამატებითი ლოცვების გამო თავის ადგილზე შეყოვნებული პადრე პირონეს შავი კაბა უღობავდა სატროფოს საშველად და საკოცნელად მომავალ, ბობოქარი ტალღების გადამლახავ ვერცხლისფერ პერსევსს.

პლაფონის ფრესკაზე ღმერთებმა გაიღვიძეს. იასამნისა და ყოლოსფერი ღრუბლებით გარშემორტყმულ ტრიტონთა და დრიადათა ლაშქარი, რომელიც სალინას საგვარეულოს სადიდებლად მოოქროვილი კონქისაკენ მოისწრაფოდა შორს აღმართული მთებიდან და ზღვის მხრიდან, ისე იყო სიხარულით სავსე, რომ პერსპექტივის უმარტივესი კანონებიც გადათელა. ამათ უფროსი ღმერთები, ღვთაებათა შორის თავადები მოუძლოდნენ – ელვისმფრქვეველი იუპიტერი, მოლუშული მარსი, მინაზებული ვენერა – და ხელთ ეპყრათ სალინას საგვარეულო გერბი ლურჯ მინდორზე გამოსახული ლეოპარდით. მათ იცოდნენ, რომ ოცდასამნახევარი საათით კვლავ სრულიად დაეპატრონებოდნენ სასახლეს. კედლებზეც მაიმუნები ისევ დაემანჭნენ კაკადუებს.

ამ პალერმოული ოლიმპის ქვეშ სალინას სახლის მობინადრე მოკვდავნიც სასწრაფოდ ეშვებოდნენ ძირს მისტიკური სფეროებიდან. ქალიშვილები კაბის ნაკეცებს ისწორებდნენ, ერთმანეთს ხან ცისფერთვალება მზერას სტყორცნიდნენ, ხანაც – სამონასტრო სკოლის ყარგონზე წარმოთქმულ რამდენიმე სიტყვას. უკვე ერთ თვეზე მეტი გავიდა ოთხი აპრილის „არეულობიდან“,² როცა შიშიანობის გამო ისინი შინ დააბრუნეს და ახლა ჩარდახიან დორტუარებსა და მაცხოვრის სახელობის ქალთა სასწავლებლის კოლექტიურ ინტიმურობას მისტიროდნენ. ვაჟებიც უკვე ერთმანეთს ეტოქებოდნენ სან ფრანჩესკო დი პაოლას ხატის დასაუფლებლად. პირმშოსა და მემკვიდრეს, პერცოგ პაოლოს, უკვე შეახსენა თავი თუთუნის სურვილმა, მაგრამ მშობლების დასანახად მოწვევა ერიდებოდა, ამიტომაც ჩუმად ეფერებოდა ჯიბეში ჭილისაგან მოწნულ პორტსიგარს. დამდნარ სახეზე მეტაფიზიკური კაემანი ეტყობოდა: დღე ცუდი გამოდგა – ჩალისფერი ირლანდიური ულაცი გვისკარდო უქეიფოდ იყო, ფანიმაც ვერ მონახა საშუალება (ან იქნებ არც მოინდომა), პაემანზე შეთანხმებოდა ჩვეული ყოჩივარდასფერი

² 1860 წლის 4 აპრილს სიცილიაში ბურბონთა მეფობის წინააღმდეგ პირველი ამბოხი მოხდა.

ბარათით. გაუგებარი იყო, ნეტავ რისთვის განხორციელდა მაშინ მაცხოვარი? დიდ ქალბატონს მოუთმენელმა ქედმაღლობამ მოწყვეტით ჩააგდებინა ლოცვანი მაქმანით მოარშეებულ ქისაში, მისი მშვენიერი და მანიაკურად ერთგული თვალები კი მონებად ქცეულ შვილებსა და ტირან ქმარს მისჩერებოდნენ. ქმრისკენ მიინევდა მისი პანია და სასიყვარულო ძალაუფლების ქვეშ მოქცევაზე ამაოდ მეოცნებე ტანიც.

თვით თავადი კი ამასობაში ფეხზე წამოიმართა. გოლიათის წონისაგან იატაკს შეაჟრჟოლა, ხოლო თავადის ნათელ თვალებში წამით გამოკრთა ადამიანებსა და საგნებზე ბატონობის ამ ეფემერული დადასტურებისაგან გამონვეული სიამაყე. უშველებელი წითელყდიანი კურთხევანი ლოცვის განმავლობაში მის წინ მდგარ ანალოგიაზე დაასვენა, იატაკიდან აიღო მუხლმოსაყრელი ბალიში და გამოხედვა ოდნავ აემღვრა, რადგან სწორედ ამ დროს თვალი მოჰკრა ყავის ლაქას, დილის აქეთ რომ ბედავდა ჟილეტის ვრცელი სისპეტაკის ხელყოფას.

მსუქანი წამდვილად არ ეთქმოდა: მხოლოდ ძალიან დიდი იყო და ძლიერი. მისი თავი (უბრალო მოკვდავებით დასახლებულ შენობებში) ჭალების ქვედა კიდეს ეხებოდა; მისი თითები ქალაღდის ფურცლებივით კეცავდნენ და ახვეედნენ ოქროს დუკატიან მონეტებს; სალინას ვილასა და ოქრომჭედლის სახელოსნოს შორის კი ხშირად გაცხოველებული მისვლა-მოსვლა იმართებოდა იმ კოვზებისა და ჩანგლების გასასწორებლად, რომლებსაც მათი სუფრასთან მჯდომი პატრონის თავშეკავებული მრისხანება რკალად ღუნავდა ხოლმე. სხვათა შორის, იმავე თითებს უნაზესი შეხებაც შეეძლოთ ალერსის დროს, რასაც თავისდა საზარალოდ ხშირად იხსენებდა მეუღლე, მარია სტელა, მის გარდა კი – ტელესკოპების, ჭოგრიტებისა და „კომეტათა მაძიებლების“ გაპრიალებული ხრახნები და ლილაკებიც. ეს ყოველივე მაღლა, ვილის სხვენზე მის პირად ობსერვატორიაში განლაგებულიყო და სრულიად ხელშეუხებლად ინახებოდა პატრონის უფაქიზეს ზრუნვას მინდობილი. მაისის იმ ნაშუადღევს ჩამავალი მზის სხივები მოვარდისფრო შუქით ედებოდა თავადის თაფლისფერ თმა-წვერს, რომელიც დედამისის გერმანულ წარმოშობას ამჟღავნებდა: იმ პრინცესა კაროლინასი, რომლის ამპარტავნებამ ოცდაათიოდე წლის წინ ცივი წყალი გადაასხა ორივე სიცილიის უგერგი-

ლო სამეფო კარს. მაგრამ თავადის სისხლში სხვა გერმანული მდგენელებიც დულდა, და ამით შექმნილი უხერხულობა უფრო დიდი იყო იმ მიმზიდველობაზე, რომლის მოტანა 1860 წელს სპეტაკ კანსა და ქერა თმებს შეეძლო ყორნისფერთმიანთა და ხორბლისფერთა შორის მცხოვრები სიცილიელი არისტოკრატისათვის: ეს იყო ძალაუფლების მოყვარული ხასიათი, გარკვეული მორალური სიმკაცრე და აბსტრაქტული იდეებისაკენ მიდრეკილება, რაც პალერმოს საზოგადოების მჩატე და მორბილებულმა გარემომ თავკერდა ამპარტავნებად, გამუდმებულ ზნეობრივ ქენჯნად და საკუთარი ნათესავებისა და მეგობრების მიმართ ზიზლად აქცია, რადგან ეს უკანასკნელნი, როგორც ეგონა, უმიზნოდ მიუყვებოდნენ სიცილიური პრაგმატიზმის ზანტ მდინარეს.

პირველი (და უკანასკნელი) გვარში, რომლის სხვა წარმომადგენლები საუკუნეთა მანძილზე თავიანთი ხარჯებისა და ვალების შეკრება-გამოკლებას ვერ ახერხებდნენ, მათემატიკის დიდი და ნამდვილი ნიჭით გამოირჩეოდა. ეს უნარი მან ასტრონომიას მოახმარა და ამ სფეროში საკმაო საჯარო აღიარებასა და განსაკუთრებულ პირად კმაყოფილებასაც მიაღწია. სათქმელად თუნდაც ის კმარა, რომ მისი ამპარტავნებისა და მათემატიკური ანალიზის შერწყმა იმდენად ძლიერი იყო, ასე ეგონა, ვარკვლავები და პლანეტები მის გამოთვლებს ემორჩილებოდა, ხოლო მის მიერ აღმოჩენილი ორი პატარა ცდომილი, სალინა და ზველტო (რომელთაც თავისი ფეოდალისა და თავისი დაუვინყარი მეძებარი ძაღლის სახელები დაარქვა), მის საგვარეულო დიდებას განავრცობდნენ მარსსა და იუპიტერს შორის გადაჭიმულ უნაყოფო ველებზე, ხოლო აქედან გამომდინარე, მისი სასახლის ფრესკებსაც უფრო წინასწარმეტყველება ეთქმოდა, ვიდრე ხოტბა-დიდება.

ერთი მხრივ, დედისეული ქედმაღლობითა და ინტელექტუალიზმით, მეორე მხრივ კი მამისეული ავხორცობითა და უდარდელობით აღძრული, თუმც კი ზევსის საკადრისი მრისხანებით აღჭურვილი საბრალო თავადი ფაბრიციო მუდმივი უკმაყოფილებით მოცული ცხოვრობდა და სრულიად უმოქმედოდ და მონაწილეობის ყოველგვარი სურვილის გარეშე უჭვრეტდა მშობლიური საზოგადოებრივი ფენის დაკნინებასა და საკუთარი მემკვიდრეობის განიავებას.

როზარიუმის კითხვასა და ვახშამს შორის ნახევარი საათი დღის ყველაზე ნაკლებად გამაღიზიანებელი დრო იყო და თავადიც დიდი ხნით ადრე წინასწარ იგემოვნებდა მის საეჭყო სიმშვიდეს.

* * *

სიხარულით აღგზნებული ბენდიკო პატრონს ბალისაკენ მიმავალ დაბალ კიბეზე გაუძღვა. ბალი გალავნის სამ კედელსა და ვილის ერთ მხარეს შორის იყო მოქცეული და ამგვარი განლაგება მას სასაფლაოს იერს ანიჭებდა, რასაც კიდევ უფრო აძლიერებდა ვინრო სარწყავი არხების წყალგამყოფები, რომლებიც რალაცნაირი აყლაყუდა გიგანტების სამარხებს ჰგავდა. მოწითალო ნიადაგზე მცენარეები ხშირად და უნესრიგოდ ხარობდა, ყვავილები ყველგან მოჩანდა, სადაც კი ღმერთმა ისურვა, მირტის ბუჩქები კი, ნაბიჯის წარმართვის მაგიერ, თითქოსდა გზას უღობავდა მოსეირნეს. ბალის სიღრმეში ფლორას ქანდაკებას საქვეყნოდ გამოეფინა თავისი საუკუნეზე მეტი ხნის მშვენიერება, ან მოყვითალო და მოშავო ლიქენებით დაფარული. მის ორსავე მხარეს, მერხებზე, მოქარგული ბალიშები იდო, ისინიც მორუხო მარმარილოსაგან გამოკვეთილი, კუთხეში კი ოქროსფერი მიმოზის ხე იდგა და თავისი უადგილო მხიარულებით თვალში ეცემოდა მნახველს. მინის ყოველი ბელტიდან სილამაზის სურვილი გამოსჭვიოდა, მაგრამ მალევე ახრჩობდა თავისივე სიზარმაცე.

საკუთარ ზღუდეებში ჩაჭედილი და შევიწროებული ეს ბალი სქელ, ხორციან და ოდნავ მყრალ სუნებს გამოსცემდა, როგორიც ზოგიერთი წმინდანის ნაწილებიდან გამოხდომი ესენციებს უდის ხოლმე. მიხაკების მწკლარტე სურნელი ედებოდა ვარდების ოფიციალურ არომატსა და კუთხეებში მძიმედ აღმართული მაგნოლიების ზეთოვან მონაბერს. შიგადაშიგ პიტნისა და მიმოზის ბავშვური სუნის ნარევიც შეიმჩნეოდა, რასაც მირტის ჩამტკბარი სუნთქვა ემატებოდა, გალავნის იქიდან კი ახლადაყვავებული ნარინჯის სურნელს სასიყვარულო სარეცლის ამაღელვებელი შეგრძნება მოჰყვებოდა.

ეს ბალი თითქოს ბრმებისათვის იყო გაშენებული: გამუდმებით შეურაცხყოფდა მზერას, მაგრამ ყნოსვას აქ ძლიერი, თუმც კი სიფაქიზეს მოკლებული ტკბობის საშუალება ეძლე-

ოდა. აულ ეყრონ-ის ჯიშის ვარდები, რომელთა ნერგები თვითონ თავადმა შეიძინა პარიზში, სრულიად გადაგვარებულიყო: სიცილიური მიწის ღონიერმა და გულგრილმა წვენმა ჯერ ალაგზნო, მერე კი დაჩაგრა ისინი. ბოლოს, აპოკალიფსური ივლისის მზით დამწვარნი, ეს ვარდები უმსგავსო ხორცისფერ კომბოსტოებად გადაიქცა, რომლებიც ისე ყარდა, რომ ამას ვერც ერთი ფრანგი მებაღე ვერ წარმოიდგენდა. თავადმა ერთ-ერთი მათგანი მიიტანა ცხვირთან და მოეჩვენა, თითქოსდა ოპერის თეატრის ბალერინას ბარძაყს ყნოსავსო. ბენდიკომ, რომელსაც ასევე შესთავაზეს ვარდი, გულარეულმა დაიხია უკან და ნეშომპალის გროვებისაკენ გაეშურა უფრო ჯანსაღი შეგრძნებებისა და მკვდარი ხვლიკების საძებნელად.

თავადისათვის საკუთარი ბალი იდეათა პირქუში ასოციაციის საგანი იყო: „ახლა კარგი სუნია აქ... ერთი თვის წინ კი...“

გაიხსენა მოტკობო სიმყრალე, რომელიც მთელს ბაღში ვრცელდებოდა, სანამ მისი მიზეზი არ გაიტანეს: იეგერთა მეხუთე ბატალიონის ახალგაზრდა ჯარისკაცის გვამი, რომელიც ჯერ სან ლორენცოს მახლობლად მემამბოხეებთან შეტაკებაში დაიჭრა, მერე კი ლიმონის ხის ქვეშ მოხობდა, რათა მომკვდარიყო. იგი სამყურას ბალახებში პირქვე დამხობილი იპოვეს, სისხლსა და ნარწყევში ჩარგული სახით, მინაში ჩასობილი ფრჩხილებით, სულ მთლად ჭიანჭველებით დაფარული. მის ქვეშ კი მოცისფრო დამპალ ნანღავებს გუბე წარმოექმნათ. ეს თითქმის დაშლილი გვამი რუსომ იპოვა, სასახლის მნემ, პირალმა გადააბრუნა, სახე თავისი წითელი ხელსახოცით დაუფარა, ხის მოწყვეტილი ტოტის დახმარებით შიგნეულობა კვლავ გაფატრულ მუცელში ჩაუტენა და მუნდირის მწვანე კალთებით დაუფარა ჭრილობა. თანაც გამუდმებით იფურთხებოდა ზიზლისაგან. ზედ გვამზე არა, მაგრამ ძალიან ახლოს. ყოველივე ეს შემაშფოთებელი სიმარჯვით გააკეთა.

– ამ ძაღლების სიმყრალე მაშინაც არ ქრება, როცა მკვდრები არიან, – აყოლებდა თან.

ამ განმარტოებული სიკვდილის შესახებ ესლა ახსოვდა თავადს. და კიდევ ის, როგორ წაასვენეს გვამი გაბრუებულმა თანამებრძოლებმა (მკლავებში წაავლეს ხელი და ურმამდე ათრიეს, ისე, რომ თოჯინის სატენი კვლავ გარეთ გამოვარდა), როგორ დააყოლეს „სულთა თანა განუსვენე“ როზარიუმის

ჩვეულ კითხვას უცნობი სულის მოსახსენიებლად. მერე კი არც გახსენებით, რადგან სახლში მობინადრე ქალების სინდისი დამშვიდებულად ჩაითვალა.

დონ ფაბრიციომ ერთხანს ფლორას ფეხებზე მოდებული ლიქენები ფხიკა, მერე კი ბალში ბოლთის ცემას მოჰყვა. უშველბელი ჩამავალი მზე თავის ჩრდილს ჰფენდა მგლოვიარე ყვავილნარს. მკვდრის შესახებ მართლაც აღარაფერი უთქვამთ. კაცმა რომ თქვას, ჯარისკაცები ხომ იმიტომაც არიან ჯარისკაცები, რომ მეფისთვის დაიხოცონ. მაინც, თავადის მეხსიერებაში დროდადრო ჩნდებოდა გამოშიგნული სხეული და სთხოვდა, მშვიდობა მიენიჭებინა მისთვის ერთადერთი შესაძლებელი გზით: დაეძლია და გაემართლებინა ეს უკიდურესი ტანჯვა მისი საზოგადო აუცილებლობის დამტკიცებით. ვინმესთვის ან რამისთვის სიკვდილი გასაგები და დასაშვები იყო, ოღონდაც თითოეულს უნდა სცოდნოდა, ან ყოველ შემთხვევაში, დარწმუნებული უნდა ყოფილიყო, რომ ვინმესთვის ან რამისთვის კვდება. სწორედ ამას ითხოვდა ის შებილწული სახე. სწორედ აქ იწყებოდა გაურკვეველობა.

– ეჰ, ფაბრიციოს ვენაცვალე, ეს ხომ აშკარაა, – ასე ეტყოდა, ალბათ, ცოლისძმა მალვიკა, თუკი დონ ფაბრიციო დაეკითხებოდა ამ მალვიკას, რომელსაც ყოველთვის თავის რუპორად ირჩევდა მეგობართა წრე, – მეფისთვის, რომელიც ნესრიგს, ტრადიციათა მუდმივობას, ზნეობის სიმტკიცეს, სამართალსა და ღირსებას განასახიერებს. მეფისთვის, რომელიც იცავს ეკლესიას, ეწინააღმდეგება საკუთრების დაშლას, რაც ამ „სექტის“ საბოლოო მიზანია.³

მშვენიერი სიტყვები იყო. თავადისათვის გულის სიღრმეში დე ძვირფას საგნებზე მიანიშნებდა. ოღონდ რაღაც სიმჭახე მაინც შერჩენოდა სულში. მეფე, კეთილი და პატიოსანი. მეფეს კარგად იცნობდა. ყოველ შემთხვევაში, ცოტა ხნის წინ გარდაცვლილს. ახლანდელი კი, ეს გენერლის ფორმაში გადაცმული სემინარისტი, დიდი ვერაფერი ბედენა იყო.

– აბა ეს რა მსჯელობაა, ფაბრიციო, – მიუგებდა მალვიკა, – რომელიმე ცალკეული ხელმწიფე შეიძლება არც იყოს მოწოდე-

³ იგულისხმება იტალიის გათავისუფლებისა და გაერთიანებისათვის მებრძოლი ძალები.

ბის სიმალლეზე, მაგრამ მონარქიის იდეა მუდამ იგივე რჩება. ის ხომ პიროვნულ თვისებებზე არ არის დამოკიდებული.

– ესეც მართალია, მაგრამ იდეის განმასახიერებელი მეფეები თაობათა განმავლობაში რალაც გარკვეულ დონეზე დაბლა არ უნდა ჩამოვიდნენ, თორემ, ჩემო კარგო ცოლისძმავ, თვით იდეაც ზარალდება.

მერხზე ჩამომჯდარი უძრავად ადევნებდა თვალს ბენდიკოს მიერ ბალის კვლებს შორის მონყობილ აოხრებას. დროდადრო ძალლი უმანკო თვალებს მიაშტერებდა ხოლმე, თითქოსდა ჩატარებული მუშაობისათვის ქებას ითხოვდა: თოთხმეტი დამტვრეული მიხაკი, გადათელილი მირტის ბუჩქი, სარწყავი თხრილის ჩამოქცეული ნაპირი. მართლაც ადამის შვილი ეგონებოდა ვინმეს ეს პირუტყვი.

– გეყოფა, ბენდიკო, აქ მოდი, – და ცხოველმაც მოირობინა, მინით მოთხვრილი ლაშები დაადო ხელზე თითქოსდა იმის საჩვენებლად, რომ მიუტყევებს პატრონს მისი მშვენიერი საქმიანობის ასე უაზრო შეწყვეტინებას.

ო, რამდენი აუდიენცია უწყალობებია მეფე ფერდინანდს კაზერტაში, ნეაპოლში, კაპოდიმონტეში, პორტიჩიში, ჯანდაბაში...

მორიგე და განუწყვეტილ მოლაყბე კამერლინგის თანხლებით, რომელსაც ილიაში სამკუთხა ქუდი ამოეჩარა, ბაგეებზე კი ცხელ-ცხელი ნეაპოლური ჭორები ადნებოდა, გაუთავებლად გადადიოდა საუცხოოდ აშენებული და ბურბონთა მონარქიასავით გულისამრევი ავეჯით მორთული ერთი დარბაზიდან მეორეში. მერე ბინძურ დერეფნებში გადაინაცვლებდნენ და დაუგველი კიბეებით აღწევდნენ მისაღებში, სადაც ბევრი ხალხი ირეოდა: ჯაშუშთა დახურული სახეები, რეკომენდაციის მქონე მთხოვნელთა ხარბი მზერა. კამერლინგი ბოდიშს იხდიდა, მდაბიოთა ბრბოს მიაპობდა და სხვა მისაღებში მიუძღოდა – ცისფრად და ვერცხლისფრად განყობილ მომცრო სადგომში, რომელიც კარისკაცებისათვის იყო გათვალისწინებული. ხანმოკლე მოლოდინის შემდეგ მსახური კარებზე აფხაკურებდა და უავგუსტესი პირისკენ გზაც ხსნილი იყო.

მეფის პატარა პირადი კაბინეტი ხელოვნური სისადავით გამოირჩეოდა: შეთეთრებულ კედლებზე მეფე ფრანჩესკო I-ისა და ახლანდელი დედოფლის უჟმურსახიანი პორტრეტები ეკიდა.

ბუხრის თავზე ანდრეა დელ სარტოს მადონა გაკვირვებული ჩანდა იმის გამო, რომ მის ირგვლივ მესამეხარისხოვანი წმინდანებისა და ნეაპოლური სალოცავების გამომსახველი შეფერილი ლითოგრაფიები განელაგებინათ. თაროზე ყრმა იესოს ქანდაკება იდგა, რომლის წინ ანთებული კანდელი ეკიდა, უშველებელ სანერ მაგიდაზე კი ქალაღები იყო დახვავებული: თეთრი, ყვითელი, ცისფერი... სამეფოს მართვა, უკანასკნელ ფაზამდე მისული, როდესაც საბუთს მხოლოდ ერთი რამ აკლია: ხელმონერა მისი უდიდებულესობისა (წყალობითა უფლისაითა).

ქალაღების ამ გროვის უკან კი თვით მეფე. უკვე ფეხზე იდგა, რომ არავის ენახა, როგორ დგებოდა. მეფის მკვდარი სახე მოყვითალო ქილვაშებს შორის, ეს მისი უხეში მაუდის სამხედრო ქურთუკი, რომლის ქვემოთ იისფერი შარვლის ჩანჩქერი იღვრებოდა. წინ დგამდა ნაბიჯს და მარჯვენა ხელიც უკვე გამონვდილი ჰქონდა იმ კოცნისათვის, რომელზედაც ბოლო წამში უარს იტყოდა.

– ჰა, სალინა, ბედნიერია აი თვალები, შენ რომ გიმზერენ.

ნეაპოლური აქცენტი კამერლინგისას ბევრად ჭარბობდა თავისი გემოთი.

– თქვენს სამეფო უდიდებულესობას ვევედრები, ნუ შემრისხავს, რომ კარის მუნდირი არ მაცვია. ნეაპოლში მხოლოდ გავლით გახლავართ და არ ვისურვე თქვენს ხილვას დაკვლებოდი.

– მაი არ თქვა, სალინა. იცი შენ, კაზერტაში შენი სახლია. შენი სახლია, ხო, – იმეორებდა, სანერ მაგიდას უჯდებოდა და ოდნავ იცდიდა, სანამ სტუმარიც დაჯდებოდა.

– ხო, მართლა, პანანუნები რას შობიან?

თავადი ხვდებოდა, რომ აქ ორაზროვნება უნდა შეეტანა საუბარში, ერთდროულად ავხორციცა და ღვთისმომშიც.

– პანანუნები, თქვენო უდიდებულესობავ? ჩემს ასაკში და ქორწინების წმიდათანმიდა უღლის ქვეშ?

მეფის პირი იღიმებოდა, სანამ ხელები გალიზიანებით ალაგებდნენ ქალაღებს.

– ამას რავა გაგიბედავდი, სალინა. მე შენ პანანუნებზე გეკითხები, თავადის ქალებზე. კონჩეტა, ჩვენი საყვარელი ნათლული, ალბათ, უკვე გაზდილი იქნება, ქალბატონობს უკვე...

ოჯახის ამბებიდან მეცნიერებას გადასწვდებოდა.

– შენ, სალინა, მარტო შენდა კი არ ხარ ღირსეული, მთელი

სამეფოზა ხარ საამაყო! კაი გვარიანი რამეა მაი მეცნიერობა, თუ სარწმუნოებას არ ერჩის!

ოლონდ, ამის შემდეგ მეგობრის ნილაბს გვერდზე გადადებდა და მრისხანე მბრძანებლის სახეს ლებულობდა.

– ერთი აი მითხარი, სალინა, რას ჩივიან სიცილიაში კასტელჩიკალაზე?

დონ ფაბრიციო თავს იცავდა. მასზე ათასი სისულელე ჰქონდა გაგონილი, როგორც მონარქისტული, ასევე ლიბერალური პარტიის მხრიდან, მაგრამ მეგობრის ლალატი არ სურდა და მისი საუბარიც გაურკვეველ ზოგადობას არ სცილდებოდა.

– ნამდვილი სინიორია, საბრძოლო დიდებით მოსილი. იქნებ ოდნავ მოხუცებული იყოს მესაყდრის თანამდებობისათვის.

მეფე იღუშებოდა. სალინამ ჯაშუშობა არ ისურვა, მაშასადამე ყოველგვარი ღირებულებაც ეკარგებოდა. მეფე ხელებს მაგიდაზე აყრდნობდა და დასამშვიდობებლად ემზადებოდა.

– საქმე მაქ ბევრი. მთელი სამეფო ამ მხრებზე კიდია.

ახლა შაქარყინულის დრო იყო. უჯრიდან კვლავ მეგობრულ ნილაბს ამოაძვრენდა ხოლმე:

– ნეაპოლში რომ ჩამოხვალ, სალინა, თან კონჩეტაც წამოიყოლე, დედოფალს აჩვენე. ვიცი, ჯერ ნამეტანი პატარაა კარზე გამოსასვლელად, მარა შინაურ სადილზე არაკაცი არ შეგვიშლის ხელს. მაკარონი და კაი გოგოები, ხო იცი. გემშვიდობებით, სალინა, კარქათ მეყოლეთ.

ოლონდ ერთხელ დამშვიდობება ბოროტი გამოვიდა. დონ ფაბრიციომ უკვე მეორედ დაუკრა თავი და უკან-უკან დაიხია, როცა მეფემ კვლავ მოუხმო:

– სალინა, ერთი აქეთ მისმინე. მითხრეს, რომ პალერმოში შენტან ცუდი ხალხი დაიარება. მაი შენი დიშვილი ფალკონერი... ერთი, ტვინი გამოურეცხე!

– თქვენო უდიდებულესობავ, ტანკრედის თავში მხოლოდ ქალები და ბანქო უტრიალებს.

მეფემ მოთმინება დაკარგა.

– სალინა, სალინა, ნუ მასულელებ! შენია პასუხისმგებლობა, მეურვე შენ ხარ. უთხარი ერთი, კისერს გოუფთხილდეს. გემშვიდობებით.

დაბრუნებისას კი, როცა კვლავ გაივლიდა გზის ბრწყინვალე უნიჭობას, რათა დედოფლის დავთარში ხელმონერა დაეტოვე-

ბინა, თანდათანობით კარგავდა სიმხნევეს. ერთნაირად თრგუნავდა მდაბიო გულითადობაც და პოლიციური ლიმილიც. ნეტარ არიან მეგობრები, რომლებიც თავხედობას კეთილგანწყობად განიხილავდნენ, მუქარას კი ხელმწიფურ დიდებულებად. სალინას არ შეეძლო ეს. და სანამ შეუცდომელ კამერლინგთან ერთად ცხელ-ცხელ ჭორებს აბურთავებდა, გულში ეკითხებოდა საკუთარ თავს, ვინ უნდა ჩანაცვლებოდა ამ მონარქიას, სიკვდილის ნიშნები უკვე სახეზე რომ აჩნდა. ის პიემონტელი, ეგრეთ წოდებული კეთილშობილი, რომელმაც ამხელა ხმაური ატეხა თავისი უბადრუკი კაპიტალის გამო? განა იგივე არ იქნებოდა? ტური-ნული დიალექტი ნეაპოლურის ნაცვლად. ეს არის და ეს.

ბოლოს და ბოლოს აღწევდა დავთარს. ხელს აწერდა: ფაბრიციო კორბერა, სალინას პატრონი.

ან იქნებ დონ პეპინო მაძინის⁴ რესპუბლიკა?

– არა, გმადლობთ. სინიორ კორბერად ვიქცევი მაშინ.

ვერც უკან დასაბრუნებელი გზის სიგრძემ დაამშვიდა. ვერც კორა დანოლოსთან პაემანმა ანუგეშა.

ასეთ ვითარებაში რა უნდა ექნა? ისევ არსებულს ჩასჭიდებოდა, ისე, რომ სიბნელეში ხტომაზე არ ეფიქრა? ესე იგი, კვლავ სროლის მშრალი გრიალი იყო საჭირო, ამ რამდენიმე ხნის წინ რომ კვლავ გაისმა პალერმოში. მაგრამ სროლა კი რას ემსახურებოდა?

– ეჰ, ბრახა-ბრუხით ვერაფერს გადაწყვეტ! ხომ მართალია, ბენდიკო?

„დინ, დინ, დინ!“ – მოისმა ვახშმის მაუნყებელი ზარის ხმა. პირზე ნერწყვმორეული ბენდიკო მიესწრაფა საჭმლის წინასწარ განცდას.

– მხოლოდ პიემონტელია და მეტი არაფერი! – ფიქრობდა კიბეზე ამომავალი სალინა.

* * *

სალინას ვილაში ვახშამი ბზარშეპარული ფუფუნებით იყო განწყობილი, რაც ორი სიცილიის იმდროინდელი სამეფოს სტი-

⁴ ჯუზეპე მაძინი (1805 - 1872) — XIX საუკუნის იტალიური ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის (რისორჯიმენტო) რესპუბლიკურ-დემოკრატიული ფრთის ლიდერი. იტალიის გაერთიანებაში მონაწილეობა ყოველი იტალიელის რელიგიურ მოვალეობად მიაჩნდა.

ლი იყო. სუფრასთან მსხდომთა რიცხვი (ოჯახის უფროსები, შვილები, აღმზრდელები და დამრიგებლები, სულ თოთხმეტნი იყვნენ) თავისთავად კმაროდა სუფრისათვის მედიდურობის მისანიჭებლად. ეს სუფრა, უნატიფესი და დაკერებული, ქათქათებდა ძლიერი ჭალის შუქზე, რომლის სანთლები კოხტად იყო ჩაყენებული მურანოს შანდლებში. სინათლე ჯერაც შემოდოდა ფანჯრიდან, მაგრამ სარკმლების ზემო რაფების მუქ ფონზე გამოსახული თეთრი და ბარელიეფის შთაბეჭდილების შემქნელი ფიგურები უკვე ბინდში იკარგებოდა. ვერცხლეული მასიური იყო, ჭიქებიც ელვარებდა და ბოჰემიური ნახნაგებით გარშემორტყმულ პრიალა მედალიონებზე მეფური ძღვენის სახსოვრად გამოკვეთილ ასოებს აჩენდა – F. D. (Ferdinandus dedit),⁵ მაგრამ თეფშები, რომელთაგან თითოეული ბრწყინვალე ღერბით იყო შემკული, სინამდვილეში მხოლოდ მზარეულის შეგირდთაგან გაჩანაგებას გადარჩენილ სხვადასხვა სერვიზების ნაშთს წარმოადგენდა. მათგან უფრო დიდები, კაპოდიმონტეს უნაზესი ნანარმი,⁶ ფართო მომწვანო ნუშისფერი არშიითა და მოოქროვილი ღუზებით განყობილი, თავადს ერგებოდა, რომელსაც თავის გარშემო ყველაფერი ზომით გამორჩეული მოსწონდა, ცოლის გარდა. როდესაც სასადილო დარბაზში შემოვიდა, ყველანი უკვე შეკრებილიყვნენ, მხოლოდ დიდი ქალბატონი იჯდა, დანარჩენები კი იდგნენ, თითოეული თავის სკამთან. თავადის ადგილის წინ, თეფშებისაგან შედგენილ სვეტებს შორის ბრწყინავდა წვნიანით სავსე უშველებელი ვერცხლის ქვაბი, რომლის ხუფს მოცეკვავე ლეოპარდი ამშვენებდა. წვნიანს თვითონ თავადი არიგებდა, რაც *pater familias*⁷ მზრდელი და მზრუნველი ღვანლის სიმბოლო უნდა ყოფილიყო. ამ საღამოს, რაც უკვე დიდი ხანია არ მომხდარა, გაისმა ქვაბის კედელზე მთრთოლვარე ციცხვის მრისხანე წკრიალი: დიდი რისხვის ჯერ კიდევ შეკავებული ნიშანი, ბუნებაში არსებულ ბგერათაგან ერთ-ერთი ყველაზე საშინელი. როგორც ორმოცი წლის შემდეგ შემორჩენილი ერთი ვაჟი ამბობდა, თავადმა შენიშნა, რომ თექვსმეტი წლის ფრანჩესკო-პაოლო თავის ადგილზე არ იყო. ყმანვილი

⁵ ფერდინანდის ძღვენი (ლათ.)

⁶ კაპოდიმონტე — ბურბონთა მიერ 1743 წელს დაარსებული ფაიფურის მანუფაქტურა, მთელს იტალიაში განთქმული თავისი მხატვრული ნანარმით.

⁷ ოჯახის მამა (ლათ.).

დაუყონებლივ შემოვიდა („მაპატიე, მამა“) და დაჯდა. ამას არავითარი საყვედური არ მოჰყოლია, და მაინც, პადრე პირონემ, რომელსაც ოჯახში ნაგაზის დანიშნულება ჰქონდა, თვალები დახარა და უფალს მიანდო თავი. ჭურვი არ აფეთქებულა, მაგრამ მისმა ქარიანმა სტვენამ სისხლი გაუყინა შეკრებილებს და ვახშამი მაინც ჩამწარდა. სანამ მდუმარედ მიირთმევდნენ, თავადის ლურჯი თვალები, სანახევროდ მოხუჭულ ქუთუთოებს შორის ჩამალული, სათითაოდ აკვირდებოდა შვილებს და შიშით ამუნჯებდა.

საშიში კი რა იყო?! „მშვენიერი ოჯახია“, – ფიქრობდა თავადი. ქალები ჩათქვირებული, ჯანსაღი და აყვავებული – ლოყებზე კეკლუცი ღრმულები და კიდევ იქ, ცხვირსა და ნარბებს შორის, რაღაცნაირი ნაოჭი, სალინას გვარის ატავისტური დალი. ტანხმელი, მაგრამ ძლიერი მამაკაცები თავშეკავებული ღონიერებით ამოძრავებდნენ დანა-ჩანგალს. ერთ-ერთი მათგანი უკვე ორი წელია გადაკარგული იყო: ჯოვანი, მეორე შვილი, ყველაზე საყვარელი, ყველაზე თავკერძა. ერთ მშვენიერ დღეს გაქრა სახლიდან და ორი თვის განმავლობაში მისი არაფერი ისმოდა. სანამ ბოლოს და ბოლოს ღონდონიდან არ მოვიდა მოწინებული მაგრამ გულგრილი წერილი, რომელშიც პატიებას ითხოვდა გამონვეული აღელვებისათვის, ადასტურებდა საკუთარ ჯანმრთელობას და უცნაურად ამტკიცებდა, რომ პალერმოს ფუფუნებაში „ზედმეტად მოწყობილ“ (იგულისხმებოდა „შებორკილ“) ცხოვრებას ნახშირით მოვაჭრე ერთ ფირმაში გამყიდვლის მოკრძალებული არსებობა ერჩივნა. ერეტიკული ქალაქის გაკვამლულ ნისლში მოხეტიალე ამ ყმანვილის მოგონებამ ბოროტად უჩხვლიტა თავადის ნატანჯ გულს. კიდევ უფრო მოიქუფრა.

იმდენად მოიქუფრა, რომ მის გვერდით მჯდომმა დიდმა ქალბატონმა ბავშვური ხელი გაიწოდა და მიუალერსა სუფრაზე დასვენებულ მის ვეება ძალუმ თათს. ამ წინდაუხედავმა შესტმა სხვადასხვანაირ შეგრძნებათა რიგი გამოიწვია: მიღებული თანაგრძნობის გამო გაღიზიანება, უეცარი გრძნობა, რომელიც სულაც არ იყო თავისი გამღვიძებლისკენ მიმართული. ანაზადად თავადს ბალიშში ჩარგული მარიანინას თავი წარუდგა თვალწინ. კარისკენ ისროლა მზერა:

– დომენიკო, – უთხრა მსახურს, – ნადი და დონ ანტონინოს

უბრძანე, ჩალისფერი ცხენები შეაბას მსუბუქ ეტლში; ვახშმის მერე პალერმოში მივდივარ.

ცოლის უცებ გარინდულ თვალებში ჩაიხედა და ინანა ნათქვამი, მაგრამ რადგანაც წარმოუდგენელი იყო ნაბრძანების უკან წაღება, უფრო დაიჟინა და სისასტიკეს დაცინვაც დაამატა:

– პადრე პირონე, ჩემთან წამობრძანდით, ასე, თერთმეტისათვის დავბრუნდებით. ორიოდ საათის გატარება შეგეძლება თქვენს მეგობრებთან, ალექსულ სახლში.

სალამოს პალერმოში გამგზავრება, თანაც იმ ომიანობის დროს, აშკარად უმიზნო ჩანდა, თუ არ გავითვალისწინებთ დაბალგემოვნებიანი სამიჯნურო თავგადასავლის შესაძლებლობას. ხოლო ოჯახის მოძღვრის თან ნაყვანა უკვე ძალაუფლების შეურაცხმყოფელი გადამეტება იყო. ყოველ შემთხვევაში, პადრე პირონემ სწორედ ასე აღიქვა ეს ამბავი და თავი დამცირებულად იგრძნო. თუმცა კი, რა თქმა უნდა, დამორჩილდა.

როგორც კი უკანასკნელი მუშმულა შეიჭამა, სადარბაზოს კართან ეტლის გრიალი გაისმა. სანამ დარბაზში კამერიერი დონ ფაბრიციოს ცილინდრს აწვდიდა, ხოლო იეზუიტს – შავ სამრქიან ქუდს, უკვე თვალცრემლიანმა დიდმა ქალბატონმა უკანასკნელ სრულიად ამაო ცდას მიმართა:

– კი მაგრამ, ფაბრიციო, ამ დროს... ქუჩები ჯარისკაცებითაა სავსე, კიდევ ეს ყაჩაღები... ვინ იცის, რა მოხდება.

ქმარმა ჩაიცინა.

– სისულელეა, სტელა, სისულელე. რა გინდა, რომ მოხდეს. მე ხომ ყველა მიცნობს: ჩემი სიმაღლის კაცები ბევრი კი არაა პალერმოში. აბა, მშვიდობით.

და ნაჩქარევად ეამბორა ჯერაც პრიალა შუბლს, რომელიც მისი ნიკაპის სიმაღლეს წვდებოდა. მაგრამ დიდი ქალბატონის კანის სურნელმა თუ გაუღვიძა ალერსიანი მოგონებები, ან იქნებ მის უკან პადრე პირონეს მონანულმა ნაბიჯებმა აღუძრა ღვთისნიერი მოგონებები, უკვე ეტლს მიღწეული ლამის კვლავ მზად იყო, გადაეთქვა გამგზავრება. სწორედ იმ დროს, როცა პირს ალებდა, რათა ცხენების თავლაში დაბრუნება ებრძანებინა, ფანჯრიდან უეცარი ძახილი გაისმა – „ფაბრიციო, ჩემო ფაბრიციო!“ – რასაც ცივი ხმით კივილი მოჰყვა. დიდ ქალბატონს ჩვეული ისტერიკის შეტევა მოსვლოდა.

– გასწი! – დაუძახა თავადმა მეეტლეს, რომელიც კოფოზე

ნამომჯდარიყო და მუცელს მიბჯენილი შოლტი ირიბად ეჭირა. — პალერმოში მივდივართ და მის მალაღლირსებას ალ-თქმის სახლში დავტოვებთ.

ეტლის კარი მანამდე მიაჯახუნა, სანამ კამერიერი მის დახურვას მოასწრებდა.

* * *

ჯერ არ შელამებულებიყო და მაღალ კედლებს შორის ჩაჭედ-ილი გზა თეთრად იყო განოლილი. როგორც კი სალინას სასახლეს გასცდნენ, მარცხნივ იმნამსვე გამოჩნდა ფალკონერის სანახევროდ დანგრეული ვილა, რომელიც ტანკრედის ეკუთვნოდა, თავადის დისწულსა და აღსაზრდელს. თავქარიანმა მამამ, თავადის დის ქმარმა, სიკვდილამდე მთელი ქონების განიავება მოასწრო. ეს იმ უკიდურეს გაკოტრებათაგანი იყო, როცა მსახურთა ლივრეების ოქრომკედსაც გადაადნობენ ხოლმე. ამის გამო დედის სიკვდილის შემდეგ მეფის ბრძანებით თოთხმეტი წლის ობლის აღზრდა ძია სალინას მიენდო. თავიდან თითქმის უცნობი ბავშვი მრისხანე თავადს თანდათანობით შეუყვარდა, რადგანაც მასში გამომწვევ მხიარულებასა და ლალ ტემპერამენტს ხედავდა, რომელსაც შიგადაშიგ სერიოზულობის მოულოდნელი შეტევები არღვევდა ხოლმე. თუმც კი საკუთარ თავსაც არ უტყდებოდა, მაინც ერჩინა ტანკრედი ყოფილიყო მისი პირმშო, და არა ის ბედოვლათი პაოლო. ახლა ოცი წლის ყმანვილი უკვე მშვენიერ დროსაც ატარებდა, რადგანაც ბიძას მისთვის ფული არ ენანებოდა და ხშირად საკუთარი ჯიბიდანაც უნაზღაურებდა დანახარჯს.

— ვინ იცის, რას შვრება ახლა ეს ბიჭი, — ფიქრობდა თავადი, სანამ ეტლი გვერდს უვლიდა ფალკონერის ვილას, რომელსაც სიბნელეში ზედმეტი ფუფუნების იერს ანიჭებდა უშველებელი ბუგანვილეა,⁸ გალავანს გარეთ რომ ღვრიდა თავისი საეპისკოპოსო აბრეშუმის ჩანჩქერებს.

— ვინ იცის, რა ჩაუფიქრებია.

მეფე ფერდინანდმა, რა თქმა უნდა, ცუდი ქნა, როცა ყმანვილის საეჭვო ნაცნობობებს შეეხო, მაგრამ საბოლოოდ მარ-

⁸ ხვიარა მცენარე მონითალო ყვაილებით, სახელი დაერქვა ფრანგი მოგზაურისა და მკვლევრის ლ. ა. ბუგანვილის (1729 - 1811) პატივსაცემად.

თალი იყო. მოთამაშე მეგობარი მამაკაცების, მის ნატიფ მომხიბლაობას დამორჩილებული გზააბნეული მეგობარი ქალების ქსელში გაბმული ტანკრედი იქამდე მივიდა, რომ „სექტის“ მიმართ გაუჩნდა სიმპათია, საიდუმლო ეროვნულ კომიტეტთან დაამყარა ურთიერთობა. იქნებ იქიდან ფულსაც ღებულობდა, ზუსტად ისევე, როგორც სამეფო სალაროდან. რამდენი ძალისხმევა დასჭირდა: ხან მუდამ სკეპტიკურ კასტელჩიკალას მიმართეს, ხან კიდევ გასხეპილად თავაზიან მანისკალკოს, რათა ყმანვილისათვის უბედურება აერიდებინათ ოთხი აპრილის შემდეგ. ცუდი იყო ეს ყველაფერი. მეორე მხრივ, ბიძის თვალში ტანკრედი ყოველთვის მართალი იყო, დანაშაული თვით დროებას ახლდა, ამ უთავბოლო დროებას, როცა კეთილშობილი ოჯახის შთამომავალ ყმანვილს თავის ნებაზე „ფარაონის“ თამაშის თავისუფლებაც კი არ გააჩნდა ისე, რომ საეჭვო ნაცნობობაში არ გახვეულიყო. საშინელი დროებაა.

– საშინელი დროებაა, თქვენო ბრწყინვალეებავ, – პადრე პირონეს ხმამ თავადის ფიქრთა ექოდ გაიჟღერა. ეტლის სკამზე შეყუჟული, თავადის სხეულის მასით ლამის გასრესილი, თავადის მედიდურობით დათრგუნული იეზუიტი სულითა და ხორციით იტანჯებოდა და ეს არცთუ უნიჭო კაციც თავის ეფემერულ გაჭირვებას ისტორიის მდინარებას აბრალებდა.

– აქეთ გახედეთ, თქვენო ბრწყინვალეებავ, – მიუთითებდა ოქროს კონქის ციცაბო ფერდობებზე, რომლებიც ჯერ კიდევ ანათებდნენ საღამოს შუქზე. ფერდობებსა და მწვერვალებზე ათეულობით კოცონი ენთო, მუამბოხეთა მიერ ყოველ ღამე სამეფო და სამონასტრო ქალაქის მიმართ მუქარის ნიშნად ანთებული. იმ სანთლებს ჰგავდნენ, მძიმე ავადმყოფების ოთახში რომ ანთებენ ხოლმე უკანასკნელ ღამეს.

– ვხედავ, მამაო, ვხედავ, – ფიქრობდა, რომ იქნებ ტანკრედიც ერთ-ერთი იმ ავბედითი კოცონის მახლობლად იჯდა და თავისი არისტოკრატიული ხელებით ფიჩხს უკეთებდა იმ ცეცხლში, რომელიც სწორედ ამ ხელების გასაუქმებლად ენთო. „მართლაც კარგი მეურვე ვარ, თუ ჩემი აღსაზრდელი ყველა სისულელეს სჩადის, რაც კი თავში მოუვა“.

გზას მსუბუქი დაღმართი დაეტყო და უკვე ახლოს გამოჩნდა ბნელით მოცული პალერმო. მისი დაბალი და ჩარაზული სახლები მონასტერთა უზომო მასით იყო დათრგუნული. ათე-

ულობით მონასტერი იდგა, უზარმაზარი, ხშირად ორ-ორად ან სამ-სამად დაჯგუფებული, მამათა და დედათა მონასტრები, მდიდარი და ღარიბი, კეთილშობილი და მდაბიო, იეზუიტების, ბენედიქტელების, ფრანცისკელების, კაპუცინების, კარმელიტების, ლიგურელების, ავგუსტინელებისა... რძისგან დაცლილი ძუძუების მსგავსი დაჩიავებული და გაურკვეველი სიმრუდის გუმბათები მალლა აშვერილიყო და სწორედ ისინი ანიჭებდა ქალაქს იმ პირქუშ ხასიათს, იმ პენსა და ამავე დროს სიკვდილის იმ შეგრძნებას, რომლის განქარვება გაგიჟებული სიცილიური მზის ნათელსაც არ შეეძლო. თანაც ახლა, შელამებისას, სწორედ ეს გუმბათები დარჩა არემარის ნამდვილ პატრონად და სწორედ მათ წინააღმდეგ ანთებდნენ მთაში კოცონებს კაცები, რომლებიც ძალიან ჰგავდნენ მონასტრებში დაყუდებულებს – მათსავით ფანატიკოსები, შებლუდულები, ძალაუფლებას და, ესე იგი, მოცალეობას მოწყურებულები.

ამას ფიქრობდა თავადი, სანამ ჩალისფერი ცხენები ნაბიჯით მიუყვებოდნენ დაღმართს. ეს აზრები თავადის ნამდვილ არსებას არ ეთანხმებოდა და ტანკრედის ბედზე მისი მზრუნველობითა და იმ გრძნობიერი სტიმულით იყო წარმოშობილი, რომელიც მას მონასტრების არსებობით გამოხატულ შებლუდვათა წინააღმდეგ გასალაშქრებლად აქეზებდა.

ამ დროს გზა აყვავებულ ფორთოხლის ბაღებს მიუყვებოდა, საიდანაც მონაბერი საქორწილო არომატი⁹ ისე თრგუნავდა ყოველივეს, როგორც სავსე მთვარე თრგუნავს პეიზაჟს: ოფლიანი ცხენების, ტყავის მოსართავეების, თვით თავადისა და იეზუიტის სუნი – ყოველივე ნაშლილიყო ამ მუსლიმური სურნელით, რომელიც მაჰმადიანთა ხორციელი სამოთხის ჰურიებზე აფიქრებინებდა კაცს.

პადრე პირონეც აღელვებული ჩანდა.

– ეჰ, რა მშვენიერი ქვეყანა იქნებოდა ეს, თქვენო ბრწყინვალეობა, რომ არა...

„რომ არა ამდენი იეზუიტი“, – გაიფიქრა თავადმა, რომელსაც მღვდლის ხმამ უტკბილესი წინათგრძნობა გააწყვეტინა. მაგრამ მყისვე ინანა თავისი ჩაუდენელი უხეშობა და ძველი

⁹ ტრადიციის თანახმად, პატარძლის კაბას ფორთოხლის ყვავილებით (ფლერდორანჯით) ამკობდნენ.

მეგობრის ქუდს თავისი ვეება ხელი მოუცაცუნა.

ქალაქის მისადგომებთან, აიროლდის ვილის მახლობლად ეტლი პატრულმა გააჩერა. პულიურმა და ნეაპოლურმა ხმებმა დაიძახეს – „სდექ!“ – და ჩირაღდნის მთრთოლვარე შუქზე უშველებელმა ხიშტებმა გაიელვა. მაგრამ უნტეროფიცერმა უცებ იცნო მუხლებზე ცილინდრდადებული დონ ფაბრიციო:

– გვაპატიეთ, თქვენო ბრწყინვალებავ, მიბრძანდით.

უფრო მეტიც, ეტლის საფეხურზე ჯარისკაცი აასკუპა და გააყოლა, რათა სხვა საყარაულოებზე აღარ შეენუხებინათ. დამძიმებულმა ეტლმა უფრო ნელა განაგრძო გზა, რანკიბილეს ვილას შემოუარა, გასცდა ტერორეზესა და ვილაფრანკას ბალებს და ქალაქში პორტა მაკედას მხრიდან შევიდა. რომერესის კაფეში ერთმანეთს შეხუმრებულ გვარდიის ოფიცრებს ლიმონათის უშველებელი ჭიქები ჩაებლუჯათ. ეს ქალაქში სიცოცხლის ერთ-ერთი ნიშანი იყო: უკაცრიელი ქუჩები მხოლოდ მკერდზე ტყავის თეთრი გადაჯვარედინებული ღვედებით განყობილი პატრულის მკაფიო ნაბიჯს თუ პასუხობდნენ. ქუჩებს კი გვერდზე მონასტერთა ბურდონული ბანივით გაბმული თანხლება მიჰყვებოდა: „ბადია დელ მონტე“, „სტიგმატები“, ჯვრის მტვირთველნი, ტეატინები – უზარმაზარნი და უგრძნობნი, არარაობის მსგავს ძილში ჩაძირულნი.

– ორ საათში გამოვივლი თქვენს ნასაყვანად, მამაო. ღმერთმა შეისმინოს თქვენი ლოცვა.

საბრალო პირონემაც დაბნეულად დააკაკუნა მონასტრის კარზე, ეტლი კი უკვე მოშორებით მიუყვებოდა ქუჩაბანდებს.

* * *

თავადი სასახლის მახლობლად ჩამოვიდა ეტლიდან და ფეხით გაემართა დანიშნულების ადგილისაკენ. გზა მოკლე იყო, უბანს კი ცუდი სახელი გავარდნოდა. ჯარისკაცები, რომლებსაც სრულ აღჭურვილობაზე იმნამსვე ეტყობოდათ, რომ თვითნებურად იყვნენ გამოპარულნი მოედნებზე დაბანაკებული სამხედრო ნაწილების განლაგებიდან, დამტკბარი მზერით გამოდიოდნენ დაბალი სახლებიდან, სადაც სიფრიფანა აივნებზე გახარებული ბაზილიკის მცენარე ცხადყოფდა, თუ რა ადვილი იყო იქ შეღწევა. ფართო შარვლებში გამონყობილი ვილაც საეჭვო აყლაყუდები ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ ხმადაბ-

ლა, როგორც განრისხებულ სიცილიელებს სჩვევიათ. შორი-დან დროდადრო მოისმოდა ნერვიულ ყარაულებს დაცდენილი კანტიკუნტი სროლა. უბნიდან გამოღწეული ქუჩა კალას ნაპირს გაუყვა: მეთევზეთა ძველ ნავსაყუდელში ქეციანი ძაღლების უსასოო სახით ირწეოდნენ ნახევრად დამპალი ნაგები.

„ცოდვილი ვარ, ვიცი, ორგზის ცოდვილი, საღვთო სჯულისა და სტელას სიყვარულის წინაშე. ეს უეჭველია, ხვალ პადრე პირონეს აღსარებას ვეტყვი“. გულში გაიღიმა: ნამდვილად ზედმეტი იქნებოდა ეს ყოველივე, იმდენად ცხადი უნდა ყოფილიყო პადრე პირონესათვის თავადის დღევანდელი მოგზაურობის მიზანი. მაინც დაძლია ლიტონი სიტყვების ნიაღვარმა: „მართალია, ვცოდავ, მაგრამ იმისთვის ვცოდავ, რომ უარესად არ შეეცოდო, რომ ხორცის ეს ნესტარი მოვიშორო, როცა უფრო მძიმე უბედურება ავიცილო თავიდან. უფალმა იცის ეს“. საკუთარი თავის სიბრალულმა მოიცვა, გონებაში ანუნუნდა. „საბრალო, უძლური ადამიანი ვარ“, – ფიქრობდა და ძაღვში ნაბიჯებით თელავდა ტალახიან ქვაფენილს. – „სუსტი ვარ და არავინ მიდგას გვერდში. სტელა! სათქმელად ადვილია! ღმერთი მონამეა, რომ ნამდვილად მიყვარდა: ოცი წელია, რაც შეუღლებულები ვართ. ახლა კი ძალიან ქედმაღალი გახდა, დაბერდა კიდეც“. აქ უძლურების შეგრძნებამ გაუარა. „ჯერაც ჭარმაგი კაცი ვარ. როგორღა უნდა დავკმაყოფილდე ქალით, რომელიც სანოლში ისე არ ჩამეხუტება, ჯერ რომ პირველად არ გადაინეროს? და მერეც, უმაღლესი აღტაცების წუთებში იმასლა ახერხებს, რომ დაიყვიროს: „ღმერთო დიდებულო!“. როცა დავქორწინდით, მომწონდა ეს ყველაფერი. ახლა კი... შვიდი შვილი მყავს მასთან, შვიდი შვილი. მისი ჭიპი კი არასოდეს მინახავს. აბა ეს სამართალია?!“. თავის ექსცენტრულ ბოლმას აყოლილი ლამის ყვიროდა. „სამართალია ეს? თქვენ გეკითხებით!“. მერე კი კატენას ჭიშკარს მიმართა: „ის არის ნამდვილი ცოდვილი, ის!“.

ამ დამამშვიდებელი აღმოჩენით გულმოცემულმა ძლიერად დააკაკუნა მარიანინას კარზე.

* * *

ორი საათის შემდეგ კვლავ ეტლში იჯდა და პადრე პირონესთან ერთად უკან ბრუნდებოდა. ეს უკანასკნელი აღელვე-

ბული იყო: თანამოძმეებმა გააცნეს პოლიტიკური სიტუაცია, რომელიც გაცილებით უფრო დაძაბული აღმოჩნდა, ვიდრე სალინას ვილის განკერძოებულ ატმოსფეროში ჩანდა. კუნძულის სამხრეთ სანაპიროზე, შაკას მხარეს, პიემონტელების გადმოსხდომისა ემინოდათ. ხელისუფლებამაც ხალხში ჩუმი დუღილი შეამჩნია: ქალაქის მდაბიოები ძალაუფლებისაგან სისუსტის გამოვლენას ელოდნენ ძარცვა-გლეჯის დასაწყებად. ღირსი მამები შეშფოთებულნი იყვნენ და სამ მათგანს, ყველაზე ხნიერებს, ნაშუადღევის დილიუანსით ნეაპოლში გაატანეს სამონასტრო საბუთები. „უფალმა დაიფაროს და დაცვას ეს სინმიდის სასუფეველი“.

ოდნავი ზიზლით შეზავებულ მაძღარ სიმშვიდეში ჩაფლული დონ ფაბრიციო ცალი ყურით უსმენდა. ცოტა ხნით ადრე მარიანინა მას გლეხის ქალის მქრქალი მზერით ათვალიერებდა, უარი არაფერზე უთქვამს, მორჩილება და შემსრულებლობა გამოამჟღავნა. რაღაც ბენდიკოს მაგვარი იყო, ოღონდაც აბრეშუმის ქვედაკაბით მოსილი. განსაკუთრებით გრძნობამორეულს ისიც კი წამოსცდა, ჩემო თავადუკაო. თავადი ამას ჯერაც უღიმოდა, კმაყოფილი. ეს მაინც უკეთესი იყო ვიდრე „mon chat“, ან „mon singe blond“,¹⁰ რაც ანალოგიურ ვითარებაში თან ახლდა სარას, პარიზელ კაბჰას, რომელსაც სამი წლის წინ ხვდებოდა, როცა სორბონაში, ასტრონომიის კონგრესზე ვერცხლის მედალი მიანიჭეს. უეჭველად უკეთესი იყო, ვიდრე „mon singe blond“, ბევრად უკეთესიც, ვიდრე „ღმერთო, დიდებულიო!“. მკრეხელობას მაინც არ შეიცავდა. კარგი გოგო იყო მარიანინა, შემდეგისათვის აუცილებლად მოუტანს სამ ადლ აბრეშუმს.

თუმცა სავალალო შესახედიც იყო: ეს ნორჩი ხორცი, ამდენ ხელში გამოვლილი, ეს ყველაფერს შერიგებული ურცხვობა. თვითონ კი, თვითონ რაღა იყო? ღორი და მეტი არაფერი. გონებაში ლექსი მოუვიდა, პარიზის ერთ მაღაზიაში რომ წაიკითხა შემთხვევით, როცა ერთი იმ პოეტთაგანის წიგნს ფურცლავდა, რომელთა მსგავსებაც ყოველ კვირას აცხობს და მერე კი უცებ ივიწყებს საფრანგეთი. თვალწინ კვლავ გაუყიდელი ეგზემპლარების ლიმონისფერი მწკრივი დაუდგა, და გვერდიც –

¹⁰ ჩემო ფისუნავ, ჩემო ქერა (ფრანგ.).

ლუნწომრიანი გვერდი იყო. კვლავ ყურებში ჩაუდგა სტრიქონები, რომლებითაც სრულდებოდა ის აბდაუბდა ლექსი:

Seigneur, donnez-moi la force et le courage
de regarder mon coeur et mon corps sans dégoût!¹¹

და სანამ პადრე პირონეს მსჯელობა ჯერ კიდევ ვინმე ლა ფარინასა და ვინმე კრისპის დასტრიალებდა, რალაცნაირი სასონარკვეთილი ეიფორიით მოცულ „თავადუკას“ ჩალისფერი ბედაურების ზომიერ ჩორთზე და მათ ნასუქალ გავებზე არეკლილი ეტლის ფარნების შუქზე ჩაეძინა. ფალკონერის ვილის მახლობლად მოსახვევში გამოელვოდა. „ეს კიდევ ფიჩხს უკეთებს იმ ცეცხლს, რომელიც ბოლოს და ბოლოს დაწვავს!“.

თავის ცოლქმრულ საძინებლამდე მისულს მაღალსა და ფართო სპილენძის სანოლზე წყნარად მფშვინავი და საღამურ ჩაჩში საგულდაგულოდ თმებჩახვეული სტელას სანახაობამ გული აუჩუყა. „შვიდი შვილი გამიჩინა და მხოლოდ მე მეკუთვნოდა“. ისტერიული კრიზისის უკანასკნელ ნიშნად ოთახს ვალერიანის სურნელი დაჰკრავდა. „ჩემი საბრალო სტელუჩა“, – ჩაიბუტბუტა თავადმა და სანოლზე აბობლდა. საათი საათს მისდევდა, ძილი კი არ ეკარებოდა: ღმერთო ჩემო, გონებაში თავისი ძლიერი ხელით სამ ცეცხლს ურევდა: მარიანინას ალერსს, უცნობის შეთხზულ სტრიქონებსა და მთის კალთებზე დანთებული კოცონების მრისხანე ნიშანს.

თუმცა კი განთიადისკენ დიდ ქალბატონს კიდევ ერთხელ მიეცა პირჯვრის გადანერის საბაბი.

* * *

დილის მზემ დასვენებული და აღდგენილი თავადი გაანათა. ყავა უკვე დაელია და შავი ყვავილებით მოხატულ წითელ საშინაო ხალათში სარკის წინ წვერს იპარსავდა. ბენდიკოს მძიმე თავი პატრონის ჩუსტზე მიედო. როცა მარჯვენა ლოყაზე ისვამდა სამართებელს, თავის უკან სარკეში თვალი მოჰკრა ყმანვილის გამხდარ და მორიდებული დამცინაობით ალბექდილ სახეს. თავი არ მოუტრიალებია და პარსვა განაგრძო.

– ტანკრედი, რა გადაგხდა ნუხელ?

– დილა მშვიდობისა, ძია. რა გადამხდა? არაფერიც არ გა-

¹¹ უფალო, მომეცი ძალა და გამბედაობა, ჩემს გულსა და ჩემს სხეულს რომ ზიზლის გარეშე შევხედო! (ფრანგ.).

დამხდენია. მეგობრებში ვიყავი. სრულიად უმანკო ღამე იყო. იმ ჩემს ნაცნობებს კი არ ვგავდი, პალერმომი რომ ერთობოდნენ.

ღონ ფაბრიციო მთელი გულისყურით მისცემოდა ტუჩსა და ნიკაპს შორის განლაგებულ რთული მონაკვეთის პარსევას. ყმანვილის ოდნავ ცხვირისმიერ ხმას ახალგაზრდული მომხიბლაობის ისეთი მუხტი ახლდა თან, რომ გაბრაზება შეუძლებელი იყო. თუმცა, გაკვირვება, ალბათ, შეიძლებოდა. შემობრუნდა და ნიკაპზე პირსახოცმიდებული დააცქერდა დისნულს. იგი სანადიროდ იყო გამოწყობილი შემოტყეცილ ქურთუქსა და მაღალყელიან წალებში.

– ეს ვილა ნაცნობები იყვნენ, შეიძლება ვიცოდე?

– შენ, ძია, შენ. აი, ამ თვალებით დაგინახე აიროლდის ვილის წინ საგუშაგოსთან, სერუანტს ელაპარაკებოდი. კარგი რამაა შენს ასაკში! თანაც მაღალღირსი მამის თანხლებით! ესეც შენი ბებერი არშიყი.

ნამდვილად თავხედი იყო, ეგონა, რომ ყველაფრის ნება ჰქონდა. ქუთუთოების ვინრო ჭრილებიდან თავადს მღვრიე ცისფერი, მისი დის, თვითონ მისი მოცინარი თვალები უცქერდნენ. თავი შეურაცხყოფილად იგრძნო: ეს ვაჟბატონი ნამდვილად ვერ ხვდებოდა, სად უნდა შეჩერებულიყო. მაგრამ მის სასაყვედუროდ გული არ ერჩოდა. სხვა თუ არაფერი, მართალი იყო.

– კი მაგრამ, ასე რას გამოწყობილხარ? დილის მასკარადია?

ყმანვილი ერთბაშად დასერიოზულდა. მისმა სამკუთხა სახემ მოულოდნელად მამაკაცური იერი მიიღო.

– მივემგზავრები, ძია! ნახევარ საათში მივემგზავრები. გამოსამშვიდობებლად გეახელი.

საბრალო სალინამ იგრძნო, როგორ შეეკუმშა გული.

– დუელია?

– დიდი დუელი, ძია. ფრანჩესკიელოს წინააღმდეგ. კორლეონეს მთებში მივიღვარ. არავის უთხრა, განსაკუთრებით კი პაოლოს. დიდი საქმეები მზადდება, ძია, ჰოდა, შინ დარჩენა არ მინდა. ისე კი, რომ დავრჩე, მაშინვე ხელს მტაცებენ.

თავადს უეცრად ჩვეული ხილვა წარმოუდგა: შეტაკების სასტიკი სცენა, სროლის ხმა ტყეში და მინაზე განრთხმული მისი ტანკრედი, იმ უიღბლო ჯარისკაცით გამოშვიგებული.

- გაგიჟდი, შვილო?! მიდიხარ და იმ ხალხს უნდა შეერიო?! ყველანი მაფიოზები და თალღითები არიან. ფალკონერის გვარის კაცი ჩვენთან უნდა იყოს, მეფის მხარეზე.

ვაჟის თვალებმა კვლავ გაიღიმეს.

- მეფის მხარეზე, რა თქმა უნდა. ოღონდ რომელი მეფის? - ყმანვილს სერიოზულობის ჩვეული კრიზისი დაემართა, რომლის დროსაც ასეთი მომხიბლავი ხდებოდა ხოლმე. - ჩვენც რომ არ მივიღოთ მონაწილეობა, ისინი რესპუბლიკას გაგიმართავენ აქ. თუ გვინდა, რომ ყოველივე ისე დარჩეს, როგორც არის, საჭიროა, ყველაფერი შეიცვალოს. ხომ გამიგე? - ოდნავ აღელვებული მოეხვია ბიძას. - მშვიდობით. სამფეროვანი დროშით დაგიბრუნდები.

ნუთუ მეგობრების რიტორიკამ მის დისნულსაც დაამჩნია კვალი? არა, - ცხვირისმიერ ხმაში ისეთი კილო შეიმჩნეოდა, რომელიც აღტყინებას უარყოფდა. რა ბიჭია! სიბრიყვეები და, ამავე დროს, სიბრიყვის უარყოფა. ეს მისი პაოლო კი ამ წუთას, ალბათ, იმას აკვირდება, გვისკარდო როგორ ინელებს შერიას! ეს მეორე იყო მისი ღვიძლი შვილი. დონ ფაბრიციო მონყვეტით ადგა ფეხზე, კისრიდან პირსახოცი მოიცილა და უჯრაში მოჰყვა ხელის ფათურს.

- ტანკრედი, ტანკრედი, მოიცადე, - დისნულს გამოეკიდა და ოქროს უნციების შეკვრა ჩაუდო ჯიბეში, მხარზე ხელი მოუტყაპუნა. ყმანვილი ილიმებოდა.

- ახლა რევოლუციას აფინანსებ! გმადლობ, ძია, ნახვამდის. ბიცოლას აკოცე ჩემგან.

მსწრაფლ დაეშვა კიბეებზე.

თავადმა მოუხმო ბენდიკოს, რომელიც მისდევდა მეგობარს და მხიარული ყეფით იკლებდა ვილას. ნვერის პარსვა დასრულებულიყო, პირიც დაბანილი ჰქონდა. კამერდინერი შემოვიდა თავადის შესამოსად.

„სამფეროვანი! მაშ, სამფეროვანი! სულ ეგ სიტყვა აკერი-ათ ენაზე მაგ არამზადებს. ნეტა რას ნიშნავს ეს გეომეტრიული ნიშანი, ეს ფრანგების ნამხედურობა, ასეთი უგვანო, ჩვენს სპეტაკ ბაირალს და მოოქროვილ ღერბს რომ შევადაროთ? რის იმედს იძლევა ნეტავი ამ მჭახე ფერების ერთობლიობა?“

შავი ატლასის მონუმენტური ჰალსტუხის ყელზე მოხვევის დრო დადგა. ეს ძნელი ოპერაცია იყო, რომლის განმავლობაში

პოლიტიკაზე ფიქრების შეწყვეტა ჯობდა. ერთი მოხვევა, მეორე, მესამე. დიდი და მგრძობიარე თითები ნაკეცებს ალაგებდნენ, ქსოვილის შვერილებს აბრტყელებდნენ, აბრეშუმზე ლალისთვალებიან ოქროს მედუზის თავს აბნევდნენ.

– სუფთა ჟილეტი! ვერ ხედავ, რომ ამას ლაქა ადევს?

კამერდინერი ფეხის წვერებზე აინია, თავადისათვის რომ ყავისფერი მაუდის რედინგოტი შემოესხა მხრებზე, მერე ბერგამოტის სამწვეთნაპკურები ცხვირსახოცი მიაწოდა. გასაღებები, ძენკვიანი საათი და პორტმონე თავადმა თავისი ხელით ჩაიწყო ჯიბეში. სარკეში ჩაიხედა: თქმა არ უნდოდა, ჯერაც მშვენიერი მამაკაცი იყო.

– „ბებერი არშიყი“! სასტიკად ხუმრობს მამაძალლი. ერთი დამანახა, ჩემი ხნისა რომ მოინევა ეგ გაძვალტყავებული ეგა.

ძალუმი ნაბიჯები დარბაზებში შუშებს აზრიალებდა. სახლი მშვიდი, ნათელი და შემკული იყო. მას ეკუთვნოდა. კიბეზე ჩამავალი ჩასწვდა აზრს:

– თუ გვინდა, რომ ყოველივე ისე დარჩეს, როგორც არის... ყოველთვის ფიქრობდა, რომ ტანკრედი დიდი კაცია.

* * *

სამმართველო ოთახები ჯერაც უკაცრიელი იყო და იქ დაკეტილ დარაბებს მიღმა მდუმარე მზე ანათებდა. თუმცა ვილის ეს ადგილი ყველაზე ნაკლებად დაიკვეხნიდა ზნეობრივი თავშეკავებით, მისი იერი მაინც პირქუში და მკაცრი იყო. კირით შეთეთრებული კედლებიდან ცვილით გაპრიალებულ იატაკზე ირეკლებოდა სალინას საგვარეულო ფეოდების გამომსახველი ვეებერთელა სურათები. აქ შავსა და მოოქროვილ ჩარჩოებში ცოცხალი ფერებით იკვეთებოდა სალინა, – ორი ტყუში მწვერვალით დამშვენებული და აქაფებულტალღებიანი ზღვით გარშემორტყმული კუნძული, რომლის ნაპირებთან დატვირთული გალერები ირწეოდა; იქ კვერჩეტას სახლები მიჯრით მისდგომოდნენ დედაეკლესიას, საითკენაც ვინრო ქუჩებით მიაბიჯებდნენ მოლურჯო მლოცველები; იქით კიდევ ვინრო მთიან ხეობებს შორის რაგატიზი მოჩანდა; პანანინა არჯივოკალეს ირგვლივ მშრომელი გლეხებით მოფენილი ხორბლის თვალუნვდენელი ყანები გადაჭიმულიყო; შორს კი დონაფუგატა იყო თავისი ბაროკოს სასახლით, რომლის მეწამული, მომწვანო და

მოოქროვილგუმბათიანი კოშკურები თითქოსდა ქალებით, ბოთლებითა და ვიოლინოებით იყო გატენილი. სხვაგან კიდევ ბევრი სხვაც ეკიდა, რასაც გრძელ ულვაშებში მოცინარე ლეოპარდი იცავდა კრიალა და სიმშვიდის მომგვრელი ცის ქვეშ. ყოველ მათგანში იგრძნობოდა მოზეიმე და მგზნებარე მზადყოფნა, ხოტბა შეეხათ სალინას ბრწყინვალე საგვარეულო იმპერიისთვის, რომელიც ერთსა და იმავე დროს „შერეულიც“ იყო და „ნმინდაც“. ყოველი სურათი გასული საუკუნის სოფლური ხელოვნების გულუბრყვილო შედეგები იყო და არ ვარგოდა არც საზღვრების დასადგენად, არც ტერიტორიებისა და შემოსავლების დასაზუსტებლად: ეს ყოველივე უცნობი რჩებოდა. მრავალი საუკუნის მანძილზე სიმდიდრე სამკაულად, ფუფუნებად, სიამოვნებად იქცა და მხოლოდ ამაღ. ფეოდალური უფლებების გაუქმებამ ვალდებულებები და პრივილეგიები ერთნაირად დააზიანა და სიმდიდრეც, ძველი ღვინის მსგავსად, სიმაგრისა და ფერის შესანარჩუნებლად კასრის ძირზე ნაღებად დატოვა სიხარბე, მზრუნველობა და კეთილგონიერება. ამგვარად კი ის საკუთარ თავს აუქმებდა: ეს სიმდიდრე, რომელმაც თავისი მიზანი განახორციელა, მხოლოდ უძვირფასესი ზეთოვანი ესენციებისაგან შედგებოდა და როგორც ზეთოვანი ესენციები, ისიც ადვილად აქროლადი იყო. ამ დროისათვის სურათებზე ასეთი ლამაზი ფეოდებიდან ზოგიერთი უკვე შორს გაფრენილიყო და მხოლოდ შელებილ ტილოებსა და ტიტულატურას შემორჩენოდა. სხვები კიდევ სექტიემბრის მერცხლებს ჰგავდა, ჯერ რომ თითქოსდა აქ არიან, მაგრამ უკვე ჭიკჭიკით შეკრებილან ხის ტოტებზე და გასაფრენად ემზადებიან. მაინც ბევრი რჩებოდა და თითქოსდა არც არასოდეს გამოილეოდა ფეოდთა რიცხვი.

მიუხედავად ამ უკანასკნელი შენიშვნისა, საკუთარ კაბინეტში შესული თავადის განწყობა, როგორც ყოველთვის, უსიამოვნო იყო. შუა ოთახში გოდოლივით აღმართულიყო სანერი მაგიდა უთვალავი უჯრით, ნიშით, სადგამით, ჩასადებითა და დახრილი სიბრტყით. ყვითელი და შავი ხის ეს უშველებელი მასა, თეატრის სცენასავით მორთული და მოჩუქურთმებული, სავსე იყო მახეებით, გასაწევი კარებითა და სამალავებით, რომელთა აღმოჩენა ქურდების გარდა არავის შეეძლო. მაგიდა ქალღმერთის იყო დაფარული და თუმცა მათი უმრავლესობა, თა-

ვადის საგანგებო ზრუნვის წყალობით, ასტრონომიის უშფოთველ დარგს განეკუთვნებოდა, დანარჩენი ნაწილი სრულიად სამარისი იყო მისი გულის მოსაკლავად. ნამით მეფე ფერდინანდის სანერი მაგიდა გაახსენდა კაზერტაში, ისიც სავსე განკარგულებებითა და განჩინებებით, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი იყო ბედისწერათა მდინარეზე გავლენის მოხდენა, თუმცა ის დამოუკიდებლად მიედინებოდა სულ სხვა ხეობაში.

დონ ფაბრიციოს ამერიკის შეერთებულ შტატებში ცოტა ხნის წინ აღმოჩენილი ის წამალიც გაახსენდა, რომლის მეშვეობით შესაძლებელი იყო ყველაზე სასტიკი ოპერაციების დროს ტკივილების გაყუჩება, – უბედურებათა შორის მშვიდი ცხოვრება. წარმართული სტოიციზმისა და ქრისტიანული შერიგების ამ უხეშ სუროგატს მორფინი უწოდეს სახელად. საბრალო მეფისათვის მისი ფანტომური მმართველობა მორფინის დანიშნულებას ასრულებდა. თვით სალინა კი მორფინის გაცილებით უფრო ამაღლებული ნაირსახეობით სარგებლობდა: ასტრონომიით. ამიტომაც განაგდო გონებიდან დაკარგული რაგატიზისა და დასაკარგავად გამზადებული არჯივოკალეს შესახებ ფიქრები და გადაშალა ჟოურნალ დეს სავანტსის უახლესი ნომერი. „es dernières observations de l'Observatoire de Greenwich présentent un intérêt tout particulier...“¹²

მაგრამ სასწრაფოდ მოუხდა იმ მშვიდობიანი ვარსკვლავიერი სამეფოებიდან გადმოსახლება. ოთახში დონ ჩიჩო ფერარა შემოვიდა, საქმეთა მწარმოებელი. ხმელ-ხმელი კაცუნა იყო, რომელიც გულის დამანყნარებელი სათვალეებისა და უზადო ჰალსტუხების ქვეშ ლიბერალის იმედგაცრუებულსა და მტაცებელ სულს მალავდა. იმ დილით ჩვეულებრივზე უფრო ხალისიანი იყო: აშკარად ჩანდა, რომ პადრე პირონეზე ასე მძიმე შთაბეჭდილების მომხდენმა ამბებმა დონ ჩიჩოზე გულის მალამოსავით იმოქმედეს.

– საშინელი დროებაა, თქვენო ბრწყინვალებავ, – თქვა პატივისცემის გამომხატველი რიტუალის შემდეგ. – შესაძლოა, დიდი უბედურება მოხდეს. მაგრამ ცოტა ხმაურისა და სროლის მერე ყველაფერი კიდევ უკეთესად წავა და ჩვენს სიცილიას

¹² გრინვიჩის ობსერვატორიის უკანასკნელი დაკვირვებები განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს... (ფრანგ.).

ახალი დიდების ხანა დაუდგება. ამდენი კაი ყმის სიკვდილი რომ არა, ნამდვილად ისლა დაგვრჩენია, კმაყოფილები ვიყოთ.

თავადი ბუზლუნებდა, მაგრამ არანაირ თვალსაზრისს არ გამოხატავდა.

– დონ ჩიჩო, – თქვა ბოლოს, – საჭიროა წესრიგი შევიტანოთ კვერჩხტას გადასახადების აკრეფის ქალაქებში. უკვე ორი წელია იქიდან ერთი გროშიც არ შემოსულა.

– ანგარიში წესრიგშია, თქვენო ბრწყინვალეზე, – ეს მაგიური ფრაზა იყო. – საჭიროა მხოლოდ დონ ანჯელო მაცას მივწეროთ, რომ აუცილებელი პროცედურები შეასრულოს. დღესვე მოგართმევთ წერილს ხელმოსაწერად.

და გაემართა ვეება დავთრებში საქეჟად, სადაც ორიოდენ წლის დაგვიანებით სალინას ოჯახის ყველა ანგარიში იწერებოდა, ნამდვილად მნიშვნელოვანის გარდა.

მარტო დარჩენილმა დონ ფაბრიციომ შეაყოვნა ნისლოვანებათა მორევი ჩაყურყუმალავება. მოსალოდნელი მოვლენებით არ იყო იმდენად გაღიზიანებული, რამდენადაც ფერარას სიბრიყვით, რადგან მასში ერთბაშად ამოიციხო ერთ-ერთი სოციალური კლასი, რომელიც, შესაძლოა, მმართველობას აიღებდა.

„რასაც ეს კაცი ამბობს, სწორედ რომ ჭეშმარიტების საწინააღმდეგოა. სასიკვდილოდ განწირულ კაი ყმებს დასტირის, მე კი, რამდენადაც ორი მონინააღმდეგის ბუნებას ვიცნობ, მგონია, რომ ესენი ძალიან ცოტანი იქნებიან. იმაზე ერთით მეტიც არ დაილუპება, რამდენიც ცნობის ფურცლის შესავსებად იქნება აუცილებელი ტურინში ან ნეაპოლში გამარჯვებისას, რაც, კაცმა რომ თქვას, ერთი და იგივეა. ჩვენი სიცილიის დიდების ხანისა სჯერა, როგორც თვითონ ამბობს, მაგრამ ამას ხომ, ნიჩადან მოყოლებული, კიდევ ასი გადმოსხდომის მერე გვპირდებოდნენ და მაინც არასოდეს მომხდარა. ისე კი, რატომ უნდა მომხდარიყო? მაშინ რაღა მოხდება? თითქმის უვნებელი სროლების თანხლებით მიმდინარე მოლაპარაკებები და მერე ყველაფერი იგივე დარჩება, მაშინ როცა ყველაფერი შეიცვლება“.

კვლავ გაახსენდა ტანკრედის ორაზროვანი ნათქვამი, რომელსაც ახლა უკვე ძირამდე ჩასწვდა. დამშვიდდა და ჟურნალის ფურცვლას მოჰყვა. თან მონტე პელეგრინოს კალთებს გაჰყურებდა, დაღარულსა და მარადიულს, როგორც სიღარიბეს.

ცოტა ხნის შემდეგ რუსო შემოვიდა, მოურავი, რომელსაც თავადი თავის ქვეშევრდომთა შორის ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევდა. მკვირცხლი, ველვეტის ქურთუკში არცთუ სინატიფის გარეშე გახვეული, უსინდისო შუბლის ქვემოდან მომზირალი ხარბი თვალებით, იგი თავადისათვის ამკარა გამოსახულება იყო აღმავალი საზოგადოებრივი ფენისა. ამავე დროს იგი თაყვანისმცემელი იყო და თითქმის გულწრფელად ერთგული, რადგანაც ისე ძარცვავდა თავადის ქონებას, თითქოსდა უზენაესი უფლებით სარგებლობდა.

– წარმომიდგენია, რამდენად დამწუხრებულია თქვენი ბრწყინვალე ტანკრედის გამგზავრებით. მაგრამ ეს დიდი ხანი არ გაგრძელდება და ყველაფერი კარგად დამთავრდება. დარწმუნებული ვარ.

კიდევ ერთხელ აღმოჩნდა თავადი ერთ-ერთი სიცილიური გამოცანის წინაშე. ამ საიდუმლო კუნძულზე, სადაც სახლები დაგმანულია, ხოლო გლეხები ამბობენ, რომ არ იციან იმ სოფლის გზა, რომელშიც თვითონ ცხოვრობენ და რომელიც იქვე ჩანს, მაღლობზე, მთავარი გზიდან ათიოდე წუთის სავალში, ამ კუნძულზე, ყველაფრის დამალვისკენ დაჟინებული სწრაფვის მიუხედავად, იდუმალეობა მხოლოდ მითია.

რუსოს დაჯდომა ანიშნა და თვალი თვალში გაუყარა:

– პიეტრო, კაცურად ვილაპარაკოთ, შენც გაერიე ამ საქმეში?

უპასუხა, გარეული არ ვყოფილვარ, რადგანაც ოჯახის მამა ვიყავი და ეს რისკიანობა კი ტანკრედისნაირი ახალგაზრდების საქმეაო.

– წარმოიდგინეთ, რამე რომ დაფუძალო თქვენს ბრწყინვალეობას, რომელიც მამასავითაა ჩემთვის.

სინამდვილეში კი სამი თვის წინ თავის სარდაფში გადამალა ას ორმოცდაათი გოდორი ლიმონი და იცოდა, რომ თავადმაც იცოდა.

– ოღონდ, უნდა გითხრათ, რომ ჩემი გული მათთანაა, იმ მამაც ბიჭებთან.

ბენდიკოს შემოსაშვებად ადგა, რომელიც თავისი მეგობრული გზნებით უკვე კარს აზანზარებდა. კვლავ დაჯდა.

– თქვენმა ბრწყინვალეობამ იცის, ასე აღარ შეიძლება: ჩხრეკები, დაკითხვები, ათასი ანკეტის შევსება ყველაფერზე. ყო-

ველ კუთხეში თითო პოლიციელი დგას. კაცურ კაცს თავისი საქმეებისათვის ვერ მოუცლია. ამის შემდეგ კი თავისუფლება გვექნება, სიმშვიდე, უფრო ასატანი გადასახადები, ვაჭრობის საშუალება. ყველანი უკეთესად ვიცხოვრებთ: მხოლოდ მღვდლები დარჩებიან წაგებული. უფალი ჩემსავით ღარიბებს იფარავს, იმათ კი არა.

დონ ფაბრიციო იღიმებოდა: იცოდა, რომ სწორედ მას, რუსოს უნდოდა შუამავლის მეშვეობით არჯივოკალეს ყიდვა.

– სროლისა და შფოთის დღეები კიდევ გველის, მაგრამ სალინას სახლი კლდესავით საიმედო იქნება. თქვენი ბრწყინვალება ჩვენი მამაა და მეც მრავალი მეგობარი მყავს აქ. პიემონტელები აქ ქუდმოსდილები შემოვლენ, რომ თაყვანი სცენ თქვენს ბრწყინვალებას. და მერე კიდევ, თქვენ ხომ ჩვენი ტანკრედის ბიძა და მეურვე ბრძანდებით!

თავადმა დამცირებულად იგრძნო თავი: ახლა რუსოს მეგობართა იმედამდე დადაბლდა. როგორც ეტყობა, მისი ერთადერთი ღირსება იმ ცინგლიანი ტანკრედის ბიძობა უნდა ყოფილიყო.

„ერთ კვირაში საქმე იქამდე მივა, რომ სიცოცხლეს იმის ხატრით შემინარჩუნებენ, რომ შინ ბენდიკო მყავს“.

თითებით ძალღის ყურს ჭმუჭნიდა ისე ძლიერად, რომ საბრალო ცხოველი წკმუტუნებდა, მადლიერებითა და ტანჯვით აღსავსე.

ცოტა მოგვიანებით რუსოს სიტყვებმა ერთგვარი შემსუბუქება მოუტანა.

– ყველაფერი გაუმჯობესდება, თქვენო ბრწყინვალებავე, მერწმუნეთ. პატიოსანი და ყოჩაღი კაცები წინ წაიწევენ. დანარჩენი კი ძველებურად დარჩება.

ეს ხალხი, ეს სოფლელი ლიბერალუკები მხოლოდ იმას ესწრაფოდნენ, რომ ადვილად მოეგოთ რამე. ეს იყო და ეს. მერცხლები უფრო მალე გაფრინდებოდნენ და მეტი არაფერი. ბუდეში მაინც საკმარისად რჩებოდა.

– იქნებ მართალიც ხარ. ვინ იცის?

ახლა ყველა შეფარულ აზრს მიხვდა: ტანკრედის ქარაგმულმა, ფერარას ზედმეტად ამალლებულმა და რუსოს ყალბმა, მაგრამ საფარველის ამხდელმა სიტყვებმა დათმეს თავიანთი სანუგეშო საზრისი. ბევრი რამ მოხდებოდა კიდევ, მაგ-

რამ ყველაფერი მხოლოდ კომედია იქნებოდა, ხმაურიანი რომანტიკული კომედია ტაკიმასხარის ჯუბაზე რამდენიმე სისხლიანი ლაქით. ეს ხომ გარიგებების ქვეყანა იყო, სადაც ფრანგულ მრისხანებას არაფერი ესაქმებოდა. ანდა საფრანგეთში, 1848 წლის ივნისი რომ არ გავითვალისწინოთ, როდის მომხდარა რამე სერიოზული? უნდოდა რუსოსთვის ეთქვა, მაგრამ თანდაყოლილმა კეთილშობილებამ შეაჩერა: „თქვენ არ გსურთ ჩვენი, თქვენი „მამების“ განადგურება, მხოლოდ ჩვენი ადგილის დაკავება გინდათ. ნაზად და თავაზიანად. იქნებ ჯიბეში ერთი-ორი ათასი დუკატიც ჩავგიდოთ კიდეც. ხომ ასეა? შენი შვილიშვილი, რუსო, ალაღად დაიჯერებს, რომ ბარონია. შენ კი, რა ვიცი, ალბათ, მოსკოვის სამთავროს რომელიმე ბოიარის ნათესავი გახდები შენი გვარის წყალობით თუმცა კი ეს შენი გვარი მხოლოდ იმას მოწმობს, რომ ვილაც ნითურთმიანი რეგვენის შთამომავალი ხარ.¹³ შენი ქალიშვილი თავისი ცისფერი თვალებისა და მოქნილი ხელების წყალობით კიდეც უფრო ადრე ერთ-ერთ ჩვენგანს გაჰყვება ცოლად, თუნდაც იმავე ტანკრედის. კაცმა რომ თქვას, ლამაზიცაა, ამასთან კიდეც თუ დაბანასაც მიეჩვენა... „ყველაფერი უცვლელად რომ დარჩეს“ ასეც არის სინამდვილეში: მხოლოდ საზოგადოებრივ ფენათა ნელი გადახაცვლება. ჩემი საკამერიუნკერო ოქროს გასაღები და სან ჯენაროს შინდისფერი ლენტის უჯრაში უნდა დარჩეს, მერე პაოლოს შვილის ვიტრინაში აღმოჩნდება, მაგრამ სალინა სალინად დარჩება. იქნებ, რამე სამაგიეროც მივიღოთ: სარდინიის სენატის წევრობა, სან მაურიციოს ზურმუხტისფერი ლენტის. ერთ ზიზილ-პიპილებს სხვა ზიზილ-პიპილებში გავცვლით“. ფეხზე წამოდგა:

– პიეტრო, ელაპარაკე შენს მეგობრებს. აქ ბევრი ყმანვილი ქალია, არ უნდა დაშინდნენ.

– რა თქმა უნდა, თქვენო ბრწყინვალეზავ. უკვე ველაპარაკე, სალინას ვილა მონასტერივით უსაფრთხო იქნება, – და გაიღიმა ალერსიანი ირონიულობით.

ოთახიდან გასულ დონ ფაბრიციოს უკან ბენდიკოც გაჰყვა. თავადს პადრე პირონეს ნახვა სურდა, მაგრამ ძალის მუდართით აღსავსე თვალებმა განზრახვა შეაცვლევინა და ბალისკენ

¹³ რუსსო (იტი) -- რუსი, რუსსო (სიცილიური დიალექტი) -- ნითელი.

ნაიყვანა. ბენდიკოს ახსოვდა წინა სალამოთი ჩატარებული სამუშაო და ახლა ხელოვნების სრულყოფამდე სურდა მისი მიყვანა. ბალი ნუხანდელზე უფრო სურნელოვანი იყო და დილის მზის შუქზე მიმოზის ოქრო ნაკლებ შეუსაბამოდ ჩანდა.

– მაგრამ ჩვენი მთავრები? ან ხელისუფლების ლეგიტიმურობას რაღა ვუყოთ? – ამ აზრმა ერთხანს შეაშფოთა, ვერანაირ ილუზიას ვერ შეაფარა თავი. წამით მალეკას დაემსგავსა. ეს შეურაცხყოფილი ფერდინანდები და ფრანჩესკოები უფროს ძმებად წარმოიდგინა: საიმედონი იყვნენ, ალერსიანები, სამართლიანები, წამდვილი მეფეები. მაგრამ შინაგანი სიმშვიდის დამცავი ძალები უკვე მოეშურებოდნენ დასახმარებლად სამართლისმცოდნეობის ქვეითი ჯარითა და ისტორიის არტილერიის თანხლებით.

– კი მაგრამ, საფრანგეთი? განა ნაპოლეონ III კანონიერი ხელმწიფეა? განა ფრანგებიც ბედნიერად არ ცხოვრობენ ამ განათლებული იმპერატორის მმართველობის ქვეშ? განა იგი მათ უფრო მაღალი მიზნისაკენ არ წაიყვანს? კარგად უნდა გავიგოთ ეს. ან კარლოს III განა სამართლიანად იჯდა თავის ტახტზე? ბიტონტოს ბრძოლაც იგივე იყო, რაც კორლეონეს ან ბიზაკვინოს ბრძოლა, ან კიდევ ვინ იცის რა ბრძოლა, სადაც პიემონტელები მუჯღუგუნებს გვითავაზებენ. ერთ-ერთი იმ ბრძოლათაგანი, გადახდილი იმისათვის, რომ ყველაფერი ძველებურად დარჩეს. ბოლოს და ბოლოს, არც იუპიტერი იყო ოლიმპოს კანონიერი მთავარი.

აშკარა იყო, რომ იუპიტერის მიერ სატურნის წინააღმდეგ მოხდენილ სახელმწიფო გადატრიალებას კვლავ ვარსკვლავებისკენ უნდა მიემართა მისი გონება.

* * *

საკუთარი დაუცხრომლობის გამო აქოშინებული ბენდიკო ბაღში დატოვა, კიბეს აუყვა, გადაჭრა დარბაზები, სადაც ქალიშვილები საღვატორეს მეგობარ ქალებზე ჭორაობდნენ (თავადის მოახლოებისას მათი კაბების აბრეშუმი აშრიალდა, როცა მისასალმებლად წამოინიეს), გრძელი კიბე აიარა და ობსერვატორიის ცისფერ ნათელში იგულა თავი. პადრე პირონე იმ მღვდლის ნეტარი სახით, რომელმაც მესაც აღასრულა და მერე მონრეალეს ორცხობილებს ზედ მაგარი ყავაც დააყოლა,

თავის ალგებრულ ფორმულებს უჯდა. მზისგან დაბრმავებული ორი ტელესკოპი და სამი დურბინი თავის ადგილას ჩაცუცქულიყო, წყნარად, წყნარად, შავი ხუფით დაცული ოკულარებით, – კარგად განვრთნილი მხეცები, რომლებმაც იცინან, რომ თავიანთი წილი საკვები მხოლოდ სალამოს ელით.

თავადის მოსვლამ პადრე პირონე გამოთვლებს მოსწყვიტა და წუხანდელი არასასიამოვნო თავგადასავალი გაახსენა. ფეხზე წამოდგა, მონინებით მიესალმა, მაგრამ თავი ვერ შეიკავა, რომ არ ეთქვა:

– თქვენი ბრწყინვალეობა აღსარებისთვის მობრძანდა?

დონ ფაბრიციოს, რომელსაც ლამის ძილმა და დილის საუბრებმა დაავინყა წუხანდელი ეპიზოდი, გაუკვირდა.

– აღსარებისთვის? კი მაგრამ, დღეს ხომ შაბათი არაა, – მერე გაახსენდა და გაიღიმა. – ღმერთმანი, მამაო, ამის საჭიროება არ არის: ისედაც ხომ ყველაფერი იცით.

იძულებით თანამზრახველობაზე ამ დაჟინებულმა მინიმუმებამ გაალიზიანა იეზუიტი.

– თქვენო ბრწყინვალეობავ, აღსარების დანიშნულება მხოლოდ შეცოდებათა გადმოცემაში კი არ მდგომარეობს, არამედ იმის მონანიებაშიც, რაც კი რამ ბოროტი იქნა ჩადენილი. და სანამ ამას არ იზამთ და არ დაამტკიცებთ ჩემ წინაშე, მომაკვდინებელ ცოდვაში დარჩებით, მიუხედავად იმისა, ვიცი მე თქვენი საქციელი, თუ არა.

საგულდაგულოდ ჩამოიფერთხა სახელოდან რაღაც ბუსუსი და კვლავ თავის აბსტრაქციებში ჩაიძირა.

დილანდელი პოლიტიკური მიგნებებით თავადის გულში დამკვიდრებული სიმშვიდე იმდენად დიდი იყო, რომ ახლა მხოლოდ გაიღიმა იმაზე, რაც სხვა დროს შეიძლება უპატივებელ თავხედობად მიეჩნია. ობსერვატორიის კოშკის ერთ-ერთი სარკმელი გამოაღო. გარემომცველი პეიზაჟი მთელ თავის მშვენიერებას ავლენდა. მზის ძალუმი საფუარის გავლენით ყველა საგანი წონადობას მოკლებული ჩანდა: შორეული ზღვა ხალასი ფერის ლაქა იყო, ღამით საშიშრად მომზირალი და ხიფათით სავსე მთები ახლა ჰაერში გასაბნევედ გამზადებულ ორთქლის გროვებს ჰგავდა. თვით ამრეზილი პალერმოც დანყნარებული გაშლილიყო თავისი მონასტრების გარშემო, როგორც მწყემსთა ფერხთით განოლილი ფარა. ზღვის უბემი

ლუზარაშვილები უცხოური ხომალდები, რომლებიც აქ შფო-
თის მოლოდინში გამოაგზავნეს, ვერ ახერხებდნენ შიშის
გრძნობის ჩანერგვას ამ გაშტერებულ სიჩუმეში. მზე, რომე-
ლიც 13 მაისის ამ დილას საკმაოდ შორს იყო თავისი უმაღლე-
სი მწვერვალისაგან, სიცილიის ნამდვილ მეუფედ მოჩანდა:
ურცხვი და მოძალადე მზე, მზე ნარკოტიკი, რომელიც დამ-
ბლას სცემდა ყოველ ცალკეულ ნებას და ყველაფერი მონურ
უძრაობაში ეჭირა, სასტიკ ოცნებებსა და ოცნებათა უნებუ-
რობის მონანილე სისასტიკეში არწევდა.

– რამდენიმე ვიტორიო ემანუელე მაინც დაგვჭირდება, ამ
ჯადოსნური სასმელის შესაცვლელად, ყოველ წელს რომ
გვისხამს ბუნება.

პადრე პირონე უკვე ამდგარიყო, სარტყელი გაესნორებინა
და განვდილი ხელით გამოეშურა თავადისაკენ.

– თქვენო ბრწყინვალეზავ, ზედმეტად უხეში ვიყავი წელან.
შემინარჩუნეთ თქვენი კეთილგანწყობა, მაგრამ მეც უნდა გა-
მიგოთ: მოინანიეთ.

ყინული გალღვა და თავადმაც შეძლო პადრე პირონესათ-
ვის გაეზიარებინა საკუთარი პოლიტიკური მიგნებები. მაგრამ
იეზუიტი ძალიან შორს იყო ამგვარი უდარდულობის გაზიარე-
ბისაგან, უფრო მეტიც, კვლავ გესლიანი გახდა.

– მოკლედ რომ ვთქვათ, თქვენ, სინიორები, გაურიგდებით
ლიბერალებს. ლიბერალებს–მეთქი, ვამბობ! სწორედ რომ მა-
სონებს გაურიგდებით ჩვენს ხარჯზე, ეკლესიის ხარჯზე. ეს
ხომ ცხადია, რომ ქონებას, რომელიც ღარიბებს ეკუთვნის, მო-
იტაცებენ და ერთმანეთში ბოროტად გაიყოფენ ყველაზე უნა-
მუსო ბუნტისთავეები. ამის მერე ვილა გააძღებს უბედურთა სიმ-
რავლეს, რომელსაც დღემდე არჩენდა და მართავდა ეკლესია?
თავადი დუმდა.

– როგორღა მოხერხდება სასონარკვეთილი ბრბოების
დანყნარება? ამას ახლავე გეტყვით, თქვენო ბრწყინვალეზავ.
მათ ხახაში ჯერ ერთ ნაწილს გადაისვრიან, შემდეგ მეორეს,
ბოლოს კი იმ მცირედს, რაც თქვენი მიწებიდან დარჩება. ასე
ალასრულებს ღმერთი თავის სამართალს, თუნდაც მასონთა
ხელით. უფალი ხორციელ ბრმებს კურნავდა. სულიერ ბრმებს
კი რა ბედი ეწევა?

განრისხებული პადრე მძიმედ სუნთქავდა: საეკლესიო სიმ-

დიდრეთა სავარაუდო გაბნევის ტკივილი უერთდებოდა დანაშაულისა თუ შიშის გრძნობას იმის გამო, რომ კვლავ შეიძლებოდა ეწყენინებინა თავადისათვის, რომელიც გულით უყვარდა და რომლის მიმართ არა მარტო მძაფრი ბოღმა განუცდია, არამედ განურჩეველი კეთილმოსურნეობაც. ამიტომაც გარინდებული იჯდა და უთვალთვალებდა დონ ფაბრიციოს, ჯაგრისით ტელესკოპის მოწყობილობას რომ წმენდდა და თითქოსდა სრულიად ჩაძირული იყო ამ თავის საგულდაგულო საქმიანობაში. მერე ფეხზე წამოდგა, დიდი ხნის განმავლობაში ჩვრით ინმენდდა ხელებს: სახეზე არანაირი გამომეტყველება არ ჰქონია და მის ნათელ თვალებს, თითქოსდა მხოლოდ ფრჩხილის ძირში თავშეფარებული ცხიმის ლაქა ადარდებდა. ქვემოთ, ვილის გარშემო კაშკაშა სიჩუმე ღრმა იყო და მართლაც რომ მეფური. ნარინჯის ნარგავეებს მიღმა მეზალის ძაღლთან ბენდიკოს შორეული ჩხუბი და მოახლოებული სადილის წინ ქვემოთ, სამზარეულოში ხის ფიცარზე დადებულ ხორცის ნაჭერზე მზარეულის დანის ყრუ დარტყმები დუმილს უფრო ადასტურებდა, ვიდრე არღვევდა. მზის ნათელმა შთანთქა ადამიანების შფოთვა და მიწის სატანჯველი. დონ ფაბრიციო მაგიდას მიუახლოვდა, დაჯდა და დაიწყო ბურბონთა ლერბზე გამოსახული შრომანების ხატვა ქალაქდზე იეზუიტის მიერ ბოღმის შემოტევისას დაგდებული კარგად ნათლილი ფანქრით. იერი სერიოზული ჰქონდა, მაგრამ იმდენად მშვიდი, რომ პადრე პირონეს იმწამსვე ყოველი დარდი გაუქრა.

– ბრმები არა ვართ, მამაო, კაცნი ვართ მხოლოდ. ჩვენ მოძრავ სინამდვილეში ვცხოვრობთ და ისევე ვცდილობთ შევეჩვიოთ მას; როგორც წყალმცენარეები მიჰყვებიან ხოლმე ტალღის მოწოლას. წმიდა ეკლესიას ცხადად აღუთქვეს უკვდავება. ჩვენ კი, რამდენადაც საზოგადოებრივი კლასი ვართ, – არა. ჩვენთვის ნებისმიერი პალიატივი, რომლის მოქმედება ასიოდე წელი მაინც გაგრძელდება, მარადისობის ტოლფასია. შეიძლება ჩვენს შვილებზე ვიზრუნოთ, ან შვილიშვილებზე, მაგრამ იმას მიღმა, რისი ალერსიც ამ ხელებით შეგვიძლია, არანაირი ვალდებულება არ გვაკისრია. და მეც არ შემიძლია ვიზრუნო იმაზე, თუ რანი იქნებიან ჩემი შესაძლო შთამომავლები 1960 წელს. ეკლესია, რა თქმა უნდა, ამაზე უნდა ზრუნავდეს, რადგანაც მისი ხვედრი უკვდავებაა. თვით მის სასო-

წარკვეთილებაში ნუგეში იმალება. და თქვენ გჯერათ, რომ თუ საკუთარი თავის გადასარჩენად ახლა ან მომავალში ჩვენი განირვა დასჭირდეს, ამას არ იზამს? უეჭველად იზამს და კარგსაც იზამს.

პადრე პირონე კმაყოფილი იყო, რომ თავადს არ აწყენინა, ამიტომ თვითონაც ჩაიკლა წყენა. ეს გამოთქმა – „სასონარკვეთილება“ – სრულიად მიუღებელი იყო ეკლესიასთან მიმართებაში, მაგრამ საალსარებოში დაგროვილმა დიდმა გამოცდილებამ უკვე მიაჩვია იგი დონ ფაბრიციოს ფხიზელი გუნება-განწყობილების დაფასებას. ოღონდაც გამარჯვების საშუალება არ უნდა მიეცა თანამოსაუბრისათვის:

– ორი ცოდვა გექნებათ შაბათს მოსანანიებელი, თქვენო ბრწყინვალეობავ: ერთი ხორციელი გუშინ და ერთი სულიერი დღეს. არ დაგავინყდეთ.

ორივენი დანყნარდნენ და არჩეტრის ობსერვატორიაში მალე გასაგზავნი ანგარიშის შესახებ მსჯელობას მოჰყვნენ. რიცხვებით მართული და თითქოსდა განპირობებული, იმ საათებში უხილავი, მაგრამ მაინც ძველ ადგილზე მყოფი ვარსკვლავები მათი ზუსტი ტრანეჰტორიების გასწვრივ იკვლევდნენ გზას ეთერში. პაემანის ერთგული კომეტები ჩვეულნი იყვნენ ერთ ნამამდე სიზუსტით გამოცხადებულიყვნენ დამკვირვებლის წინაშე. ისინი სულაც არ მოასწავებდნენ უბედურებას, როგორც ეს სტელას სჯეროდა: პირიქით, მათი წინასწარ განსაზღვრული გამოჩენა ზეიმი იყო ადამიანური გონებისა, რომელიც საკუთარ თავს უფარდებდა ქვეყნიერებას და ასე იღებდა მონაწილეობას მის დიად საყოველთაო წესრიგში.

– ვაცალოთ, რომ აქ, ქვემო სოფელში ბენდიკოებმა მისდინონ თავიანთ საკბილოს, მზარეულის დანამ კი განწვალოს უდანაშაულო პირუტყვთა ხორცი. ამ ობსერვატორიის სიმალლიდან ერთის სიბრიყვე და მეორის სისასტიკე ერთმანეთს მშვიდად და ჰარმონიულად ერწყმის. ერთადერთი ჭეშმარიტი პრობლემა ისაა, რომ მოახერხო და მაინც იცოცხლო სულის უმაღლესი აბსტრაქციის წუთებში, რომლებიც ყველაზე მეტად ჰგავს სიკვდილს.

ასე ფიქრობდა თავადი და ავინყდებოდა თავისი ყოველდღიური ეჭვები და გუშინდელი ხორციელი ახირებები. ალბათ აბსტრაქციის სწორედ ეს მომენტები მიუტყეებს ჭეშმარიტად,

ანუ კვლავ აერთიანებს ქვეყნიერებასთან, და არა პადრე პირონეს მისატყევებელი ფორმულა. იმ დილას ნახევარი საათით კვლავ დუმილი ებრძანა პლაფონის ღმერთებსა და შპალიერის მანჭია მაიმუნებს. მაგრამ სალონში არავინ მისულა.

* * *

როდესაც სადილის ზარი გაისმა, ორივე უკვე დამშვიდებული იყო როგორც ახალი პოლიტიკური ხლართების გაგებით, ასევე თვით ამ გაგების დაძლევით, რამაც მთელ ვილას უჩვეულო სილბოს განწყობა მოჰფინა. სადილი დღის განმავლობაში უმთავრესი მოვლენა იყო და, მადლობა ღმერთს, მშვიდობიანად ჩაიარა. თუნდაც ის რად ღირდა, რომ თავადის ოცი წლის ქალიშვილის, კაროლინას სახეს შემოგრაგნილი კულულებიდან ერთ-ერთის ბოლო, როგორც ეტყობა, სარჭით ცუდად დამაგრებული, გაიშალა და თეფშში აღმოჩნდა. ამ შემთხვევამ, რომელიც სხვა დროს სანყენიც შეიძლებოდა ყოფილიყო, ახლა მხოლოდ მხიარულება შემატა სადილს. და როცა კაროლინას ერთ-ერთი ძმა მოუჯდა გვერდით და ოლარის მსგავსად ყელზე შემოიხვია დის კულული თვით დონ ფაბრიციომაც კი ინება გალიმება. ტანკრედის გამგზავრების, მისი საბოლოო დანიშნულებისა და მიზნების ამბავი უკვე ყველამ იცოდა და ყველა ამბზე ლაპარაკობდა, პაოლოს გარდა, რომელიც მდუმარედ ჭამდა. ამით არავინ ჩანდა დამწუხრებული, მხოლოდ თავადი მალავდა თავის მსუბუქ დარდს გულის სიღრმეში და მხოლოდ კონჩეტას ლამაზ შუბლს ეტყობოდა მცირედი ჩრდილი.

„ამ გოგოს რალაც უფაჩუნებს გულში ამ ბიჭის გამო. კაიწყვილი გამოვიდოდა, მაგრამ, მეშინია, რომ ტანკრედი უფრო მალლა უმიზნებს, ესე იგი უფრო დაბლა“.

დღეს, რადგანაც პოლიტიკურმა სიმშვიდემ მისი ჩვეული ბურუსი განაქარვა, ზედაპირზე კვლავ გამოჩნდა დონ ფაბრიციოს არსებითი სიკეთე. ქალიშვილის დასაწყნარებლად იმის ახსნა დაიწყო, თუ რაოდენ ნაკლებად ეფექტურია სამეფო ჯარის შეიარაღება: ილაპარაკა იმ უშველებელი თოფების გლუვ ლულებსა და მათგან გასროლილი ტყვიების მცირე შელწევადობაზე. ამ საუბრის საზრისი ცოტა ვინმემ თუ გაიგო, ტექნიკურმა განმარტებებმა ვერავინ დაარწმუნა, მაგრამ ყველა

ანუგეშა, რადგანაც მათი წყალობით ომი, რომელიც თავისი არსებით კონკრეტული და ბინძური ქაოსია, დაპირისპირებული ძალების წმინდა და აბსტრაქტულ დიაგრამად იქცა.

სადილის ბოლოს რომით შეზავებული ჟელე ჩამოატარეს. ეს დონ ფაბრიციოს საყვარელი ტკბილეული იყო და მიღებული აღერსისათვის მადლიერმა დიდმა ქალბატონმა დილიდანვე საგანგებოდ შეუქვეთა ის. გარეგნულად მრისხანედ გამოიყურებოდა, რადგანაც მიწაყრილებსა და ბასტიონებზე აღმართულ ასასვლელად შეუძლებელ მოლიპულკედლებიან საბრძოლო გოდოლს ჰგავდა, რომელსაც ალუბლებისა და ბუსტულების წითელი და მწვანე გარნიზონები იცავდნენ, მაგრამ სინამდვილეში გამჭვირვალე და მთრთოლვარე იყო და კოვზიც გასაკვირველი სიადვილით ეფლობოდა შიგ. და როცა ებანოზის ციხესიმაგრემ თექვსმეტი წლის ფრანჩესკო-პალომდე მიაღწია, რომელსაც უკანასკნელს მიაერთეს ეს ნუგბარი, მისი კედლები უკვე საგრძნობლად იყო მონგრეული და გაცამტვერებული. რომის არომატისა და გოდოლის გარნიზონის უნახესი გემოთი გალალებული თავადი ტკბებოდა, როცა ხედავდა, მადათა მოზღვავებით როგორ ნადგურდებოდა პირქუში კლდე. მისი სასმისი სანახევროდ სავსე აღმოჩნდა მარსალათი. თავადმა ასწია იგი, ირგვლივ სუფრას შემომსხდარ ოჯახს გადახედა, ოდნავ უფრო ხანგრძლივად შეაჩერა მზერა კონჩეტას ცისფერ თვალებზე და წარმოთქვა: „ტიანკრედის გამგზავრებისა იყოს“. ერთ ყლუპად შესვა ღვინო. ასოები . . , თავდაპირველად ასე მკვეთრად რომ კრთებოდა სავსე ჭიქის ოქროსფერ ფონზე, მეტად აღარ გამოჩენილა.

* * *

სამმართველო ოთახებში, სადაც დონ ფაბრიციო კვლავ ჩავიდა სადილის შემდეგ, შუქი უკვე აღმაცერად შედიოდა და ჩრდილში დარჩენილი ფეოდების გამომსახველი სურათებიდან უკვე არანაირი საყვედური არ აღწევდა.

– გვაკურთხე, ბატონო, – ამოიღულღულეს პასტორელომ და ლო ნიგრომ, ორმა მეიჯარემ, რომელთაც „კარნაჯო“ მოეტიანათ, ანუ გადასახადის ის ნაწილი, რომელსაც ნატურით იხდიდნენ ხოლმე. სარგადაყლაპულები იდგნენ, სუფთად გაპარსულ და მზით გადამწვარ სახეებზე გაკვირვებული თვალები

გამეშებოდათ. ნახირის სურნელს ავრცელებდნენ. თავადი გულითადად გაესაუბრა თავის ძლიერ სტილიზებულ დიალექტზე, ოჯახის ამბები გამოჰკითხა, საქონლისა და მომავალი მოსავლის მდგომარეობით დაინტერესდა. მერე იკითხა:

– რალაც მოიტანეთ?

და სანამ ორნი პასუხობდნენ, რომ მართლაც მოეტანათ რალაც და მეზობელ ოთახში დაეტოვებინათ, თავადმა ოდნავ დაიმორცხვა, რადგან შეამჩნია, რომ ეს საუბარი მეფე ფერდინანდის აუდიენციების გამეორება იყო.

– ხუთიოდე წუთი მოითმინეთ და ფერარა ქვითრებს გადმოგცემთ, – ხელშიც თითოეულს ორიოდე ოქროს დუკატი ჩაუდო, რაც, ალბათ, ფასით მათ მიერ მოტანილ სანოვაგეს აღემატებოდა. – ჩვენი სადღეგრძელო დალიეთ.

მერე „კარნაჯოს“ სანახავად გავიდა. იქ იატაკზე პრიმოსალეს ყველის ოთხი თავი იდო, თითოეული ათ კილოს მაინც იწონიდა. უგულოდ გადახედა, რადგან ამ ყველს ვერ იტანდა. აქვე ექვსი დაკლული ბატკანიც ეგდო, – ნელინადის ბოლო საჩუქარი, – თავები პათეტიკურად გადაეკიდათ ფართო ჭრილობაზე, საიდანაც მცირე ხნის წინ მათი სიცოცხლე გაიპარა. მათთვის მუცლებიც გამოეფატრათ და ცისარტყელას ფერებით მოელვარე ნაწლავები გარეთ იყო გამოფენილი.

– უფალმა მიიღოს მისი სული, – გაიფიქრა თავადმა, რომელსაც ერთი თვის წინ ნაპოვნი გამოშიგნული ჯარისკაცი გაახსენდა. მოუსვენარი ბენდიკოს დრუნჩის ქვეშ თავქვე ჩამოკიდებული ოთხი წყვილი შეშინებული ვარია ფართხალებდა.

– აი, ამაო შიშის კიდევ ერთი მაგალითი, – ფიქრობდა თავადი. – ძალღი მათთვის არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენს. ერთ ძვალსაც არ შეხრავს. იმიტომ, რომ კუჭს ატკენს.

და მაინც, სისხლისა და შიშის სანახაობამ ზიზილი მოჰგვარა.

– შენ, პასტორელო, ქათმები საქათმეში წაიღე, ახლა საკუჭნაოში არ გვჭირდება. სხვა დროს ბატკნები პირდაპირ სამზარეულოში მიიტანეთ, აქ ყველაფერი ისვრება. შენ კი, ლონიგრო, წადი და საღვატორეს უთხარი, აქ ყველაფერი განმინდოს და ყველი შეინახოს. სარკმელიც გამოაღეთ, სუნი გამოვიდეს.

ამის შემდეგ ფერარა შემოვიდა ქვითრებით.

მალლა ასულ დონ ფაბრიციოს პაოლო დახვდა, მისი პირმშო და კვერჩხეტას ჰერცოგი, რომელიც კაბინეტში ელოდებოდა სწორედ იმ წითელი დივანის მახლობლად, სადაც თავადს სადილის შემდეგ დასვენება სჩვეოდა. ყმანვილს მთელი თავისი გამბედაობა მოეკრიბა და მამასთან საუბარი სურდა. დაბალი, გამხდარი და ჩაყვითლებული, თავადზე უფრო ხნიერი ჩანდა.

– იმის კითხვა მინდოდა, მამა, როგორ უნდა მოვეპყრათ ტანკრედის, როცა კვლავ ვიხილავთ?

მამა მაშინვე მიუხვდა და გაღიზიანება დაეტყო.

– რას გულისხმობ, რა შეიცვალა?

– კი მაგრამ, მამა, შენ ნამდვილად არ შეგიძლია მას კვერი დაუკრა. ის ხომ იმ არამზადებს შეეკრა, სიცილიაში რომ საქმეს ურევენ. ამის ქმნა როგორ შეიძლება.

პირადი ჯიბრი, ღვთისმოსავის ბოღმა თავისუფალი და ლალი მამიდაშვილის წინააღმდეგ, ჩლუნგის გაბრაზება გონებამახვილის გამო პოლიტიკური ხასიათის არგუმენტაციას ამოეფარა უკან. დონ ფაბრიციო იმდენად შეურაცხყოფილი იყო, რომ დაჯდომაც არ შესთავაზა შეილს.

– სისულელეების ჩადენა სჯობს მთელი დღე ცხენის ჩონჩორიკში ქექვას! ტანკრედი ისევე მიყვარს, როგორც ადრე. და კიდევ, ეს სულაც არ არის სისულელე. თუ შენ ოდესმე შეგეძლება შეუკვეთო სავიზიტო ბარათები წარწერით „კვერჩხეტას ჰერცოგი“, და თუ ჩემს შემდეგ მემკვიდრეობით ორიოდ გროში გერგება, ამას ტანკრედისა და მისნაირებს უნდა უმადლოდე. ნადი, ნადი, ამაზე ლაპარაკის ნებას არ გაძლევ! აქ მე ვარ უფროსი.

მერე მოლბა და მრისხანება ირონიით შეცვალა:

– ნადი, შვილო, პოლიტიკაზე გვისკარდოს ესაუბრე. ერთმანეთს კარგად გაუგებთ.

და სანამ გაფითრებული პაოლო გამოსვლისას კარს კეტავდა, დონ ფაბრიციომ რედინგოტი და ჩექმები გაიხადა, მერე კი საკუთარი სიმძიმის ქვეშ ააკვნესა დივანი და მშვიდად დაიძინა.

გალვიძებულს მსახურმა სინზე დადებული გაზეთი და ბარათი შეუტანა. ცოლისძმას, მალვიკას გამოეტანებინა ცხენიანი შიკრიკისათვის. ჯერაც ოდნავ გაბრუებულმა თავადმა წე-

რილი გახსნა: „ჩემო ფაბრიციო, ახლა გწერ და უკიდურესი სასონარკვეთილების მდგომარეობაში ვარ ჩავარდნილი. ნაიკითხე ამ გაზეთში გამოქვეყნებული საშინელი ცნობები. პიემონტელები ჩამოსხდნენ. ყველანი დავიღუპეთ. ამ საღამოსვე მე და ჩემი ოჯახი ინგლისურ გემს შევაფარებთ თავს. შენც, უეჭველად, ამასვე იზამ. თუ გსურს, შენთვისაც შემოვინახავ რამდენიმე ადგილს. უფალმა იხსნას ჩვენი საყვარელი მეფე-გეხვევი. შენი ჩიჩო“.

წერილი დაკეცა, ჯიბეში ჩაიდო და უეცრად ახარხარდა. ოჰ, ეს მალვიკა! ყოველთვის ასეთი ლაყე იყო. ვერაფერს მიმხვდარიყო და ახლა კანკალებდა. სასახლეც მსახურთა ნებაზე მიატოვა: ახლა მართლაც რომ დაუცარიელებენ! „ჰო, მართლა, ჯობს, პაოლო პალერმოში გაემგზავროს. ახლა მიტოვებული სახლები დაკარგულია. ვახშმისას ვეჭყვი“.

გაზეთი გადაშალა. „თავხედური ყაჩაღობის აქტს ჰქონდა ადგილი 11 მაისს მარსალას ნაპირზე შეიარაღებული ხალხის გადმოსხდომის წყალობით. შემდგომმა უწყებებმა ცხადყო, რომ გადმომსხდარი ბანდის სიმრავლე რვაასამდე აღწევდა, მისი მეთაური კი გარიბალდია. როგორც კი ამ აბრაგებმა ხმელეთზე იგულეს თავი, ყველა ზომა მიიღეს, რათა სამეფო ლაშქარს არ გადაჰყოფდნენ სადმე, და რამდენადაც ჩვენთვის გახდა ცნობილი, კასტიელველტრანოს მხარეს გაეშურნენ. გზად უბედურება მოჰქონდათ მშვიდობიანი მოქალაქეებისათვის და მათ წინააღმდეგ ყაჩაღობასა და ძარცვასაც არ ერიდებოდნენ...“

გარიბალდის სახელის ხსენებამ ოდნავ შეაკრთო თავადი. ეს სულ მთლად თმა-წვერში ჩაფლული თავხეხულალებული ბიჭი მაძინის ერთგული მიმდევარი იყო. ამას შეიძლება უსიამოვნება მოჰყოლოდა. „მაგრამ თუ კეთილშობილმა ბატონმა აქამდე მოიყვანა, ეს იმას ნიშნავს, რომ მისი იმედიც აქვს. მალე აღვირსაც ამოსდებენ“.

თავი დაიმშვიდა, თმა დაივარცხნა და კვლავ ჩაიცვა ჩექმებიცა და რედინგოტიც. გაზეთი უჯრაში შეაგდო. თითქმის როზარიუმის დრომ მოაღწია, მაგრამ სალონი ჯერ კიდევ ცარიელი იყო. დივანზე ჩამოჯდა და სანამ ელოდებოდა, აღმოაჩინა, რომ ჭერზე გამოსახული ვულკანი ძალიან ჰგავდა ტურინში ნანახ გარიბალდის ლითოგრაფიებს. გაიღიმა. „ეგ რქიანი ეგა“.

ოჯახი თავს იყრიდა სალონში. კაბების აბრეშუმს შრიალი გაჰქონდა. ახალგაზრდები ჯერ კიდევ ეხუმრებოდნენ ერთმანეთს. კარს მიღმა შემოსვლისა და ლოცვაში მონაწილეობის მიღების მოსურნე ბენდიკოსა და მსახურთა შორის ჩვეული კამათი მოისმოდა. მოფარფატე მტვრით სავსე მზის სხივმა გაანათა კეკლუცი მაიმუნები.

თავადმა დაიჩოქა: „Salve, Regina, Mater misericordiae...“¹⁴

¹⁴ გიხაროდენ დედოფალო, დედავ გულმონყალებისა (ლათ.).

II აგვისტო 1860

მგზავრობა დონაფუგატაში და შესვენება – მგზავრობის სამზადისი და გარემოებები – დონაფუგატაში ჩამოსვლა – ეკლესიაში – დონ ონოფრიო როტოლო – საუბარი სააბაზანოში – ამფიტრიტეს შადრევანი – სიურპრიზი სადილამდე – სადილი და სხვადასხვა შეგრძნებები – დონ ფაბრიციო და ვარსკვლავები – ვიიტი მონასტერში – ის, რაც ფანჯრიდან არ ჩანს

– ხეები! შეხედეთ, ხეები!

პირველი ეტილიდან გამოსულმა ხმამ აღმა გადაუქროლა თეთრი მტვრის ღრუბელში გახვეული დანარჩენი ოთხი თითქმის უხილავი ეტილის რიგს, და მათ სარკმლებში გამოჩენილ ოფლიან სახეებზე დაღლილი კმაყოფილების გამომეტყველება გაჩნდა.

ხე, მართალი რომ ითქვას, სულ სამად სამი იყო და სამივე ეკვალიპტი, ანუ დედაბუნების შვილთაგან ყველაზე უბადრუკი ქმნილება. მაგრამ ეს ხეები პირველნი გამოჩნდნენ გზაზე დილის ექვსი საათის შემდეგ, როცა სალინას ოჯახმა ბიზაკვინო მოიტოვა უკან. ახლა უკვე თერთმეტი შესრულდა და მთელი ხუთი საათის განმავლობაში სარკმლიდან მხოლოდ მზის ქვეშ ყვითლად მოელვარე მალღობების ზარმაცი ზურგები თუ ჩანდა. იშვიათ ვაკეებზე ჩორთის ხანმოკლე მონაკვეთებს გრძელ აღმართებზე ნელი და გაჭირვებული, ხოლო დაღმართებზე კი ფრთხილი ნაბიჯი ცვლიდა. ჩორთსაც და ნაბიჯსაც ერთნაირად ახლდა ეუვნების გაუთავებელი ჟღარუნი, რომელიც უკვე გავარვარებული სივრცის ხმოვან გამოვლენად თუ აღიქმებოდა. ბაცი ცისფერი და გარინდებული სოფლები გადაჭრეს; გამომშრალი ხეობების თავზე დაკიდებული უცნაურად მედიდური ხიდები გადაიარეს; ციცაბო უფსკრულების კიდევებს მიუყვებოდნენ, რომელთა სასონარკვეთილებას ვერც იელისა და ვერც სორგოს ბუჩქები ვერ ანუგეშებდა. არც ერთი ხე, არც ერთი ნვეთი ნყალი: მხოლოდ მზე და მტვრის კორიანტელი. ამ მზისა და მტვრის გამო დაგმანული ეტილების შიგნით ტემპერატურამ ორმოცდაათ გრადუსამდე მაინც აინია. გათეთრებული ცის ქვეშ ერთმანეთს მიხუტებული ის

მწყურვალე ხეები კი ნამდვილად მრავალ რამეს მოასწავებდა: მოგზაურობის საბოლოო მიზნამდე დარჩენილ სულ რაღაც ორიოდ საათს; სალინას საგვარეულო მიწების დასაწყისს; წახემსებისა და, ალბათ, ჭის დაჭაობებული წყლით პირის დაბანის შესაძლებლობასაც.

ათიოდე წუთში მიაღწიეს რამპინცერის ფერმას. ეს უშველებელი შენობა წელიწადში ერთი თვე მხოლოდ მოჯამაგირეებით, ჯორებითა და მოსავლის ასაღებად აუცილებელი სხვა სულიერით იყო ხოლმე დასახლებული. მაგარ, მაგრამ ჩამოშლილ ჭიშკარზე ქვის ლეოპარდი ცეკვავდა, თუმცა ვიღაცის ნასროლმა ქვამ უკვე დაუმსხვრია ფეხები. შენობის ახლო უკვე ნახსენები ევკალიპტებით გარშემორტყმული ღრმა ჭა ყველას სთავაზობდა, რაც კი შეეძლო: აუზიც იყო და სარწყულიც, საპყრობილევაც და სასაფლაოც. წყურვილს კლავდა, ტიფს ავრცელებდა, პატიმარ ქრისტიანებს დარაჯობდა, ცხოველებისა და ადამიანების ლეშს მალავდა, სანამ გაპრიალებულ უსახელო ჩონჩხებად არ აქცევდა.

სალინას მთელი ოჯახი ჩამოვიდა ეტლებიდან. თავადი თავის სანუკვარ დონაფუგატაში ჩასვლის მოახლოებით იყო გამხიარულებული, კარგა ხნის გაღიზიანებულსა და გაშტერებულ დიდ ქალბატონს კი ქმრის მხიარულება ამშვიდებდა; ქალიშვილები დაღლილიყვნენ; სიცხეს დაუმორჩილებელ ვაჟებს სიახლე აღელვებდა; მადმუაზელ დომბრეი, ფრანგი გუვერნანტი, სულ მთლად ქანცგანყვეტილი ჩანდა, და რადგანაც მის მეხსიერებას ალჟირში, მარშალ ბიუგოს ოჯახში გატარებული წლები შერჩენოდა, გამუდმებით კვნესოდა: „Mon Dieu, mon Dieu, c'est pire qu'en Afrique!“, ¹⁵ თანაც წამდაუნუმ იმპრალეზა პაჭუა ცხვირს; პადრე პირონე, რომელსაც ლოცვანის დანყებულმა კითხვამ ძილი მოჰგვარა და ამგვარად გზაც შეუმოკლა, ყველაზე უფრო მხნედ გამოიყურებოდა; ორ მოახლესა და ორ მსახურს, ქალაქის მკვიდრთ, სოფლის უჩვეულო გარემომ ნირი წაუხდინა; ბოლო ეტლიდან გამოვარდნილი ბენდიკო კი მზის ნათელში მცირე სიმაღლეზე მოტრიალე ყვავების შავბნელ ჩრდილებს დაჰყეფდა მრისხანედ.

ყველანი წარბებამდე, პირამდე ან კუდამდე გაეთეთრებინა

¹⁵ ლმერთო ჩემო, ლმერთო ჩემო, ნამდვილი აფრიკული ხვატია! (ფრანგ.).

მტვერს. ადგილამდე მოსული ადამიანები ერთმანეთს ფერთხავდნენ და მათ ირგვლივ მოთეთრო ღრუბლები ირეოდა.

მით უფრო ბრწყინავდა საერთო ჭუჭყში ტანკრედის პენი და ელეგანტურობა. მან ცხენით იმგზავრა და ფერმაში ნახევარი საათით ადრე მისულმა დრო გამონახა ტანსაცმლის გასაფერთხად და თეთრი ჰალსტუხის გამოსაცვლელად. როცა ჭიდან წყალი ამოიღო, სათლში ჩაიხედა, როგორც სარკეში, და თავი მოწესრიგებულად მიიჩნია. შავი სახვევი უკვე კი არ მკურნალობდა, მხოლოდ ახსენებდა მარჯვენა თვალთან პალერმოსათვის ბრძოლებში მიღებულ ჭრილობას; მეორე ლურჯ თვალს კი თითქოსდა მისი დროებით დაბნელებული მენყვილის მომხიბვლელობაც ეტვირთა საკუთარ თავზე. ჰალსტუხს ზემოდან დადებული ალისფერი ქსოვილის ზოლიც მოკრძალებულად მიანიშნებდა მებრძოლის ნითელ პერანგზე. დიდ ქალბატონს ეტლიდან ჩამოსვლაში მიეხმარა, სახელოთი გადამინდა მტვერი ბიძის ცილინდრზე, ბიძაშვილ გოგონებს კარამელები გაუნანა, ვაჟებს კი – რამდენიმე გესლიანი ხუმრობა, თითქმის დაუჩოქა იეზუიტს, ბენდიკოს ვნებიან ალერსს უპასუხა, მადმუაზელ დომბრეი ანუგეშა, ყველა მასხრად აიგდო, ყველა მონუსხა.

მეეტლები დარწყულებამდე სადავით ნელ-ნელა ატარებდნენ ცხენებს გასაგრილებლად, მსახურები ლენვის შემდეგ შემორჩენილ ნამჯაზე სუფრებს შლიდნენ შენობის ოთხკუთხა ჩრდილში. მარჩენალი ჭის მახლობლად საუზმე გაიმართა. ირგვლივ პირქუში მიდამო ლივლივებდა, ხმელი ღეროებით გაყვითლებული, დამწვარი ნამჯის ნარჩენებით ჩაშავებული. ცას ჭრიჭინების ჩივილი ავსებდა. ეს სიცხით დამხრჩვალნი და აგვისტოს მინურულში წვიმის ამაოდ მომლოდინე სიცილიის ხროტინი იყო.

* * *

ერთ საათში ყველანი კვლავ გზას ადგნენ. თუმცა დაღლილი ცხენები კიდევ უფრო ნელა მიაბიჯებდნენ, გზის ბოლო მონაკვეთი სხვაზე უფრო მოკლედ მოეჩვენათ. უკვე ნაცნობი პეიზაჟის პირქუში გამომეტყველება ოდნავ შერბილდა. მგზავრები ცნობდნენ ახლობელ ადგილებს, სადაც კი გასულ წლებში უსეირნიათ, ან საგზალი მიურთმევიათ: დრაგონარას

ხეობა, მიზილბეზის გზაჯვარედინი, ცოტა ხანში კიდევ მადონა დელა გრაციას ეკლესიამდე მიაღწევდნენ, რომელიც დონაფუგატადან ყველაზე შორეული ფეხოსანი ლაშქრობების ბოლო ზღვარი იყო. დიდმა ქალბატონმა ჩათვლიმა, ვრცელ კარეტაში მასთან მარტო მყოფი დონ ფაბრიციო ნეტარებდა. არასოდეს არ ყოფილა დონაფუგატაში მგზავრობით ასე კმაყოფილი, როგორც ახლა, 1860 წლის აგვისტოს ბოლოს. არა მხოლოდ იმიტომ, რომ უყვარდა დონაფუგატას სახლი, ადამიანები, ფეოდალური ძალაუფლების შეგრძნება, არამედ იმიტომაც, რომ სხვა დროისაგან განსხვავებით, ამჯერად ობსერვატორიაში გატარებული მშვიდი საღამოებისა და მარიანი-ნასთან შემთხვევითი ვიზიტების არანაირი სინანული არ მიჰყვებოდა უკან. გულახდილად რომ ითქვას, ბოლო სამი თვის განმავლობაში პალერმოში გათამაშებულმა წარმოდგენამ, ცოტა არ იყოს, გული აურია. სურდა, ერთადერთი ყოფილიყო, ვინც სწორად ჩასწვდებოდა ვითარების არსს და მშვიდი სახით შეხვდებოდა ნითელპერანგა „ბუას“, მაგრამ იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ ნათელმხილველობა სალინას სახლის მონოპოლია არ ყოფილა. პალერმოს მთელი მოსახლეობა ბედნიერი იყო: ყველა, ერთი მუჭა რეგვენების გარდა. მალვიკამ, მისმა ცოლისძმამ, დიქტატორის პოლიციას ხელში ჩააგდებინა თავი და ათიოდე დღე გაატარა „ნაობახტში“; მისი ვაჟი პაოლო, ასეთივე უკმაყოფილების მიუხედავად, უფრო კეთილგონიერი იყო, თუმცაღა მაინც გაეხვია ათასგვარ ბავშვურ შეთქმულებაში. დანარჩენები დაჟინებით გამოხატავდნენ სიხარულს, საყელოებზე დამაგრებულ სამფეროვან კოკარდებს დაატარებდნენ წინ და უკან, დილიდან დაღამებამდე დემონსტრაციებს მართავდნენ და, განსაკუთრებით, ლაპარაკით იყვნენ დაკავებულნი, სიტყვებით გამოდიოდნენ, ლაყობდნენ, განცხადებებს აკეთებდნენ. თუ ოკუპაციის პირველ ხანებში მთელს ამ აყალმაყალს რაღაც აზრს მაინც ანიჭებდა საზეიმო მისალმებები, რომლებითაც ქალაქის მთავარ ქუჩებზე გამოჩენილ იშვიათ დაჭრილებს მიმართავდნენ, ან დასმენები საიდუმლო პოლიციის აგენტების, ეგრეთ ნოდებული „ვირთხებისა“, რომელთაც მიყრუებულ ქუჩაბანდებში უსწორდებოდნენ, ახლა, როცა დაჭრილები განიკურნნენ, ხოლო გადარჩენილმა „ვირთხებმა“ ახალ პოლიციაში დაინყეს სამსახური, ამგვარი

საერთო სახალხო ბერიკაობა, თუმცა კი თავადი მის აუცი-
ლებლობას აღიარებდა, მაინც ბრიყვულად და მტკნარად ეჩ-
ვენებოდა. ბოლოს და ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ეს
ყოველივე ცუდი აღზრდის გარეგნული გამოხატულება იყო.
მოვლენების ღრმა საფუძველი, ეკონომიკური და პოლიტიკუ-
რი მმართველობა დამაკმაყოფილებელი იყო, ზუსტად ისეთი,
როგორც წინასწარ ივარაუდა. დონ პიეტრო რუსომ დაპირე-
ბები შეასრულა და სალინას ვილის მახლობლად ერთი გასრო-
ლაც არ გაუგონიათ. და თუ პალერმოულ სასახლეში ჩინური
ფაიფურის დიდი სერვიზი მოიპარეს, ეს მხოლოდ პაოლოს ბე-
დოვლათობის ბრალი იყო, რომელმაც შეფუთული სერვიზი
ორ კალათში ჩააწყობინა და ეს კალათები საარტილერიო და-
ბომბვის დროს ეზოში დატოვა, რაც, როგორც ეტყობა, თვით
შემფუთველებმა მიიღეს როგორც ნამდვილი მიპატიუება მათ
მოსაპარად.

პიემონტელებს (სწორედ ასე უწოდებდა მათ თავადი საკუ-
თარი თავის დასამშვიდებლად, როგორც სხვები გარიბალდე-
ლებს ეძახდნენ განსადიდებლად, ან გარიბალდიანებს – გან-
საქიქებლად), თუმცა თავი არ მოუშიშვლებიათ, როგორც ეს
ადრე იყო წინასწარმეტყველები, მაგრამ მხედრული სალ-
მით კი წარუდგნენ და იდაყვში მოხრილი ხელები თავიანთ
ბურბონთა ოფიცრების თავსაბურავებზე არანაკლებ გაცვე-
თილსა და გახუნებულ წითელ კივერებთან მიიტანეს.

ოც ივნისს სალინას ვილაზე ტანკრედის მიერ ოცდაოთხი
საათით ადრე ნაუწყები შავნაქარგიანი წითელი მუნდირით შე-
მოსილი გენერალი ეახლა. მან და მისმა თანაშემწე ოფიცერმა
თავაზიანად ითხოვეს ნებართვა ჭერის შესანიშნავი მხატვა-
რობის დასათვალიერებლად. თხოვნა დაკმაყოფილებულ იქ-
ნა, რადგანაც წინასწარი გაფრთხილება საკმარისი აღმოჩნდა
იმისათვის, რომ სალონიდან გამოეტანათ ფერდინანდ II-ის სა-
აღლუმო პორტრეტი და მის მაგიერ სრულიად ნეიტრალური
„ბეთსაიდას ემბაზი“ დაეკიდათ, რითაც პოლიტიკურ მოგებას
ესთეტიკურიც უერთდებოდა.

გენერალი ერთი მკვირცხლი ტოსკანელი იყო, ასე, ოცდაა-
თიოდე წლისა, ენაჭარტალა და ოდნავ მკვებხარაც. მიუხედა-
ვად ამისა, კარგად აღზრდილი და სასიამოვნო. თავადს შესა-
ფერი პატივისცემით ეპყრობოდა და „ბრწყინვალეობასაც“

უნოდებდა დიქტატორის ერთ-ერთი პირველი დეკრეტის სრულიად სანინაალმდეგოდ. თანაშემწე ოფიცერი ერთი პირ-ყვითელა ცხრამეტი წლის მილანელი გრაფი იყო, რომელმაც ქალიშვილები პრიალა ჩექმებითა და „რ“ ბგერის რბილი გამოთქმით მოხიბლა.

მათ თან ახლდა ტანკრედი, ბრძოლის ველზე უკვე კაპიტნად დანიშნურებული, ჭრილობით ერთობ დატანჯული. წითლებში გამონყობილი იდგა და თავს ვერ იკავებდა, რომ გამარჯვებულებთან სიახლოვე საქვეყნოდ არ გამოემჟღავნებინა. ეს სიახლოვე ემყარებოდა შენობით მიმართვასა და კიდევ „ჩემს მამაც მეგობრად“ წოდებას, რომელსაც „კონტინენტის მკვიდრნი“ არ იშურებდნენ ბავშვური აღტაცებით და ტანკრედიც ყოველთვის უბრუნებდა გულითად სიტყვებს, მაგრამ ერთგვარი ცხვირისმიერი ბგერით, რაშიც დონ ფაბრიციო შეფარულ ირონიას კითხულობდა. თვითონ თავადმა ისინი თავისი იგავთმიუნვდომელი სიდარბაისლის სიმალლიდან მიიღო, მაგრამ სტუმართაგან იმდენი სიამოვნება და სრული უსაფრთხოების შეგნება შეხვდა, რომ სამი დღის შემდეგ ორი „პიემონტელი“ ვახშამზეც კი მიიპატიჟა. მშვენიერი რამ გამოვიდა: კაროლინა ფორტიპიანოსთან აკომპანემენტს უწევდა მომღერალ გენერალს, რომელმაც სიცლიისადმი პატივისცემის გამოსახატავად გარისკა და „Mi ravviso i luoghi ameni“¹⁶ შეასრულა, ტანკრედი კი ამასობაში ხელით ფურცლავდა ნოტებს, თითქოს ამისთვის საგანგებო ჯოხი არ არსებობდა. პატარა მილანელი გრაფი ამ დროს ტახტზე მოკალათებული ებაასებოდა კონჩეტას და ალეარდო ალეარდის ცხოვრებაზე მოუთხრობდა. კონჩეტაც თავს ისე აჩვენებდა, თითქოს ყურს უგდებდა, სინამდვილეში კი დაღონებული იყო მამიდაშვილის მონყენილი სახის გამო, რომელიც სანთლების შუქზე გაცილებით უფრო გათანგული ჩანდა, ვიდრე სინამდვილეში იყო.

საღამო სრულიად იდილიური გამოდგა და შემდეგშიც მას რამდენიმე მსგავსადვე გულითადი შეხვედრაც მოჰყვა. ერთ-ერთი ასეთი ვახშმისას გენერალს სთხოვეს, ეშუამდგომლა, რათა იეზუიტების გაძევების შესახებ ბრძანება პადრე პირონეზე არ გავრცელებულიყო, თანაც ეს უკანასკნელი წარუდ-

¹⁶ კვლავ გხედავთ, მშობლიური ადგილებო (იტ.) — არია ვინჩენცო ბელინის ოპერიდან „სომნამბულა“.

გინეს როგორც წლებითა და სატკივარებით დამძიმებული. გენერალი უკვე დამეგობრებულიყო პადრე პირონესთან და ისეთი სახე მიიღო, თითქოს მისი გაჭირვებული მდგომარეობა დაიჯერა. ყოველ შემთხვევაში, მიდგა-მოდგა, თავის მეგობარ პოლიტიკოსებს გაესაუბრა და პადრე პირონეც დარჩა. ყოველივე ამან კიდევ უფრო დაარწმუნა დონ ფაბრიციო ნინანდელი ვარაუდების მართებულობაში.

იმ შფოთიან დღეებში გენერალი ძალიან სასარგებლო აღმოჩნდა გადასაადგილებლად აუცილებელი საშვების საშოვნელადაც. დიდი ნაწილი მისი ღვაწლისა იმაში მდგომარეობდა, რომ აგარაკზე გამგზავრება სალინას ოჯახმა ამ რევოლუციურ წელიწადსაც შეძლო. ახალგაზრდა კაპიტანმაც მიიღო ერთი თვის შვებულება და ბიძას გაჰყვა. საშვებს რომ თავი დავანებოთ, გასამგზავრებელი სამზადისი ხანგრძლივი და რთული აღმოჩნდა. საჭირო შეიქნა ქარაგმული მოლაპარაკება ჯირჯენტის ადმინისტრაციის სხვადასხვა „გავლენიანი წევრის“ ნდობით აღჭურვილ პირებთან. მოლაპარაკებებს პიეტრო რუსო აწარმოებდა და ყველაფერი სიცილ-კისკისით, ხელების ტყაპუნითა და ფულის ჩხრიალით დასრულდა. ასევე მიიღეს მეორე და ბევრად უფრო მნიშვნელოვანი საშვი, მაგრამ ამ მეთოდში დიდი სიახლე არ ყოფილა. გარდა ამისა, საჭირო გახდა ბარგის მთებისა და საკვები მარაგის ჩალაგება, მზარეულთა და მსახურთა ნაწილის სამი დღით ადრე გამგზავრება, საჭირო შეიქნა ერთი პატარა ტელესკოპის შეფუთვა და პაოლოსათვის პალერმოში დარჩენის ნებართვის აღება. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლეს გამგზავრება. გენერალი და უმცროსი ლეიტენანტი ყვავილებით ხელში მოვიდნენ, რათა ბედნიერი მგზავრობა ესურვათ. როცა ეტლები ვილა სალინადან დაიძრა, დამშვიდობების ნიშნად დიდი ხნის განმავლობაში ირხეოდა ორი ნითელი სახელო. სარკმლიდან თავადის შავი ცილინდრი გამოჩნდა, მაგრამ მაქმანის თათმანით მოსილი პატარა ხელი, რომლის დანახვის იმედი ჰქონდა პატარა გრაფს, კონჩეტას მუხლზე იდო მშვიდად.

მგზავრობა სამი დღე გაგრძელდა და საშინელი იყო. გზები, სახელგანთქმული სიცილიური გზები, რომელთა მიზეზით თავადმა დი სატრიანომ მმართველის თანამდებობდა დაკარგა, სინამდვილეში მხოლოდ ძლივს შესამჩნევ კვალს წარმო-

ადგენდა, ორმოებით მოფენილსა და მტვრით გავსებულს. პირველი ღამე მარინეოში, ნაცნობი ნოტარიუსის ოჯახში კიდევ ასატანი იყო, მაგრამ მეორე – პრიცის საზიზლარ სასტუმროში ნამდვილად მტანჯველი აღმოჩნდა. თითო ლოგინზე სამ-სამად დაწვენ და სხეულები რალაც გულისამრევე სულიერებს დაუთმეს საჯიჯგნად. მესამე ღამეს ბიზაკვინოში დარჩნენ. აქ ბალღინჯოები არ ყოფილან, სამაგიეროდ, დონ ფაბრიციომ გამაგრილებელი სასმელის ჭიქაში ცამეტი ბუზი დაითვალა. განავლის მძიმე სუნი შემოდოდა ქუჩიდან და იქვე განლაგებული „საჭირო ოთახიდან“, რამაც ცუდი სიზმრები მოგჰვარა თავადს. გარიჟრაჟზე გამოღვიძებულს, ოფლში მცურავსა და სიმყრალით გარემოცულს სხვა რა გზა დარჩენოდა, თუ არა საკუთარ ცხოვრებასთან შეედარებინა ეს მოგზაურობა, რომელიც თავიდან ამწვანებულ ველებს გაუყვავა, მერე ციცაბო ფერდობებზე აფოფხდა, სადაც სამიშ ნაპრალებს არიდებდა თავს, რათა ბოლოს და ბოლოს ერთფეროვან გაუთავებელ და უიმედობასავით უკაცრიელ ბორცვებში დაეკარგულიყო. ადრეული დილის ეს ფანტაზიები ყველაზე უარესი რამ იყო, რაც კი შუახნის მამაკაცს შეიძლებოდა დამართნოდა. და თუმცა დონ ფაბრიციომ იცოდა, რომ დღის ფუს-ფუსში ეს წარმოდგენები გასაქრობად იყო განწირული, მაინც მწვავედ განიცდიდა მათ, რადგანაც საკმარისი გამოცდილება ჰქონდა და იცოდა, რომ ეს ფიქრები სულის ფსკერზე კაემნის ნალექს ტოვებდნენ, დღითიდღე რომ დაგროვდებოდა და, საბოლოოდ, სიკვდილის ჭეშმარიტ მიზეზად უნდა ქცეულიყო.

ამ ურჩხულებმა თუ მაჯლაჯუნებმა მზის ამოსვლისთანავე არაცნობიერში ამოთხრილ სოროებს შეაფარეს თავი. დონაფუგატა უკვე ახლოს იყო თავისი სასახლით, მონკრიალე შადრევნებით, წმინდა წინაპრების მოგონებებით, ბავშვობის დაუსრულებლობის შთაბეჭდილებით, თავისი სიმპათიური, ერთგული და ალალი ადამიანებით. მაგრამ ამჯერად სხვა აზრმა განმსჭვალა გონება: ვინ იცის, ახლო წარსულის მოვლენათა შემდეგ, შეინარჩუნა კი ერთგულება იქაურმა ხალხმა?

– ამასაც ვნახავთ.

ახლა კი მართლაც მიაღწიეს მოგზაურობის მიზანს. ტანკრედის ემმაკური სახე გამოჩნდა სარკმელში.

– ბიძავ და ბიცოლავ, მოემზადეთ. ხუთ წუთში იქა ვართ.

ტანკრედის საკმარისი ტაქტი ჰქონდა, რომ ბიძისთვის არ გაესწრო. ცხენი ნაბიჯზე გადაიყვანა და მოკრძალებულად გვერდში გაჰყვა პირველ ეტლს.

* * *

პატარა ხიდის გადაღმა ჩამოსულებს ხელისუფლების წარმომადგენლები ელოდნენ, რამდენიმე ათეული გლეხით გარშემორტყმულნი. როგორც კი ეტლები ხიდზე ავიდნენ, მუნიციპალურმა ორკესტრმა თავგანწირვით დასცხო „Noi siamo zingarelle“,¹⁷ პირველი უცნაური და გულითადი სალამი, რომელსაც ბოლო რამდენიმე წელია დონაფუგატა უგზავნიდა თავის სენიორს. დედაეკლესიისა და სანტო სპირიტოს მონასტრის ზარებმაც ჰაერი სადღესასწაულო გუგუნით აავსეს – ეტყობა სოფლის რომელიმე ონავარმა ბიჭმა ამცნო თავადის მოახლოება.

„მადლობა ღმერთს, მგონი ყველაფერი ძველებურადაა“, – გაიფიქრა თავადმა ეტლიდან ჩამოსვლისას. იქვე იდგნენ: დონ კალოჯერო სედარა, სოფლის მერი, რომელსაც თავის თანამდებობასავით ახალი სამფერა ლენტე გადაება მხარზე, მონსენიორ ტროტოლინო, დეკანოზი თავისი აღმურიანი სახით, დონ ჩიჩო ჯინესტრა, ნოტარიუსი, რომელიც ეროვნული გვარდიის კაპიტნის ჯინჯილებითა და ბაფთებით დამშვენებულ მუნდირში გამონყობილიყო. აქვე იყო დონ ტოტო ჯამბონო, ექიმი, და პატარა ნუნცია ჯარიტა, რომელმაც დიდ ქალბატონს სასახლის ბაღში ნახევარი საათის წინ დაკრეფილი ყვავილების აბურდული თაიგული მიართვა. დონ ჩიჩო ტუმეოც მოსულიყო, ტაძრის ორგანისტი, რომელსაც, მკაცრად რომ ვიმსჯელოთ, ხელისუფლების წარმომადგენელთა გვერდში ამოსადგომად საკმარისი რანგი არ გააჩნდა, მაგრამ მაინც მოვიდა მეგობრისა და ნადირობის ამხანაგის ხარისხში, თანაც თავადის საამებლად არ დავიწყებია, თან მოეყვანა ტერეზინაც – მურა მეძებარი ძუენა, თვალებს ზემოთ ორი თხილისგულისფერი ლაქით. ამისათვის ორგანისტმა დონ ფაბრიციოს სრულიად განსაკუთრებული ღიმლიც დაიმსახურა. ეს უკანასკნელი საუკეთესო გუნებაზე იყო და ნამდვილად დამშვიდებული. მეუღლითურთ ჩამოვიდა ეტლიდან მადლობის გადა-

¹⁷ ბოშები ვართ ჩვენ (იტ.) — გუნდი ჯუზუპე ვერდის ოპერიდან „ტრავიატა“

სახდელად და ვერდის მუსიკის ჟღერიალსა და ზარების გუგუნში გადაეხვია მერს და ხელი ჩამოართვა დანარჩენებს. გლეხების ბრბო მდუმარე იყო, მაგრამ უძრავი თვალებიდან უწყინარი ცნობისმოყვარეობა გამოსჭვიოდა, რადგანაც დონაფუგატას მოსახლეობას არაფერი ეთქმოდა თავისი გამგებიანი მებატონის წინააღმდეგ, რომელიც ასე ხშირად ივინყებდა ბეგარისა და სხვა წვრილმანი ქირების აკრეფას. გარდა ამისა, ყველანი მიჩვეულნი იყვნენ სასახლის ფასადზე, ეკლესიათა ფრონტონებზე, შადრევნების გალავნებსა და სახლის კედლებში ჩატანებულ შორენკეცებზე მოცეკვავე უღვაშა ლეოპარდის გამოსახულებას, ამიტომაც აინტიერესებდათ ნამდვილი ლეოპარდის ხილვა, შავი პიკეს შარვალი რომ ეცვა და ყველას ურიგებდა თათის მეგობრულ ტყაპუნსა და თავაზიან კატისებრ ღიმილს.

„ვერაფერს იტყვი, ყველაფერი ძველებურადაა, ის კი არა, უკეთესად“.

ტანკრედისაც დიდი ცნობისმოყვარეობით მოეკიდნენ: ყველანი ადრეც იცნობდნენ, მაგრამ ახლა სულ სხვა შუქზე წარმოჩნდა. ეს უკვე თავნება ყმანვილი კი არა, ლიბერალი არისტოკრატი იყო, როზოლინო პილოს მეგობარი, პალერმოს ბრძოლებში გმირულად დაჭრილი. ხმაურიან აღფრთოვანებაში ტანკრედი ისე ცურავდა, როგორც თევზი წყალში. ეს სოფლელი თაყვანისმცემლები მართლაც რომ ართობდნენ: დიალექტზე ელაზღანდარებოდა, ხუმრობდა, საკუთარ თავსა და თავის ქრილობას სიცილით აქილიკებდა. მაგრამ, როცა წარმოთქვამდა – „გენერალი გარიბალდი“, – ხმას ერთბაშად ადაბლებდა და ისეთ მონინებულ სახეს იღებდა, როგორც ბარძიმის წინ მდგარი სტიქროსანი. დონ კალოჯერო სედარას კი, რომლის შესახებ გაეგო, რომ გათავისუფლების დღეებში მრავალი რამ გაეკეთებინა, ყურში ჩასჩურჩულა: „დონ კალოჯერო, თქვენზე ბევრი კარგი მსმენია კრისპისგან“. ამის შემდეგ თავის ბიძაშვილს, კონჩეტას გამოსდო მკლავი, იქაურობას გაშორდა და უკან საყოველთაო განცვიფრების კვალი დატოვა.

მსახურებით, ბავშვებითა და ბენდიკოთი დატვირთული ეტლები პირდაპირ სასახლისაკენ გაეშურნენ, სხვები კი, როგორც უძველესი ჩვეულება მოითხოვდა, სანამ შინ ფეხს შედგამდნენ, ჯერ დედაეკლესიაში უნდა დასწრებოდნენ Te Deum-ს. ეს ტაძარი ორ ნაბიჯზე იყო, ამიტომაც ფეხით გაუდგნენ გზას: ახლად ჩამოსულები – მტვრიანნი, მაგრამ მედიდურნი, და ადგილობრივი ხელისუფლება – გაკრიალებული, მაგრამ მოკრძალებული. წინ დონ ჩიჩო ჯინესტრა მიაბიჯებდა და თავისი მუნდირის ავტორიტეტით აფრთხოვდა გამვლელებს, მას თავადი მისდევდა – მკლავი მეუღლისათვის გამოედო და მადლარსა და უწყინარ ლომს ჰგავდა. უკან ტანკრედი და მის მარჯვნივ – კონჩეტა, რომელსაც ეკლესიისკენ მამიდაშვილის გვერდით სვლა დიდ მღელვარებასა და ტირილის უტკბილეს სურვილს ჰგვრიდა. ამ შეგრძნებას სულაც არ ამსუბუქებდა მზრუნველი ყმანვილის ძლიერი დანოლა მის მკლავზე, ვაი რომ, მხოლოდ ერთადერთი მიზნით: გზაზე უხვად მოფენილი ღრმულებისა და კორძების მოსარიდებლად. მათ უკან კი სრულიად უწესრიგოდ მოდიოდნენ დანარჩენები. ორგანიზტი დროზე გაიქცა შინისკენ, რათა ტერეზინას დაბინავება მოესწრო და ორგანიც სწორედ მაშინ აეუღერებინა, როცა პროცესია ეკლესიაში შევიდოდა. ზარებს რეკვა არ შეუწყვეტია, სახლების კედლებზე კი ორიოდ თვის წინ გამოუცდელი ფუნჯით შესრულებული წარწერები – „გაუმარჯოს გარიბალდის“, „გაუმარჯოს მეფე ვიტორიოს“, „სიკვდილი ბურბონებს“ – ხუნდებოდა და თითქოს კედელში შეძვრომას ლამობდა. კიბეზე ასვლას თოფების გრიალი მოჰყვა და როცა პატარა კორტეჟმა ეკლესიაში შეაბიჯა, აქოშინებულმა დონ ჩიჩო ტუმეომ მოასწრო და სწორედ იმ წამში ვნებით წამოინყო „Amami, Alfredo“.¹⁸

ტაძრის უხეშად გამოთლილ სვეტებს შორის ცნობისმოყვარე ბრბო ირეოდა. სალინას ოჯახი ამბიონის ახლოს განლაგდა და თვალწარმტაცი დონ ფაბრიციოც ხალხის წინაშე წარდგა. დიდ ქალბატონს ლამის გული მისდიოდა სიცხისა და დაღლილობისაგან. ტანკრედი კი ბუზების მოგერიების საბაბით მრ-

¹⁸ გიყვარდე, ალფრედო (იტ.) — ალფრედისა და ვიოლეტას დუეტიდან (ჯ. ვერდი, „ტრავიატა“).

ვალჯერ შეეხო კონჩეტას ქერათმიან თავს. ყველაფერი წესრიგში იყო და დონ ტროტოლინოს აღტაცებული ქადაგების შემდეგ ყველამ თავი მოუდრიკა საკურთხეველს. მერე კარისაკენ შებრუნდნენ და მზით დაუშნოებულ მოედანზე გავიდნენ.

კიბის ძირში ხელისუფალნი დაემშვიდობნენ და ქალბატონმა, რომელსაც ცერემონიის დროს უკვე ჩურჩულით გაეცა სათანადო განკარგულება, იმავე საღამოს სადილზე მიიწვია მერი, დეკანოზი და ნოტარიუსი. დეკანოზი პროფესიით იყო უცოლო, ნოტარიუსი – მონოდებით, ამიტომაც ცოლების საკითხი ამ ორისათვის არ დამდგარა. მაგრამ მერისადმი ბოძებული მონვევა მის მეუღლეზეც გავრცელდა: ეს გლეხის ქალი თუ რაღაც ამგვარი იყო, ულამაზესი, მაგრამ ქმარი მრავალი მიზეზის გამო მაინც შეუძლებლად მიიჩნევდა მის საზოგადოებაში წარდგენას. ამიტომაც არავის გაჰკვირვებია, როცა სედარამ ცოლის შეუძლოდ ყოფნა მოიმიზეზა, მაგრამ დიდი იყო განცვიფრება, როცა დასძინა: „თუ თქვენი ბრწყინვალეებანი ნებას მომცემენ, გეახლებით ჩემს ქალიშვილთან, ანჯელიკასთან ერთად, რომელიც უკვე ერთი თვეა, სულ იმაზე ლაპარაკობს, როგორ ესიამოვნება, თუ დიდობაშიც გაიცნობთ მას“. რა თქმა უნდა, დასთანხმდნენ და დონ ფაბრიციომ, რომელმაც სხვათა ზურგს უკან შეყუჟული ტუმეოს მზერა შენიშნა, დაუყვირა: „და თქვენც, უეჭველად მობრძანდით, დონ ჩიჩო, და ტერეზინაც მოიყვანეთ“. მერე კი სხვებისაკენ შებრუნდა და გამოაცხადა: „სადილის შემდეგ კი, ათის ნახევარზე, ბედნიერნი ვიქნებით, ყველა მეგობართან შეხვედრით“. ღონაფუგატაში დიდხანს ჭორაობდნენ ამ უკანასკნელი სიტყვების თაობაზე. საზოგადოებამ დაასკვნა, რომ თავადი, რომელმაც უცვლელად მიიჩნია თავისი მამული, თვითონ ძლიერ შეცვლილიყო, რადგანაც ადრე არასოდეს გაიმეტებდა ეგზომ გულითად სიტყვებს. ამ წამიდან უხილავად დაიწყო მისი პრესტიჟის ნელი დაცემა.

* * *

საღინას სასახლე დედაეკლესიას ემიჯნებოდა. მისი ვინრო ფასადი, მოედანზე გამოსული შვიდი აივნით, არ აფიქრებინებდა მნახველს, რომ სიღრმეში შენობა კარგა ორას მეტრზე გრძელდებოდა. ეს სხვადასხვა სტილის მინაშენები იყო, რომ-

ლებიც ჰარმონიულად ერთიანდებოდა სამი ვრცელი შიგა ეზოს გარშემო და მთავრდებოდა დიდი შემოღობილი ბაღით. მოედანზე, სასახლის სადარბაზოსთან, ჩამოსულებს კვლავ გაუზიარეს კეთილი გრძნობები. დონ ონოფრიო როტოლოს, სასახლის მნეს, როგორც ყოველთვის, მონაწილეობა არ მიუღია დაბის შემოსასვლელთან მოწყობილ ოფიციალურ დახვედრაში. მას დიდი ქალბატონის, კაროლინას უმკაცრესი სკოლა ჰქონდა გავლილი და მისთვის ბრბო საერთოდ არ არსებობდა, ხოლო თავადი კი თითქოს საზღვარგარეთ ყოფილიყო წასული, სანამ საკუთარი სასახლის ზღურბლს არ გადააბიჯებდა. ამიტომაც იქ იდგა, სადარბაზოდან ორ ნაბიჯზე, პატარა, მოხუცი, სულ მთლად წვერ-ულვაშით დაფარული. გვერდით ცოლი ჰყავდა, მასზე გაცილებით უფრო ახალგაზრდა და ტანმალალი. ზურგსუკან კი მსახურები ჩამწკრივებულიყვნენ და კიდევ რვა „გვარდიელი“ ქუდებზე ამოქარგული ოქროსფერი ლეოპარდითა და მხრებზე გადებული არცთუ უხიფათო თოფებით.

– ბედნიერი ვარ, შინ კეთილი მობრძანება ვუსურვო თქვენს ბრწყინვალეებს. გაბარებთ სასახლეს ზუსტად იმ მდგომარეობაში, როგორც თქვენ მიერ იყო დატოვებული.

დონ ონოფრიო იმ მცირეთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, ვისაც თავადი აფასებდა და ალბათ ერთადერთი იყო, ვისაც არასოდეს მოუპარავს რამე. ეს პატიოსნება მანიის ზღვრამდე მისულიყო და მის შესახებ ერთობ წარმტაც ეპიზოდებს ყვებოდნენ, მაგალითად, ქალბატონის მიერ გამგზავრებისას დატოვებული ჭიქის შესახებ, რომელშიც ნახევრამდე ესხა ვარდის ლიქიორი და რომელიც ერთი წლის შემდეგ იმავე ადგილას იდგა, ხელუხლებელი, თუმცა აორთქლებული და შაქროვან ნალექამდე დაყვანილი შიგთავსით.

– რადგანაც ეს თავადის ქონების უსასრულოდ მცირე ნაწილია და არ უნდა დაიკარგოს.

როცა დონ ონოფრიოსა და დონა მარიასთან სავალდებულო საღამო მოთავდა, ქალბატონმა უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და დასანოლად გაეშურა, ტანკრედიმ და ქალიშვილებმა ბაღის თბილ ჩრდილს შეაფარეს თავი, ხოლო დონ ფაბრიციო და სასახლის მნე დიდი დარბაზისკენ გაეშურნენ. ყოველივე სრულ წესრიგში დახვდათ: სურათებსა და მძიმე ჩარჩოებზე

მტვერი გადანმენდილი იყო, ძველი ჩუქურთმების ოქრო კვლავაც რიდით ლაპლაპებდა, შუადღის მზე ყოველი კარის გარშემო შემოვლებულ რუხ მარმარილოს აელვარებდა. ყველა საგანი ზუსტად იმავე მდგომარეობაში იყო, როგორც ბოლო ორმოცდაათი წლის განმავლობაში. საერო მოვალეობათა ხმაურიან აურზაურს თავდაღწეულმა დონ ფაბრიციომ თავი მოსვენებულად იგრძნო, გული იმედიანი სიმშვიდით აევსო და თითქმის ალერსიანად გადახედა მის გვერდით მოლასლასე დონ ონოფრიოს.

– დონ ონოფრიო, თქვენ ნამდვილად ერთი იმ გნომთაგანი ხართ, რომლებიც განძეულობას იცავენ. თქვენს მიმართ უდიდესი მადლიერება გვმართებს.

ნინა წელს შეგრძნება იგივე იყო, მაგრამ მსგავსი სიტყვები არ ამოსვლია თავადს პირიდან. დონ ონოფრიომ ნასიამოვნებმა და გაოცებულმა შეხედა.

– მოვალეობაა, თქვენო ბრწყინვალე ბავ, მოვალეობა.

და გრძნობების დასამალად ყურის ფხანას მოჰყვა მარცხენა ხელის ნეკზე დატოვებული უშველებელი ფრჩხილით.

ამის შემდეგ მნეს ჩაით ნამების გადატანა მოუხდა. დონ ფაბრიციომ ორი ფინჯანი მოატანინა და დონ ონოფრიომაც შეკავებული ზიზლით გადაყლაპა ჩაი. ამის შემდეგ დონაფუგატას მატთანის გადმოცემა დაიწყო: ორი კვირის წინ კვლავ გაუქირავებია აკვილას ფეოდი, თუმც წინანდელზე უარესი პირობებით. ხარჯების განწევა მოუხდა სასტუმრო ოთახების ანტრესოლების შესაკეთებლად, მაგრამ სალაროში მისი ბრწყინვალეების განკარგულებაში 3275 ოქრო რჩებოდა, ყოველი გადასახადისა და თვით მისი ჯამაგირის გამოკლებით.

ამას კერძო ამბები მოჰყვა, რომლებიც წლის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენის, დონ კალოჯერო სედარას სწრაფი და განუწყვეტელი აღმასვლის გარშემო გაერთიანდა: ექვსი თვის წინ ბარონ ტუმინოსადმი მიცემული სესხის ვადა გავიდა და სედარამაც მისი მიწა მიისაკუთრა: გასესხებული ათასი ოქროს საფასურად ახლა ისეთ საკუთრებას ფლობდა, რომელსაც წელიწადში ხუთასი მოჰქონდა. აპრილში კიდევ ორი მამული შეიძინა ჩალის ფასად და იქაც საკმაოდ ძვირად ღირებული ქვის კარიერიც მოიპოვებოდა, რომლის გამოყენებასაც აპირებდა დონაფუგატას მერი. საოცრად მომგებიანად გაყიდა ხორბალი

შიმშილისა და დაბნეულობის იმ პერიოდში, რომელიც გარბალდის გადმოსხდომას მოჰყვა. დონ ონოფრიოს ხმა ნალველით აივსო:

– თითებზე დავითვალე. დონ კალოჯეროს შემოსავალი აქ, დონაფუგატაში, მალე თქვენი ბრწყინვალეებისას გაუტოლდება. ეს კი მისი საკუთრებიდან ყველაზე მცირეა.

სიმდიდრესთან ერთად სედარას პოლიტიკური გავლენაც იზრდებოდა. დონაფუგატასა და მიმდებარე სოფლებში ლიბერალთა მეთაური გამხდარიყო. უკვე დარწმუნებული იყო, რომ ტურინში დეპუტატად აირჩევდნენ.

– და მერე როგორ ყოყოჩობს! თვითონ კი არა, ამისათვის საკმაოდ ჭკვიანია, მაგრამ თუნდაც მისი ქალიშვილი, რომელიც ფლორენციის კოლეჯიდან ჩამოვიდა და აქეთ-იქით დასეირნობს კრინოლინითა და ხავერდის ლენტებიანი ქუდით.

თავადი დუმდა: ქალიშვილი, ჰო, ის ანჯელიკა, ამ საღამოს რომ მოვა სადილად. ნეტა როგორი იქნება ეს პატარა და გამოპრანჭული მწყემსის გოგო? არა, ტყუილია, რომ არაფერი შეცვლილა: დონ კალოჯერო მასავით მდიდარი იყო! თუმცა ეს ყველაფერი წინასწარ იყო მოსალოდნელი, ეს ყველაფერი გარდაუვალი მსხვერპლი იყო.

თავადის დუმილმა შეაშფოთა დონ ონოფრიო. ეგონა, შეაწუხა სოფლის ჭორების მოყოლით.

– თქვენო ბრწყინვალეებავ, ვიზრუნე, რომ აბაზანა მოემზადებინათ თქვენთვის. ალბათ უკვე მზადაა.

დონ ფაბრიციომ უეცრად შენიშნა, რომ დაღლილიყო: სამი შესრულებულიყო და უკვე ცხრა საათის განმავლობაში სულ ფეხზე იყო თაკარა მზის ქვეშ და უძილო ღამის შემდეგ. იგრძნო, რომ მთელი სხეული, მისი ყველაზე შორეულ ნაკეცებიც კი, მტვრით ავსებოდა.

– გმადლობთ, დონ ონოფრიო, ამ ზრუნვისთვის. და ყველაფრისთვისაც. ამ საღამოს გნახავთ, სადილზე.

* * *

შიგა კიბეზე ავიდა, გობელენების დარბაზი გაიარა, ყვითელი. ჩამოშვებულ დარბებში სინათლე აღწევდა, კაბინეტში კი ჩუმად ნიკნიკებდა ბულის ქანქარა.

– ღმერთო, რა სიმშვიდეა!

სააბაზანო ოთახში შევიდა: პატარა და კირით შეთეთრებული იყო, იატაკიც ხორკლიანი აგურებით მოპირკეთებული, შუაში წყლის ჩასადენით. აბაზანაც ოთხ ხის სადგარზე შეყენებულ გარედან ყვითელი და შიგნიდან თეთრი ქაშანურის უშველებელ ოვალურ როფს წარმოადგენდა. უდარაბო ფანჯრიდან სასტიკი მზე იჭრებოდა შიგნით.

დონ ფაბრიციომ დარეკა. ორი მსახური შემოვიდა, ერთი მდულარე მეორე კი ცივი წყლით სავსე წყვილი სათლით. რამდენიმე გზობა გააკეთეს და გობიც აივსო. თავადმა ხელით მოსინჯა: კარგი იყო. მსახურები გაუშვა, გაშიშვლდა და წყალში ჩანვა. მისი ვეება სხეულით გამოდევნილი წყალი ლამის გადმოვიდა. ტანი გაისაპნა და ღრუბელი მოუსვა: სითბო ესიამოვნა, დანყნარდა. თითქმის ჩაეძინა კიდევ, როცა კარზე დააკაკუნეს. პირისფარეში დომენიკო შემოვიდა მოკრძალებით.

– მამა პირონე ითხოვს თქვენი ბრწყინვალეების დაუყოვნებლივ ხილვას. აქვე იცდის, სანამ თქვენი ბრწყინვალეობა აბაზანიდან არ გამოვა.

თავადს გაუკვირდა. რაიმე უბედურება თუ მოხდა, ჯობდა, იმწამსვე გაეგო.

– არაფერია. ახლავე შემოიყვანეთ.

დონ ფაბრიციო იეზუიტის მოუთმენლობამ შეაშფოთა. ცოტა ამის გამო და ცოტაც სამღვდლო შესამოსელის პატივისცემით აბაზანიდან გამოსვლა იჩქარა. ეგონა, ხალათის მხრებზე მოგდებას მამა პირონეს შემოსვლამდე მოასწრებდა, მაგრამ არ გამოვიდა და მღვდელი სწორედ იმ წამს შემოვიდა ოთახში, როცა თავადს უკვე აღარ მალავდა საპნიანი წყალი, ჯერ არც სიფრიფანა მოსასხამი ფარავდა და მისი სხეულიც სრულიად შიშველი აღმართულიყო, როგორც ფარნეზელი ჰერაკლე, ოლონდ ორთქლის ღრუბლით გარშემორტყმული, ყელიდან, მკლავებიდან, მუცლიდან და თეძოებიდან კი ნაკადულებად მოედინებოდა წყალი, მსგავსად რონის, რაინისა და დუნაისა, რომლებიც ალპიურ ფერდობებს კვეთენ და რწყავენ. ადამის სამოსში გამონყობილი თავადის სანახაობა მამა პირონესათვის უცნობი და წარმოუდგენელი იყო. სინანულის საიდუმლოს ხშირმა აღსრულებამ იგი სულიერ სიშიშვლეს მიაჩვია, მაგრამ სხეულთა სიშიშვლე გაცილებით ნაკლებად ნაცნობი იყო მისთვის. და თუმცა წარბეუხრელად შეეძლო მოესმინა

აღსარება, მაგალითად, სისხლის აღრევის შესახებ, ამ ტიტანური და უმანკო სიშიშვლის წინაშე გაოგნდა. ბოდში წაიბურტყუნა და გამოსასვლელად შებრუნდა. მაგრამ დონ ფაბრიციომ, რომელიც გალიზიანებული იყო იმით, რომ სხეულის დაფარვა ვერ მოასწრო, თავისი ბოღმა ბუნებრივად მიმართა მღვდლის წინააღმდეგ:

– მამაო, ნუ სულელობთ. ჯობია, ხალათი მომანოდეთ და, თუ არ გეზარებათ, შემშრალეებაში მომეხმარეთ.

უეცრად წინანდელი შელაპარაკება მოაგონდა.

– და დამიჯერეთ, მამაო, თქვენც მიიღეთ აბაზანა.

და კმაყოფილი იმით, რომ მოახერხა ჰიგიენური რჩევის მიცემა მისთვის, ვინც ამდენ ზნეობრივ შეგონებას უჩიჩინებდა, დამშვიდდა. ბოლოს და ბოლოს დაეუფლა ზენარს და მისი ზედა კიდით თმას, ბაკენბარდებსა და ყელს იმშრალებდა, მაშინ როცა დამცირებული პადრე პირონე ქვედა კიდეს ფეხებზე უსვამდა.

როცა მთის მწვერვალი და ძირი უკვე მშრალი იყო, თქვა:

– ახლა კი დაბრძანდით, მამაო, და მომახსენეთ, რატომ ინებეთ ჩემთან ასე სასწრაფოდ შეხვედრა.

და სანამ იეზუიტი ჯდებოდა, თავადმა თვითონ განაგრძო სხვა უფრო მალული ადგილების შემშრალება.

– აი, თქვენო ბრწყინვალეებავ, ერთი მეტად დელიკატური ღავალეზა მომცეს. თქვენთვის უალრესად ძვირფასმა პიროვნებამ ჩემთვის გულის გახსნა ისურვა და, არ ვიცი, თქვენი ჩემდამი პატივისცემის ალბათ მცდარი რწმენით აღვსილმა დამავალა, რომ...

პადრე პირონეს ყოყმანი დაუსრულებელ მჭევრმეტყველებას გადადიოდა. დონ ფაბრიციომ მოთმინება დაკარგა:

– ბოლოს და ბოლოს, მამაო, ვის გულისხმობთ? დიდ ქალბატონს? – ზეანუელი მკლავით თითქოსდა ემუქრებოდა, სინამდვილეში კი მხოლოდ ილლიას იმშრალებდა.

– დიდი ქალბატონი დაღლილია. სძინავს და არ მინახავს. სინიორინა კონჩეტას ვგულისხმობ, – პაუზა, – შეყვარებულია.

ორმოცდახუთი წლის კაცს შეუძლია თავი ჯერაც ახალგაზრდა ეგონოს, სანამ არ შენიშნავს, რომ მის შვილებს სიყვარულის ასაკი დასდგომიათ. თავადმა ერთბაშად დაბერებუ-

ლად იგრძნო თავი. დაავიწყდა ნადირობისას სულმოუთქმელად გავლილი მიწები, მეუღლის ჯერაც ხშირი პირჯვრისწერები, საკუთარი მხნეობა ხანგრძლივი და ძნელი მგზავრობის შემდეგ. ერთბაშად დაინახა საკუთარი თავი ჭალარა კაცად, რომელსაც ვილა ჯულიას ბალებში ჯოხის ცხენებზე ამხედრებული შეილიშვილების ჯგრო მოსდევს უკან.

– და რალა თქვენ გითხრათ ეს ყველაფერი ამ სულელმა? ჩემთან რატომ არ მოვიდა? – არც კი იკითხა, ვინ შეუყვარდა კონჩეტას. სრულიად ზედმეტი იყო.

– თქვენი ბრწყინვალეობა მამის გულს წარმატებით მაღავს ბატონის ავტორიტეტის ქვეშ. სრულიად ბუნებრივია, რომ მისმა საბრალო ქალიშვილმა სახლის ერთგულ მოძღვარს მიმართა.

დონ ფაბრიციო ქშენით იცვამდა გრძელ საცვალს: თვალნინ ხანგრძლივი საუბრები წარმოუდგა, ცრემლები და ათასგვარი მოსაბეზრებელი რამ. ამ წუნუნამ და პრანჭიამ, მისმა ქალიშვილმა, დონაფუგატაში პირველივე დღე ჩაუმწარა.

– გასაგებია, მამაო, გასაგებია. ჩემს სახლში არავის ესმის ჩემი. რა უბედურებაა.

საკარცხულზე იჯდა და მკერდის ქერა ბალანზე წყლის წვეთები უბზინავდა მარგალიტებად. წყლის ნაკადულები იატაკის ფილებზე იკლაკნებოდა, მთელი ოთახი ავსებულყოქათოს რძიანი სურნელითა და საპნის ნუშისებრი არომატით.

– თქვენი აზრით, რა უნდა ვთქვა?

იეზუიტს ლუმელის შესადარ პაპანაქებაში ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა და ახლა, როცა დავალება შესრულებული იყო, უკვე წასვლაც სურდა. მაგრამ პასუხისმგებლობის გრძნობამ შეაჩერა.

– ქრისტიანული ოჯახის შექმნის სურვილი უაღრესად პატივსაცემია წმიდა ეკლესიის თვალში. უფლის მობრძანება კანას ქორწილში...

– ნუ გავაგრძელებთ. მე ამ ქორწინებას ვგულისხმობ და არა ზოგადად ქორწინებას. ტანკრედიმ აშკარად გამოხატა თავისი განზრახვა? როდის?

ამ ბიჭს ხუთი წლის განმავლობაში ლათინურს ასწავლიდა მამა პირონე. შვიდი წლის განმავლობაში კი მის ცუდლუტობას ითმენდა. ყველასავით მანაც იგრძნო ყმანვილის ხიბლი.

მაგრამ ტანკრედის ბოლოდროინდელმა პოლიტიკურმა არჩევანმა მოძღვარი შეურაცხყო. ძველი სიყვარული ახალ წყენას ებრძოდა. მამა პირონემ არ იცოდა, რა ეთქვა.

– განზრახვა არა. მაგრამ სინიორინა კონჩეტას ეჭვი არა აქვს: ვაჟის ყურადღება, მზერა, ნართაული სიტყვები, ეს ყოველივე სულ უფრო და უფრო ხშირი ხდება, რამაც მისი უმანკო სული დააჯერა. კონჩეტა დარწმუნებულია, რომ ვაჟს იგი უყვარს. მაგრამ იგი პატივისცემითა და მორჩილებით განმსჭვალული ქალიშვილია და ამიტომაც ისურვა ჩემი საშუალებით თქვენთვის ეკითხა, რა უპასუხოს, როცა ეს განზრახვა ამკარად იქნება გამოთქმული. სინიორინა გრძნობს, რომ წამი მოახლოვდა.

დონ ფაბრიციომ შვებით ამოისუნთქა: ნეტა საიდან მიიღო ამ გოგომ იმდენი გამოცდილება, რომ ვაჟის დაფარული ზრახვები ცხადად წაიკითხოს? მით უმეტეს, ტანკრედისთანა ვაჟისა! ნამდვილად, უბრალო ფანტაზიებია, მხოლოდ ის „ოქროს სიზმარია“, გიმნაზისტი გოგონების ბალიშებს რომ ჭმუჭნის. ხიფათი სულაც არ ყოფილა ასე ახლოს.

ხიფათი. ამ სიტყვამ ისე მკაფიოდ გაიჟღერა მის გონებაში, რომ განაცვიფრა. ხიფათი. ნეტა რისი ხიფათი? კონჩეტა ძალიან უყვარდა: მასში მუდმივი მორჩილება მოსწონდა და კიდევ ის სიმშვიდე, რომლითაც ქალიშვილი მამისეული ნების ყოველ აუტანელ ახირებას ღებულობდა. თუმცა ამ მორჩილებასა და სიმშვიდეს, კაცმა რომ თქვას, დონ ფაბრიციო ზედმეტ მნიშვნელობას ანიჭებდა. იგი ბუნებრივად ფლობდა უნარს, საკუთარი უსაფრთხოება ადვილად აერიდებინა ყოველგვარი საფრთხისგან, რის გამოც ხშირად ვერ ამჩნევდა ქალიშვილის თვალელებში გაელვებულ რკინისებურ მრისხანებას იმ წამებში, როცა მამის ახირებები მართლაც ძალიან უსამართლო და შემანუხებელი ხდებოდა. თავადს ძალიან უყვარდა ეს ქალიშვილი. მაგრამ კიდევ უფრო მეტად უყვარდა ტანკრედი. ყოველთვის იპყრობდა ვაჟის მოსიყვარულე დამცინავობა, მაგრამ რამდენიმე თვის წინ უკვე მისი ჭკუითაც მოიხიბლა: მისი სწრაფი მიხვედრილობით, ამა სოფლის საქმეების საკეთებლად აუცილებელი გამჭრიახობით, ძლივს შესამჩნევ ელფერთა გარჩევის თანდაყოლილი უნარით, რომელიც მოდაში შემოსული დემაგოგიური ენით საუბრის საშუალებას ისე აძ-

ლევდა, რომ განდობილებს ეგრძნოთ: ეს ყოველივე მხოლოდ დროსტარება იყო, რომელსაც ის, თავადი ფალკონერი მხოლოდ წამით თუ გაუყადრებდა თავს გასართობად. დონ ფაბრიციოს ხასიათისა და კლასობრივი მიკუთვნებულობის ადამიანებისთვის კი გართობის შესაძლებლობა სიყვარულისათვის აუცილებელ პირობათა ოთხ მეხუთედს შეადგენდა. მისი აზრით, ტანკრედის წინ დიდი მომავალი გაშლილიყო. ის შეიძლება გამხდარიყო ბაირახტარი იმ კონტრშექცივისა, რომელსაც სხვა მუნდირებში გადაცმული არისტოკრატია ახალი პოლიტიკური ნესრიგის წინააღმდეგ წარმართავდა. ამისთვის ტანკრედის ერთადერთი რამ აკლდა: ფული, რაც მას სრულიად არ გააჩნდა. დღეს კი პოლიტიკაში წინ წასანევად, როცა სახელი უკვე ნაკლებს ნიშნავდა, ბევრი ფული იყო საჭირო: ფული ხმების საყიდლად, ფული ამომრჩევლების მოსატყუებლად, ფული ოჯახის მოსაწყობად და თვალში ნაცრის შესაყრელად. ოჯახის მოსაწყობად... კონჩეტა კი მთელი თავისი პასიური ღირსებებით განა შეძლებდა ამგვარი ამბიციური და ბრწყინვალე ქმრის ხელშეწყობას ახალი საზოგადოების ციკაბო კიბეებზე ასვლაში? ასეთი მორცხვი, გულჩათხრობილი, მორიდებული... სულ მუდამ იმავე მშვენიერ გიმნაზისტ ქალად დარჩებოდა, როგორც დღეს იყო, ანუ ქმრის ფეხზე მიბორკილ ტყვიის ბირთვად.

– თქვენ, მამაო, წარმოგიდგენიათ კონჩეტა ვენაში ან სანქტ-პეტერბურგში მივლენილი ელჩის მეუღლედ?

მამა პირონეს ტვინი გადაუბრუნდა ამ შეკითხვაზე.

– ეს რა შუაშია? არ მესმის.

დონ ფაბრიციოს განმარტებით თავი არ შეუწუხებია და კვლავ თავის ფიქრებში შეცურა. ფული? კონჩეტას, რა თქმა უნდა, მზითვეი ეკუთვნის. მაგრამ სალინას გვარის კეთილდღეობა რვა ნაწილად უნდა გაიყოს, რვა არათანაბარ ნაწილად, რომელთა შორის ქალიშვილებს ყველაზე ნაკლები ეკუთვნის. მერე? ტანკრედის კი სულ სხვა რამ სჭირდებოდა: მარია სანტა პაუ, მაგალითად, უკვე მის საკუთრებაში გადასული ოთხი ფეოდიტა და ბობოლა მღვდელი ბიძებით; ან სუტერას რომელიმე ქალიშვილი, რომლის სიმდიდრეს მხოლოდ მისი შეუხედაობა თუ სჭარბობდა. ცეცხლი და ხანძარი ერთ წელიწადს გაძლებს, ნაცარი კი ოცდაათი წლით დარჩება. თვითონ

ხომ მშვენივრად იცოდა, რა იყო სიყვარული... ტანკრედის წინაშე კი ქალები მოხარშული მსხლელებით დადნებოდნენ...

უეცრად შესცივდა. წყალი ნელ-ნელა ორთქლდებოდა და მკლავებზე კანი გაეყინა. თითების წვერები დაეჩრუტა. რამდენი აუტანელი საუბარი უწევდა წინ. თავიდან უნდა აეცილებინა...

– ახლა უნდა ჩავიცვა, მამაო. გთხოვთ, გადაეცით კონჩეტას, რომ სულაც არა ვარ ნაწყენი, მაგრამ ამაზე მხოლოდ მაშინ ვისაუბრებთ, როცა დავრწმუნდებით, რომ რომანტიკული ქალიშვილის ფანტაზიებზე უფრო მეტ რამესთან გვაქვს საქმე. ნახვამდის, მამაო...

ადგა და საპირფარეშოში შევიდა. ახლომდებარე ეკლესიიდან „მორტორიოს“ პირქუში რეკვა ისმოდა. ვილაც მომკვდარიყო დონაფუგატაში, რომელიღაც დატანჯული გვამი, სიცილიური ზაფხულის დიადი ვაებისათვის რომ ვერ გაეძლო, წვიმის მოსაცდელად კი მოთმინება არ ჰყოფნიდა. „ნეტავი მას“, – გაიფიქრა თავადმა და ბაკენბარდებს ლოსიონი წასცხო. „ნეტავი მას, ახლა სულ ფეხებზე ჰკიდია ქალიშვილები, მათი მზითევი და პოლიტიკური კარიერა“, – საკუთარი თავის ამ უცნობ მიცვალებულთან ეფემერული გაიგივება საკმარისი აღმოჩნდა გულის დასამშვიდებლად. „სანამ სიკვდილი არსებობს, იმედი არ დაცხრება“, – გაიფიქრა. მერე კი სიცილი მოერია იმის გამო, რომ ამ ზომამდე მიეცა სასონარკვეთილებას მხოლოდ იმის გამო, რომ ერთ-ერთ ქალიშვილს გათხოვება მოსდომებია. „Ce sont leurs affaires, après tout“,¹⁹ – გაიფიქრა ფრანგულად, როგორც ყოველთვის, როცა აზრებისაგან თავის დაღწევა უჭირდა. სავარძელში მიესვენა და ჩათვლიდა.

* * *

ერთ საათში გამხნეებულმა გაიღვიძა და ბაღში ჩავიდა. მზე უკვე გადაიხარა და მისი ამპარტავნებადაკარგული სხივები მორიდებული შუქით ანათებდნენ არაუკარიებს, ფიჭვებსა და ზორბა ქვამუხებს, რომლებიც ადგილის დიდებას წარმოადგენდნენ. მთავარი ხეივანი ნელა ეშვებოდა დაფნის მაღალ ტევრებს შორის, რომლებიც უსახელო და ცხვირმოტეხი-

¹⁹ თანაც ეს მათი საქმეა (ფრანგ.).

ლი ქალღმერთების ბიუსტებს ევლებოდა ჩარჩოსავით. სიღრმიდან კი მოისმოდა ამფიტრიტეს შადრევნის ჭავლთა ნაზი შხუილი. სწორედ იქითკენ გაეშურა ნახვას მონატრებული. ტრიტონების საყვირებიდან, ნაიადების ნიჟარებიდან, ზღვის ურჩხულების ნესტოებიდან მოწანწკარე წყალი წვრილ ნაკადებად იმსხვრეოდა, შხაპუნა წვიმად ეფინებოდა აუზის მომწვანო ზედაპირს, ტალღების, ბუშტების, ცქრიალა ქაფის ნარნარა და მოცინარ ჟრუანტელად იშლებოდა. მთელი შადრევნიდან, მისი თბილი ნესტიდან, ხავერდოვანი ხავსით შემოსილი ქვებიდან რალაც ისეთი ტკობის დაპირება გამოსჭვიადა, რომელიც ვერასოდეს იქცეოდა მწუხარებად. მრგვალი აუზის შუაგულში აღმართულ კუნძულზე გამოუცდელი, მაგრამ მგრძნობიარე საჭრეთლით გამოთლილი სხარტი და მომღიმარი ნეპტუნი ეხვეოდა სურვილით აღესილ ამფიტრიტეს: ამ უკანასკნელის ჭიპი, წყლის ჭავლებით დასველებული, მზეზე ლაპლაპებდა და სულ მალე იქცეოდა წყალქვეშა ჩრდილქვეშ მალულ ამბორთა ბუდედ. დონ ფაბრიციო შედგა, დააცქერდა, რალაც გაიხსენა და გული ამოუჯდა. დიდხანს დარჩა ასე.

– ძია, აქ მოდი, ატმები ვნახოთ. როგორ დამწიფებულა. თავი გაანებე ამ უხამსობებს, შენი ასაკის კაცს არ შეეფერება.

ტანკრედის კვიმატმა და მოსიყვარულე ხმამ ჩამოაშორა ვნებიან გარინდებას. მისი მოსვლა არ გაუგონია, კატასავით მოჰპარვოდა. თავდაპირველად მოეჩვენა, თითქოს ჭაბუკის დანახვაზე რალაც ბოღმა მოერია. ამ მუქლურჯ სამოსში გამონწყობილი კრაზანისწელიანი პენენიკის მიზეზით შეიპყრო სიმნარემ და სიკვდილზე აფიქრებინა ამ ორიოდე საათის წინ. შემდეგ მიხვდა, რომ ბოღმა არ ყოფილა, მხოლოდ შიშის სახეცვლილება იყო: ეშინოდა, კონჩეტაზე საუბარი არ წამოეწყო. მაგრამ დისწულის ქცევას, მისი ტონს არ ეტყობოდა, რომ იგი მისთანა კაცთან სასიყვარულო აღსარებისათვის ემზადებოდა. დამშვიდდა: დისწულის თვალები იმ სიყვარულითა და ირონიით უცქერდა, რომლითაც ახალგაზრდები ხანში შესულთ აჯილდოებენ. „თავს უფლებას აძლევენ ჩვენთან თავაზიანნი იყონ, რადგან დარწმუნებულნი არიან, რომ ჩვენი დასაფლავების მეორე დღესვე გათავისუფლდებიან“. ატმების სანახავად გასწიეს. გერმანული ჯიშის ნამყენი საუცხოო გამოვიდა. ატმები ცოტა იყო, ორ ნამყენ ხეზე თორმეტიოდე ცა-

ლი ესხა, სამაგიეროდ, დიდრონი, ხავერდოვანი და არომატული. მოყვითალო ფერის ნაყოფები, ლოყებზე წითელი ჩრდილებით, მორცხვი ჩინელი ქალების თავებს ჰგავდა. თავადმა ხელი შეახო თითების განთქმული სინაზით.

– მგონი მნიფე უნდა იყოს. სანყენია: ძალზე ცოტაა და ამ სალამოს სუფრაზე ვერ მოვიტანთ. ხვალ დავაკრეფინებ და მაშინ გავსინჯოთ.

– აჰა, ასე მომწონხარ, ძიავე! ასე, *agricola pius*-ის²⁰ როლში, რომელიც აფასებს და წინასწარ იგემოვნებს თავისი შრომის ნაყოფს. აბა ის რასა ჰგავდა, ამ ცოტა ხნის წინ რომ იმ სამარცხვინო სიშიშვლეს დასჩერებოდი?

– და მაინც, ტანკრედი, ეს ატმებიც ხომ სიყვარულისა და შეჯვარების შედეგია.

– მართალია, მაგრამ ეს ხომ კანონიერი სიყვარულია, რომელიც შენ, პატრონმა, და მებალემ, ნოტარიუსმა, გააფორმეთ. ეს წინასწარგანზრახული და ნაყოფიერი სიყვარულია. რაც შეეხება იმათ, – აქ ქვამუხათა ფარდის მიღმა მოწანწკარე შადრევნისკენ მიუთითა, – ხომ არ გჯერა, რომ მღვდლის წინაშე მდგარან?

საუბრის მიმართულება სახიფათო გახდა და დონ ფაბრიციომ მიმართულების შეცვლა იჩქარა.

სანამ შინისაკენ მიდიოდნენ, ტანკრედიმ მოუთხრო, რაც კი დონაფუგატას ჭორების მატიანიდან შეეტყო: მენიკა, მეველის ქალიშვილი, თავისივე საქმროსაგან დაორსულდა, რის გამოც სასწრაფოდ უნდა ექორწინათ. კოლიკიო, თავის მხრივ, ძლივს გადაურჩა ეჭვიანი ქმრის ტყვიას.

– კი მაგრამ, როგორ ახერხებ, ამ ყველაფრის გაგებას?

– ვახერხებ, ძიავე, ვახერხებ. მე არაფერს მიმაღავენ. იციან, რომ თანავუგრძნობ.

როცა ავიდნენ კიბეზე, რომელიც დამრეცი ფერდობებითა და ბრტყელი ბაქნების ხანგრძლივი შესვენებებით მიიწევდა ბალიდან სასახლემდე, ხეთა კენწეროების ზემოთ სალამოს ჰორიზონტი იხილეს: ზღვის მხრიდან უშველებელი მელნისფერი ღრუბლები ედებოდა ზეცას. ალბათ ღვთის რისხვა დაცხრა და სიცილიის ყოველწლიური წყევლა დასასრულს მიუახ-

²⁰ პატიოსანი მინათმოქმედი (ლათ.).

ლოვდა. იმ წუთში შვებით გატენილ ღრუბლებს სხვა ათასობით თვალიც შესცქეროდა, დედამიწის გულში ჩაგდებულ მილიარდობით თესლზე მზრუნველი.

– იმედი ვიქონიოთ, რომ ზაფხული დამთავრდა და ბოლოს და ბოლოს განვიმდება, – თქვა დონ ფაბრიციომ. და ამ სიტყვებით ქედმაღალი არისტოკრატი, რომელსაც წვიმის მოსვლა მხოლოდ სანუხარს მოუმატებდა, ძმად ევლინებოდა თავის გაუთლელ მდაბიოთ.

* * *

თავადი ყოველთვის ცდილობდა, რომ დონაფუგატაში პირველ სადილს საზეიმო ელფერი მისცემოდა: თხუთმეტ წელზე უმცროსი შვილები სადილზე არ დაიშვებოდნენ, სუფრაზე ფრანგული ღვინოები მოჰქონდათ, შემწვარი ხორცის შემოტანამდე რომაულ პუნშს მიაერთმევდნენ სტუმრებს. მსახურებიც ლივრებსა და პარიკებში გამოწყობილიყვნენ. მხოლოდ ერთ რამეს თმობდა: საღამო კოსტუმში არ იმოსებოდა, რათა უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაეყენებინა სტუმრები, რომელთაც ამგვარი სამოსი, ბუნებრივია, არ გააჩნდათ. იმ საღამოს „ლეოპოლდის“ დარბაზში სალინას ოჯახი უკანასკნელ მონვეულ სტუმრებს ელოდებოდა. მაქმანის აბაყურებიდან ნავთის ლამპები წრიულ მოყვითალო შუქს გამოსცემდა. ცხენზე ამხედრებულ დიდი ხნის გარდაცვლილ სალინათა უშველებელი პორტრეტები სხვა არა იყო რა, თუ არა თვით მათ მოგონებასავით მედიდური და გაურკვეველი გამოსახულებები. დონ ონოფრიო მეუღლითურთ უკვე მოსულიყო და დეკანოზიც, რომელსაც განსაკუთრებული ფუფუნების ნიშნად მხრებზე დაჭმუჭნილი მანტია შემოესხა, დიდ ქალბატონს ღვთისმშობლის კოლეგიუმის ბეგინებზე²¹ ესაუბრებოდა. ორგანისტი დონ ჩიჩოც უკვე მოსულიყო (ტერეზინა კი დამხმარე მაგიდის ფეხზე დაებათ) და თავადთან ერთად დრაგონარას ხეობაში გამართულ ზღაპრულ ნადირობას იგონებდა. ყოველივე მშვიდობიანი და ჩვეული იყო, როცა ფრანჩესკო-პაოლო, თავადის თექვსმეტი წლის ვაჟი, დარბაზში შემოვარდა და

²¹ ბეგინები — მარტოხელა ქალები, ქვრივები და ობლები, რომლებიც მონასტრის მსგავს კოლეგიუმში ცხოვრობენ კათოლიკური ეკლესიის მეურვეობის ქვეშ.

სრულიად სკანდალური ამბავი გამოაცხადა: „მამი, კიბეზე დონ კალოჯერო ამოდის. ფრაკი აცვია!“.

ტანკრედი ამ უწყების მნიშვნელობას სხვებზე ერთი წამით ადრე ჩანვდა. ეს-ესაა დონ ონოფრიოს მეუღლის ქათინაურებით ავსება გადაენწყვიტა, მაგრამ საბედისწერო სიტყვის გაგონებაზე თავი ვერ შეიკავა და სიცილი წასკდა. თვით თავადს კი არ გაუცინია, თუმცა კი შეიძლება ითქვას, რომ მასზე უწყებამ მარსალაში გადმოსხდომის ბიულეტენზე მეტი გავლენა იქონია. გადმოსხდომა არა მარტო წინასწარ ცნობილი, არამედ შორეული და უხილავი მოვლენა იყო. ახლა კი, ნიშებისა და სიმბოლოების მიმართ ბუნებით მგრძნობიარე თავადი პირისპირ უჭვრეტდა თვით რევოლუციას, რომელიც თეთრი ჰალსტუხითა და ორკუდიანი შავი ფრაკით მოსილი ამოდიოდა მისი სახლის კიბეზე. მარტო ის კი არ იყო, რომ თავადს უკვე აღარ ეთქმოდა დონაფუგატას ყველაზე მსხვილი მემამულე, არამედ ხედავდა, რომ შუადღის სამოსით იძულებული იყო მიეღო საღამოს ტანსაცმლით სრულუფლებიანად მოსილი სტუმარი.

უსიამოვნო გრძნობა ძლიერი იყო და ჯერ კიდევ გრძელდებოდა, როცა მექანიკურად გაეშურა კარისაკენ სტუმრის შესახვედრად. მაგრამ თვალის ერთი შევლება საკმარისი აღმოჩნდა ამ უსიამოვნების რამდენადმე შესამსუბუქებლად. თუმცა პოლიტიკური მანიფესტაციის სახით სრულყოფილი, სამკერვალო ხელობის თვალსაზრისით დონ კალოჯეროს ფრაკი ნამდვილი კატასტროფა იყო. მაუდი უმაღლესი ხარისხისა, მოდელიც საკმაოდ ახალი, მაგრამ თარგი, უბრალოდ, საშინელი იყო. ლონდონური სიტყვა ძალიან უხეიროდ განხორციელდა ჯირჯენტელი მკერავის ხელში, რომლისთვისაც დონ კალოჯეროს ჯიუტ სიძუნწეს მიემართა. ფრაკის კალთების წვერები ზეცისაკენ აღმართულიყვნენ უხმო ვედრებით, ფართო საყელო უფორმო იყო და, რაოდენ მტკივნეულიც არ უნდა იყოს ამის აღიარება, მაინც უნდა ვთქვათ, რომ ფეხზე დონაფუგატას მერს ღილებით შემკული დაბალყელიანი ჩექმები ეცვა.

დონ კალოჯერო წინ გაშვერილი თათმანიანი ხელით პირდაპირ დიდი ქალბატონისაკენ მოაბიჯებდა:

– ჩემი ქალიშვილი გებოდიშებათ, ჯერ მთლად მზად არაა. თქვენმა ბრწყინვალეებამ იცის, როგორები არიან ქალები ამ დროს, – თითქმის მდაბიური სიტყვებით გამოთქვა პარიზული

სიმსუბუქის საკადრისი აზრი. – სულ ერთ წამში გეახლებათ. მოგეხსენებათ, ჩვენს სახლამდე ორი ნაბიჯია.

ეს წამი ხუთ წუთს გაგრძელდა. მერე კარი გაიღო და ანჯელიკამ შემოაბიჯა. პირველი შთაბეჭდილება განმაცვიფრებელი იყო. სალინას მთელს ოჯახს სუნთქვა შეეკრა. ტანკრედიმ ისიც კი იგრძნო, როგორ აუღულდა სისხლი საფეთქლებში. ქალის ძალუმი მშვენიერებით გათელილმა მამაკაცებმა სრულიად დაკარგეს უნარი, შეემჩნიათ მრავალი ნაკლი, რომელიც ამ მშვენიერებას თან ახლდა. ბევრს ამგვარი კრიტიკული აზროვნება არც არასოდეს შეძლებია. ანჯელიკა მაღალი იყო და, თუ შეღავათიან კრიტიერიუმებს გამოვიყენებთ, კარგად ჩამოსხმულიც. მის ხორცს, ალბათ ახალმოხდილი ნაღების გემო უნდა ჰქონოდა, რომელსაც გარეგნულადაც წააგავდა, ხოლო ბავშვურ ტუჩებს კი მარწყვისა. ღამისფერი და რბილ ტალღებად დალაგებული თმების ქვემოდან მწვანე თვალები უკაშკაშებდა – ქანდაკების თვალებივით უძრავი და მათსავით ოდნავ სასტიკი. ნელა მოძრაობდა და ირგვლივ თეთრ განიერ კაბას მიმოარხევდა. მთელი მისი იერიდან ამკარად ასხივებდა ღამაზი ქალის სიმშვიდე და უძლეველობა. მხოლოდ მრავალი თვის შემდეგ გახდა ცნობილი, რომ თავისი საზეიმო შემოსვლის წამში მას ღამის გული წასვლოდა მლეღვარებისგან.

ყურადღება არ მიუქცევია მისკენ გამოშურებული დონ ფაბრიციოსათვის, მეოცნებედ მომღიმარ ტანკრედისაც აუარა გვერდი. მაგრამ დიდი ქალბატონის სავარძლის წინ მისი საოცარი წელი ოდნავ მოიხარა და სიცილიისათვის უჩვეულო პატივისცემის ამ ფორმამ ანჯელიკას სოფლურად ჯანმრთელ სილამაზეს წამით ეგზოტიკური ელფერი შესძინა.

– ჩემო ანჯელიკა, რამდენი ხანია, აღარ მინახიხარ. ძალიან შეიცვალე და, უნდა გითხრა, რომ უკეთესისკენ, – ქალბატონი თვალებს არ უჯერებდა: იხსენებდა ოთხი წლის წინ ნანახ ცამეტი წლის მოუვლელსა და შეუხედავ გოგოს და ამ მოგონებას ვერანაირად ვერ უკავშირებდა მის წინაშე მდგომ მომწუსხველ ქალს. თავადს არანაირი მოგონება არ გააჩნდა და შესწორებასაც ვერსად შეიტანდა, მხოლოდ თავისი წინანდელი ვარაუდები უნდა დაეყენებინა თავდაყირა. დარტყმა, რომელიც ცოტა ხნით ადრე მამის ფრაკმა მიაცენა, ახლა ქალიშვილის გარეგნობისგანაც მიიღო კვლავ. მაგრამ ამჯერად შავი მაუდი კი არა,

კანის გასაგიუბელი რძისფერი სითეთრე იყო მისი დამამხობელი – თანაც რა თარგზე იყო გამოჭრილი, რა თარგზე! ქალური სილამაზის მონოდებას, საბრძოლო საყვირის მსგავსს, ეს ბებური ბედაური სრულ მზადყოფნაში დახვდა და მერის ქალიშვილს ისეთივე ნატიფი პატივისცემით მიმართა, როგორსაც ჰერცოგინია დი ბოვინოს, ან დი ლამპედუზასთან გამოიყენებდა:

– ნამდვილად იღბალია ჩვენთვის, სინიორინა ანჯელიკა, რომ ჩვენს სახლში თქვენნაირი მშვენიერი ყვავილი მივიღეთ. ვიმედოვნებთ, რომ ამიერიდან ხშირად გვექნება თქვენი ხილვის შესაძლებლობა.

– გმადლობთ, თავადო. ვხედავთ, რომ თქვენ ისეთსავე სიკეთეს იჩენთ ჩემთვის, როგორც ყოველთვის გამოგიჩენიათ მამაჩემის მიმართ.

ხმა ლამაზი იყო, დაბალი ტემბრის, იქნებ, ზომაზე ოდნავ მეტად დაყენებული. ფლორენციულმა კოლეჯმა ნაშალა ჯირჯენტული აქცენტის ჭრიალი. სიცილიურისაგან მის მეტყველებაში მხოლოდ თანხმოვანთა სიმკვეთრე დარჩენილიყო, რომელიც, საბოლოოდ, მშვენივრად ეხამებოდა მის ნათელს, თუმცა ოდნავ მჭახე სანდომიანობას. ფლორენციაში მას „თქვენი ბრწყინვალეების“ გამოტოვებაც ასწავლეს.

სამწუხაროა, რომ ტანკრედიზე ცოტა რამაა სათქმელი: მას შემდეგ, რაც დონ კალოჯეროს წარდგენასა და ანჯელიკასათვის ხელზე კოცნის სურვილს გაუძლო, მას შემდეგ, რაც თავისი ცისფერი თვალების შუქურა გამოიყენა, სინიორა როტოლოს გაუბა საუბარი, მაგრამ მისი ხმა კი არ ესმოდა. მამა პირონე ბნელ კუთხეში იდგა და ფიქრობდა საღვთო წერილზე, რომელიც იმ საღამოს მხოლოდ დალილების, ივდითებისა და ესთერების მიმდევრობად წარმოუდგა.

სალონის ცენტრალური კარი გაიღო და სახლის განმკარგულებელმა გამოაცხადა, რომ სადილი მზად იყო. სალონში შეგროვილი ჭრელი საზოგადოება სასადილო დარბაზისკენ გაეშურა.

* * *

თავადს საკმარისი გამოცდილება ჰქონდა იმისათვის, რომ კუნძულის შუაგულში მცხოვრები სიცილიელი სტუმრებისათ-

ვის არ მიერთმია სადილი, რომლის პირველი კერძი potage²² იქნებოდა, თანაც უმაღლესი სამზარეულოს ამ კანონს მით უფრო ადვილად არღვევდა, რაც უფრო შეესაბამებოდა ის მის გემოვნებას. მაგრამ ცნობამ პირველ კერძად წვნიანის ჩამოტარების უცხოურ ბარბაროსულ ჩვევაზე საკმაოდ სწრაფად შეაღწია დონაფუგატას უმაღლეს საზოგადოებაში და მასაც ამგვარი საზეიმო სადილების წინ ოდნავი შიში აკრთობდა ხოლმე. ამიტომაც, როცა სამმა მწვანითა და ოქრომკედით მოსილმა და პუდრშეფრქვეულმა მსახურმა დარბაზში შემოაბიჯა, რომელთაგან თითოეულს ვერცხლის უზარმაზარ სინზე გოდოლივით ნამომართული მაკარონის გროვა მოჰქონდა, ოცი სტუმრისაგან მხოლოდ ოთხმა მოახერხა სასიამოვნო განცვიფრების შეძახილის შეკავება: თავადმა და დიდმა ქალბატონმა, რადგანაც წინასწარ იცოდნენ, ანჯელიკამ – მღელვარებისგან, კონჩეტამ კი – უმადობის გამო. დანარჩებმა კი (მიმძიმს მოგახსენოთ, რომ მათ შორის ტანკრედიმაც) კმაყოფილება სხვადასვანაირად გამოხატეს – ნოტარიუსის ექსტაზური და სტვენით შემკული ღრუჭუნიდან, ფრანჩესკო-პაოლოს კრინამდე. თუმცა სახლის პატრონის წრიულად მოვლებულმა მუქარით აღსავსე მზერამ მაშინვე აღკვეთა ეს შეუფერებელი გამოხატვა.

ქცევის წესებს რომ თავი გავეანებოთ, ამ ბაბილონური კერძის შესახედაობა მართლაც იმსახურებდა აღფრთოვანების ჟრუანტელს. დაბრანული ქერქის მუქი ოქრო, მისგან გამომდინარე შაქრისა და დარიჩინის მსგავსი სურნელი მხოლოდ პრელუდია იყო ტკობის იმ შეგრძნებისათვის, რომელსაც ქერქის გამკვეთი დანა ათავისუფლებდა შიგნიდან, საიდანაც ჯერ არომატებით დატვირთული ორთქლი ამოხეთქვდა, შემდეგ კი მზერას წარუდგებოდა ქათმის ღვიძლის ნაჭრები, მაგრად მოხარშული კვერცხები, ლორის, ქათმის ხორცის, თირკმელა-სოკოს თხელი ჩამონათალი. ეს ყოველივე მომცრო მაკარონების ცხელი და ცხიმიანი მასით იყო გაჯერებული, რომელსაც ხორცის ნახარში იშვიათ და მდიდრულ ჟღალ ელფერს ანიჭებდა.

სადილის დასაწყისი, როგორც ყოველთვის ხდება პროვინციაში, მდუმარე და თავის თავში ჩაკეტილი იყო. დეკანოზმა

²² წვნიანი (ფრანგ.).

პირვეარი გადაინერა და უსიტყვოდ ეძგერა საჭმელს. ორგანისტი თვალდახუჭული ნთქავდა წვნიან საკვებს: შემოქმედს უმადლოდა, რომ კურდღლებსა და ტყის ქათმებზე ნადირობის ჩვევა ხანდახან ამგვარი ნეტარების ღირსადაც ხდიდა ხოლმე და ფიქრობდა, რომ მხოლოდ ერთი ასეთი სინის ღირებულება მას და ტერეზინას მთელ თვეს არჩენდა. ანჯელიკამ, მშვენიერმა ანჯელიკამ ტოსკანური შეგონებანი და თავაზიანი მანერების გვარიანი ნაწილი დაივიწყა და მაკარონს იმგვარი მადითა და ენერგიით მიირთმევდა, რომლის საშუალებასაც ჩვიდმეტი წლის ყმანვილქალობა და ტარის შუაში ჩაბლუჯული ჩანგალი აძლევდა. ტანკრედი გალანტურობისა და პირის პატივის შეერთებას ესწრაფოდა, ცდილობდა ჩანგალს ამოყოლილ არომატულ ლუკმებში მის გვერდით მჯდომი ანჯელიკას კოცნა ეგემა, მაგრამ მიხვდა, რომ ექსპერიმენტი უგემოვნო გამოუვიდა და შეწყვიტა, რათა ეს ფანტაზიები კვლავ გაეცოცხლებინა ტკბილეულის ჩამოტარებისას. დონ ფაბრიციომ, თუმც კი გატაცებული იყო ანჯელიკას პირისპირ ჭვრეტით, მაინც შეატყო, თანამეინახეთაგან ერთადერთმა, რომ დემი-გლაცე ძალიან დატვირთული იყო და გადანყვიტა, მეორე დღეს მზარეულისთვის ეთქვა. სხვები უთქმელად ჭამდნენ და არც კი ფიქრობდნენ, რომ საჭმელი იმიტომაც ეჩვენებოდათ ძალიან გემრიელი, რომ გრძობის აჩრდილმა შეაღწია სახლში.

ყველა მშვიდი და კმაყოფილი იყო. ყველა, კონჩეტას გარდა. მართალია, ის კიდევაც გადაეხვია ანჯელიკას, კიდევაც უარყო მისი ფორმალური მიმართვა, რათა ბავშვობისდროინდელ შენობით ლაპარაკს დაბრუნებოდა, მაგრამ სიღრმეში, ბაცი ცისფერი ლიფის ქვეშ გული ეკუმშებოდა. კვლავ დუღილს ინყებდა მასში სალინას მძლავრი სისხლი, ხოლო მის სათნო შუბლს მიღმა სასტიკი და შურისმაძიებელი ფანტაზიები იღვიძებდა. ტანკრედი მას და ანჯელიკას შორის იჯდა და დანაშაულის შეგნებით შეპყრობილი კაცის საგულდაგულო პედანტურობით ერთნაირად ურიგებდა ორ თავის მეზობელ ქალს ღიმილს, ქათინაურებსა და ხუმრობებს. მაგრამ კონჩეტა გრძობდა, ცხოველური გეშით გრძობდა სურვილის ნაკადს, რომელიც მამიდაშვილისაგან ამ უცხო ქალისკენ მიედინებოდა, ამიტომაც შუბლსა და ცხვირს შორის საგვარეულო ნაოჭი კიდევ უფრო გაულრმავდა. მეტოქის მოკვლა და საკუთარი

სიკვდილი ერთნაირად ენადა. და რახან ქალი იყო, წვრილმანებს უკირკიტებდა: ამჩნევდა, რამდენად ვულგარული იყო ანჯელიკას მალლა აპრეხილი ნეკა თითი, როცა ჭიქა ეჭირა; ხედავდა ყელის კანზე მონითალო ხალს; ამჩნევდა თოვლივით თეთრ კბილებში ჩარჩენილი საჭმლის ამოჩიჩქენის დროულად აღკვეთილ ცდას; კიდევ უფრო ცოცხლად ამჩნევდა მისი გონების ერთგვარ სიხისტეს. ამ წვრილმანებს, რომლებიც სინამდვილეში უმნიშვნელო იყო, რადგანაც გრძნობიერი ეშხის ცეცხლში ინთქმებოდა, კონჩეცა ისეთი ნდობითა და სასწონარკვეთილებით ეკიდებოდა, როგორც კედლიდან ფეხდაცურებული ხურო – ტყვიის საწვიმარ მილს. იმედი ჰქონდა, რომ აწ წვრილმანებს ტანკრედიც შეამჩნევდა და მასაც გუნება ნაუხდებოდა აღზრდისა და განათლების ამ აშკარა ნაკლოვანებათა წინაშე. მაგრამ ტანკრედიმ ადრევე შეამჩნია ყოველივე და, ვაი რომ, ყოველგვარი შედეგის გარეშე. ის სრულიად მინდობოდა იმ ხორციელ ძახილს, რომელსაც ეს ულამაზესი მდედრი უგზავნიდა მის აღმოდებულ სიჭაბუკეს და იმ, ასე ვთქვათ, სრულიად გაანგარიშებულ აღგზნებასაც, რომელსაც მდიდარი ქალიშვილი ინვევს ამბიციური და ღარიბი კაცის ტვინში.

სადილის ბოლოს ზოგადი საუბარი გაიმართა: დონ კალოჯერო ცუდი ენით, მაგრამ მკვირცხლი გონებამახვილობით ყვებოდა პროვინციაში გარიბალდელთა გამარჯვების ზოგიერთ დაფარულ გარემოებას. ნოტარიუსი დიდ ქალბატონს იმ პატარა და კოხტა ვილაზე ესაუბრებოდა, რომელსაც „ქალაქგარეთ“ (დონაფუტატადან ასიოდე მეტრის დაშორებით) იშენებდა. სანთლების შუქით, საჭმლითა და ფრანგული ღვინით აღგზნებულმა ანჯელიკამ, რომელსაც კიდევ უფრო აგულიანებდა ირგვლივ შეკრებილ მამაკაცთა ერთსულოვანი აღფრთოვანება, სთხოვა ტანკრედის, მოეთხრო პალერმოსათვის „დიდებით მოსილი ბრძოლის“ ზოგიერთი ეპიზოდი. იდაყვი სუფრას დააყრდნო და ხელისგულს მიადო ლოყა. ღანვებს სისხლი მიადგა და მისი ცქერა სახიფათოდ საამო იყო. მკლავით, იდაყვით, თითებით, ჩამოშვებული თეთრი ხელთათმანით მოხაზული არაბესკა ტანკრედიმ მომხიბლავად მიიჩნია, კონჩეტამ კი – საზიზღრად. ჭაბუკი განაგრძობდა მისი ცქერით ტკბობას და თან ომის ამბებს ისე ყვებოდა, თითქოს ყოველივე ადვილი და უმნიშვნელო ყოფილიყო: ჯიბილროსას

ლამეული მარში, ბიქსიოსა და ლა მაზას შორის მომხდარი შეტაკება, ტერმინის შესასვლელზე შეტევა.

– მე თვალზე ეს სახვევი ჯერ არ მქონდა და კარგა გვარია-ნად გავერთე, სინიორინა, მერნმუნეთ. ყველაზე მეტად 28 მაისის საღამოს ვიცინეთ, ჩემს დაჭრამდე რამდენიმე წუთით ადრე. გენერალს ორილიონეს მონასტრის თავზე სათვალთვალო პუნქტის მონყობა უნდოდა. აბრახუნა, აბრახუნა კარებზე, იგინა, იგინა, მაგრამ არავინ გაულო. განდეგილ დედათა მონასტერი იყო. ტასონი, ალდრიგეტი, მე და კიდევ ვილაცყები მუშკეტის კონდახებით ვცდილობდით კარის შემტვრევას. არ გამოვიდა. მაშინ გავიქეციით და იქვე, ქვემეხებით დანგრეული სახლის ნარჩენებს დირე გამოვაცალეთ. ბოლოს და ბოლოს საშინელი ხმაურით კარიც დაიმსხვრა. შევედით. იქაურობა ცარიელი დაგვხვდა. მაგრამ ერთი დერეფნის სიღრმიდან საშინელი კივილი გავიგონეთ: მონაზვნების ერთმა ჯგუფმა კაპელას შეაფარა თავი. იქვე იყვნენ, საკურთხეველთან შექუჩებული. ვინ იცის, რად ეშინოდათ ამ ათიოდე გაბრაზებული ახალგაზრდა კაცისა. სასაცილო სანახავეები იყვნენ, მოხუცები და უშნოები, შავ კაბებში, ზეცისკენ აპყრობილი თვალებითა და... მარტივლობისთვის გამზადებულნი. ძალღებვიით ნკმუტუნებდნენ. ტასონი ყველაზე მაგარი ტიპია, ასე უყვირა: „თქვენთვის არ გვცალია, დებო! მაშინ დავბრუნდებით, როცა მორჩილებს დაგვახვედრებთ!“ ყველანი სიცილით ვკვდებოდით, მუცლები ხელით გვეჭირა. მონაზვნებიც იქ დავტოვეთ პირში ჩალაგამოვლებულები, ჩვენ კი ზემოთ ავედით, ტერასებისკენ, რომ იქედან დაგვეშინა ცეცხლი სამეფო ჯარისთვის.

ჯერაც სუფრაზე ხელდაყრდნობილი ანჯელიკა იცინოდა და მარგალიტივით კბილებს აელვარებდა. ოინი მასაც თავშესაქცევი ეჩვენა. შესაძლებელი გაუპატიურების წარმოდგენამ ააღელვა, მშვენიერი ყელი უცახცახებდა.

– რა კარგები იქნებოდით! ნეტა თქვენთან ვყოფილიყავი!

ტანკრედის იერი შეცვლოდა: თხრობის მდინარება, მოგონების სიმძლავრე, ორივე ქალიშვილის გრძნობიერი სახით გამოწვეულ აღგზნებაზე დამყნობილი – ამ ყველაფერმა წამში აქცია ეს კეთილგონიერი და ზრდილი ჭაბუკი როყო ჯარისკაცად.

– თქვენ რომ იქ ყოფილიყავით, სინიორინა, მორჩილების ლოდინი არ დაგვჭირდებოდა.

თავის ოჯახში ანჯელიკას ბევრი ამგვარი გაეგონა, მაგრამ ეს პირველი იყო (და არა უკანასკნელი), როცა გაბედული ორაზროვნების საგანი ხდებოდა. ეს სიახლე მოეწონა, მისი სიცილი ერთი ტონით ამაღლდა და გამყივანი გახდა.

ამ დროს ყველანი დგებოდნენ სუფრიდან. ტანკრედი დაიხარა, რომ ანჯელიკას ხელიდან გავარდნილი ბუმბულის მარაო აეტაცებინა. თავი ასწია და კონჩეტას აჭარხლებულ სახესა და წამნამებზე დაკიდებულ ორ ცრემლს შეეჩეხა:

– ტანკრედი, ამ საზიზღრობებს აღსარებაზე ამბობენ და ახალგაზრდა ქალბატონებს კი არ უყვებიან სუფრაზე, ჩემი თანდასწრებით მაინც.

და ზურგი აქცია.

* * *

სანამ დასაძინებლად დანებოდა, დონ ფაბრიციო მცირე ხნით შეყოვნდა გასახდელი ოთახის პატარა აივანზე. ბინდში ჩანთქმულ ბალს ეძინა. უძრავ ჰაერში გარინდული ხეები თითქოსდა გამდნარი ტყვიისაგან იყო ჩამოსხმული. უშველებელი სამრეკლოდან ზარნაშოთა ზღაპრული გმინვა ისმოდა. ცა უღრუბლო იყო: ის ღრუბლები, შელამებამდე რომ მოჩანდა, ახლავინ იცის, საით წასულიყვნენ, ალბათ ნაკლებად დამნაშავე ქვეყნებისაკენ, რომელთა მიმართ ღვთის რისხვამ უფრო მცირე სასჯელი გაითვალისწინა. ვარსკვლავები თითქოსდა ამღვრეულიყვნენ და მათ სხივებს დახუთულობის რიდეში გაღწევა უჭირდათ.

დონ ფაბრიციოს გულმა მათკენ გაუნია – ამ მოუხელთებელი, მიუღწეველი ვარსკვლავებისკენ, რომლებიც სიხარულს იმეტებენ და არაფერს კი ითხოვენ სანაცვლოდ, არასოდეს თაღლითობენ. როგორც სხვა დროს, ახლაც მოჰყვა ოცნებას იმ გაყინულ სივრცეებში მოხვედრაზე – წმინდა გონება, მხოლოდ გამოთვლათა ჩასაწერი წიგნაკით აღჭურვილი. ძნელი გამოთვლებია, მაგრამ თავსა და ბოლოს ყოველთვის მოუძებნი.

– მხოლოდ ესენი არიან პატიოსანნი და უმანკონი, – აზრად ცხოვრების ბანალური ფორმულები მოსდიოდა. – ვინ ფიქრობს ხომლის მზითევეზე, ან სირიუსის პოლიტიკურ კარიერაზე, ანდა იმას, როგორ იქცევა ვეგა თავის ბუდუარში?

დღე ცუდი გამოდგა. ამას ახლა მხოლოდ გულძმარვაზე არ ატყობდა, ამას ახლა ვარსკვლავებიც ეუბნებოდნენ: მათ ჩვე-

ულ ფორმებად განანილებულებს აღარ ხედავდა. ამის მაგიერ, თავის ყოველ ანევაზე იქ, ზემოთ, ერთადერთი დიაგრამა ესახებოდა – მაღლა ორი ვარსკვლავი თვალებია, ერთი უფრო ქვემოთ – ნიკაპი. სამკუთხა სახის დამცინავი სქემა, რომელსაც დონ ფაბრიციოს სული ყოველთვის მიანერდა ხოლმე თანავარსკვლავედებს, როცა რალაციტ იყო შეძრული. დონ კალოჯეროს ფრაკი, კონჩეტას შეყვარებულობა, ტანკრედის ამკარა გატაცება, საკუთარი სულმოკლეობა, ბოლოს და ბოლოს, ანჯელიკას მრისხანე სილამაზე. სულ ცუდი რამეებია, დაგორებული კენჭები, მენყერს რომ მოასწავებს. და ეს ტანკრედიც! კეთილი, რალაც სიმართლე ამაში იყო, თვითონაც დაეხმარებოდა. მაგრამ იმის უარყოფაც ხომ არ შეიძლება, რომ მთლად ნამუსიანი საქციელი არაა. თვითონაც ხომ ტანკრედის მსგავსი იყო.

– კმარა. ახლა დავიძინოთ.

ბნელში მიმალული ბენდიკო მუხლზე თავს უხახუნებდა.

– იცი, ბენდიკო, შენც მათსავით ხარ, ვარსკვლავებივით: შენს ბედად ცნობიერებას ხარ მოკლებული და ბოროტების მოტანა არ შეგიძლია, – ღამეში თითქმის უხილავ ძაღლს თავი აუნია. – და კიდევ, ცხვირის სიმალლეზე ჩასხმული ამ შენი თვალებით და იმიტომაც, რომ ნიკაპი არა გაქვს, შეუძლებელია, რომ შენმა სახემ ცაზე ბოროტი აჩრდილები გამოიხმოს.

* * *

საუკუნოვანი ჩვეულება მოითხოვდა, რომ ჩამოსვლის მეორე დღეს სალინას ოჯახი სანტო სპირიტოს მონასტერში ასულიყო ნეტარი კორბერას საფლავის თაყვანის საცემად, რომელიც თავადის წინაპარი იყო და თავის დროზე დააარსა და დაასაჩუქრა ეს მონასტერი, სადაც თვითონაც წმიდა ცხოვრებით იცხოვრა და ასევე წმიდანის შესაფერი სიკვდილიც მიიღო.

მონასტერში განდევილობის მკაცრი წესი სუფევდა და მამაკაცებს იქ შესვლა ეკრძალებოდათ. სწორედ ამიტომ განსაკუთრებით სიამოვნებდა დონ ფაბრიციოს იქ სტუმრობა, რადგანაც მასზე, დამაარსებლის პირდაპირ შთამომავალზე, ეს აკრძალვა არ ვრცელდებოდა და ამ პრივილეგიით, რომელსაც თავადი მხოლოდ ნეაპოლის მეფესთან იყოფდა, ის მეტად ამაყობდა.

ეს კანონიკური ამპარტავენების საშუალება ძირითადი, მაგ-

რამ არა ერთადერთი მიზეზი იყო იმისა, თუ რატომ უყვარდა სანტო სპირიტო. ამ ადგილას ყველაფერი მოსწონდა, თუნდაც პირქუში სასტუმრო ოთახის უბრალოება, სადაც თაღს ლეოპარდის ჩუქურთმა ამშვენებდა, ხოლო სასაუბრო ტიხრები ორმაგი ჰქონდა და ზედაც ხის პატარა ბორბალი იყო მოწყობილი წერილების გადასაცემ-გადმოსაცემად, და ის კარიც საკმაოდ მკვიდრად იყო გამოთლილი, რომლის ზღურბლზე კანონიერად ორად-ორ მამრს მთელს ქვეყანაზე – მეფესა და თვითონ თავადს შეეძლო გადაბიჯება. მოსწონდა მონაზონთა გარეგნული სახე, სპეტაკი სელისგან შეკერილი წერილ-წერილ ნაოჭებად მოკეცილი მათი ფართო საყელოები, შავ და უხემ კაბებზე ასე მკვეთრად რომ მოჩანდა. მონინებით ივსებოდა, როცა აბატისა მეოცეჯერ მოუთხრობდა მისი ნეტარი ბებუის მიერ მოხდენილ გულუბრყვილო სასწაულებზე, როცა მელანქოლიური ბალის იმ კუთხისაკენ მიუთითებდა, სადაც წმინდანმა მონაზონმა ჰაერში შეაჩერა მოზრდილი ქვა, მისი მარხვით შემფოთებული დემონის მიერ მისკენ ნასროლი. ყოველთვის აკვირვებდა ჩარჩოში ჩასმული და ერთი სენაკის კედელზე დაკიდებული ორი სახელგანთქმული და წასაკითხად შეუძლებელი წერილი, რომელთაგან ერთი ნეტარმა კორბერამ სატანას მისწერა სიკეთის გზაზე დასაყენებლად, მეორე კი სატანის პასუხი იყო, სადაც იგი, როგორც ეტყობა, ნუხდა, რომ ამ სურვილს ვერ აუსრულებდა. თავადს მოსწონდა მონაზონთა მიერ ასწლოვანი რეცეპტებით გამომცხვარი ნუშის ნამცხრები, ღვთისმსახურების მოსმენა ამბიონის კუთხიდან და კმაყოფილიც კი იყო, როცა მონასტერს თავისი შემოსავლის არცთუ უმნიშვნელო ნაწილს სწირავდა.

ამიტომაც იმ დილით ქალაქთან ახლომდებარე მონასტრისაკენ მიმავალ ორ ეტლში მხოლოდ კმაყოფილი ხალხი იჯდა. პირველ ეტლში თავადი და დიდი ქალბატონი ისხდნენ ქალიშვილებითურთ – კაროლინათი და კონჩეტათი, მეორეში კი – ტანკრედი, თავადის მესამე ქალიშვილი კატერინა და პადრე პირონე, რომლებიც, რა თქმა უნდა, extra muros²³ დარჩებოდნენ და სასტუმრო ოთახში დაელოდებოდნენ ვიზიტის დასასრულს, თუმცა კი საგანგებო ბორბლის საშუალებით მოწოდებული ნუშის ნამცხვრებით ინუგეშებდნენ თავს. კონჩეტა ოდ-

²³ კედლებს მიღმა (ლათ.).

ნავ დაბნეული ჩანდა, მაგრამ მშვიდი. თავადსაც იმედი მოეცა, გუშინდელი ოფოფები გაფრენილანო.

განდევითა მონასტერში შესვლა ხანმოკლე ამბავი არაა მისთვისაც კი, ვინც უნძინდეს უფლებას ფლობს. მონაზვნები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ გარკვეული წინააღმდეგობის გამოვლენას, რომელიც, თუმცა კი ფორმალურია, მაგრამ გაჭიანურებული, რითაც უფრო მეტ გემოს ანიჭებს ისედაც შეთანხმებულ შეშვებას. თუმცა კი სტუმრებს ელოდნენ, მათ მაინც საკმაო მოცდა დასჭირდათ სასტუმრო ოთახში. სწორედ ამ მოლოდინის ბოლოს იყო, ტანკრედიმ რომ მოულოდნელად უთხრა თავადს:

– ძია, მეც ხომ არ შემეყვანდი? ბოლოს და ბოლოს სანახევროდ მეც სალინა ვარ და აქ არასოდეს ვყოფილვარ.

გულის სიღრმეში თავადს გაუხარდა ეს თხოვნა, მაგრამ გადაჭრით უარყო:

– შვილო, ხომ იცი, მხოლოდ მე შემძლია აქ შესვლა, სხვებისთვის ეს შეუძლებელია.

თუმცა ტანკრედის დაყოლიება ადვილი არ იყო:

– კი მაგრამ, ძია, გუშინ ბიბლიოთეკაში დაარსების აქტი გადავიკითხე: „შესვლა შეუძლია სალინას პატრონსა მასთან ერთად ამალის ორ წარჩინებულ მხლებელს, თუკი აბატისა ამის ნებას დართავს“. შენი ამალის წევრი ვიქნები, შენი საჭურველმტვირთველი, ან რაც გინდა. სთხოვე აბატისას, გეხვეწები.

ურჩევულო სითბოთი ლაპარაკობდა. იქნებ ის სურდა, ვილაცას დავინყნოდა წინა საღამოს შეუფერებელი საუბრები. დონ ფაბრიციოს გული მოუღბა:

– თუ ასეთ მნიშვნელობას ანიჭებ, შევეცდები, ჩემო კარგო... მაგრამ კონჩეტამ თავისი უტკბილესი ღიმილით მიმართა მამიდაშვილს:

– ტანკრედი, როცა მოვდიოდით, ჯინესტრას სახლის წინ მინაზე დაგდებული მორი დავინახე. ნადი, მოიტანე და უფრო მალე შეხვალ.

ტანკრედის ცისფერი თვალები მოიქუფრა და სახეც ყაყაჩოსავით გაუნითლდა, არავინ იცის სირცხვილისა თუ სიბრაზისაგან. რალაცის თქმა უნდოდა განცვიფრებული დონ ფაბრიციოსთვის, მაგრამ კონჩეტა ამჯერად ღიმილის გარეშე და ბოროტი ხმით ჩაერია:

– თავი გაანებე, მამა. ხუმრობს. დედათა მონასტერში ერთხელ უკვე იყო და ეს უნდა იკმაროს. აქ, ჩვენსაში კი სამართლიანი არ იქნება მისი შესვლა.

ამასობაში კი ურდულების გრუხუნით გაიხსნა კარი. დახუთულ სასტუმრო ოთახში მონასტრის შიდა ეზოს სიგრილე და შეჯგუფულ მონაზონთა წყნარი საუბრის ხმა შემოვიდა. მოსალაპარაკებლად უკვე გვიანი იყო და ტანკრედისაც მონასტრის წინ სეირნობა შერჩა გავარვარებული ცის ქვეშ.

სტუმრობა შესანიშნავი გამოდგა. დონ ფაბრიციოს, თავი რომ არ შეეწუხებინა, არ უკითხავს კონჩეტასათვის მისი სიტყვების მნიშვნელობა. შეჭველად ბიძაშვილ-მამიდაშვილის რალაც ჩვეულებრივი ნაკინკლავება უნდა ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, მათი ბუტიაობა ამორებდა საზრუნავს, გულის გამანვრილებელ საუბრებს, მისაღებ გადაწყვეტილებებს, ამიტომაც სასურველი იყო. ნეტარი კორბერას საფლავს მონინებით სცეს თაყვანი, მონაზონთა მსუბუქი ყავა მოთმინებით დალიეს და ნუშის მოვარდისფრო და მომწვანო ნამცხვრებიც კმაყოფილებით მოციცქნეს. დიდმა ქალბატონმა გარდერობი მოინახულა, კონჩეტა ჩვეული თავდაჭერილი კეთილგანწყობით გაესაუბრა მონაზვნებს, თვითონ თავადმა კი სატრაპეზოს მაგიდაზე ოცი უნცია დატოვა, რომელსაც ყოველ ჯერზე სწირავდა მონასტერს. მართალია, გამოსვლისას მარტო პადრე პირონე ნახეს, მაგრამ მან თქვა, რომ ტანკრედიმ სასწრაფოდ დასაწერი წერილი გაიხსენა და შინ ფეხით დაბრუნდაო. ასე რომ, ამაზე არავინ შენუხებულა.

* * *

სასახლეში დაბრუნებული თავადი ბიბლიოთეკაში ავიდა, ეს ოთახი ზუსტად ფასადის ცენტრში იყო განლაგებული, საათისა და მეხამრიდის ქვეშ. ვრცელი და პაპანაქების გამო დახშული აივნის გადაღმა დონაფუგატას მოედანი მოჩანდა: ფართო, მტვრიანი ქადრებით დაჩრდილული. მოედნის საპირისპირო მხარეს აღმართული სახლები ჯიუტად მისჩერებოდნენ ადგილობრივი არქიტექტორის მიერ ვნებიანად მოხატული ფასადებით. ჟამთასვლით გაპრიალებული რბილი ქვით ნაშენი სოფლური ურჩხულები დაგრეხილიყვნენ პანანინა აივნების სიმძიმის ქვეშ. სხვები, მათ შორის კი დონ კალოჯეროს კუთ-

ვნილი სახლი, ამპირის სტილში გადანყვეტილი მორცხვი ფასადების უკან იმალებოდა.

დონ ფაბრიციო ბოლთას სცემდა ვეებერთელა ოთახში. ზოგჯერ, გზადაგზა თვალს გააპარებდა მოედნისაკენ: იმ მერხებიდან ერთ-ერთზე, რომლებიც მან ქალაქის მერიას აჩუქა, სამი ბერიკაცი იხრუკებოდა მზეზე. ათიოდე ქუჩის ბიჭს ხელში ხის ხმლები ჩაებლუჯა და ერთმანეთს დასდევდა. იქით კიდევ, ხეზე ოთხი ჯორი იყო მიბმული. მზის სისასტიკეს მინდობილ ამ სანახაობაზე უფრო სოფლურს ვერაფერს ნახავდა თვალი. მაგრამ ფანჯრის წინ ერთ-ერთი გავლისას თავადის მზერა ამკარად ქალაქურმა ფიგურამ მიიპყრო: ნელგამართულმა, მოხდენილმა, კარგად ჩაცმულმა. დონ ფაბრიციომ თვალი მოჭუტა: ტანკრედი იყო. შორ მანძილზეც იცნო დამრეცი მხრებით, რედინგოტში გამოკვართული წვრილი წელით. სამოსი გამოეცვლა. ყავისფერი აღარ ეცვა, როგორც სანტო სპირიტოში, ახლა პრუსიული ლურჯი ემოსა, „ჩემი ყველაზე მაცდური ფერი“, როგორც თვითონ ამბობდა. ხელშიც მომინანქრებულთავიანი სტეკი ეჭირა (ზედ ალბათ ფალკონერების მარტორქა იყო გამოსახული და დევიზი – *Semper purus*).²⁴ კატასავით მსუბუქი ნაბიჯით მიდიოდა, უეჭველად, ფეხსაცმლის დამტვერიანებას ერიდებოდა. ათიოდე ნაბიჯით უკან ლაქია მისდევდა და ხელში ბაფთით შეკრული კალათი ეპყრა, რომელშიც რამდენიმე მოყვითალო და ლოყანითელი ატამი ელაგა.

თავი აარიდა ქუჩის ბიჭს, ფრთხილად აუარა გვერდი ჯორის დატოვებულ გუბეს. სედარას სახლის კარებთან შეჩერდა.

²⁴ მუდამ უმანკო (ლათ.).

III ოქტომბერი 1860

სანადიროდ გასვლა – დონ ფაბრიციოს ნუხილი – ტანკრედის
წერილი – ნადირობა და პლებისციტი – დონ ჩიჩო ტუმეო
აღშფოთდა – როგორ უნდა გადაყლაპო ბაყაყი – მცირე ეპილოგი

წვიმა მოვიდა, წვიმამ გადაიღო. მზეც კვლავ ავიდა ტახტზე, როგორც აბსოლუტური მონარქი, რომელიც ქვეშევრდომთა ბარიკადებს ერთი კვირით განშორების შემდეგ უბრუნდება მეფობას – ჯერაც ნარბეჟკრული, მაგრამ საკონსტიტუციო საბუთებით რამდენადმე შებორკილი. სითბო აღხენდა და არ წვავდა, სინათლე ხელმწიფებდა, მაგრამ ფერებს არ ახუნებდა. მიწიდან ფრთხილად იჭყიტებოდნენ სამყურები და პიტნის მორიდებული ყლორტები, ადამიანების სახეებზე კი გაუბედავი იმედი აღბეჭდილიყო.

დონ ფაბრიციო ორი ძალის, ტერეზინასა და არგუტოს, და დონ ჩიჩო ტუმეოს თანხლებით ხანგრძლივ დროს ნადირობაში ატარებდა განთიადიდან ნაშუადღევამდე. დახარჯული ძალები შედეგს ვერანაირად ვერ ეფარებოდა, რადგანაც ყველაზე გამოცდილ მსროლელსაც გაუჭირდება თითქმის არარსებული ნადირის მოკვლა. ისიც დიდი საქმე იყო, თუ დაბრუნებული თავადი სამზარეულოში ერთ წყვილ კაკაბს მოიტანდა, და დონ ჩიჩოც თავის თავს იღბლიანად რაცხდა, თუ მაგიდაზე ერთ ცალ გარეულ ბოცვერს დააბერტყებდა, რომელიც *ipso facto*²⁵ კურდღლის ხარისხში აჰყავდათ, როგორც ეს ჩვენში სჩვევიათ.

მაგრამ ნანადირევის სიუხვე თავადისათვის მთავარი სიხარული არ იყო. ნადირობაში გატარებული დღეების სიამე, მრავალ უმცირეს ეპიზოდად დაქუცმაცებული, სხვადასხვა ადგილას იყო განაწილებული. ყველაფერი ჯერ კიდევ ბინდით მოცულ ოთახში წვერის პარსვით იწყებოდა, როცა სანთლის ნათელი ყოველ ჟესტს მკვეთრად გამოსახავდა არქიტექტორის მოხატულ ქერზე. ამის შემდეგ შეგრძნება კიდევ უფრო მძაფრდებოდა ჩაძინებულ დარბაზებში გასვლისას, როცა მოცახ-

²⁵ თვით ფაქტის ძალით (ლათ.).

ცახე შუქზე გვერდი უნდა აეველო მაგიდებისთვის ზედ დაყრილი ბანქოს ქალღმერთით, ყეტონებით, ცარიელი ჭიქებით, და ამ უნესრიგობაში უეცრად პიკის ვალეტის მზერას ნაანყდებოდა, ნადირობის წინ მამაკაცურად რომ უსურვებდა წარმატებას. მერე კიდევ, როცა გარინდებულ ბაღში გადიოდა, სადაც ალიონზე გაღვიძებული ჩიტები ბუმბულიდან ცვარს იბერტყავდნენ, როცა სუროთი დაფარული ჭიშკრის ვინრო ღრიჭოში ძვრებოდა ჩუმად, ერთი სიტყვით, როცა შინიდან გარბოდა რიჟრაჟის ნათელში ჯერაც უმანკო შარაგზისკენ, სადაც უკვე ელოდა და შიგადაშიგ სიყვარულით შეუქურთხებდა ხოლმე ძაღლებს გაყვითლებულ უღვაშებში მოცინარი დონ ჩიჩო. ძაღლებს კი ხავერდოვანი ქურქის ქვეშ კუნთები მოუთმენლობისგან უთამაშებდათ. ვენერაც ბრწყინავდა, როგორც კანგაცლილი და სველი ყურძნის მარცვალი, და ჰორიზონტის საზღვარს ქვემოდან თითქოსდა უკვე მოისმოდა მოახლოებული მზის ეტლის გრიალი. მალე ცხვრის ადრიანად გამოსული ფარებიც ხვდებოდათ, ზღვის მოქცევასავით გაბრუებულნი რომ მოედინებოდნენ ტყავით მოსილი მწყემსების ნასროლი ქვებით დევნილნი. სანმისი რბილად და მოვარდისფროდ ანათებდა მზის პირველი სხივების ძალით. ამ დროს საჭირო იყო ფარის ნაგაზებსა და მეძებარ ძაღლებს შორის ატეხილი ბოროტი ღავღავის დაცხრობა და ამ გამაყრუებელი ინტერმეცოს მერე მონადირეები გზიდან უხვევდნენ, აღმა მიუყვებოდნენ ფერდობს და მაშინვე პასტორალური სიცილიის უხსოვარ მდუმარებაში ინთქმებოდნენ. იმნამსვე შორდებოდნენ ყოველივეს სივრცეში და კიდევ უფრო მეტად – დროში. დონაფუგატა, თავისი სასახლითა და ნუფორიშებით სულ რაღაც ორი მილის მანძილზე იყო, მაგრამ მისი ხსოვნაც კი ნაშლილიყო, იმ მქრქალი პეიზაჟების მსგავსად, რომლებიც ხანდახან მოჩანს სარკინიგზო გვირაბის შორეული სანათურიდან. დონაფუგატას ნუხილიცა და ფუფუნებაც ახლა წარსულს რომ ჩაბარებულიყო, ამაზე მეტად უმნიშვნელო არ იქნებოდა, რადგანაც ამ ხელუხლებელი არემარის უცვლელობასთან შედარებით ის ყოველივე თითქოსდა მომავალს ეკუთვნოდა, თითქოსდა ქვისა და ხორცისგან კი არ იყო შედგენილი, არამედ ვიღაც სოფლელი პლატონის უტოპიურ აზროვნებას შეეკერა სიზმრად ნანახი მომავლის ქსოვილისაგან და რაღაც

უსასრულო მცირე შემთხვევითობის წყალობით შეიძლება სრულიად სხვა ფორმებიც მიეღო, ან სულაც არ არსებულებო. ამ წუხილსა და მწუხარებას უკვე აღარ გააჩნდა ენერგეტიკული მუხტის ის უმცირესი რაოდენობაც კი, რომელსაც ჯერაც შეიცავს წარსულის ყოველი საგანი თუ საქმე, ამიტომ შემანუხებელიც არ იყო.

* * *

წუხილი კი ბევრი შეხვდა დონ ფაბრიციოს ბოლო ორი თვის განმავლობაში: ისე დაეხვია ყოველი მხრიდან, როგორც ჭიანჭველები – მკვდარ ხვლიკს. ზოგი პოლიტიკური ვითარების ბზარებიდან გამოძვრა, სხვები კიდევ სხვათა ვნებებიდან დაესხა თავს. ყველაზე მწვავე წუხილი კი საკუთარი ბუნების სიღრმიდან აღმოცენდა, ანუ მისი ირაციონალური რეაქციიდან პოლიტიკასა და ახლობელთა ახირებებზე (გალიზიანების ჟამს ახირებებს ეძახდა იმას, რასაც სიმშვიდის წუთებში ვნებებად მოიხსენიებდა). თანაც ყოველდღე განიხილავდა ხოლმე ამ წუხილებს – ხან ერთ რიგად დაწყობას უბრძანებდა, ხან მწკრივში ჩამოარიგებდა თავისი გონების სააღლუმო მოედანზე – იმედი ჰქონდა, რომ მათ განვითარებაში მიზანმიმართულების რაიმე კვალს აღმოაჩენდა, რაც მის წუგეშისცემას შეძლებდა. არ გამოსდიოდა. გასულ წლებში ეს უსიამოვნებები ნაკლები იყო და, ყოველ შემთხვევაში, დონაფუგატაში ცხოვრება დასვენების პერიოდს წარმოადგენდა: მონოლილი დარდები თოფ-იარაღს ყრიდნენ, ხრამებივით განტოტილ ხეობებში იბნეოდნენ, პურისა და ყველის ჭამას მონატრებულნი მშვიდდებოდნენ, მათი უნიფორმის საომარ იერს ივინყებდნენ და უწყინარ გლექსაცებს ემსგავსებოდნენ. წლეულს კი იარაღასმული ამბოხებულები და აყაყანებულები ჯარივით შეკრებილიყვნენ მის სახლში და ისეთივე ყრუანტილს ჰგვრიდნენ, როგორიც სარდალს უვლის ხოლმე, როცა თავის წინ მდგარ ლეგიონს უბრძანებს – „გაიშალე!“ – და ხედავს, რომ ლეგიონი უწინდელზე უფრო შეკრულია და მუქარით აღსავსე.

სასულე ორკესტრი, პეტარდები, ზარები, ვერდის „ტრავიატა“ და თე ეუმ ჩამოსვლისას – ეს ერთია. მაგრამ ამის შემდეგ ფრაკში გამონყოფილი დონ კალოჯეროს სახით მისი სასახლის კიბეებზე ამოსული ბურჟუაზიული რევოლუცია, კონჩეტას

ქედმაღალი მშვენიერების დამჩაგვრელი ანჯელიკას სილამაზე და მოვლენათა სავარაუდო განვითარების წინმსწრები ტანკრედის გრძნობიერი გატაცება საშუალებას აძლევდა უფრო რეალისტური მოტივებისთვის ჩაეველო ხელი. პლებისციტთან დაკავშირებული მღელვარება და ორაზროვნება, ათასი ცბიერება, რომლის წინაშე მას, ლეოპარდს, უნდა მოეხარა ქედი, თუმცა კი მრავალი წლის განმავლობაში თათის ძალუმი მოქნევით იგერიებდა ყველა სიძნელეს.

ტანკრედი უკვე თვეზე მეტია წასული იყო და ახლა კაზერტაში იმყოფებოდა, თავისი მეფის აპარტამენტებში დაბანაკებული. იქიდან უგზავნოდა დროდადრო წერილებს დონ ფაბრიციოს, რომლებსაც იგი ერთმანეთს ჩანაცვლებული ღიმილითა და ღრენით კითხულობდა, მერე კი საწერი მაგიდის შორეულ უჯრაში ინახავდა. კონჩეტასათვის ტანკრედის არასოდეს მოუწერია, მაგრამ არასოდეს დავინწყებია ჩვეული მოსიყვარულე მოკითხვა. ერთხელ ისიც კი მოიწერა, ხელებს ვუკოცნი ლეოპარდის ყველა ძუ ბოკვერს, განსაკუთრებით კი კონჩეტასო. ეს წინადადება მამობრივი სიფრთხილის ცენზურამ გამოტოვა ოჯახის წინაშე ხმამაღალი კითხვისას. ანჯელიკა თითქმის ყოველდღე სტუმრობდა, წინანდელზე კიდევ უფრო მომხიბვლელი, ხან მამისა და ხანაც ვილაც თვალმარჩხი მოახლის თანხლებით. ოფიციალურად ეს ვიზიტები მის მეგობრებს, თავადის ქალიშვილებს ეკუთვნოდა, მაგრამ ყველა ამჩნევდა, რომ მათ უკვე მიაღწიეს იმ მწვერვალს, რომლის სიმაღლიდან უკვე მოისმოდა თითქოსდა გულგრილი შეკითხვა: „თავადისა კი რა ისმის?“. ეს სიტყვა – „თავადი“ – ანჯელიკას პირიდან, ვაი რომ, დონ ფაბრიციოს კი არ აღნიშნავდა, არამედ იმ ლაწირაკს, გარიბალდელთა კაპიტანს. ეს ყოველივე სალინას გულში იწვევდა საკვირველ შეგრძნებას, რომელიც გრძნობიერი შურის ტილოთი და ძვირფასი ტანკრედის წარმატების გამო სიხარულის აბრეშუმით იყო მოქსოვილი. საბოლოო ჯამში ერთობ უსიამოვნო გრძნობა იყო. შეკითხვას კი ყოველთვის თვითონ პასუხობდა: ძალიან დაფიქრებულად მოუთხრობდა, რაც იცოდა, ცდილობდა, გადმოეცა საგულდაგულოდ შელამაზებულ ამბავთა თაიგული, რომელსაც მზრუნველი სასხლავით აცლიდა როგორც ეკლებს (ნეაპოლში ხშირი მგზავრობის ამბებს, სან კარლოს თეატრის ბალერინა

ავრორა შვარცვალდის ლამაზ ფეხებზე არაორაზროვან მი-
ნიშნებებს), ასევე ნაადრევ კვირტებსაც („მომწერე რაიმე სი-
ნიორინა ანჯელიკაზე“, „ფერდინანდო II-ის კაბინეტში კიდია
ანდრეა დელ სარტოს ერთი მადონა, რომელმაც სინიორინა
სედარა მომაგონა“). ამგვარად, ტანკრედის მეტად უმარილო
გამოსახულება იძერწებოდა, სიმართლეს მოშორებული, მაგ-
რამ ასე არავინ დააბრალებდა არც ენამწარობას და არც მა-
ჭანკლობას. ეს სიტყვიერი ღონისძიებები სრულიად შეესაბა-
მებოდა თავადის პირად დამოკიდებულებას ტანკრედის კარ-
გად მოფიქრებულ ვნებებთან, მაგრამ მაინც აღიზიანებდა,
რადგანაც ღლიდა. ბოლოს და ბოლოს, ეს ყველაფერი მხო-
ლოდ ერთ-ერთი მაგალითი იყო ენისა და ქცევის იმ ასეულო-
ბით ხრიკისა, რომლის გამოგონებაც აიძულა ბოლოდროინ-
დელმა გარემოებებმა. წინა წლის ვითარებას მისტიროდა, რო-
ცა ყველაფერს ამბობდა, რაც კი თავში მოუვიდოდა, და დარ-
წმუნებული იყო, რომ ყოველი სისულელე ლამის სახარების
სიტყვად, ყოველი უზრდელობა კი თავადურ უდარდელობად
იქნებოდა მიღებული. წარსულზე დარდს გადაყოლილი, უა-
რეს ხასიათზე ყოფნისას კიდევ უფრო შორ მანძილზე გაუყვე-
ბოდა ხოლმე ამ საშიშ გზას. ერთხელ, როცა ანჯელიკას მიერ
მონოდებულ ჩაის ფინჯანში შაქარს ურევდა, აღმოაჩინა, რომ
შურს იმ შესაძლებლობებისა, რომლებითაც სამი საუკუნით
ადრე მცხოვრები კორბერა და ფალკონერი საგრებლობდნენ,
რადგან მღვდლის კურთხევისა და სოფლის ისედაც უმზითვო
გოგოებზე ყოველგვარი დარდის გარეშე შეეძლოთ იმდროინ-
დელი ანჯელიკების ლოგინში ჩაგორება. არც მათ პატივცე-
მულ ბიძებს მოუხდებოდათ ბენვის ხიდზე გასვლა და იმაზე
ფიქრი, რა ეთქვათ და რა არა. ამ ატავისტური ავხორცობის
იმპულსი (რომელიც, კაცმა რომ თქვას, ავხორცობა კი არა,
უფრო სიზარმაცის გრძნობიერი გამოხატულება იყო) იმდე-
ნად ძლიერი იყო, რომ ეს ორმოცდაათი წლის დარბაისელი და
ცივილიზებული კაცი განითლდა კიდევ, ხოლო მის სულს,
თუმც კი მრავალი ფილტრით იყო დაცული, ბოლოს და ბოლოს
იმდენად შერცხვა, რომ რუსოსეული ღრმა ქენჯნის ელფერი
დაეტყო. ყოველივე ამას კიდევ უფრო მწვავე ზიზლი მოჰყვა იმ
სოციალური კონიუნქტურისა, რომელში ფეხის ჩადგმაც აი-
ძულა ცხოვრებამ.

იმ დილით განსაკუთრებით მწვავე იყო სავარაუდოზე უფრო სწრაფად განვითარებულ გარემოებათა ტყვეობაში ყოფნის შეგრძნება. მართლაც, წინა საღამოს, კურიერმა, რომლის საშუალებითაც დროდადრო ყოველგვარი განრიგის გარეშე აღწევდა დონაფუგატაში იშვიათი ფოსტა, ტანკრედის წერილი ამოიტანა.

ჯერ კიდევ ნაკითხვამდე ამ უსტარმა საკუთარი მნიშვნელობა ძვირადღირებული ქალაღდის პრიალა ფურცლებითა და მკაფიო და ჰარმონიული კალიგრაფიით განაცხადა. იმნამსვე აშკარა იყო, რომ ეს ვინ იცის რამდენი უნესრიგო ჩანანერის საგულდაგულოდ შედგენილი „თეთრი“ ასლია. თავადი წერილში აღარ მოიხსენიებოდა როგორც „ძია“ – წოდება, რომელიც ასე უყვარდა, – არამედ როგორც „ძვირფასი ბიძა ფაბრიციო“. ეს ფორმულა მრავალი ღირსების შემცველი იყო: თავიდანვე გამორიცხავდა ხუმრობის ყოველგვარ ეჭვს, წინასწარ წარადგენდა იმის მნიშვნელობას, რაც შემდეგ იყო დაწერილი, უფლებას იძლეოდა, რომ საჭიროების შემთხვევაში უსტარი ნებისმიერი პირისთვის ყოფილიყო ნაჩვენები, და ბოლოს, ეყრდნობოდა უძველეს რელიგიურ ტრადიციას, რომელიც მოითხოვდა ზუსტად ეხსენებინათ მისი სახელი, ვისადმიც იყო მიმართული ვედრება.

ამრიგად, „ძვირფას ბიძას, ფაბრიციოს“, აუნყებდნენ, რომ მისი „სიყვარულით აღსავსე და უერთგულესი დისწული“ უკვე სამი თვის განმავლობაში უძლიერესი სიყვარულით იყო შეპყრობილი და რომ ვერც „ომის ხიფათმა“ (იგულისხმება კაზერტას პარკში სეირნობა), ვერც „დიდი ქალაქის მრავალმა საცთურმა“ (იგულისხმება ბალერინა შვარცვალდის სილამაზე) ვერ შეძლო მისი გონებიდან და მისი გულიდან სინიორინა ანჯელიკა სედარას ხატების თუნდაც ერთი წუთით განდევნა. ამას მოსდევდა სიყვარულის საგნის მშვენიერების, სინატიფის, სიქველისა და გონიერების საქებარ ზედსართავ სახელთა გრძელი პროცესია. მეღნითა და გრძნობებით სუფთად გამოყვანილი მონასმების საშუალებით იუნყებოდა წერილი, რომ თვით ტანკრედი, თავისი უღირსობის სრული შეგნებით, არაერთხელ ცდილა ვნებათა სახმილის ჩახშობას (ხანგრძლივი და ამაო აღმოჩნდა საათები, რომელთა განმავლობაში ხან

ნეაპოლის ხმაურით, ხანაც ჩემი მებრძოლი მეგობრების მკაცრი თავშეკავებით გარემოცული ვცდილობდი გრძნობების დაოკებას“). მაგრამ ბოლოს და ბოლოს სიყვარულმა იმძლავრა და ტანკრედიც ვევედრებოდა ძვირფას ბიძას, გამოეჩინა კეთილგანწყობა და ეთხოვა სინიორინა ანჯელიკას ხელი „მისი უპატივცემულესი მამისათვის“.

„შენ იცი, ბიძავ, რომ მე არ შემიძლია ჩემს საყვარელ ქალს შევთავაზო რაიმე ჩემი ტრფობის, ჩემი სახელისა და ჩემი დაშნის გარდა“. ამ ფრაზის შემდეგ, რომელთან დაკავშირებითაც არ უნდა დავივინყოთ, რომ იმ დროს რომანტიზმის სრული აყვავების ხანა იყო, ტანკრედი ეძლეოდა ხანგრძლივ მსჯელობას ფალკონერისა და სედარას ოჯახთა შორის დანათესაების მიზანშეწონილობასა და აუცილებლობაზეც კი (ერთგან იმდენი გამბედაობაც კი გამოიჩინა, რომ „სედარას საგვარეულო“ დანერა), რადგან ამგვარად ძველ გვარებს ახალი სისხლი შეემატებოდა, ხოლო საზოგადოებრივი ნოდებებიც ახალ დონეებზე განლაგდებოდა, რაც იმხანად იტალიაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესის ერთ-ერთი მიზანი იყო. ეს წერილის ერთადერთი ნაწილი იყო, რომელიც დონ ფაბრიციომ სიამოვნებით წაიკითხა, არა მარტო იმიტომ, რომ მის ვარაუდებს ადასტურებდა და თავზე წინასწარმეტყველის გვირგვინს ადგამდა, არამედ იმიტომაც, რომ ნაგულისხმები ირონიით გაჯერებული სტილი კვლავ მომნუსხველად წარმოუდგენდა თვალწინ დისწულს, მის ცხვირისმიერ ხმას, ცდუნებით გამკვესავ მოციხეფრო თვალებს, მორიდებულ ჩაცინებას. და როცა დონ ფაბრიციომ შეამჩნია, რომ ეს იაკობინური პასაჟი ზუსტად იყო განლაგებული ცალკე ფურცელზე ისე, რომ ამ რევოლუციური მონაკვეთის გამოტოვებითაც შესაძლებელი ყოფილიყო წერილის წაკითხვა, ტანკრედის ტაქტიანობით აღფრთოვანებამ ზენიტს მიაღწია. ამის შემდეგ წერილში მოკლედ იყო მოთხრობილი ომის უკანასკნელი მოვლენები, იგი გამოთქვამდა რწმენას, რომ წლის ბოლომდე მიღწეულ იქნებოდა რომი – „ახალი იტალიის ნილხვედრი უავგუსტესი დედაქალაქი“, გულითად მადლიერებას აცხადებდა წარსულში მიღებული მზრუნველობისა და სიყვარულისათვის, დასასრულს კი პატიებას ითხოვდა იმ გამბედაობისთვის, რადგანაც ბიძას ეკისრებოდა მოვალეობა, „რომელზეც დამოკიდებუ-

ლია ჩემი მომავალი ბედნიერება". ამას მოკითხვა მოსდევდა (მხოლოდ ბიძისა).

ამ საგულისხმო პროზაული მაგალითის პირველმა ნაკითხვამ ერთგვარად თავბრუ დაახვია დონ ფაბრიციოს. კვლავ შენიშნა ისტორიის გასაოცარი დაჩქარება. დღევანდელი ტერმინები რომ გამოვიყენოთ, დონ ფაბრიციოს ისეთი კაცის სულიერი მდგომარეობა შეექმნა, რომელსაც ეგონა, რომ პალერმოსა და ნეაპოლს შორის მოფარფატე ერთ-ერთ პატარა თვითმფრინავში ჩაჯდა, მაგრამ მოულოდნელად თავი ამოჰყო ზებგერით საფრენ აპარატში და მიხვდა, რომ ძლივს ეყოფოდა დრო პირჯვრის გადასაწერად. თავადის პიროვნების მეორე, მოსიყვარულე ფენამაც გამოიჭყიტა სიღრმიდან და დონ ფაბრიციოს გაუხარდა ტანკრედის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ერთდროულად მიეღწია ეფემერული ხორციელი კმაყოფილებისა და მარადიული ეკონომიკური უზრუნველობისთვის. ცოტა ხნის შემდეგ კი შენიშნა წარმოუდგენელი ამპარტავნება ჭაბუკისა, რომელიც საკუთარ სურვილს ანჯელიკასაგან უკვე მიღებულად მიიჩნევდა. მაგრამ საბოლოოდ, ყველა ეს ცალკეული შეგრძნება შთაინთქა დამცირებულობის უძლიერეს შეგრძნებაში იმის გამო, რომ თავადი იძულებული შეიქნებოდა დონ კალოჯეროსთან ერთად განეხილა ესოდენ ინტიმური საგნები და ხვალვე მისჯდომოდა მოლაპარაკების მაგიდას ისეთი სიფრთხილითა და წინასწარი განსჯით, რომელიც ზიზღით ავსებდა მის ლომურ ბუნებას.

წერილის შინაარსი დონ ფაბრიციომ მხოლოდ მეუღლეს გააცნო, როცა უკვე ლოგინში იწვნენ შუშის აბაჟურით დაფარული ზეთის პატარა ლამპრის მოცისფრო ნათელში. მარიასტელას სიტყვა არ დაუძრავს, მაგრამ გამალებით იწერდა პირჯვარს. შემდეგ კი განაცხადა, რომ მარჯვენა ხელის ნაცვლად, მარცხენათი უნდა გადაეწერა პირჯვარი. ამ უცნაური განცხადების შემდეგ კი მჭევრმეტყველების ნამდვილი ქარიშხალი დაატრიალა. ლოგინში წამოჯდა და თითებით მოჰყვა საბნის წვალებას, გავარვარებული ჩირაღდნების მონითალო აღის მსგავსი სიტყვები ჩაკეტილი ოთახის მთვარისებრ ატმოსფეროს ცხრილავდა.

– მე კიდევ იმედი მქონდა, რომ კონჩეტას შეირთავდა! მოლაღატე და ორგულია, როგორც მისი ჯურის ყველა ლიბერა-

ლი. ჯერ მეფეს უღალატა, ახლა კი ჩვენ გვღალატობს! იმ თავისი ყალბი სახით, დათაფლული სიტყვებითა და მოშხამული საქმეებით! აი, რა ხდება, როცა არანმინდა სისხლის ხალხი შემოგყავს შინ! – აქ კი ოჯახური სცენების მძიმე კავალერია გამოიყვანა ბრძოლის ველზე. – მე ყოველთვის ვამბობდი ამას, მაგრამ ვინ მისმენდა?! ვერასოდეს ვიტანდი ამ არამზადას. შენ კი მუდამ ჭკუას კარგავდი მასზე!

სინამდვილეში დიდი ქალბატონიც მოხიბლული იყო ტანკრედის ეშხით. მასაც უყვარდა ქმრის დისნული. მაგრამ ადამიანისთვის არ არსებობს იმაზე დიდი სიამოვნება, ვილაცას ნამოაძახხოს – „შენი ბრალია!“ – ამიტომაც ამ სიამოვნებას შეენირა ყველა ჭეშმარიტება და ყველა გრძნობა.

– ახლა კი ეგ უნამუსო იმასაც ბედავს, რომ შენ, საკუთარ ბიძას, თავად სალინასა და ასგზის საკუთარ ბატონს, იმ საბრალო არსების მამას, რომელიც თვითონ მოატყუა, გავალებს, ეს უღირსი საქმე მოუგვარო იმ შარახვეტიასთან, იმ ბოზის მამასთან! შენ ეს არ უნდა ქნა, ფაბრიციო, არ უნდა ქნა და არც იზამ და არ უნდა ქნა!

ხმა გამყივანი გაუხდა, სხეული დაეძაბა. დონ ფაბრიციომ, ჯერ კიდევ გულაღმა წამოწოლილმა, თვალი გვერდზე გააპარა, რომ დარწმუნებულიყო – ვალერიანის წვეთები კომოდზე იდგა. ბოთლიც იქ იყო და ვერცხლის კოვზიც განივად იდო საცობზე. ოთახის მოლურჯო ბინდბუნდში ბოთლი და კოვზი ისტერიული გრიგალის წინააღმდეგ აღმართულ სანუგეშო შუქურასავით ლაპლაპებდა. ერთი პირობა, ადგომა და ალება იფიქრა, მაგრამ ისიც სანოლში წამოჯდომით დაკმაყოფილდა. ასე თავისი ღირსების ნაწილი შეინარჩუნა:

– სტელუჩა, ზედმეტ სისულელეებს ნუ იტყვი. რას ამბობ, არ იცი. ანჯელიკა ბოზი არაა. შეიძლება ოდესმე გახდეს, მაგრამ ახლა ისეთივე ყმანვილი ქალია, როგორც ბევრი სხვა. სხვებზე ლამაზია და ალბათ ტანკრედიზე ცოტათი შეყვარებული, როგორც ყველა. თანაც ფული ექნება. რა თქმა უნდა, ძირითადად ჩვენი ფულია, მაგრამ დონ კალოჯეროს მიერ ძალიან კარგად დატრიალებული. ტანკრედის კი ეს ძალიან სჭირდება: ნამდვილი სინიორია, ამბიციებიც აქვს და ხარჯვაც უყვარს. კონჩეტასთვის არასოდეს უთქვამს არაფერი. უფრო მეტიც, რაც აქეთ გადმოვედით, თვით კონჩეტა ექცეოდა ძალღი-

ვით. თან მოლალატეც არ ეთქმის: უბრალოდ, დროს მიჰყვება. პოლიტიკაშიც და პირად ცხოვრებაშიც. რაც მე ვიცნობ, ყველაზე საყვარელი ბიჭია. შენც ჩემსავით იცი ეს, სტელუჩა.

ხუთი ვებერთელა თითი შემოეჭდო დიდი ქალბატონის ციცქნა თავისქალას. ქალბატონი ქვითინებდა. ჭკუა იხმარა და ერთი ყლუპი ცივი წყალი მოსვა. ამიტომაც მრისხანების ცეცხლი ახლა ბოლმის სიმწარედ ექცა. დონ ფაბრიციოს იმედი მიეცა, რომ თბილი ლოგინიდან ადგომა და ფეხშიშველს უკვე საკმაოდ აგრილებული ოთახის გადაჭრა არ დასჭირდებოდა. მომავალი სიმშვიდის განსამტკიცებლად გათამაშებული რისხვის ნილაბი აიფარა:

– და მერე, არ მსურს ყვირილი გავიგონო ჩემს სახლში, ჩემს ოთახში, ჩემს სანოლში! აღარ გამაგონო ეს „არ ქნა“ და „არ იზამ“! აქ მე ვიღებ გადანყვეტილებებს. ჰოდა, უკვე გადავწყვიტე! ჯერ კიდევ მაშინ, როცა შენ არც კი გესიზმრებოდა! მორჩა და გათავდა!

ყვირილის მოძულე თვითონ ყვიროდა თავის უზარმაზარ მკერდში დაგროვილი სუნთქვის მთელი ძალით. იქნებ ის ეგონა, რომ ისევ მაგიდას უჯდა: მუშტი პირდაპირ მუხლზე დაირტყა, იტკინა და თვითონაც დაწყნარდა.

შეშინებული ცოლი საფრთხეში ჩავარდნილი ლეკვივით ნკმუტუნებდა.

– ახლა დავიძინოთ. ხვალ სანადიროდ მივდივარ და ადრე ვარ ასადგომი. კმარა! რაც გადაწყდა, გადაწყდა. ძილი ნებისა, სტელუჩა.

ცოლს აკოცა: ჯერ შუბლზე, შესარიგებლად, მერე ტუჩებში, სიყვარულის ნიშნად. კვლავ ჩანვა ლოგინში და კედლისკენ გადაბრუნდა. აბრეშუმგადაკრულ კედელზე მისი განოლილი ჩდრილი მტრედისფერ ჰორიზონტზე განფენილი უღელტეხილის სილუეტით მოჩანდა.

სტელუჩამაც მოიკალათა თავის ადგილას და როცა მისი მარჯვენა ფეხი თავადის მარცხენა ფეხს შეეხო, თავი სრულიად მშვიდად და ამაყად იგრძნო იმის გამო, რომ ასეთი ენერგიული და გულზვიადი მამაკაცი იყო მისი ქმარი. რაში ედარდებოდა ტანკრედი... და კონჩეტაც...

სამართების პირზე ეს სეირნობა სხვა აზრებთან ერთად დროებით სრულიად შეწყდა სოფლის სურნელოვან არქაულობაში, თუ ამგვარად შეიძლება დავახასიათოთ ის ადგილები, სადაც დონ ფაბრიციო ხშირად ნადირობდა ხოლმე. ტერმინი „სოფელი“ ადამიანის მიერ გარდაქმნილ მინას გულისხმობს, მთის ფერდობებზე აცოცებული ტყე კი ზუსტად იმავე მდგომარეობაში იმყოფებოდა, როგორშიც სიცილიაზე, ანტიკური ხანის ამ ამერიკაზე მოხვედრილ ფინიკიელებს, დორიელებს, იონიელებს დახვდა. დონ ფაბრიციო და ტუმეო ფერდობს ხან აღმა აუყვებოდნენ, ხანაც – დაღმა. ეკლებიც ისევე კანრავდნენ, როგორც ოცდახუთი საუკუნით ადრე რომელიმე დაღლილ-დაქანცულ არქედამეს ან ფილოსტრატეს. იმავე მცენარეებს ხედავდნენ, იგივე წებოვანი ოფლი უსველებდა ტანისამოსს, ზღვიდან მონაბერი იგივე გულგრილი ქარი არხევდა მირტსა და იელს, ავრცელებდა ბეგქონდარას სურნელს. ძაღლების ჩაფიქრებული გარინდება, მათი პათეტიკური დაძაბულობა ნადირის მოლოდინში იგივე იყო, რაც იმ დროს, როცა სანადიროდ წასვლის წინ არტემიდეს მიმართ ლოცულობდნენ. ამ ძირითად ელემენტებამდე დაყვანილ ცხოვრების სახეს ზრუნვათა ფერუმარილი ჩამოებანა და უფრო ასატანი ჩანდა.

სანამ ბექობის მწვერვალს მიაღწევდნენ, იმ დილით ტერეზინამ და არგუტომ ნადირის გეშაღებული ძაღლების რელიგიური ცეკვა წამოიწყეს: მუცელზე ხოხვა, ნაბული, გაუბედავი წკმუტუნი. რამდენიმე წამი და ბალახებში ქვიშისფერი ბენვის გორგალმა იელვა – ორი გასროლის თითქმის ერთდროულმა ტკაცანმა ბოლო მოუღო დიდი ხნის მოლოდინს. არგუტომ თავადის ფერხთით დაასვენა სულთამბრძოლი ცხოველი. გარეული ბოცვერი იყო: თიხისფერ ქურქში შენიღბვა საკმარისი არ აღმოჩნდა მის გადასარჩენად. საშინელმა ჭრილობებმა დრუნჩი და მკერდი დაუფლითა. დონ ფაბრიციომ მასზე მიშტერებული ორი დიდი შავი თვალი დაინახა, რომლებსაც ძაღვე ეკრობოდა მოცისფრო ლიბრი. თვალები უსაყვედუროდ იმზირებოდა, მაგრამ აღსავსე იყო ქვეყნიერებაში გამეფებული წესის გამო უკვე დაყრუებული ტკივილით. ხვეწვადიანი ყურები უკვე გაციებულიყო, ძლიერ თათებს რიტმული კრუნჩხვები მოსდებოდა – ამას სრბოლის შემორჩენილი სიმბოლო. ცხო-

ველი ხსნის მწვავე სურვილის ტანჯვით კვდებოდა, მრავალი ადამიანივით იმასაც ეგონა, რომ ჯერ კიდევ შეეძლო გაქცევა, თუმცა კი სიკვდილმა უკვე ჩაავლო ბრჭყალი. სანამ დონ ფაბრიციოს ლმობიერი თითები ბოცვრის საბრალო დრუნჩს ეფერებოდნენ, ცხოველს უკანასკნელად გააჟრჟოლა და სული ამოხდა. მაგრამ დონ ფაბრიციომ და ტუმეომ ბოლომდე დაიგემოვნეს თავიანთი გასართობი. უფრო მეტიც, პირველმა მკვლელობის სიამოვნებასთან ერთად თანაგრძნობის მანუგეშებელი ტკობაც შეიგრძნო.

როცა მონადირეები მთის წვერზე ავიდნენ, იშვიათ ტამარინდებსა და კორპის მუხებს შორის გამოჩნდა სიცილიის ქეშმარიტი სახე, რომელთან შედარებითაც ბაროკოს სტილით ნაგები ქალაქებისა და ფორთოხლის ბაღების ზიზილ-პიპილები ყურადღებას არც კი იმსახურებს. ამ სახეს წარმოადგენდა უსასრულობამდე გადამლილი, დატალღული და გამომხმარი, ერთმანეთზე აცოცებული გორაკები, უნუგეშონი და ირაციონალურნი, რომელთა ძირითად ხაზებს თვალი და გონება ვერ იჭერდა, თითქოსდა ქვეყნიერების შექმნის ბოღვით ფაზაში ყოფილიყვნენ ჩასახული. ზღვაც თითქოსდა იმ წამში გაქვავდა სამუდამოდ, როცა ქარის ცვლილებას ტალღები გაეგიჟებინა. დონაფუგატა მინის უსახელო ნაკეცში შეყუჟულიყო და ირგვლივ სულიერის ჭაჭანება არ იყო. მხოლოდ ვაზის უბადრუკი რიგები მიანიშნებდა ადამიანის სიახლოვეს. გორაკებს იქით, ერთ მხარეს ზღვის ინდიგოსფერი ლაქა მოჩანდა, მიწაზე კიდევ უფრო უნაყოფო. ყოველივეს მსუბუქი ნიავი ევლებოდა, აერთიანებდა ნაკელის, ცხოველთა ლეშისა და საღბის სუნს, შლიდა, აუქმებდა, ხელახლა ქმნიდა ყოველ საგანს თავისი უდარდელი მდინარებით. აშრობდა სისხლის წვეთებს, ბოცვრის ერთადერთ ნატამალს, უფრო შორს გარიბალდის ქოჩორს აფრიალებდა, იმის იქით კი მტვერს აყრიდა თვალებში ნეაპოლელ ჯარისკაცებს, რომლებიც სასწრაფოდ ამაგრებდნენ გაეტას ბასტიონებს განწირული ნადირის გაქცევა-სავით ამაო იმედით მოცულნი.

კორპის მუხების მკვეთრად მოხაზულ ჩრდილში მოისვენეს თავადმა და ორგანისტმა. ხის მათარებიდან გამთბარ ღვინოს სვამდნენ, დონ ფაბრიციოს ზურგჩანთიდან ამოღებულ შემწვარ წინილს ტუმეოს წამოღებულ საფანელით მოფრქვეულ

ურბილეს „მუფოლეტებს“ აყოლებდნენ. მერე კიდევ ტკბილ „ინსოლიას“ იგემოვნებდნენ – ყურძენს, რომელიც თუმც მა-ხინჯი შესახედავია, საჭმელად არაფერი სჯობია. პურის ფართო ნაჭრებით მეძებრების შიმშილიც დააოკეს, იქვე რომ ჩაცუცქულიყვნენ, სასამართლო აღმასრულებლებივით გაუმაძღარნი. კონსტიტუციური მზის ქვეშ დონ ფაბრიციოსა და ტუმეოს ძილიც კი მოერიათ.

მაგრამ თუ თოფის გასროლამ ბოცვერი მოკლა, თუ ჩაღდინის ხრახნლულიანმა ქვემეხებმა უკვე შეაშინეს ნეაპოლელი ჯარისკაცები, თუ სამხრეთის სითბო ძილს ჰგვრიდა კაცებს, ჭიანჭველების შეჩერება არაფერს შეეძლო. ალბათ დონ ჩიჩოს მიერ გადმოფურთხებული ჩამიჩის კურკების სუნით მოხმობილი მათი ხშირი რიგები უკვე მოინრაფოდნენ, რათა ორგანისტის ნერწყვით დასველებული ნარჩენებით მოეღბინათ. თითქოსდა გაამაყებულნი მოინევდნენ წინ, უნესრიგოდ, მაგრამ მამაცად. დროდადრო სამ-სამად და ოთხ-ოთხად ქუჩდებოდნენ სასაუბროდ და, უეჭველია, განადიდებდნენ მონტე მორკოს მწვერვალზე აღმართული N4 მუხის ქვეშ განლაგებული N2 ბუდის ძირძველ დიდებასა და მომავალ კეთილდღეობას. შემდეგ კი სხვებთან ერთად კვლავ განაგრძობდნენ ნათელი მომავლისაკენ სვლას. ამ ბრიყვთა პრიალა ზურგებს ენთუზიაზმი ათრთოლებდა და მათ რიგებს ზემოთ, უეჭველია, საზეიმო ჰიმნის ჰანგი დაქროდა.

იდეთა ზოგიერთი ასოციაციის მსგავსად, რომლის დაზუსტება ამჯერად მიზანშეწონილი არ უნდა იყოს, ჭიანჭველების საქმიანობამ დონ ფაბრიციოს თვლემა გაანყვეტინა და გაახსენა პლებისციტის დღეები, რომელიც მან დონაფუგატაში ცოტა ხნით ადრე გადაიტანა. გაკვირვების გრძნობის გარდა ამ დღეებმა მრავალი ამოუხსნელი გამოცანაც დაუტოვა. ახლა, ამ ბუნების წიაღში, რომელიც, თუ ჭიანჭველებს არ გავითვალისწინებთ, ყველაფრის მიმართ უდარდელი იყო, შეიძლებოდა ერთი მათგანის ამოხსნა მაინც ეცადა. ძაღლები გაშოტილიყვნენ და ქაღალდისაგან გამოჭრილი ფიგურებივით გაბრტყელებულებს ეძინათ, ხის ტოტზე თავდაღმა დაკიდებული კურდღელი ქარის განუნყვეტელი დაწოლის ქვეშ აღმაცურად გაჭიმულიყო, მაგრამ ტუმეო, რომელსაც ამაში ჩიბუხიც ეხმარებოდა, ახერხებდა ძილთან ბრძოლას.

– თქვენ კი, დონ ჩიჩო, ვის მიეცით ხმა ოცდაერთში?

საბრალო შეტოკდა. მოულოდნელად წაასწრეს, როცა ჩვეული სიფრთხილის გაღავანს გარეთ იყო გამოსული და ყველა თავისი თანამემამულის მსგავსად დაცვის ნაჩვევ ხერხებს ვერ გამოიყენებდა. არ იცოდა როგორ ეპასუხა, ამიტომაც ყოყმანობდა.

თავადს შიში ეგონა ის, რაც მხოლოდ გაკვირვება იყო და გაღიზიანდა:

– ერთი გამაგებინეთ, რისი გეშინიათ? აქ მხოლოდ ჩვენ ვართ, ქარი და ძაღლები.

მონშეთა სია, კაცმა რომ თქვას, სულაც არ იყო იმედის მომცემი. ქარი ხომ, განსაზღვრის თანახმად, მოლაყბეა, ხოლო თავადი კი სანახევროდ მაინც სიცილიელი იყო. სრულიად სანდონი მხოლოდ ძაღლები იყვნენ და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ დანანევრებული მეტყველების უნარი არ გააჩნდათ. დონ ჩიჩო ამასობაში გონს მოეგო და სოფლურმა ცბიერებამ მას სწორი პასუხი უქარნახა – ესე იგი, არავითარი.

– მაპატიეთ, თქვენო ბრწყინვალეზავ, ეს თქვენი შეკითხვა უაზროა. ხომ იცით უკვე, რომ დონაფუგატაში ყველა მომხრე იყო.

ეს დონ ფაბრიციომ მართლაც იცოდა. და სწორედ ამიტომ იყო, რომ პასუხმა პანანინა გამოცანა ისტორიულ საიდუმლოდ აქცია. ხმის მიცემის დღემდე მასთან ბევრნი მოვიდნენ რჩევის საკითხავად. თუმცა კი ყველას დასტურის სურვილი ამოძრავებდა. დონ ფაბრიციოსაც ვერ წარმოედგინა, სხვანაირად როგორ უნდა ყოფილიყო, ან მომხდარი ფაქტიდან გამომდინარე, ქმედების თეატრალური ბანალობის გათვალისწინებით, ან ისტორიული აუცილებლობის საფუძველზე, ან კიდევ იმ უბედურებას თუ წარმოვიდგენთ, რომელშიც, შესაძლოა, ჩავარდებოდნენ ეს საბრალო ადამიანები, თუ ვინმე მათ უარყოფით დამოკიდებულებას აღმოაჩენდა. და მაინც შეამჩნია, რომ ბევრი მისმა სიტყვებმა ვერ დაარწმუნა. თამაშში სიცილიელთა გაუთლელი მაკიაველიზმი ჩაერია, რომელიც იმ დროს ამ განმარტების მიხედვით გულუხვ ხალხს ხანდახან მყიფე საფუძველზე შეყენებული ურთულესი ხარაჩოების ასაგებად შთაავგონებდა. მკურნალობაში გამოცდილ, მაგრამ სისხლისა და შარდის რადიკალურად მცდარ ანალიზებზე დაყრდნობით

მოქმედ უზარმაცეს ექიმთა მსგავსად, იმდროინდელ სიცილიელებს, ბოლოს და ბოლოს, სიკვდილამდე მიჰყავდათ პაციენტი, ანუ საკუთარი თავი, სწორედ თავისი უდახვეწილესი ცბიერების წყალობით, რომელიც არასოდეს ყოფილა დაფუძნებული პრობლემათა ან, ყოველ შემთხვევაში, მათში ჩარეულ ადამიანთა რეალურ ცოდნაზე. ზოგიერთს, ვისაც ოდესმე უმოგზაურია ad limina Gattopardorum,²⁶ შეუძლებლად მიაჩნდა, რომ თავად სალინას რევოლუციისთვის მიეცა ხმა (ამ შორეულ სოფელში ჯერ კიდევ ამ სიტყვით მოიხსენიებდნენ მომხდარ ცვლილებებს) და ამიტომ მის მსჯელობას ნარმოთქმული სიტყვებით ნაკარნახევის სრულიად სანიანალმდეგო პრაქტიკული მიზნის მისაღწევად გამიზნულ ირონიულ გამოსვლად აღიქვამდნენ. ეს მოგზაურები (და ისინი საუკეთესონი იყვნენ) თავადის კაბინეტიდან თვალის შეთქმული პაჭუნით გამოვიდნენ, რამდენადაც კი მოწინების გრძნობა აძლევდა ამის საშუალებას. სიამაყით იყვნენ აღვსილნი იმის გამო, რომ ჩასწვდნენ თავადის სიტყვათა ჭეშმარიტ აზრს და ხელებსაც იფშენებდნენ თავიანთი გამჭრიახობით კმაყოფილნი სწორედ იმ უამს, როცა ეს გამჭრიახობა დაუბლაგვდათ. სხვები თავადის სიტყვის მოსმენის შემდეგ დამწუხრებულნი წავიდნენ. დარწმუნებულნი იყვნენ, რომ თავადი მოლალატი ან ჭკუაზე შემცდარი იყო და გადანყვიტეს ყურად არ ელოთ გაგონილი, არამედ დამორჩილებოდნენ ათასწლოვან ანდაზას, რომლის მიხედვით შეჩვეული ჭირი სჯობია გამოუცდელ სიკეთეს. ესენი ახალ ნაციონალურ რეალობას პირადი მიზეზების გამოც ვერ იღებდნენ ან რელიგიური რწმენის გამო, ან კიდევ იმიტომ, რომ ძველი რეჟიმისგან ბევრი კარგიც მიეღოთ, ახალში კი საკმარისი მოხერხებულობით ვერ შესულიყვნენ. და კიდევ იმიტომაც, რომ ეროვნული მოძრაობის მწვერვალზე მათ ან ორიოდ ვარია დაეკარგათ, ან რამდენიმე საწყაო ცერცვი, ან წყვილი რქა ამოუვიდათ შუბლზე – ან ნებაყოფლობით, გარიბალდელთა ლაშქარსა არ იყოს, ან კიდევ ბურბონთა რეკრუტებივით ძალადობის შედეგად. ასე ათიოდე კაცზე თავადმა ისეთი მტკივნეული, მაგრამ აშკარა შთაბეჭდილება დატოვა, რომ მათ უარყოფითი ხმის მიცემა ჩაიფიქრეს. რა თქმა უნდა, ეს უმცირესობა იყო, მაგრამ

²⁶ ლეოპარდის სამფლობელოთა საზღვარს მიღმა (ლათ.).

არცთუ მთლად უგულვებელსაყოფი დონაფუგატას მცირერიცხოვან ელექტორატში. გარდა ამისა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მასთან მოსულნი სოფლის რჩეულ საზოგადოებას წარმოადგენდნენ, ხოლო იმ რამდენიმე ასეულიდანაც იქნებოდა რამდენიმე უკმაყოფილო, ვისაც სასახლეში გამოჩენა არც დაესიზმრებოდა. ასე რომ, თავადმა ივარაუდა, რომ დონაფუგატას დადებითი ხმების ერთიანობას ოცდაათიოდე უარყოფითი ხმა მაინც დაარღვევდა.

პლებისციტის დღე ქარიანი და ღრუბლიანი აღმოჩნდა. სოფლის ქუჩებში აქა-იქ მოჩანდა ახალგაზრდების დაღლილი ჯგუფები, რომლებსაც ქუდებში გაერჭოთ ცვლილებების მომხრეთა ბიულეტენები. ქარით ატაცებულ ქალაქებსა და სხვა ნაგავს შორის დადიოდნენ და „Bella Gigougin“-ის არაბულ ტირილად ქცეულ სტროფებს მიიმღეროდნენ – ეს ბედი ეწევა ხოლმე სიცილიაში ნამღერ ყველა მეტ-ნაკლებად ხალისიან მელოდიას. მათ გარდა, ორი ან სამი „უცხო სიფათიც“ (ესე იგი ჯირჯენტიდან) გამოჩნდა, რომლებიც ძია მენიკოს დუქანში ისხდნენ და „მკვდრეთით აღმდგარ იტალიასთან გაერთიანებული განახლებული სიცილიის დიად ბედს“ ასხამდნენ ხოტბადიდებას. რამდენიმე გლეხი მათ მდუმარედ უსმენდა – ერთნაირად დაუშნობულნი იყვნენ თოხის უზომო ქნევითა და მრავალდღიანი იძულებითი მშვიერი უსაქმურობით. ხშირად ხმაურიანად იღებდნენ ნახველს და იფურთხებოდნენ, მაგრამ დუმდნენ. ისე სდუმდნენ, რომ (როგორც დონ ფაბრიციომ თქვა მაშინ) „უცხო სიფათებმა“ კვადრივიუმის²⁷ მეცნიერებათა შორის რიტორიკის წინ არითმეტიკის დაყენება გადაწყვიტეს.

ნაშუადღევის ოთხი საათისათვის, თავადიც გაეშურა არჩევნებზე. მარჯვენა მხრიდან პადრე პირონე უმშვენებდა გვერდს, მარცხნიდან – დონ ონოფრიო როტოლო. მოქუფრული ქერა წარბებით ფრთხილად მიიწევდა მერიისაკენ და ხშირად ხელებს იფარებდა თვალებზე, რათა ქუჩაში აკრეფილი ყოველგვარი სიბინძურის მომრეკავ ქარს ჩვეული კონიუნ-

²⁷ კვადრივიუმი — შუა საუკუნეების პედაგოგიურ ტრადიციაში ოთხი მეცნიერების კომპლექსი, რომელშიც შედიოდნენ: არითმეტიკა, მუსიკა, გეომეტრია და ასტრონომია. ამათ წინ უძღოდა მეცნიერებათა უფრო მაღალი კომპლექსი, რომელიც სქოლასტიკის საფუძველს წარმოადგენდა, — ეგრეთწოდებული ტრივიუმი: გრამატიკა, დიალექტიკა და რიტორიკა.

ქტივიტი არ გამოენვია. თან პადრე პირონეს ეუბნებოდა, ქარის გარეშე ჰაერი დამძალ გუბურას დაემსგავსებოდაო, მაგრამ სიჯანსაღის მომტან ქარსაც ხომ ბევრი ჭუჭყი მოჰქონდა თან. იგივე შავი რედინგოტი ემოსა, რომლითაც სამი წლის წინ კაზერტაში ჩავიდა, რათა პატივი დაედო იმ საბრალო მეფე ფერდინანდისთვის, რომელიც, საბედნიეროდ, დროზე გარდაიცვალა და ვერ მოესწრო ამ არანმინდა ქარით ნაგვემ დღეს, როცა საბოლოო ბეჭედი დაესვა მის უგუნურებას. მაგრამ განა ეს მართლაც უგუნურება იყო? მაშინ ისიც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვისაც ტიფი სძლევს, უგუნურებით კვდება. გაიხსენა, როგორ უდებდა მეფე სათავეს ამაო ქალაქების მდინარეებს და უცებ მიხვდა, რამდენად იყო აღბეჭდილი ამ ანტიპათიურ სახეზე მონყალების გაუცნობიერებელი ვედრება. ეს აზრები უსიამოვნო იყო, როგორც ყველაფერი, რაც საქმის არსს დაგვიანებით მიგვახვედრებს, და თავადს იერი იმდენად საზეიმო და ბნელი გაუხდა, თითქოს უხილავ სამგლოვიარო ეტლს მიჰყვებო. შინაგან კონფლიქტს მხოლოდ ის ძალა ამულავნებდა, რომლითაც დროდადრო ქუჩის ამოყრილი ქვაფენილი მიფრინავდა თავადის ჩექმასთან დაჯახებისას. ზედმეტია იმის თქმა, რომ თავადს ცილინდრზე არანაირი ბიულეტენი არ ჰქონდა დაბნეული, მაგრამ გამოცდილი თვალი შეამჩნევდა, რომ „მომხრე“ და „მონინაალმდეგე“ ელვისებურად ცვლიდნენ ერთმანეთს პრიალა ქსოვილზე.

როგორც კი შევიდა მერიაში, სადაც არჩევნები იყო გამართული, განცვიფრდა, რომ კომისიის ყველა წევრი ფეხზე წამოდგა, როგორც კი თავადის ვეება სხეულმა კარის მთელი სიმაღლე შეავსო. არჩევნებზე რამდენიმე ადრე მისული გლეხი განზე განიეს და დონ ფაბრიციომ ურიგოდ ჩააბარა თავისი თანხმობა მერ სედარას პატრიოტულ ხელში. პადრე პირონეს ხმა არ მიუცია, რადგან არ სურდა, სოფლის მცხოვრებთა შორის ჩანერილიყო. დონ ონოფრიომაც, თავადის ბრძანებით, გამოხატა თავისი ერთმარცვლიანი თვალსაზრისი იტალიური ერთიანობის ურთულეს საკითხზე – ეს ლაკონურობის შედეგური ისეთივე გრაციით იყო შესრულებული, რომლითაც ბავშვი თევზის ქონს სვამს ხოლმე.

ამის შემდეგ ყველანი „ერთი ჭიქის მისართმევედ“ მიიწვიეს მერის კაბინეტში. მაგრამ პადრე პირონემ და დონ ონოფრიომ

საპატიო მიზეზები წამოწიეს წინ – ერთმა სასმელისაგან თავ-
შეკავებისა, მეორემაც მუცლის ტკივილისა – და ქვემოთ დარ-
ჩნენ. დონ ფაბრიციოს მარტოს მოუხდა საუზმის დათმენა.

დონ კალოჯეროს საწერი მაგიდის თავზე ერთი გარიბალ-
დის გამომსახველი ოლეოგრაფია ელავდა და ერთიც (უკვე!) –
ვიტორიო ემანუელესი, კეთილგონივრულად დაკიდებული
მარჯვენა მხარეს. პირველი ლამაზი კაცი იყო, მეორე – ერთობ
შეუხედავი, მაგრამ ორივეს სახის ლამის შემნილბავი თმა-წვე-
რის სიუხვე აკავშირებდა. პატარა მაგიდას უძველესი და ბუზე-
ბის სკორის ძაძვებით მოსილი ნამცხვრით სავსე თეფში და მოტ-
კბო ლიქიორის თორმეტი ჭიქა ამშვენებდა: ოთხი წითელი, ოთ-
ხი მწვანე, ოთხი თეთრი – ეს უკანასკნელი ფერი ცენტრში. ახა-
ლი დროშის ამ გულუბრყვილო სიმბოლომ თავადს ღიმილი
მოჰგვარა და მანაც თეთრი ლიქიორი აირჩია, რადგან ნაკლებ
მოუნელებლად მიიჩნია იგი და არა იმიტომ, რომ, როგორც მე-
რე ამბობდნენ, ნაგვიანები პატივი მიაგო ბურბონთა ბაირალს.
სამივე ლიქიორი ერთნაირად დაშაქრული, ნებოვანი და უგე-
მური იყო. იქ მყოფთ გემოვნება ეყოთ და სადღეგრძელო არ
უთქვამთ, თანაც, როგორც დონ კალოჯერომ აღნიშნა, დიდი
სიხარული უტყვია. დონ ფაბრიციოს აჩვენეს ჯირჯენტის
მმართველობიდან მოსული ბეჭედდასმული წერილი, რომე-
ლიც აუწყებდა დონაფუგატას შრომისმოყვარე მოქალაქეებს,
რომ მათ განკარგულებაში გადადიოდა ორი ათასი ლირა კანა-
ლიზაციის ასაგებად. სამუშაო 1961 წლისთვის დასრულდებაო,
ირწმუნებოდა მერი და ერთ-ერთ იმ ცდომილებაში ვარდებო-
და, რომლის მექანიზმი ფროიდმა რამდენიმე ათეული წლის
შემდეგ ახსნა. თავყრილობა დაიშალა.

მზის ჩასვლის წინ სამი თუ ოთხი ქუჩის კახპა (დონა ფუგა-
ტაშიც მოიპოვებოდნენ, ოღონდ დაჯგუფებულნი კი არ იყ-
ვნენ, არამედ თავიანთ კერძო სახლებში იღწვოდნენ) გამოჩ-
ნდა თმებში ჩანწული სამფეროვანი ლენტებით. ასე იბრძოდ-
ნენ ქალებისათვის საარჩევნო ხმის მისანიჭებლად. საბრალო-
ნი ყველაზე გულანთებულმა ლიბერალებმაც კი მასხრად აიგ-
დეს და ისინიც მიიმალნენ. ამას ხელი არ შეუშლია იმისთვის,
რომ ოთხი დღის შემდეგ „ჯორნალე დი ტრინაკრიაში“ პალერ-
მოელებს ამცნო, რომ დონაფუგატაში „მშვენიერი სქესის რამ-
დენიმე კეთილშობილმა წარმომადგენელმა უსაყვარლესი

სამშობლოს ახალი ბრწყინვალე მომავლის უმტკიცესი რწმენის გამოხატვა ისურვა და მოედანზე გამოვიდა პატრიოტი მოსახლეობის საერთო მხარდაჭერით გარშემორტყმული“.

მას შემდეგ, რაც არჩევნები დაიხურა, საარჩევნო კომისია შეუდგა საქმეს და უკვე შებნელებულზე მერიის ცენტრალური აივნის კარი გაიხსნა. სამფეროვანი ლენტით დამშვენებული დონ კალოჯერო გამოჩნდა ორი შანდლიანი ბიჭის თანხლებით. და რადგანაც სანთლის ალი ქარმა იმნამსვე ჩააქრო, სიბნელეში უხილავ ბრბოს ეუწყა, რომ პლებისციტმა დონაფუტატაში შემდეგი შედეგები აჩვენა:

ჩანერილი 515; ხმის მიმცემი 512; მომხრე 512; წინააღმდეგი არც ერთი.

მოედნის უკუნი სიღრმიდან ტაშის გრიალი და ვაშა მოისმა. თავისი სახლის პატარა აივნიდან შავებით მოსილი მოახლითურთ გამოსული ანჯელიკა მშვენიერ ხელებს ატყაპუნებდა. სიტყვებიც წარმოითქვა: აღმატებული ხარისხებითა და ორმაგი თანხმობებით დატვირთული ზედსართავები აზვირთდნენ და სიბნელეში ეხეთქებოდნენ ერთმანეთის პირდაპირ მდგარი სახლების კედლებს. ფეიერვერკის გრიალში უგზავნიდნენ საზვიამო უწყებებს მეფეს (ახალს) და გენერალს. რამდენიმე სამფეროვანი მაშხალა ავარდა სოფლიდან უვარსკვლავო ზეცის ნკვარამში. რვა საათზე ყველაფერი დამთავრდა და სიბნელის გარდა არაფერი დარჩა, როგორც ნებისმიერ სხვა საღამოს, როგორც ყოველთვის.

* * *

მონტე მორკოს მწვერვალზე დღის სინათლე ყოველივეს მკაფიოდ მოეფინა. მაგრამ იმ ღამის ბინდი კვლავაც ჩაგუბებულიყო დონ ფაბრიციოს სულის სიღრმეში. გრძნობა გაურკვეველი იყო და ამიტომაც უსიამო. ის არ იყო გამონვეული პლებისციტის მიერ გადაწყვეტილი დიდი საკითხებით: არც ორი სიცილიის სამეფოს, არც საკუთარი კლასის ინტერესებით, რადგან მისი პირადი პრივილეგიები ამ მოვლენებში თუმც დაზარალდა, მაინც შეინარჩუნა სიცოცხლის უნარი. გარემოებებიდან გამომდინარე, მეტის მოთხოვნა არ შეიძლებოდა. მისი უკმაყოფილება პოლიტიკური ხასიათისა არ იყო, მისი ფესვები უფრო ღრმად იყო გადგმული იმ სფეროში, რო-

მელსაც ირაციონალურს ვუნოდებთ, რადგანაც ჩვენი საკუთარი უმეცრების ფენათა ქვეშაა ღრმად ჩაფლული.

იტალია იმ მოქუფრულ სალამოს დონაფუგატაში დაიბადა. სწორედ იმ სოფელში დაიბადა ისევე, როგორც პალერმოს მცონარობასა და ნეაპოლის მღელვარებაში. მაგრამ რომელიც უცნობი ბოროტი ფერია მაინც ესწრებოდა ამ ზეიმს. და მაინც, იტალია დაიბადა და ამ ფორმით უნდა ეცოცხლა: ყველა სხვა ფორმა უარესი იქნებოდა. კეთილი და პატიოსანი. და მაინც ეს განუწყვეტელი აფორიაქება რალაცას უნდა ნიშნავდეს. თავადი გრძნობდა, რომ რიცხვების იმ მშრალი გამოცხადებისას, ისევე, როგორც გადაჭარბებულად ალგზნებული სიტყვების წარმოთქმისას რალაც თუ ვილაც მოკვდა და მხოლოდ ღმერთმა უნყოდა, ქვეყნის რომელ კუნჭულში, სახალხო ცნობიერების რომელ ხვეულში.

სიგრილემ დონ ჩიჩო საბოლოოდ გამოაფხიზლა თვლემისაგან, თავადის მასიურმა მედიდურობამ მისი შიშები განაქარვა. ახლა მისი ცნობიერების ზედაპირზე მხოლოდ გაბეზრება ტივტივებდა, რა თქმა უნდა, ამოა და უსარგებლო, მაგრამ მაინც კეთილშობილი. ფეხზე იდგა, დიალექტზე საუბრობდა და ხელებს იქნევდა – საბრალო მარიონეტი, რომელიც, სასაცილო კია, მაგრამ მართალი იყო.

– მე, თქვენო ბრწყინვალეებავ, არჩევნებში წინააღმდეგი ვიყავი, ასგზის წინააღმდეგი. მახსოვდა, რაც მითხარით: აუცილებლობა, ამოება, ერთიანობა, მიზანშეწონილება. თქვენ, უეჭველია, მართალიც იქნებოდით, მაგრამ მე პოლიტიკისა არა გამეგება რა. ეს სხვებისთვის დამითმია. მაგრამ ჩიჩო ტუმეო კეთილშობილი კაცია, თუმც ღარიბ-ღატაკი და გამოხეულშარვლიანი (და დუნდულეებზე ირტყამდა ხელს, სადაც სანადირო შარვალს საგულდაგულო ნაკერები ეტყობოდა), და მიღებულ სიკეთეს არ ივინყებს. მერიის ღორები კი ჩემს თვალსაზრისს ყლაპავენ, ლეჭავენ და უკანვე აგდებენ, როგორც უნდათ. მე ვთქვი შავი, ისინი კი თეთრიო, მათქმევიწებენ! ერთადერთხელ შევეძელი იმის თქმა, რასაც ვფიქრობდი და ის წურბელა სედარა მაშინვე მაუქმებს, თითქოსდა არც არასოდეს მიარსებია, თითქოს არაფერში არეული არავინ ვიყო, მე, ვისაც ფრანჩესკო ლეონარდოს ძე ტუმეო ლა მანა მქვია და დონაფუგატას მთავარი ტაძრის ორგანისტი ვარ,

ათასგზის მისი პატრონი და თან კიდევ მაზურკაც მივუძღვე-
ნი, რომელიც მაშინ შევთხზე, როცა ის... (აქ თითზე იკბინა) ის
მისი მანჭია ქალიშვილი დაიბადა!

ამ წამში დონ ფაბრიციოს სიმშვიდე მოეფინა: ბოლოს და
ბოლოს ამოხსნა ამოცანა. ახლა იცოდა, რა მოახრჩვეს დონა-
ფუგატაში, ასეულობით სხვა ადგილას იმ მტვრიანი ქარით
სავსე ღამეს: ახალშობილი ალალი რწმენა. ეს პატარა ქმნილე-
ბა, რომელსაც ყველაზე მეტად უნდა გაფრთხილებოდნენ,
რომლის გაძლიერებაც გაამართლებდა სხვა მრავალ უსაფუძ-
ვლო და უსარგებლო ვანდალიზმს. დონ ჩიჩოს უარყოფითი
ხმა, ორმოცდაათი მსგავსი ხმა დონაფუგატაში, ასი ათასი
„არა“ მთელ სამეფოში, რა თქმა უნდა, ვერანაირად შეცვლიდა
შედეგს, პირიქით, უფრო მნიშვნელოვანს გახდიდა მას და სუ-
ლებსაც არ დაამახინჯებდა. ექვსი თვით ადრე ყველგან დეს-
პოტური ხმა ისმოდა: „გააკეთე, როგორც გეუბნები, თორემ
მოვიდა ქოთები!“. ახლა ისეთი შთაბეჭდილება იყო, რომ მუქა-
რა მევახშის რბილმა ხმამ შეცვალა: „კი მაგრამ, თუკი შენ თვი-
თონ მოაწერე ხელი? ვერ ხედავ? ეს ხომ ცხადია! ისე უნდა გა-
აკეთო, როგორც ჩვენ გეუბნებით, შეხედე თამასუქს. შენი ნე-
ბა იგივეა, რაც ჩვენი“.

დონ ჩიჩო კი კვლავაც ქუხდა:

– თქვენთვის, სინიორებისთვის, სულ სხვაა. შეიძლება უმა-
დური იყო ბოძებული ზედმეტი ფეოდალისთვის, მაგრამ ერთი
პურის ნატეხისთვის მადლიერება სავალდებულოა. სედარა
და მისი მსგავსი ვაჭრუკანები, რომლებისთვის მოგება ბუნე-
ბის კანონია, კიდევ ზედმეტ სარგებელს ნახავენ. ჩვენთვის,
უბრალო ხალხისთვის კი ყველაფერი ძველებურადაა. მოგეხ-
სენებათ, თქვენო ბრწყინვალეზავ, ცხოვრებული მამაჩემი სან-
ტ'ონოფრიოს სამეფო კლუბის მეველე იყო ჯერ კიდევ ფერ-
დინანდ IV-ის დროს, როცა აქ ინგლისელები იყვნენ. ცხოვრე-
ბა მძიმე იყო, მაგრამ მწვანე სამეფო მუნდირი და ვერცხლის
ჟეტონი ძალაუფლებას იძლეოდა. მაშინ კალაბრიის მთავარი
ესპანელი დედოფალი იზაბელა იყო. მან მომცა სწავლის საშუ-
ალეობა და იმად გამხადა, რაც ვარ – მთავარი ეკლესიის ორგა-
ნისტი და თქვენი ბრწყინვალეობის კეთილგანწყობით პატივდე-
ბული. და ყველაზე ძნელ წლებში, როცა დედაჩემი სამეფო
კარზე წერილობით ვედრებას აგზავნიდა, ერთდროული დახ-

მარების ხუთი „უნცია“ მოდიოდა, სიკვდილივით გარდაუვალი, რადგანაც იქ, ნეაპოლში ჩვენ პატივს გვცემდნენ, იცოდნენ, რომ კარგი ხალხი და ერთგული ქვეშევრდომნი ვიყავით. როცა მეფე სტუმრობდა, მამაჩემს მხარზე ხელს უტყაპუნებდა და ეუბნებოდა: „დონ ლეონა, ნეტა თქვენნაირი ბევრი მყავდეს, ტახტისა და ჩემი პიროვნების ერთგული საყრდენი“. თანაშემწე კი მერე ოქროს მონეტებს ანაწილებდა. ახლა ჭეშმარიტ მეფეთა ამ გულუხვობას მონყალებას უწოდებენ. იმისთვის ამბობენ ასე, თვითონ რომ არაფერი გაიღონ. სინამდვილეში ეს ერთგულებისთვის სამართლიანი ანაზღაურება იყო. და ახლა, როცა ეს წმიდა მეფენი და დედოფალნი ზეციდან გვიცქერიან, რა უნდა თქვან? – „დონ ლეონარდო ტუმეოს ვაჟმა გვიღალატა!“ კიდევ კარგი, სამოთხეში იციან ჭეშმარიტება. ვიცი, თქვენო ბრწყინვალეზავ, თქვენნაირმა ხალხმა მითხრა, გვირგვინოსანთაგან ეს საქმეები არაფერს ნიშნავს, მათი ხელობის ნაწილია და მეტი არაფერი! მართალიც იქნება, უფრო მეტიც, მართალია. მაგრამ ხუთი ოქროს „უნცია“ ხომ იყო? ესეც ხომ სიმართლეა? და ამით ზამთარსაც ვუძღვებით. და ახლა, როცა ეს ვალი უნდა გადამეხადა, ვერაფერი შევქელი. „შენ არ არსებობ“. ჩემი უარყოფა თანხმობად იქცევა. ადრე „ერთგული ქვეშევრდომი“ ვიყავი, ახლა კი „საზიზღარი ბურბონელი“ გავხდი. ახლა ხომ ყველა სავოიარია!²⁸ მაგრამ სავოიარებს მე ცალ ყურში ჩავისვამ, აჰა!

და ხელის ნატიფი მოძრაობით ყურში იტენიდა წარმოსახვით სავოიარებს.

დონ ფაბრიციოს ყოველთვის უყვარდა დონ ჩიჩო, მაგრამ ეს იყო გრძნობა, რომელიც იმათ მიმართ თანაგრძნობისგან იბადება, ვისაც კი სიყმანვილეში თავი ხელოვნებისათვის შეწირული ჰგონია, ხოლო სიბერეში, როცა ნიჭის არარსებობა გამომჟღავნდა, კიბის უფრო დაბალ საფეხურებზე იმავე საქმიანობას განაგრძობს და უბეში იმაღლავს თავის საბრალო ოცნებებს. დონ ფაბრიციოს ორგანიზტის ამაყი სილატაკისადმი თანაღმობაც ჰქონდა გულში. მაგრამ ამ წუთას აღფრთოვანების მსგავს რასმე განიცდიდა თავისი ქედმაღალი ცნობიერების სიღრმეში, სწორედ რომ სიღრმეში: საკუთარ თავს ეკით-

²⁸ გაერთიანებული იტალიის მეფეებს სავოის ბატონთა ტიტული ჰქონდათ.

ხებოდა, დონ ჩიჩო თვით თავად სალინაზე უფრო ბატონკაცურად ხომ არ მოიქცაო. ეს სედარა კი, ყველა ეს სედარა – ყველაზე პანანკინტელადან, რომელიც დონაფუგატაში აუპატიურებდა საარჩევნო არითმეტიკას, უფრო დიდებამდე, რომლებმაც პალერმოში და ტურინშიც ალბათ ასევე მოახრჩვეს ხალხის სინდისი. დონ ფაბრიციოს ჯერ არ შეეძლო ეს სცოდნოდა, მაგრამ სიზარმაცისა და გულგრილობის ის ნაწილი, რომლის წყალობით შემდგომი ათწლეულების განმავლობაში შესაძლებელი იყო სამხრეთელთა არად ჩაგდება, დაიბადა იმ თავისუფლების ბრიყვულ გაუქმებაში, რომლის მსგავსი ამ ადამიანებს ადრე არასოდეს მისცემოდა.

დონ ჩიჩომ ჯავრი ამოიყარა. „მომჭირნე წარჩინებულის“ თუმცა იშვიათ, მაგრამ მისთვის ზედგამოჭრილ ნიღაბს ახლასხვა, გაცილებით უფრო ხშირი და არანაკლებ ჭეშმარიტი ნოდებაც ემატებოდა – „სნობი“. რადგანაც ტუმეო მიეკუთვნებოდა „პასიური სნობების“ დღეს უსამართლოდ გაკიცხულ ბიოლოგიურ სახეობას. რა თქმა უნდა, 1860 წლის სიცილიაში სიტყვა „სნობი“ არ იცოდნენ, მაგრამ, როგორც კოხამდეც არსებობდნენ ჭლექიანები, ასევე იმ შორეულ ეპოქაში არსებობდნენ ადამიანები, რომელთათვის მორჩილება, მიბაძვა და, განსაკუთრებით, არშენუხება იმათი, ვინც საკუთარ თავზე სოციალურად უფრო ამაღლებულად მიაჩნიათ, ცხოვრების უზენაესი კანონია: რადგანაც „სნობი“ „შურიანის“ ანტონიმია. იმ დროს ეს ცნება სხვა სახელებით წარმოდგებოდა ხოლმე: „მონინებული“, „მოყვარული“, „ერთგული“. და ცხოვრებასაც უფრო ბედნიერს ხდიდა, რადგან არისტოკრატის ყველაზე უხილავი ღიმილიც საკმარისი იყო, რომ მზით აეცსო მთელი დღე დილიდან დაღამებამდე. და რადგანაც ამ დადებითი სიტყვებითაც იყო აღნიშნული, სულის აღმდგენი უნარიც დღევანდელზე მეტი ჰქონდა. ამგვარად, დონ ჩიჩოს სნობური და გულითადი ბუნება უცებ შეცბუნდა იმის გამო, რომ დონ ფაბრიციო შეიძლება შენუხებულიყო და ამიტომაც გაფაციცებით ცდილობდა, მოეძებნა საშუალება თავადის ოლიმპიურ შუბლზე თავისი მიზეზით გაჩენილი ჩრდილის განსაადევნად. ყველაზე უშუალო და სათანადო საშუალება ნადირობის გაგრძელება იყო. დონ ჩიჩოც ასე მოიქცა.

ნაშუადღევის სიესტის შემდეგ კიდევ რამდენიმე უიღბლო

ღალღა და კიდევ ერთი ველური ბოცვერი დაეცა მონადირეთა გასროლის შემდეგ. ეს სროლებიც იმ დღეს განსაკუთრებით უღმობელი იყო, რადგანაც, როგორც სალინა, ასევე ტუმეო იმით ტკბებოდნენ, რომ იმ უმანკო ცხოველებს კალოჯერო სედარასთან აიგივებდნენ. მაგრამ თოფის ბათქები და მზეზე მოვლვარე ბუმბულისა თუ ლინლის ნაგლეჯები არ კმაროდა იმ დღეს თავადის დასამშვიდებლად. მაგრამ გადიოდა საათები და დონაფუგატაში დაბრუნება ახლოვდებოდა, გულზე კი ნუხილი, სიმწარე და დამცირება აწვებოდა მდაბიო მერთან აუცილებელი საუბრის გამო, ამიტომაც გულში რომ „დონ კალოჯერო“ უწოდა ორ ღალღასა და ერთ ბოცვერს, ეს ბოლოს და ბოლოს არც არაფერში გამოადგა. საუბარი ისე ეჯავრებოდა, როგორც ბაყაყის ცოცხლად გადაყლაპვა, მაგრამ რადგანაც ეს უკვე გადანყვეტილი ამბავი იყო, მონინალმდეგეზე ინფორმაციის შეგროვება მოინდომა და ხალხის თვალსაზრისის შემონიშნება იმ ნაბიჯზე, რომლის გადადგმაც უწევდა. ამიტომაც ერთ დღეში უკვე მეორედ მოუწია დონ ჩიჩოს მოულოდნელი შეკითხვა.

– დონ ჩიჩო, აბა ერთი მისმინეთ. თქვენ ხომ ამდენ ხალხს იცნობთ სოფელში. რას ფიქრობენ დონაფუგატაში დონ კალოჯეროს შესახებ?

მართალი რომ ითქვას, ტუმეოს ეგონა, რომ უკვე საკმარისი სიცხადით გადმოსცა მერის თაობაზე თავისი აზრი. პასუხი უკვე დააპირა, როცა თავში გაუელვა მის ყურამდე უკვე მისულმა იმ გაურკვეველმა ხმებმა, თითქოს დონ ტანკრედი განსაკუთრებულად დამტკბარი მზერით ეგებება ხოლმე ანჯელიკას. ამიტომაც უსიამოვნებამ შეიპყრო იმის გამო, რომ იძულებული გახდა ხალხის ტრიბუნად დამდგარიყო და, შესაძლოა, თავადისთვის საძულველი რამ ეთქვა, თუკი ეს ხმები სიმართლეს ასახავდა. მაგრამ გონების სხვა ნაკვეთურში ზეიმობდა, რომ ანჯელიკას წინააღმდეგ არაფერი წამოსცდენია. უფრო მეტიც, მცირე ტკივილი, რომელსაც ჯერ კიდევ გრძნობდა მარჯვენა ხელის საჩვენებელ თითში, ახლა უკვე მალამოდ ედებოდა.

– კაცმა რომ თქვას, თქვენო ბრწყინვალეზავ, დონ კალოჯერო სედარა სულაც არაა ამ ბოლო თვეებში გამოჩენილ სხვა ამგვარ ხალხზე განსაკუთრებით უარესი.

ხოტბა მოკრძალებული იყო, მაგრამ საკმარისი იმისათვის, რომ დონ ფაბრიციოს დაჟინება გამოეხატა.

- იცით, დონ ჩიჩო, მე ძალიან მაინტერესებს სიმართლე ვი-
ცოდე დონ კალოჯეროსა და მისი ოჯახის შესახებ.

- ჭეშმარიტება ისაა, თქვენო ბრწყინვალე ბავ, რომ დონ
კალოჯერო ძალიან მდიდარია და ძალიან გავლენიანიც. რომ
ის ძუნწია (მისი ქალიშვილი რომ კოლეჯში სწავლობდა, ის და
მისი ცოლი ერთ მოხარშულ კვერცხს იყოფდნენ), მაგრამ,
როცა სჭირდება, ხარჯვაც იცის. და რადგანაც ამქვეყნად და-
ხარჯული ყოველი გროში ბოლოს და ბოლოს ვილაცის ჯიბეში
აღმოჩნდება ხოლმე, ისე მოხდა, რომ ახლა ძალიან ბევრნი
მასზე არიან დამოკიდებული. ოღონდ, თუ მეგობარია, მაშინ
ნამდვილად მეგობარია - ეს უნდა ვთქვა. თავის მიწას ოთხ
ნაწილად ყოფს და აქირავებს. გლეხებიც ტყავში ძვრებიან,
რომ გადაიხადონ, მაგრამ ერთი თვის წინ პასკუალე ტრიპის,
რომელიც გარიბალდის გადმოსხდომის დღეებში ეხმარებო-
და, ორმოცდაათი უნცია ასესხა და ისიც სარგებლის გარეშე,
ეს კი უდიდესი სასწაულია მას შემდეგ, რაც წმიდა როზალიამ
შავი ჭირისგან იხსნა პალერმო. თანაც ეშმაკივით ჭკვიანია:
თქვენ ბრწყინვალეებას შარშან გაზაფხულზე უნდა ენახა:
მთელ ოლქში სულ წინ და უკან მოგზაურობდა ხან ეტლით,
ხან ჯორით და ხანაც ფეხით. დარშიც და ავდარშიც. და სადაც
გაივლიდა, იქ საიდუმლო წრეებს აარსებდა, ნიადაგს ამზა-
დებდა მათთვის, ვინც უნდა მოსულიყო. ღვთის რისხვა იყო,
თქვენო ბრწყინვალე ბავ, ღვთის რისხვა! და ეს მისი კარიერის
მხოლოდ დასაწყისია. რამდენიმე თვეში ტურინში დეპუტატი
გახდება და რამდენიმე წელიწადში, როცა საეკლესიო ქონე-
ბას გროშებად გაყიდიან, მარკასა და მაშიდაროს ფეოდებსაც
დაეპატრონება. პროვინციის ყველაზე მსხვილი მესაკუთრე
გახდება. ეს დონ კალოჯერო, თქვენო ბრწყინვალე ბავ, ახალი
კაცია ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. თუმცა კი დასაწა-
ნია, ასე რომაა.

დონ ფაბრიციომ პადრე პირონესთან საუბარი გაიხსენა
რამდენიმე თვის წინ მზით განათებულ ობსერვატორიაში. იე-
ზუიტის წინასწარმეტყველება ახდა. მაგრამ იქნებ სწორი ტაქ-
ტიკა იყო ახალ მოძრაობაში შესვლა და მისი ნაწილობრივ მა-
ინც შემოტრიალება თავისი კლასის ზოგიერთი წარმომადგენ-
ლის სასარგებლოდ? დონ კალოჯეროსთან მოახლოებული სა-
უბრის უსიამოვნება შემცირდა.

– და სხვები კი, დონ ჩიჩო, მისი ოჯახის წევრები როგორები არიან?

– თქვენო ბრწყინვალეებავ, დონ კალოჯეროს ცოლი უკვე მრავალი წელია არავის უნახავს. მხოლოდ მესაზე გამოდის ეკლესიაში. პირველ მესაზე, დილის ხუთ საათზე, როცა არავინაა. იმ დროს ორგანის თანხლება არაა, მაგრამ განგებ გამოვედი მის დასანახად. დონა ბასტიანა მოახლე გოგოსთან ერთად გამოსულიყო, მე კი საალსარებოს უკან დავიმაღლე და ბევრის დანახვას ვერ ვახერხებდი. მაგრამ ღვთისმსახურების ბოლოს სიცხემ დაამარცხა საბრალო ქალი და მანაც მოიხადა შავი თავსაფარი. სიტყვაზე მენდეთ, თქვენო ბრწყინვალეებავ, მზესავით მშვენიერია! და დონ კალოჯეროსაც ვერ გაამტყუნებ, რომ ეს ტარაკანი უცხო მზერას არიდებს ამისთანა ცოლს. მაგრამ უკეთესად დაცული სახლებიდანაც წვეთ-წვეთად გამოჟონავს ხოლმე რაიმე ცნობა. მსახურები ლაპარაკობენ. ჰოდა, ისე ჩანს, რომ დონა ბასტიანა რაღაც პირუტყვივითაა: არ იცის წერა-კითხვა, არ იცის საათის ცნობა, თითქმის ლაპარაკიც კი არ იცის: ლამაზი ფაშატია, სურვილით სავსე და ველური. ქალიშვილის სიყვარულის უნარიც კი არ გააჩნია. ლოგინში ჩასანვენად ვარგა და ეს საკმარისია.

დონ ჩიჩო, დედოფალთა გამოზრდილი და თავადთა მიმდევარი, ძალიან აფასებდა თავის უბრალო მანერებს და სრულყოფილად მიაჩნდა ისინი. ახლაც შეთქმულებით იღიმებოდა: მოახერხა და საკუთარი პიროვნების გამაუქმებლის შური იძია.

– ბოლოს და ბოლოს, – განაგრძობდა, – სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო. ხომ იცით, თქვენო ბრწყინვალეებავ, ვისი შვილია დონა ბასტიანა?

შებრუნდა, ფეხის ცერებზე წამოინია და სალოკი თითი გაიშვირა ციცაბო კლდის პირას შექუჩული და მაღალ სამრეკლოზე თითქოსდა გაჭირვებით მიჭედილი სახლებისაკენ.

– თქვენი რუნჩელი მოჯამაგირის შვილია. იმას პეპე ჯუნტა ერქვა ისეთი ბინძური და ჯმუხი იყო, რომ ყველანი პეპედ-ლნერას ეძახდნენ. ბოდიში ამ სიტყვისთვის, თქვენო ბრწყინვალეებავ.

კმაყოფილი იხვევდა თითზე ტერეზინას ყურს.

– როცა დონ კალოჯერომ ბასტიანა გააპარა, ორი თვის

თავზე მისი სიმამრი რამპინზერის ბილიკზე მკვდარი იპოვეს – ზურგში თორმეტი „კარტიჩი“ ჰქონდა მოხვედრილი. ისე დონ კალოჯეროს იღბალი იყო, თორემ აუტანელი და ამპარტავანი ვინმე ხდებოდა თანდათან.

ზოგი რამ დონ ფაბრიციომ უკვე იცოდა და ანონ-დანონა კიდევ. მაგრამ ანჯელიკას პაპის მეტსახელი კი არ იცოდა. ეს მეტსახელი ღრმა ისტორიულ პერსპექტივას ხსნიდა, ფარდას ხდიდა უფსკრულებს, რომლებთან შედარებით დონ კალოჯერო ბალის ყვავილნარივით ჩანდა. იგრძნო, რომ ფეხქვეშ ლამის მინა ეცლებოდა. ტანკრედიმ კი როგორ ჩაყლაპა ეს ყველაფერი? თვითონ კი? მისმა ტვინმა ანგარიში დაიწყო იმისა, თუ რა ნათესაური კავშირი დამყარდებოდა თავად სალინას, საქმროს ბიძას, და საპატარძლოს ბაბუას შორის. ვერ იპოვა, ვერანაირი ნათესაური კავშირი ვერ მყარდებოდა. ანჯელიკა ანჯელიკა იყო, ყვავილივით ქალი, ვარდი, რომელსაც პაპის მეტსახელმა მხოლოდ ნიადაგი გაუნაყოფიერა.

– Non olet, – იმეორებდა, – non olet, უფრო მეტიც, optime foeminam ac contubernium olet.²⁹

– ყველაფერზე მესაუბრეთ, დონ ჩიჩო. ველურ დედებსა და მძღნერიან ბაბუებზე, მაგრამ იმაზე არა, რაც მე ყველაზე მეტად მაინტერესებს: სინიორინა ანჯელიკაზე.

ტანკრედის საქორწინო, თუმც კი ჯერ ჩანასახოვან მდგომარეობაში მყოფ განზრახვათა საიდუმლოება, უეჭველია, უკვე გამჟღავნებული იყო, თუკი შენიღბვამ არ გაუმართლა. უეჭველია, შემჩნეულ იქნა ყმანვილის ხშირი ვიზიტები დონ კალოჯეროს სახლში, მისი ქურდული ღიმილიც. ათასი მცირედი საზრუნავი, ქალაქის პირობებში ჩვეული და შეუმჩნეველი, დონაფუგატას პურიტანიზმის თვალში ძლიერი ვნების სიმპტომად იქცეოდა. ყველაზე დიდი ცდუნება პირველი იყო: მზეზე შემწვარმა მოხუცებმა და მოფარკავე ბიჭებმა ყველაფერი ნახეს, ყველაფერს მიხვდნენ და გაიმეორეს კიდევ. იმ თორმეტიოდე მოპარული ატმის სამიჯნურო მნიშვნელობის გამო რჩევა უგამოცდილეს დედაბრებს ჰკითხეს ალბათ, საიდუმლოთა ამხსნელ წიგნებშიც ჩაიხედეს, რომელთა შორის

²⁹ არ ყარს... არ ყარს... საუკეთესო ქალს სიყვარულის სარეცლის სუნი უდის (ლათ.).

უპირველესი იყო რუტილიო ბენინკაზა – სოფლის მდაბიოთა არისტოტელე. საბედნიეროდ, ამ საქმიანობამ ჩვენში საკმაოდ ხშირი შედეგი გამოიღო: ავსიტყვაობის სურვილმა დაფარა ჭეშმარიტება. ყველამ ავხორცი ტანკრედის წარმოდგენა შეიქმნა: ამ ტანკრედიმ თავისი გარყვნილი მზერა ანჯელიკასკენ მიმართა, მის შეცდენას ცდილობდა და სულ ეს იყო. თავად ფალკონერისა და პეპედნერას შვილიშვილს შორის ქორწინების უბრალო იდეა არც კი გაჰქარებია იმ სოფლელთა წარმოდგენას, რომლებიც ამგვარად ფეოდალთა ოჯახებს ისეთივე პატივს მიაგებდნენ, როგორსაც მგმობელი მიაგებს ღმერთს. ტანკრედის გამგზავრებამ კი შეიკვცა ეს ფანტაზიები და ამაზე აღარ ლაპარაკობდნენ. ამ თვალსაზრისით ტუმეო დანარჩენებისგან არ განსხვავდებოდა, ამიტომაც შეკითხვა ისე მიიღო, თითქოს ხანში შესულ კაცს თავისი დისწულის ცუდლუტობები აინტერესებდა.

– სინიორინას შესახებ, თქვენო ბრწყინვალეზავ, – არაფერია სათქმელი. ის თვითონ ლაპარაკობს საკუთარ თავზე. მისი თვალები, მისი კანი, მისი მედიდურობა ცხადია და ეს ყველას ესმის. ვფიქრობ, ეს ენა დონ ტანკრედისაც მშვენივრად ესმის. ან იქნებ ძალიან ბოროტი ვარ, ასე რომ მგონია? მასში დედის მშვენიერებამ მოიყარა თავი და პაპის სიმყრალე კი არ დასტყობია. თანაც ჭკვიანია! ხომ ნახეთ, ფლორენციაში გატარებულმა რამდენიმე წელმა როგორ შეცვალა? ნამდვილი სინიორა გახდა, – განაგრძობდა საუბრის უმცირეს ელფერთა მიმართ უგრძნობი დონ ჩიჩო, – ნამდვილი სინიორა. როცა კოლეჯიდან დაბრუნდა, შინ მესტუმრა და ჩემი ძველი მაზურკა დაუკრა. ცუდად უკრავდა, მაგრამ შესახედად მართლაც ერთ რამედ ღირდა: ეს შავი ნაწნავები, თვალები, ფეხები, მკერდი... უჰ! სიმყრალე კი არა და... მის ქვეშაგებს ალბათ სამოთხის სურნელი ასდის!

თავადი გამრა: კლასობრივი სიამაყე იმდენად ძლიერია გადაგვარების უამსაც კი, რომ მისი დისწულის საცოლის მიმართ ამ ორგიასტულმა ქება-დიდება შეურაცხყო. როგორ ბედავს დონ ჩიჩო ამ მოურიდებელი ლირიზმით მეტყველებას, როცა საქმე მომავალ თავად ფალკონერის ეხება? თუმც კი მართალი იყო, რომ საბრალო კაცმა არაფერი იცოდა. საჭირო იყო მისი საქმის კურსში შეყვანა, მით უმეტეს, რომ რამდენიმე საათში

ამ ცნობას მაინც გამოქვეყნება ელოდა. მაშინვე გადანყვიტა და ტუმეოს ლეოპარდის მეგობრული ღიმილით მიმართა:

– დანყნარდით, ძვირფასო დონ ჩიჩო, დანყნარდით. შინ მიდევს ჩემი დისწულის ნერილი, რომელიც მავალებს ვითხოვო სინიორინა ანჯელიკას ხელი მამამისისგან. დღეიდან მოყოლებული მასზე თქვენთვის ჩვეული მონინებით ისაუბრებთ. თქვენ პირველი იგებთ ამ ცნობას, მაგრამ ამ უპირატესობის საფასური უნდა ზღოთ: როგორც კი სასახლეში დავბრუნდებით, ტერეზინასთან ერთად იარალის საწყობში ჩაგკეტავთ. საკმაო დრო გექნებათ თოფების გასანმენდად და დასაზეთად. მხოლოდ მას შემდეგ გაგათავისუფლებთ, რაც დონ კალოჯეროს ვიზიტი დასრულდება. არ მსურს რამე ცნობამ უფრო ადრე გააღწიოს.

მოულოდნელობისაგან დონ ჩიჩოს ასმაგი სიფრთხილე, ასმაგი სნობიზმი ერთბაშად დაინგრა, როგორც კარგად დამიზნებული ბურთით ჩამოგდებული კეგლების ჯგუფი. მხოლოდ ერთი უძველესი გრძნობა გადარჩა:

– ეს, თქვენო ბრწყინვალეზავ, უბრალოდ ღორობაა! თქვენს დისწულმა, თითქმის ვაჟიშვილმა ცოლად არ უნდა შეირთოს იმათი შვილი, ვინც თქვენი მტერია და ყოველთვის ფეხს გიდებდათ. მისი შეცდენა, როგორც აქამდე მეგონა, დაპყრობა იქნებოდა. ასე კი უპირობო კაპიტულაციაა. ეს ფალკონერების დასასრულია, და სალინასიც!

ამის თქმაზე თავი ჩალუნა და ისურვა, მინა გასკდომოდა. თავადს ალმური მოედო: ყურები, თვალების კაკლებიც კი სისხლისფერი გაუხდა. მუშტები შეკრა და დონ ჩიჩოსკენ გადადგა ნაბიჯი. მაგრამ მაინც მეცნიერი კაცი იყო, საგნების ღრმად მჭვრეტელი და თავისი ლომური გარეგნობის მიღმა სკეპტიკოსიც. დღეს უკვე საკმაოდ განიცადა: პლებისციტის შედეგები, ანჯელიკას პაპის მეტსახელი, კარტიჩი! ტუმეო კი მართალი იყო, მისი პირით წმინდა ტრადიცია მეტყველებდა. ოღონდ კი მთავარი არ ესმოდა: ეს ქორწინება არაფრის დასასრული არ ყოფილა, სამაგიეროდ, ყველაფრის დასაწყისი იყო. თანაც საუკუნეობრივ ჩვეულებებსაც არ ეწინააღმდეგებოდა.

მუშტები კვლავ გაეხსნა, თუმცა ხელისგულებს ფრჩხილების ნაკვალევი ემჩნეოდა.

– შინ ნავიდეთ, დონ ჩიჩო. თქვენ ზოგი რამ არ გესმით. შეთანხმება ხომ ძალაშია?

და სანამ შარაგზისკენ ეშვებოდნენ ფერდობზე, ძნელად თუ იტყოდა კაცი, რომელი იყო დონ კიხოტი და რომელი – სანჩო.

* * *

როდესაც ზუსტად ხუთის ნახევარზე დონ კალოჯეროს უპუნქტუალურესი მობრძანება აცნობეს, თავადს ჯერ კიდევ არ ჰქონდა დასრულებული თავისი ტუალეტი. მერს ერთი ნუთით კაბინეტში დალოდების თხოვნა გადასცა და მშვიდად განაგრძო თავის გალამაზება. თმებზე „ლიმე-პრიალა“ გადაისვა, ანუ ატკინსონის იმე-ჟუიცე, ლონდონიდან ყუთებით გამოგზავნილი მოთეთრო სქელი ლოსიონი, რომლის სახელწოდება, სიმღერებისა არ იყოს, სიცილიაზე ეთნიკურ გარდასახვას განიცდიდა. შავი რედინგოტი უარყო და სავარაუდოდ საზეიმო შემთხვევისათვის უფრო შესაფერისი უნაზესი იასამნისფერი არჩია. კიდევ ოდნავ შეყოვნდა, ნიკაპიდან პინცეტით ამოიძრო დილის საგულდაგულო პარსვას გადარჩენილი ურცხვი თმის ღერი. პადრე პირონეს უხმო, გამოსვლამდე მაგიდიდან ხელში აიღო *lätter der Himmelsforschung*³⁰ და დახვეული ჟურნალით გადაინერა პირჯვარი – ღვთისმოსავი ჟესტი, რომელსაც სიცილიაში გაცილებით უფრო ხშირად აქვს არარელიგიური მნიშვნელობა, ვიდრე ფიქრობენ.

სანამ კაბინეტამდე დარჩენილ ორ ოთახს გადაკვეთდა, თავი მოიტყუა, რომ პრიალა და სურნელოვანბენვიანი მედიდური ლეოპარდია, რომელიც გაუბედავი ტურის შესასანსლად მიემართება. მაგრამ იღვათა ერთი უნებური ასოციაციის გამო, რომელიც, ჩვეულებრივ, ამგვარი ბუნების მქონე პიროვნებათა სატანჯველს-ნარმოადგენს, გონების თვალწინ საფრანგეთის ისტორიის ერთ-ერთი სურათი დაუდგა, რომელზეც ავსტრიელი გენერლები და მარშლები, პლუმაჟებითა და ეპოლეტებით დატვირთულნი, რიგში ჩამდგარნი ნებდებიან ირონიით აღსავსე ნაპოლეონს. ისინი, უეჭველად, უფრო ელეგანტურნი არიან, მაგრამ გამარჯვებული მაინც რუხ მუნდირში გამოწყობილი ქონდრისკაცია. მანტუისა და ულმის ამგვარი მოგონებებით გულდაბინდული თავადი კაბინეტში შესვლისას მხოლოდ გაღიზიანებული ლეოპარდი აღმოჩნდა.

³⁰ „ცაზე დაკვირვების ფურცლები“ (გერმანული ასტრონომიული ჟურნალი).

დონ კალოჯერო ფეხზე იდგა, ერთი ციცქნა და ცუდად გაპარსული. კაცს მართლაც ტურა ეგონებოდა, მისი ჭკუით მომზირალი თვალები რომ არა. მაგრამ, რადგან ეს ნიჭი უფრო მატერიალურ სფეროს მოიცავდა, განსხვავებით თავადისაგან, რომელიც თითქოსდა უფრო აბსტრაქტულისკენ იხრებოდა, ამიტომაც დონ კალოჯეროს გონიერება ცბიერებად იქნა შეფასებული. გარემოებათა და ტანისამოსის ერთმანეთთან შეხამების უნარი, რომელიც თავადისთვის თანდაყოლილი იყო, სრულიად არ გააჩნდა ლამის ძაძვებით მოსილ მერს. თითქმის პადრე პირონესავით შავი იყო, მაგრამ თუკი ეს უკანასკნელი კუთხეში ჩამოჯდა და სხვათა გადანყვეტილებაში ჩარევის არმოსურნე მღვდლის დამახასიათებელი მარმარილოსებრ განყენებული იერი მიიღო, მერის სახე იმდენად მოუთმენელ მოლოდინს გამოხატავდა, რომ საცქერლად საცოდავი იყო. თავიდან უმნიშვნელო ფრაზათა შეხლა-შემოხლა გაიმართა, რომელიც, ჩვეულებრივ, წინ უსწრებს ხოლმე დიდ სიტყვიერ ბრძოლებს. მაგრამ პირველი დიდი შეტევა დონ კალოჯერომ ნამოინყო:

- თქვენო ბრწყინვალება, - იკითხა, - დონ ტანკრედისაგან ხომ არ მიგიღიათ რაიმე სასიამოვნო ცნობა?

იმ დროს პატარა სოფლებში მერს ფოსტის არაოფიციალური კონტროლის საშუალება ჰქონდა და, შესაძლოა, ტანკრედის წერილის უჩვეულო ელევანტურობამ საგონებელში ჩააგდო. როგორც კი თავში ამ აზრმა გაუელვა, თავადი მყისვე უარესად გაღიზიანდა.

- არა, დონ კალოჯერო, არა. ჩემი დისწული გაგიჟდა...

მაგრამ არსებობს თავადთა მფარველი ქალღმერთი. მას „კეთილი აღზრდა“ ჰქვია და ხშირად ერევა საქმეში ლეოპარდების უგუნური ნაბიჯისაგან დასაცავად. მაგრამ ეს ქალღმერთი უხვ მსხვერპლს მოითხოვს. როგორც ათენა ერეოდა საქმეში ოდისევსის თავშეუკავებლობის ასალაგმად, ასევე „კეთილი აღზრდა“ გამოეცხადა დონ ფაბრიციოს და უფსკრულის პირას შეაჩერა. მაგრამ გადარჩენის ფასი იმით გადაიხადა, რომ ცხოვრებაში ერთხელ მოუხდა არაორაზროვანი წინადადების თქმა. სრულყოფილი ბუნებრიობით, ყოველგვარი ნაბორძიკების გარეშე დაასრულა სათქმელი:

- გაგიჟდა თქვენი ქალიშვილისადმი სიყვარულით, დონ კალოჯერო. და გუშინ მომწერა კიდევც ამის შესახებ.

მერმა გასაოცარი თავდაჭერა გამოიჩინა. გაიღიმა და თავისი ქუდის ლენტის თვალიერებას შეუდგა. პადრე პირონეს მზერა ჭერს ებჯინებოდა, თითქოს ნაგებობის სიმკვიდრის შესამოწმებლად მოწვეული ხურო ყოფილიყო. დონ ფაბრიციო შეცბა: ამ მდუმარებამ წაართვა მსმენელთა გაკვირვების იმედზე დამყარებული მცირედი სიამოვნება. ამიტომაც შევებით ამოისუნთქა, როცა შეამჩნია, რომ დონ კალოჯერო სალაპარაკოდ ემზადებოდა.

– ვიცოდი, თქვენო ბრწყინვალეებავ, ვიცოდი. ნახეს, როგორ ჰკოცნიდნენ ერთმანეთს 25 სექტემბერს, სამშაბათს, დონ ტანკრედის გამგზავრების წინადღეს, თქვენს ბაღში, შადრევნის წინ. დაფნის ღობეები ყოველთვის როდია ისეთი ხშირი, როგორც ჩანს. ერთი თვის განმავლობაში ველოდებოდი თქვენი დისწულისაგან რაიმე ნაბიჯს და ახლა იმასაც ვფიქრობდი, თქვენი ბრწყინვალეებისთვის მეკითხა, როგორი უნდა იყოს მისი განზრახვა.

დონ ფაბრიციოს თითქოს ნესტარმომარჯვებულ კრაზანათა გუნდი დაეხვია. უპირველეს ყოვლისა, როგორც ყველა ჯერაც ახალგაზრდა მამაკაცს, ხორციელი ეჭვიანობისა: ტანკრედიმ გემო გაუსინჯა იმ მარწყვს, რომელიც სამარადისოდ უცნობი დარჩებოდა თავადისათვის. მეორეც, სოციალური დამცირება შეიგრძნო, რადგან კეთილის მაუნყებლის კი არა, ბრალდებულის როლში გამოდიოდა. და მესამეც, პირადი ბოლმა ჰქონდა: ეგონა, თითქოს ყველაფერს აკონტროლებდა, სინამდვილეში კი თურმე მისი მზერა ბევრ რამეს ვერ სწვდებოდა.

– დონ კალოჯერო, მაგიდასთან ნუ შევცვლით ქალაღდებს. გაიხსენეთ, რომ მე გთხოვეთ მობრძანება. მსურდა მემცნო თქვენთვის ჩემი დისწულისგან გუშინ მოსული წერილის შინაარსი. მასში განცხადებულია თქვენი ქალიშვილის მიმართ ვნება, ვნება, რომლის სიძლიერესაც (აქ თავადი ოდნავ შეყოყმანდა, რადგანაც ზოგჯერ ტყუილის თქმა ძნელია ხოლმე დაუჩინებელი მზერის წინაშე) მე აქამდე არ ვიცნობდი. საბოლოოდ კი ჩემმა დისწულმა დამავალა, გთხოვით სინიორინა ანჯელიკას ხელი.

დონ კალოჯერო კვლავაც შეუვალი იყო. პადრე პირონე კი გამოცდილი ხუროსგან მუსლიმ შეიხად გარდაიქმნა: მარჯვენა და მარცხენა ხელის თითები გადააჭდო ერთმანეთს და ცე-

რებს ერთმანეთის გარშემო ატრიალებდა, თანაც ნამდაუნუმ ცვლიდა მიმართულებას ქორეოგრაფიული ფანტაზიის თავისუფალი დინების შესაბამისად. დუმილმა დიდხანს გასტანა. თავადმა მოთმინება დაკარგა:

- ახლა კი დონ კალოჯერო, მე ველოდები, როდის ინებებთ თქვენი განზრახვის გაცხადებას.

მერმა, რომელიც აქამდე თავადის სავარძლის ნარინჯისფერ ფოჩებს ამტერდებოდა, ერთი ნამით თვალზე ხელი აიფარა და წამოდგა. თვალეები ახლა ალალი განცვიფრებით აევსო, თითქოს მართლაც ამ წამს შეცვლილიყო.

- მაპატიეთ, თავადო, - „ბრწყინვალეების“ მოულოდნელ გამოტოვებაზე დონ ფაბრიციო მიხვდა, რომ ყოველივე ბედნიერად დაგვიგრვინდა, - მაგრამ სასიხარულო ცნობამ მეტყველების უნარი დამაკარგვინა. მე, უნდა გითხრათ, თანამედროვე მამა ვარ და ვერ მოგცემთ საბოლოო პასუხს, სანამ იმ ანგელოზს არ გამოვკითხავ, ჩვენი ოჯახის ნუგეშს. მაგრამ მამის წმიდათანმიდა ვალდებულების აღსრულებაც ვიცი. ვიცი, რაც ხდება ანჯელიკას გულსა და გონებაში და, ვფიქრობ, შემიძლია მოგახსენოთ, რომ დონ ტანკრედის სიყვარული, რომელიც ესოდენი პატივია ჩვენთვის, გულითად პასუხს იპოვის ჩემი ქალიშვილისგან.

დონ ფაბრიციოს გულწრფელი მღელვარება დაეუფლა: ბაყაყი გადაიყლაპა, თავი და რბილი მუცელი უკვე საყლაპავში მისრიალებდა. ფეხების დაღეჭვალა დარჩა, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავდა დანარჩენთან შედარებით. უმთავრესი საქმე შესრულებული იყო. როგორც კი თავისუფლების შეგრძნება გაიგემოვნა, თავადის გულში ტანკრედის მონატრებამ გაიღვიძა. წარმოიდგინა ვინრო ცისფერი თვალეები, რომლებიც ასე გაიელვებდნენ სასიხარულო პასუხის კითხვისას, თვალწინ დაუდგა, ან, უფრო სწორად, გაიხსენა სიყვარულით აღსრულებული ქორწინების პირველი თვეები, რომელთა შორის გრძნობათა გახელებასა და მთელ მათს აკრობატიკას მხარს უჭერენ და ამდიდრებენ კეთილგანწყობილ, თუმც კი ოდნავ გაკვირვებულ ანგელოზთა ზეციური დასები. კიდევ უფრო ღრმად ჩახედა და შეამჩნია ყოველმხრივ დაზღვეული ცხოვრება, ტანკრედის ნიჭთა გამოვლენის შესაძლებლობა, რომელსაც ამის გარეშე ფულის ნაკლებობა შეაკვეცდა ფრთებს.

არისტოკრატი წამოდგა, შემცბარი დონ კალოჯეროს მიმართულებით გადადგა ნაბიჯი, წამონია იგი სავარძლიდან და გულში ჩაიკრა. მერის მოკლე ფეხები ჰაერში დაეკიდა. სიცილიის შორეული პროვინციის იმ ოთახში გამოისახა იაპონური გრავიურა, რომელზედაც ბანჯგვლიანი კელა უშველებელ მოიისფრო ზამბახზე კიდი. როცა დონ კალოჯეროს ტერფები კვლავ იატაკს შეეხო დონ ფაბრიციომ გაიფიქრა: «არა, ერთი ნყვილი ინგლისური სამართებელი მაინც უნდა ვაჩუქო, თორემ საქმე ასე არ წავა წინ».

პადრე პირონემ თავისი ცერების ბრუნვა შეაჩერა, წამოდგა, თავადს ხელი ჩამოართვა.

– თქვენო ბრწყინვალეზავ, ამ ქორწინების საღვთო მფარველობისთვის ვლოცულობ. თქვენი სიხარული ჩემი გახდა.

დონ კალოჯეროს თითის წვერები გაუნოდა უხმოდ. მერე კი მოკაკვული თითით კედელზე დაკიდებულ ბარომეტრს მიურაკუნა. ისარი დაეშვა – ავდარი იყო მოსალოდნელი. კვლავ დაჯდა და ლოცვანი გადაშალა.

– დონ კალოჯერო, – ამბობდა ამასობაში თავადი, – ამ ორი ყმანვილის ერთმანეთისადმი სიყვარული ყველაფრის საფუძველია, ერთადერთი, რასაც შეიძლება დაეყრდნოს მათი მომავალი ბედნიერება. ეს ვიცით. მორჩა და გათავდა. მაგრამ ჩვენ, ხანში შესული კაცები, იძულებულნი ვართ, სხვა საზრუნავსაც მივხედოთ. ზედმეტია იმის თქმა, რამდენად ბრწყინვალეა ფალკონერის გვარი: სიცილიაში ისინი კარლოს ანჟუელთან ერთად მოვიდნენ და არაგონელთა, ესპანელთა და ბურბონთა (თუ მათი ხსენების ნებას მომცემთ) დინასტიათა მმართველობის ქვეშ ყვაოდნენ. იმედი მაქვს, რომ ეს კეთილდღეობა ახალი კონტინენტური დინასტიის ქვეშევრდომობაშიც გაგრძელდება (ლმერთმა ინებოს), – ვერასოდეს გაიგებდა კაცი, როდის ირონია იყო დონ ფაბრიციოს სიტყვებში და როდის შეცდომა. – ფალკონერები მეფის სწორთა, ესპანეთის გრანდთა, სანტიაგოს კავალერთა ნოდებას ატარებენ. და როდესაც თავში მალტის კავალერად გახდომის სურვილმა მოუარა, თითის ანევალა კმაროდა: ვია კონდოტიზე სულმოუთქმელად გამოუცხვეს შესაბამისი დიპლომი, თითქოსდა საქმე უბრალო ნაზუქს ეხებოდა.

ეს ცბიერი ინსინუაცია სრულიად უსარგებლო იყო, რადგა-

ნაც დონ კალოჯერო სრულიად არ იცნობდა ნმიდა იოანეს უზენაესი იერუსალიმური ორდენის სტატუსს.

– დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი ქალიშვილი თავისი იშვიათი სილამაზით კიდევ უფრო შეამკობს ფალკონერის უძველესი გენეალოგიის ხეს, ხოლო თავისი სიქველეთით საკადრის მეტოქეობას გაუწევს კეთილმორწმუნე თავადის ქალებს, რომელთაგან უკანასკნელი, ჩემი დაუვინყარი და, ზეციდან აკურთხებს ახალდაქორწინებულებს.

და დონ ფაბრიციო კვლავ მღელვარებამ შეიპყრო თავისი ძვირფასი ჯულის გახსენებაზე, რომლის სიცოცხლე ერთი მთლიანი მსხვერპლი იყო ტანკრედის მამის უგუნურებისათვის შეწირული.

– რაც შეეხება ყმანვილს, მას იცნობთ. და თუ არ იცნობთ, მე ვარ თავდები ყველაფრისა. ტონობით სიკეთეა მასში და ამას მხოლოდ მე არ ვამბობ. ხომ მართალია, პადრე პირონე?

ნალდი იეზუიტი მოულოდნელად მოაშორეს საკითხავს და მტანჯველი დილემის წინაშე დააყენეს. იგი ტანკრედის მოძღვარი იყო და მისი ცოდვების ავან-ჩავანიც კარგად იცოდა. რა თქმა უნდა, მძიმე ცოდვები არ ჰქონია, მაგრამ საკმარისი რაოდენობით მოაკლებდა ცენტნერებს იმ მასიურ სიკეთეს, რომელზედაც საუბრობდა თავადი. თანაც ყველა ეს ცოდვა ისეთი ხასიათისა იყო, რომ მომავალ ქორწინებაში უმტკიცეს ორგულობას ჰპირდებოდა. ეს, თავისთავად, არ ითქმებოდა როგორც სჯულის კანონის, ასევე მაღალ საზოგადოებაში მიღებული წესების თანახმად. მეორე მხრივ, პადრე პირონესაც უყვარდა ყმანვილი, და თუმცა გულის სიღრმეში ვერანაირად ამართლებდა ამგვარ ქორწინებას, ვერასოდეს იტყოდა ერთ სიტყვასაც კი, რომელიც, არ ვამბობ, დააბრკოლებდა-მეთქი, უბრალოდ, ჩრდილს მიაყენებდა მისი განხორციელების სიადვილეს. ბოლოს და ბოლოს თავშესაფარი კეთილგონიერებაში იპოვა, რომელიც ძირითად ქრისტიანულ სიქველეთა შორის ყველაზე მორჩილი და ადვილად მოსახმარია.

– ჩვენი ტანკრედის სიკეთე ღრმა და დიდია, დონ კალოჯერო, ასე რომ, იგი, საღვთო მადლითა და სინიორინა ანჯელიკას მიწიერი ღირსებებით შემკული, ერთ დღეს უცილობლად შეიქმნება კეთილი ქრისტიანი მეუღლე.

თუმც კი რისკით აღსავსე წინასწარმეტყველება იყო, გო-

ნივრულად შეზავებული სიტყვებით წარმოთქმულმა მაინც ივარგა.

– მაგრამ, დონ კალოჯერო, – განაგრძობდა თავადი და თან ხსენებული ბაყაყის უკანასკნელ ხრტილებს ლოდნიდა, – თუ ამოა ფალკონერის გვარის სიძველეზე საუბარი, სამწუხაროდ, რადგანაც მრავალი რამ უკვე მოგეხსენებათ, ასევე ამოა ლაპარაკი ჩემი დისწულის დღევანდელ ქონებრივ მდგომარეობაზე, რომელიც ვერ შეესაბამება მისი სახელის სიდიადეს. ტანკრედის მამა, ჩემი სიძე, ფერდინანდო, ვერ იყო ის, რასაც წინდახედულ მამას უწოდებენ. მისმა ბატონკაცურმა ჩვევებმა, მის მნეთა ქარაფშუტობის დახმარებით, ჩემი ძვირფასი დისწულისა და აღსაზრდელის მემკვიდრეობას განუზომელი ზარალი მიაყენა. მაძარას დიდი ფეოდები, რავანუზას სათხილე, გერანის პლანტაციები ოლივიერიში, პალერმოს სასახლე, ყველაფერი, ყველაფერი დაიკარგა. თქვენ იცით ეს, დონ კალოჯერო.

დონ კალოჯერომ იცოდა: ეს მერცხალთა ყველაზე დიდი გადაფრენა იყო, რომელიც ოდესმე ახსოვდათ და რომელიც არათუ სიფრთხილეს, შიშს უსახავდა გულში პალერმოელ არისტოკრატებს, მაგრამ სიხარულის წყარო იყო ყველა ჯურის სედარასათვის.

– ჩემი მეურვეობის პერიოდში მხოლოდ ერთი ვილა გადავარჩინე ჩემ მახლობლად. რა თქმა უნდა, მრავალი იურიდიული ხრიკისა და გარკვეული მსხვერპლის წყალობითაც, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, სიხარულით გავიღე როგორც ჩემი დაუვინყარი დის, ჯულიას პატივსაცემად, ასევე მისი ძვირფასი შვილისადმი სიყვარულის გამო. ეს მშვენიერი ვილაა: კიბე მარველიამ დააპროექტა, სალონები კი სერენარიომ შეამკო. მაგრამ ახლა ეს შენობა საუკეთესო მდგომარეობაშიც კი შეიძლება მხოლოდ თხების სადგომად გამოდგეს.

ბაყაყის უკანასკნელი ძვლები სავარაუდოზე ბევრად უგემური აღმოჩნდა, მაგრამ, საბოლოოდ, ესეც მოთავდა. ახლა საჭირო იყო პირში რამდენიმე უმნიშვნელო, მაგრამ გულწრფელი წინადადების გამოვლენა.

– მაგრამ, დონ კალოჯერო, მთელი ამ უბედურების, მთელი ამ დავიდარაბის შედეგი თვით ტანკრედია. ჩვენ ვიცით ეს ყოველივე: ალბათ არ შეიძლება წარმოიქმნას მასავით გონიერი,

ფაქიზი და მომხიბვლელი ახალგაზრდა, თუ მისი წინაპრები ნახევარ დუჟინ მსხვილ მემკვიდრეობას არ გაფლანგავენ. ყოველ შემთხვევაში, სიცილიაში ეს ნამდვილად ასეა. ეს რალაც ბუნების იმ კანონთა მაგვარია, რომლებიც გვალვასა და მინისძვრებს განაგებენ.

დადუმდა, რადგანაც ლაქია შემოვიდა და შანდალზე დამაგრებული ორი ანთებული სანთელი შემოიტანა. სანამ სანთლებს ადგილზე დგამდნენ, დონ ფაბრიციომ კაბინეტში თანამგრძნობი ნუხილით აღსავსე სიჩუმის სუფევას არ შეუშალა ხელი. შემდეგ:

– ტანკრედი უბრალო ყმანვილი არ გეგონოთ, დონ კალოჯერო, – განაგრძო, – ის არა მხოლოდ ელეგანტური სინიორია. ცოტა რამ უსწავლია, მაგრამ ყველაფერი იცის, რისი ცოდნაც საჭიროა მის გარემოში: კაცები, ქალები, გარემოებები, დროის ელფერი. ამბიციურია და ამის საფუძველიც აქვს: შორს წავა. თქვენი ანჯელიკა, დონ კალოჯერო, ბედნიერი იქნება, თუ ამ აღმავალ გზას მასთან ერთად დაადგება. და მერე, როცა ტანკრედისთან ერთად ხარ, შეიძლება გაბრაზდე ზოგჯერ, მაგრამ არასოდეს მოიწყენ. ეს კი ბევრია.

გადაჭარბებული იქნებოდა იმის თქმა, რომ მერი თავადის საუბრის ამ ნაწილში მალალი საზოგადოებისათვის დამახასიათებელ უხვად მიმოფანტულ შუქრდილებს აფასებდა. ამ საუბარმა მხოლოდ კიდევ უფრო განამტკიცა მასში ტანკრედის ცბიერებისა და ოპორტუნიზმის შესახებ ადრევე შექმნილი თვალსაზრისი. მასაც შინ მხოლოდ ცბიერი და მედროვე კაცი სჭირდებოდა, მეტი არაფერი. საკუთარ თავს სხვების თანახმორად გრძნობდა. ისიც კი სწყინდა, რომ საკუთარ ქალიშვილში ტანკრედის მიმართ რალაც სამიჯნურო მოძრაობას ამჩნევდა.

– თავადო, ეს ყველაფერი ვიცოდი და კიდევ ბევრი სხვა რამეც. ჩემთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს, – აქ სანტიმენტალობით შეიმოსა. – სიყვარული, თავადო, სიყვარული ყველაფერია და მე შემიძლია ამის ცოდნა.

იქნებ გულწრფელიც კი იყო ეს საბრალო კაცი, თუ სიყვარულის მისეულ შესაძლო განსაზღვრებას გავითვალისწინებთ.

– მაგრამ მეც ამ საზოგადოების კაცი ვარ და მეც მინდა ჩემი კარტები გავხსნა. ამაო იქნებოდა ჩემი ქალიშვილის მზითევზე საუბარი. ეს ჩემი სისხლი და ხორცია, ჩემი ღვიძლია.

არავინა მყავს, ვისაც ჩემს ქონებას დაუტოვებდი და ყველაფერი, რაც ჩემია, მისიცაა. მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდებმა იცოდნენ, რისი მოხმარება შეუძლიათ დაუყოვნებლივ: საქორწინო კონტრაქტით გადავცემ ჩემს ქალიშვილს სეტესოლის ფოდს – 644 სალმას, ანუ, როგორც ახლა ამბობენ, 1680 ჰექტარს. სულ ხორბლის სანახებს. პირველხარისხოვანი მიწებია, კარგ ადგილზე და დასვენებული. და 180 სალმა ვენახსა და ზეთისხილის ბაღებს ჯიბილდოლჩეში. ქორწინების დღეს კი სიძეს გადავცემ ტილოს ოც ტომარას, თითოეულში ათასი ოქროს უნციით. მე ხელცარიელი ვრჩები, – დასძინა და ესიამოვნა, რომ არავინ დაიჯერა, – მაგრამ ქალიშვილი ქალიშვილია. ამ თანხით კი შეუძლიათ მარუჯას ყველა კიბე და მსოფლიოში არსებული სორწონეროს მოხატული ყველა ჭერი შეაკეთონ. ანჯელიკა კარგად უნდა იყოს მოწყობილი.

ყოველი ფორიდან უფიცი ვულგარულობა იღვრებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა ორივე მსმენელი გაოცებული დარჩა. დონ ფაბრიციოს მთელი თავისი თავდაჭერილობა დასჭირდა გაკვირვების დასამალად. ტანკრედის გასროლა გაცილებით უფრო ზუსტი აღმოჩნდა, ვიდრე ეგონა. უსიამოვნო შეგრძნებამ შეიპყრო, თუმცა ანჯელიკას მშვენიერება და სასიძოს სინატიფე ჯერ კიდევ პოეზიით ფარავდა კონტრაქტის გაშიშვლებულ სიტლანქეს. პადრე პირონემ, მანაც სასაზე ენა გააანკლაპუნა, მერე საკუთარი გაკვირვების გამჟღავნების გამო დაბოლმილი ეცადა, ამ უცაბედი ბგერისათვის რითმა ეპოვა ხან სკამის, ხან ფეხსაცმლის ჭრიალით, ხანაც ლოცვანის ხმაურიანი ფურცვლით, მაგრამ ვერაფერს გახდა და შთაბეჭდილებაც დარჩა.

საბედნიეროდ, დონ კალოჯეროს უტაქტობამ, ერთადერთმა მთელი საუბრის განმავლობაში, ყველანი გამოიყვანა უხერხული მდგომარეობიდან:

– თავადო, – თქვა მან, – ვიცი, რის თქმასაც ვაპირებ, თქვენზე არავითარ შთაბეჭდილებას არ მოახდენს, რადგანაც იმპერატორ ტიტონისა და ბერენიკე დედოფლის შთამომავალი ბრძანდებით, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ სედარაც წარჩინებული გვარია. ჩემამდე ის უიღბლო, პროვიცინიაში დამარხული და ბრწყინვალეობას მოკლებული მოდგმა იყო, მაგრამ მე ყველა საბუთი ნესრიგში მაქვს მოყვანილი და უჯრაში მიდევს. ერთ დღეს გაიგებთ, რომ თქვენმა დისწულმა ცოლად შეირთო

ბარონესა სედარა დელ ბისკოტო. ეს ტიტული მოგვანიჭა მის-
მა უდიდებულესობამ, ფერდინანდ IV მაძარას ნავსადგურის
სეკრეციაში. აუცილებლად უნდა ჩავატარო შესაბამისი ადმი-
ნისტრაციული ოპერაცია: მხოლოდ ერთი ჩანერა მაკლია.

ეს ნაკლული „ჩანერა“, სეკრეციები, თითქმის ომონიმური
ტიტულები ასი წლის წინ ბევრი სიცილიელის ცხოვრებაში
მნიშვნელოვანი ელემენტი იყო და ათასობით მეტ-ნაკლებად
ღირსეული ადამიანისთვის ხან დეპრესია მოჰქონდა და ხანაც
აღტაცება. მაგრამ ეს მეტად მნიშვნელოვანი საგანია და ასე
ზერელე განხილვას ვერ აიტანს, ამიტომ აქ მხოლოდ იმის აღ-
ნიშვნით შემოვიფარგლებით, რომ დონ კალოჯეროს პერალ-
დიკურმა გამოსვლამ თავადს შეუდარებელი ესთეტიკური
ტკბობა მოჰგვარა, რადგან საკუთარი თვალით იხილა, როგორ
განხორციელდა მის წინ სოციალური ტიპი მთელი თავისი დე-
ტალებით. ასე რომ, საკუთარმა შეკავებულმა სიცილმა იმდე-
ნად დაუტკბო პირი, რომ ლამის გული აურია.

ამის შემდეგ საუბარი ასობით ამაო ნაკადულად გაიშალა:
დონ ფაბრიციოს გაახსენდა იარალის ბნელ სანყოფინში ჩაკეტი-
ლი ტუმეო და თავის სიცოცხლეში მეთათსევე დანყველა
სოფლური ვიზიტების ხანგრძლივობა და იმით დაასრულა,
რომ მოიღუპა და დადუმდა. დონ კალოჯერო ყველაფერს მიხ-
ვდა, აღუთქვა, რომ ხვალ დილითვე ეახლებოდა ანჯელიკას
უეჭველი თანხმობის გადასაცემად. ამით გამოემშვიდობა.
ამის შემდეგ კიდევ ორი დარბაზის სიგრძეზე ისარგებლა თა-
ვადის თანხლებით, კიდევ ერთხელ იგრძნო მისი ძალუმი მოხ-
ვევა და კიბეზე ჩავიდა, სანამ მალა, კომპივით აღმართული
დონ ფაბრიციო უჭვრეტდა, როგორ ნელ-ნელა მცირდებოდა
მის თვალში ეს ცბიერების, ცუდად გამოჭრილი ტანსაცმლის,
ოქროსა და უვიცობის გროვა, რომელიც ცოტა ხანში თითქმის
მისი ოჯახის ნევრი უნდა გამხდარიყო.

* * *

ხელში სანთლით შევიდა თავადი სიბნელეში ბედთან შერი-
გებული და ჩიბუხის ნევაში გართული ტუმეოს გასათავისუფ-
ლებლად.

– ვნუხვარ, დონ ჩიჩო, მაგრამ გამიგებთ, რომ ასე უნდა
მოვექცეულიყავი.

– მესმის, თქვენო ბრწყინვალებავ, მესმის. ხომ კარგად ჩა-
იარა ყველაფერმა?

– მშვენივრად. უკეთესად რომ არ შეიძლება.

ტუმეომ ცალკებად ჩაუბუტბუტა მილოცვა, ღვედი შეაბა
ნადირობისაგან დაქანცულსა და იქვე მძინარე ტერეზინას და
მხარზე მოიგდო იაგდტაში.

– ჩემი ლაღლებიც ნაიყოლეთ. ნამდვილად დაიმსახურეთ
ეს. ნახვამდის, ჩემო კეთილო დონ ჩიჩო, მალე გამოჩნდით
ყვლავ. მომიტევეთ ეს ყველაფერი.

მხარზე ხელის ძლიერი ტყაპუნი გაისმა შერიგებისა და
პატრონის კეთილგანწყობის ნიშნად. სალინას გვარის უკანას-
კნელი ერთგული ქვეშევრდომი თავისი ღარიბული ბინისკენ
გაეშურა.

როცა თავადი კაბინეტში დაბრუნდა, ნახა, რომ პადრე პი-
რონე კატასავით გაპარულიყო, რომ დისკუსიებისთვის აერი-
დებინა თავი. ამიტომ ცოლის ოთახისკენ გაემართა ამბის მო-
საყოლად. მისი ჩქარი და ენერგიული ნაბიჯების ხმა ათი მეტ-
რის მანძილიდან აუნყებდა თავადის მოახლოებას. ქალიშვი-
ლების ოთახს ჩაუარა: კაროლინა და კატერინა შალის ქსო-
ვილს ახვევდნენ და მამის დანახვაზე ღიმილით წამოიშალნენ.
მადემუაზელ დომბრეიმ სწრაფად მოიხსნა სათვალე და დაბ-
ნეულმა უპასუხა სალამზე. ქარგვაში გართული კონჩეტა
ზურგით იჯდა და რადგანაც მამის ხმა არ გაუგონია, არც შე-
მობრუნებულა.

IV
ნოემბერი 1860

დონ ფაბრიციო და დონ კალოჯერო - ანჯელიკას პირველი
ვიზიტი - ტანკრედისა და კავრიაგის ჩამოსვლა - ანჯელიკას შე-
მოსვლა - სასიყვარულო ციკლონი - ციკლონის შემდგომი შეს-
ვენება - დონაფუგატაში პიემონტელი ჩამოდის - გასაიერნება
სოფელში - შევალიე და დონ ფაბრიციო - გამგზავრება
განთიადისას

საქორწინო შეთანხმებიდან გამომდინარე უფრო მჭიდრო
ურთიერთობათა ნყალობით დონ ფაბრიციოს სულში სედარას
ღირსებათა მიმართ ერთგვარი განცვიფრება დაიბადა. ხშირმა
შეხვედრებმა, საბოლოოდ, მიაჩვია ცუდად გაპარსულ ლო-
ყებს, მდაბიურ მეტყველებას, აჩაჩულ ტანსაცმელსა და ოფ-
ლის დაუძლეველ სუნს. ამრიგად, თავისუფალი იყო, რომ ამ
კაცის იშვიათი გონიერება შეენიშნა. დონ ფაბრიციოს მიერ
გადაუჭრელად მიჩნეულ მრავალ სიძნელეს დონ კალოჯერო
ხელის ერთი მოსმით ნყვეტდა. იგი თავისუფალი იყო ათასგვა-
რი ხუნდისაგან, რომელსაც ბევრი სხვა ადამიანის ქცევას ნა-
მუსი, პატიოსნება და კარგი განათლება ადებს, ამიტომ ცხოვ-
რების ტყეში სპილოსავით მტკიცედ მიაბიჯებდა პირდაპირ,
გზად ამტვრევდა ხეებსაც, თელავდა სოროებს და არც კი ამ-
ჩნევდა ეკლის ნაკანრებსა და გასრესილთა ნკმუტუნს. ამის-
გან განსხვავებით, დონ ფაბრიციოს, აყვავებულ მდელოებზე
გაზრდილს, სადაც სიოსავით ქროდა „გეთაყვა“, „ძალიან და-
მავალებთ“, „საუკუნოდ მადლიერი დაგრჩები“, დონ კალოჯე-
როსთან საუბრების შედეგად ხორშაკისგან მონმენდილ ტრა-
მალზე ეგონა თავი და, თუმცა გულის სიღრმეში მთის ვინრო
ხეობები ერჩია, მაინც განცვიფრებული რჩებოდა ჰაერის ამ
თავისუფალი მოძრაობით, რომელიც დონაფუგატას კოპი-
ტებსა და კედრებს ჯერ არსმენილ ჰანგზე ამრიალებდა.

თანდათანობით, თითქმის შეუმჩნეველად, დონ ფაბრიციო
დონ კალოჯეროს უხსნიდა თავის მრავალრიცხოვან, რთულსა
და ზოგჯერ თვით მისთვისაც გაურკვეველ საქმეებს. ეს გა-
ურკვეველობა ნედომის უნარის ნაკლებობას კი არა, ასეთი და-
ბალი საგნებისადმი ერთგვარ ქედმაღალ და ზერელე დამოკი-

დებულებას უნდა მიენეროს, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, ინერციითა და იმ სიადვილით იყო გამოწვეული, რომლითაც ყოველთვის გამოდიოდა ძნელი მდგომარეობიდან თავისი კუთვნილი ათასობით ჰექტარიდან ოციოდეს გაყიდვით.

დონ კალოჯერო ისმენდა თავადის ნაამბობს, შემდეგ თავისებურად განმარტავდა და აძლევდა რჩევებს, რომლებიც საოცრად მიზანშეწონილი გამოდგებოდა ხოლმე და უშუალო შედეგებსაც აღწევდა, თუმცაღა, მრავალი წლის განმავლობაში, ამ ქმედითი სისასტიკით შთაგონებული და გულკეთილი დონ ფაბრიციოს მიერ მაინც გაუბედავი სილბოთი შესრულებული რჩევების საბოლოო შედეგი ის იყო, რომ სალინას საგვარეულომ თავის ქვეშევრდომთა მიმართ სიხარბისა და დაუნდობლობის დაუმსახურებელი სახელი დაიმკვიდრა. ამის გამო თანდათანობით დაინგრა მისი პრესტიჟი დონაფუგატასა და კვერჩხეტაში, ხოლო ქონების დაქუცმაცებას დიდი ვერაფერი ეშველა.

უსამართლობა იქნებოდა, არ გვეთქვა, რომ თავადთან ხშირმა სტუმრობამ ერთგვარი გავლენა სედარაზეც იქონია. ამ დრომდე მას არისტოკრატიები მხოლოდ საქმიან, ესე იგი, ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებულ შეხვედრებსა და დღესასწაულებზე იშვიათი მიწვევებისას ენახა, ანუ იმ გარემოებებში, რიცა ეს სოციალური ეგზემპლარები არცთუ მთლად კარგად გამოიყურებიან. ამგვარი შეხვედრების შედეგად დონ კალოჯეროს შეექმნა წარმოდგენა, თითქოს არისტოკრატია არსებითად ცხვარს წარმოდგენდა, რომელსაც ბოლოს და ბოლოს, თავისი სიმდიდრის მატყელი მისი მაკრატლისთვის უნდა დაეტოვებინა, ხოლო აუხსნელი დიდებით შემოსილი სახელი – მისი ქალიშვილისთვის.

მაგრამ უკვე გარიბალდის შემდგომ ეპოქაში გაცნობილი ტანკრედის სახით იგი ახალგაზრდა თავადიშვილის მოულოდნელი ნიშუშის წინაშე აღმოჩნდა და ეს ნიშუში თვით მასავით მშრალი იყო, მასავით შესწევდა საკუთარი ტიტულებისა და ღიმილის წარმატებული გაცვლა სხვათა გარეგნულ სილამაზესა და ქონებაში, მაგრამ ამ „სედარასებურ“ ქმედებებს ისეთი სინატიფითა და მომხიბვლელობით ამკობდა, რომელსაც ნამდვილი სედარა ვერასოდეს გრძნობდა საკუთარ თავში, რომელსაც იგი შეუგნებლად აკვირდებოდა, მაგრამ ვერც კი იოცნებებდა მისი

ბუნებისა და წარმომავლობის გარჩევაზე. და შემდეგ, როცა ის-
 ნავლა დონ ფაბრიციოს უკეთესად ცნობა, მასში ისეთ სირბი-
 ლესა და დაუცველობას გადაანყდა, რომელიც თანხვედბოდა
 წინა წარმოდგენებში შექმნილი ადამიანი-ცხვრის თვისებებს,
 მაგრამ თან ახალგაზრდა ფალკონერისაგან ტონით განსხვავე-
 ბული, მაგრამ სიძლიერით ტოლი მიმზიდველი ძალა ახლდა.
 გარდა ამისა, თავადში დაინახა აბსტრაქციისკენ მიდრეკილი
 გარკვეული ენერჯია და იმის მცდელობა, რომ სიცოცხლის
 ფორმა იმაში ეძია, რაც მისგან გამოდიოდა, და არა იმაში, რისი
 წართმევაც შეეძლო სხვებისთვის. ამ აბსტრაქტულმა ენერჯიამ
 იგი ძლიერ განაცვიფრა, თუმცა კი არ ჰქონდა უნარი მისი სიტ-
 ყვიერად გამოხატვისა ისე, როგორც ჩვენ აქ მოვახდინეთ. სამა-
 გიეროდ, დონ კალოჯერო მიხვდა, რომ ამ მომხიბლაობის დიდი
 ნაწილი კარგი აღზრდისგან მომდინარეობდა და შეიგნო, რამ-
 დენად სასიამოვნო შეიძლება იყო კარგად აღზრდილი ადამია-
 ნი, რადგანაც, საბოლოოდ, მისი მოქმედება შეიძლება აინეროს
 როგორც ადამიანთა ცხოვრების მრავალრიცხოვან უსიამო ვი-
 თარებათა უგულვებელყოფა და ერთგვარი მომგებიანი ალტრუ-
 იზმის განხორციელება – ამ უკანასკნელ ფორმულაში კი ზედ-
 სართავის ეფექტურობა ასატანს ხდის არსებითი სახელის ამა-
 ოებას. თანდათანობით დონ კალოჯერო მიხვდა, რომ სავალდე-
 ბულო არაა, საერთო სადილი ლეჭვითი მოძრაობების ქარიშ-
 ხლითა და ქონიანი ლაქების სიმრავლით აღინიშნოს; რომ საუ-
 ბარი მშვენიერად შეიძლება განსხვავდებოდეს ძალღების ჩხუ-
 ბისაგან; რომ ქალის წინ გატარება სიძლიერის ნიშანია და არა,
 როგორც ადრე ეგონა, სისუსტისა; რომ თანამოსაუბრისაგან
 გაცილებით უფრო მეტის მიღება შეიძლება, თუ ეტყვი – „აღ-
 ბათ კარგად ვერ აგისხენით“, ვიდრე „ეტყობა, არაფერი გეს-
 მის“; და რომ ამგვარი ზომების მიღებისას, საჭმელი, ქალები,
 არგუმენტები და თანამოსაუბრენი მთლიან სარგებელს მოუ-
 ტანენ მასაც, ვინც მათ კეთილად ეპყრობა.

მეტად გაბედული იქნებოდა იმის განცხადება, რომ დონ კა-
 ლოჯერო იმნამსვე იყენებდა ასე მიღებულ ცოდნას. მან, ამ
 დროიდან მოყოლებული, ცოტა უკეთესად პარსვა ისნავლა და
 იმდენად აღარ ეშინოდა სარეცხად გამოყენებული საპნის რა-
 ოდენობისა. მეტი არაფერი. მაგრამ სწორედ ამ დროიდან და-
 იწყო მისთვის და მისი შინაურებისათვის ის ნელი კლასობრივი

დახვენა, რომელმაც მომდევნო სამი თაობის განმავლობაში წარმატებული ხეპრეები დაუცველ კეთილშობილებად აქცია.

* * *

საპატარძლოს ხარისხში ანჯელიკას პირველი ვიზიტი სალინას ოჯახში უბადლო სარეჟისორო ოსტატობით წარიმართა. ქალიშვილის ქცევა იმ ზომამდე სრულყოფილი იყო, რომ ყოველი ჟესტი, ყოველი სიტყვა ტანკრედის მიერ წინასწარ ნაკარნახევის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მაგრამ იმ ეპოქაში გავრცელებულ კომუნიკაციათა დაბალი სისწრაფე არ იძლეოდა ამგვარი დაშვების შესაძლებლობას. ამიტომაც, გამოითქვა ვარაუდი, რომ დადგმა უფრო ადრე განხორციელდა, ჯერ კიდევ ოფიციალურ ნიშნობამდე. ვარაუდი ძალიან გაბედული იყო მისთვისაც კი, ვინც კარგად იცნობდა ახალგაზრდა თავადის წინდახედულებას, მაგრამ მთლად საფუძველს მოკლებული არ ყოფილა. თეთრსა და ვარდისფერ სამოსში გამონყობილი ანჯელიკა საღამოს ექვს საათზე ეახლა სალინას. სათუთ შავ ნაწნავებზე მოგდებული ჯერაც საზაფხულო ჩალის ქუდზე დაკიდებული ხელოვნური ყურძნის მტევნები და ხორბლის ოქროსფერი თავთავები მოკრძალებულად მიანიშნებდა ჯიბილდოლჩეს ვენახებსა და სეტესოლის ყანებზე. მამა შემოსასვლელ დარბაზში დატოვა, ფართო და მსუბუქი კაბის შრი-ალით აიარა შიდა კიბის მრავალი საფეხური და დონ ფაბრიციოს მკლავებში ჩაუვარდა: ბაკენბარდებზე ორი მშვენიერი კოცნა დაუტოვა, რომელიც თავადმა გულითადად დაუბრუნა. თავადი, იქნებ, საჭიროზე ერთი წამით მეტხანს ისრუტავდა ყმანვილი ქალის ლოყებიდან მომავალ გარდენიის არომატს. რის შემდეგაც ანჯელიკას ალმური მოედო, ერთი ნაბიჯით უკან დაიხია და წარმოთქვა:

– ძალიან, ძალიან ბედნიერი ვარ...

შემდეგ კვლავ მიუახლოვდა, ფეხის ცერებზე წამოინია და ყურში ჩასჩურჩულა:

– ძია!

ამ ელვისებურ gag-ს,³¹ ეფექტურობითა და დადგმის ხელოვნებით ეიზენშტეინის საბავშვო ეტლს თუ შეადარებდი,

³¹ კინემატოგრაფიული ხერხი (ინგლ.).

მან, შეგნებულად თუ შეუგნებლად, მეშვიდე ცაზე აიტაცა თავადის ალალი გული და საბოლოოდ დაუმორჩილა ამ მშვენიერ ასულს. ამასობაში დონ კალოჯეროც ადიოდა კიბეებზე და ჩიოდა, რაოდენ უბედურად გრძნობს თავს მისი ცოლი, რადგანაც მოსვლა არ შეუძლია, რადგან წინააღმდეგობით შინ წაიბოროძიკა და მტკივნეულად იღრძო მარცხენა ფეხი.

– კოჭი ბადრიჯანივით გაულურჯდა, თავადო!

სიტყვიერი ალერსით გალაღებულმა თავადმა, რომელიც ტუმეოსაგან მიღებულმა ცნობებმაც დაარწმუნეს საკუთარი თავაზიანობის უვნებლობაში, თავი ვერ შეიკავა სიამოვნებისაგან და თვით გამოთქვა სინიორა სედარას მოსანახულებლად მისვლის სურვილი. შემოთავაზებამ მართლაც შეაშინა დონ კალოჯერო და იძულებული გახდა, სხვა სწეულებაც მიეწერა თავისი ცოლისათვის – ამჯერად, ძლიერი შაკიკი, რომლის გამოც საბრალო ქალი თურმე სიბნელეში ყოფნას არჩევდა.

თავადმა ანჯელიკას მკლავი გაუნოდა. თითქმის სიბნელეში გადაჭრეს ზეთის ლამპრებით ოდნავ განათებული დარბაზების მთელი რიგი, სადაც ძნელი იყო გზის გაკვლევა. დარბაზებისაგან შემდგარი პერსპექტივის ბოლოში, სამაგიეროდ, კამკამებდა „ლეოპარდის დარბაზი“, სადაც ოჯახის დანარჩენი წევრები შეკრებილიყვნენ, და უდაბური სიბნელის გავლით ინტიმურობის გაბრწყინებული ცენტრისკენ ამ მოგზაურობას მასონური ინიციაციის რიტმი ჰქონდა.

ოჯახი კარებთან იყო მოგროვილი. დიდ ქალბატონს უკან წაეღო ამ ქორწინების გამო წინანდელი მოსაზრებები, რომლებიც საკმარისი არ იქნება ვთქვათ, რომ გადააგდო, არამედ ნამდვილად მოისროლა არარაობაში. მრავალგზის გადაკოცნა მშვენიერი მომავალი რძალი და ისე მჭიდროდ ჩაიკრა გულში, რომ ყმანვილ ქალს მკერდზე დააჩნდა სალინას სახელგანთქმული ლალის ყელსაბამის ანაბეჭდი, რომლის შებმა დღისითაც კი გადაწყვიტა მარია სტელამ უდიდესი დღესასწაულის ნიშნად. თექვსმეტი წლის ფრანჩესკო-პაოლოც გახარებული იყო, რადგან მასაც მიეცა ანჯელიკას კოცნის იშვიათი შესაძლებლობა, თუმცა კი მამის უძლურად ეჭვიანი მზერის ქვეშ. კონჩეტა განსაკუთრებით კეთილგანწყობილი იყო. მისი სიხარული იმდენად ძლიერი ჩანდა, რომ ლამის ცრემლი ერეოდა. დანარჩენი დები მის გარშემო იყვნენ შეგროვილნი, იცინოდ-

ნენ და კისკისებდნენ სწორედ იმიტომ, რომ არაფერი ალელ-
ვებდათ. პადრე პირონემაც, რომელიც სულაც არ იყო უგ-
რძნობი ქალური მშვენიერების მიმართ, რადგან მასში ღვთის
სახიერების უმტკიცეს გამოვლენას ხედავდა, იგრძნო, როგორ
აღნობს ყველა მასში აქამდე არსებულ ყოყმანს სილამაზის
მადლიანი სიტბო. და ჩასჩურჩულა:

– Veni sponsa de Libano.³²

შემდეგ კი ოდნავი წინააღმდეგობაც გამოიჩინა, რათა კი-
დევე უფრო ვნებიანი მუხლები არ ამოტივტივებულიყო მებსი-
ერებაში. მადმუაზელ დომბრეი, როგორც გუვერნანტებს
სჩვევიათ, ალელვებისგან ტიროდა, თავისი იმედგაცრუებული
ხელებით ეხვეოდა ქალიშვილის ქორფა მხრებს და ამბობდა:

– Angelicà, Angelicà, pensons à la joie de Tancrede.³³

თავისი ჩვეული კეთილგანწყობის სანინააღმდეგოდ, მხო-
ლოდ ბენდიკო ღრენდა ჩუმად ყელის სიღრმიდან, სანამ ჯერ
კიდევე ტუჩებათროლებულმა ფრანჩესკო-პაოლომ მკაცრად
არ დასვა თავის ადგილას.

დიდი ჭალის ორმოცდარვა მკლავიდან ოცდაოთხზე დიდი
სანთელი ენთო და ყოველი ეს სანთელი, სპეტაკი და აალებუ-
ლი, სიყვარულისაგან დამწვარ ქალწულს ჰგავდა. თავიანთ
მოხრილ ღეროზე მურანოს ორფერი ყვავილები თავქვე დაკი-
დებულიყვნენ და შემოსულ სტუმარს უჭვრეტდნენ სიფრიფა-
ნა და ცვალებადი ღიმილით. დიდი ბუხარიც გიზგიზებდა, უფ-
რო საზეიმო განწყობის შესაქმნელად, ვიდრე ისედაც თბილი
დარბაზის გასათბობად. ალის ათინათები ცეკვავდა იატაკზე,
აღვიძებდა ავეჯის გახუნებული ოქროს ციმციმს. ბუხარი
მართლაც რომ თბილ შინაურ კერას განასახიერებდა, სახლის
სიმბოლოს: ცეცხლის ალი მასში სურვილის კრთომა იყო, ხო-
ლო გაფარვარებული მუგუზლები – თავშეკავებული ვნება.

დიდმა ქალბატონმა, რომელსაც უდიდესი უნარი ჰქონდა,
უმცირეს საერთო მნიშვნელამდე დაეყვანა ყველა ემოცია,
მოყვა რამდენიმე ეპიზოდს ტანკრედის ბავშვობიდან. და ისე
დამარწმუნებელი იყო მისი ტონი, თითქოს ანჯელიკას ბედნი-
ერად უნდა მიეჩნია თავი, რომ ცოლად მიჰყვებოდა კაცს, რო-

³² მოვედ, ლიბანის სძალო (ლათ.).

³³ ანჯელიკა, ანჯელიკა, წარმოვიდგინოთ ტანკრედის სიხარული (ფრანგ.).

მელიც ექვსი წლის ასაკში იმდენად კეთილგონიერი იყო, რომ ყოველგვარი ჭიჭყინის გარეშე ემორჩილებოდა აუცილებელ ოყნებს, თორმეტი წლის ასაკში კი იმდენად მამაცი, რომ ერთი მუჭა ბლის მოპარვა გაბედა. და როცა თავხედური ბანდიტიზმის ეს ეპიზოდი გაიხსენეს, კონჩეტას სიცილი წასკდა:

– ეს მანკი ტანკრედიმ ახლაც კი ვერ მოიშორა, – თქვა მან. – გახსოვს, მამა, ორი თვის წინ რომ მოიპარა ატმები, შენ რომ ასე მოგწონდა?

ამის შემდეგ კი ერთბაშად მოიღუშა, თითქოს დაზარალებულ მეხილეთა ასოციაციის პრეზიდენტი ყოფილიყო.

სულ მალე დონ ფაბრიციოს ხმამ დაჩრდილა ეს უმნიშვნელო ამბები. თავადი ახლანდელ ტანკრედიზე საუბრობდა – ფხიზელსა და ყურადღებიან ყმანვილზე, რომელიც ყოველთვის მზად იყო ისეთი სვლა გაეკეთებინა, რომ ერთდროულად მეგობარიც დაეპყრო და მტერიც გაელიზიანებინა. შეკრებილთ უამბო, რომ ერთხელ ნეაპოლში, როცა ტანკრედი ჰერცოგინია დი სან-რალაცუბედურებას წარუდგინეს, ამ უკანასკნელს ისე მოეწონა, რომ საკუთარ სახლში დილიდან საღამომდე ისურვა მისი ხილვა, სულ ერთია სალონში თუ ლოგინში, რადგანაც მასავით, როგორც ამბობდა, არავის შეეძლო მოეთხრო *les petits riens*.³⁴ და თუმცა დონ ფაბრიციომ სასწრაფოდ დააზუსტა, რომ ტანკრედი მაშინ სულ რალაც თექვსმეტი წლისა იყო, ხოლო ჰერცოგინია კი ორმოცდაათს გადაცილებული, ანჯელიკას თვალებმა მაინც იელვა, რადგან ზუსტად ჰქონდა გათვითცნობიერებული პალერმოელი ყმანვილებისა და ნეაპოლელი ჰერცოგინიების ზნე.

თუ ანჯელიკას ამ რეაქციიდან დავასკენიდით, რომ მას ტანკრედი უყვარდა, ეს შეცდომა იქნებოდა: ანჯელიკა იმდენი ამპარტავენებითა და ამბიციურობით იყო სავსე, რომ ნამდვილად არ შესწევდა საკუთარი პიროვნების თუნდაც დროებითი გაუქმების უნარი, რომლის გარეშე არ არსებობს სიყვარული. გარდა ამისა, ანჯელიკას შეზღუდული ახალგაზრდული და სოციალური გამოცდილება არ აძლევდა ტანკრედის სულ მთლად შეუმჩნეველი შუქრდილებისაგან შემდგარ რეალურ შესაძლებლობათა ჯეროვნად შეფასების საშუალებას. მაგრამ, თუმცა არ უყვარდა, შეყვარებული იყო, რაც მეტად სხვა

³⁴ მცირე უმნიშვნელო საქმეები (ფრანგ.).

რამაა. ლურჯი თვალები, მხიარული ალერსიანობა, მისი ხმის ზოგი მოულოდნელად მძიმე ტონი მოგონებისასაც ანჯელიკას სულში ერთგვარ აფორიაქებას იწვევდა და იმ დღეებში მხოლოდ ის სურდა, რომ იმ ხელებს დამორჩილებოდა. მართალია, უკვე დამორჩილებული ყველაფერს დაივიწყებდა, მაგრამ იმ წუთში ამას არაფრად აგდებდა, ისლა სურდა, ტანკრედის კლანჭი ჩაეელო მისთვის. ამის გამო შესაძლებელი გალანტური ურთიერთობის ხსენებამ (რაც, უნდა ითქვას, არარსებულ მოვლენას შეესაბამებოდა) მასში სათავე დაუდო სატანჯველთაგან ყველაზე უაზროს – რეტროსპექტულ ეჭვიანობას. თუმცაღა ამ შეტევამ მალევე გაიარა, როგორც კი ცივი გონებით წარმოიდგინა ტანკრედისთან მომავალი შეუღლებიდან გამომდინარე ეროტიკული და ექსტრაეროტიკული უპირატესობანი.

ღონ ფაბრიციო კი განაგრძობდა ტანკრედის ქება-დიდებას. სიყვარულით აღძრული ისე საუბრობდა მასზე, თითქოს ტანკრედი ახალი მირაბო ყოფილიყო:

– ადრე დაიწყო და წარმატებით. გასავლელი გზა დიდი იქნება.

ანჯელიკას პრიალა შუბლი თანხმობის ნიშნად იხრებოდა. სინამდვილეში, ტანკრედის პოლიტიკური მომავალი არ აღელვებდა. ის ერთ-ერთი იმ ქალიშვილთაგანი იყო, რომელთათვის საჯარო მოვლენები სადღაც განსაკუთრებულ და შორეულ სამყაროში ვითარდება, და ვერც კი წარმოედგინა, რომ კავურის მიერ წარმოთქმულ სიტყვას დროთა განმავლობაში ათასი უმცირესი მექანიზმის მოქმედებით, მის ცხოვრებაზე გავლენის მოხდენა და მისი შეცვლა შეეძლო. სიცილიურად ფიქრობდა: „ჩვენი ხორბალი გვექნება და ეს გვეყოფა. რაის გზა და შარა!“. ეს ყმანვილური გულუბრყვილობა შემდგომში უნდა დავიწყებოდა, როცა ნლების განმავლობაში მონტეჩიტორიოსა და უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთ ყველაზე შხამიან გველად იქცეოდა.

– და კიდევ, ანჯელიკა, თქვენ ჯერ კიდევ არ იცით, რა თავშესაქცევი ვინმეა ტანკრედი! ყველაფერი იცის და ყველაფრის დაფარულ სახეს არჩევს. როცა მის გვერდით ხარ და ისიც კარგ ხასიათზეა, მთელი სამყარო ნამდვილი გასართობი ჩანს, თუმც ზოგჯერ უფრო სერიოზულიც.

ტანკრედი რომ ხალისიანი იყო, ანჯელიკამ ეს იცოდა. იმას,

რომ ახალ სამყაროებს აღმოაჩენინებდა, არა მხოლოდ იმედოვნებდა, არამედ სამართლიანადაც ვარაუდობდა გასული თვის ბოლოდან მოყოლებული, როცა სახელგანთქმული, თუმც კი არა ერთადერთი კოცნა იგემა, რომელიც მართლაც რომ გაცილებით დახვეწილი და გემრიელი რამ აღმოჩნდა, ვიდრე სხვა ეგ ზემქლარი, ერთი წლის წინ მისი თხოვნით პოჯო აკაიანოს მებაღე ბიჭმა რომ აჩუქა. მაგრამ ანჯელიკას ნაკლებად იზიდავდა საქმროს სულიერი ან თუნდაც გონებრივი სინატიფე, ყოველ შემთხვევაში, გაცილებით უფრო ნაკლებად, ვიდრე ამ ძვირფას ძია ფაბრიციოს – ძალიან ძვირფასს, მაგრამ ძალიან „ინტელექტუალს“. ტანკრედიში ანჯელიკა ხედავდა სიცილიის წარჩინებულ საზოგადოებაში დამკვიდრებულ ბრწყინვალე ადგილს – ეს სამყარო კი მისთვის საესე იყო სასწაულებით, რომლებიც ძალიან განსხვავდებოდნენ სინამდვილეში არსებულთაგან. თანაც საქმრო მისთვის მომავალი ალერსის დაუღლეელი მონანილე უნდა ყოფილიყო. თუ ამასთან ერთად ჭკვიანიც იყო, კიდეე უკეთესი, მაგრამ ანჯელიკას ეს მაინცდამაინც არ ადარდებდა. გართობა ყოველთვის შეიძლებოდა. ამ წუთას, თავშესაქცევიცა და სულელიც, აქ სურდა ყოფილიყო, რომ კეფაზე მაინც მოჰფერებოდა, ნაწნავებს ქვემოთ, როგორც სჩვეოდა ხოლმე.

– ღმერთო, ღმერთო, როგორ მინდა, რომ ახლა აქ იყოს, ჩვენთან!

ამ წამოძახილმა ყველას გული აუჩუყა, როგორც აშკარა გულწრფელობის, ასევე მისი წამდვილი მიზეზის დაფარულობის გამო. ასე დასრულდა ეს იღბლიანი პირველი ვიზიტი. მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ ანჯელიკა და მამამისი გამოემშვიდობნენ თავადის ოჯახს. წინ მეჯინიბის ბიჭი მიუძლოდა და მისი ანთებული ჩირაღდანი ოქროსფერი და გაუბედავი შუქით წითლად ანათებდა მინაზე ჭადრების დაყრილ ფოთლებს. მამა და ქალიშვილი შინ შევიდნენ: სახლში, რომლის კარი სამუდამოდ იყო დახურული პეპედნერასათვის იმ „კარტეჩით“, თირკმლები რომ დაუგლიჯა.

* * *

უკვე დამშვიდებულმა დონ ფაბრიციომ საღამოობით საკითხავებში პოვა თავშესაფარი. შემოდგომით, როზარიუმის

ლოცვის შემდეგ, რადგანაც უკვე ბნელოდა და შინიდან გასვლა აღარ ხერხდებოდა, ოჯახი სადილის მოლოდინში ბუხარს შემოუჯდებოდა და თავადიც ნანილ-ნანილ ხმამალლა უკითხავდა რომელიმე თანამედროვე რომანს, თანაც მთელი თავისი არსებით კეთილგანწყობას ასხივებდა.

მართლაც, ის წლები იდგა, როცა რომანების მეშვეობით იქმნებოდა ის ლიტერატურული მითები, რომლებიც დღემდე იპყრობს ევროპულ გონებას. ოლონდაც სიცილიაში, ნანილობრივ ახლისადმი მისი ტრადიციული შეუღწევლობის, ნანილობრივ კი — უცხო ენათა გავრცელებული უცოდინრობის, ნანილობრივადაც, უნდა ითქვას, ბურბონთა რეჟიმის სულისშემბუთავი, საბაჟოებზე მოქმედი ცენზურის გამო უცნობი იყო დიკენსის, ელიოტის, სანდის, ფლობერისა და, თქვენ წარმოიდგინეთ, დიუმას არსებობა. და მაინც, ფარული გზებით ბალზაკის ორიოდე ტომი ჩაუვარდა ხელში დონ ფაბრიციოს, რომელმაც საოჯახო ცენზორის თანამდებობა იკისრა. მან ეს წიგნები ნაიკითხა და იმედგაცრუებულმა ერთ საძულველ მეგობარს ათხოვა, რადგან ამბობდა, რომ ამგვარი რომანები უეჭველად ნიჭიერ, მაგრამ ამკარად ექსტრავაგანტულსა და „აკვიატივულ“ (დღეს იტყოდნენ მონომანიაკურ) მწერალს ეკუთვნისო. ეს ამკარად ნაჩქარევი სჯა, მაინც არ ყოფილა მოკლებული ერთგვარ სიბასრეს. ერთი სიტყვით, საკითხავად არჩეული თხზულებების დონე დაბალი იყო, რადგანაც არჩევანს თავადის ასულთა ქალწულებრივი რიდი და დიდი ქალბატონის რელიგიური მგრძნობიარობა განაპირობებდა, თუ არ გავითვალისწინებთ თვით თავადის ღირსებასაც, რომელიც არასგზით არ მოასმენინებდა „უხამსობას“ შეკრებილ ოჯახის წევრებს.

ასე, ათი ნოემბერი იქნებოდა. დონაფუგატაში ცხოვრების დროც იწურებოდა. კოკისპირულად წვიმდა და აღვირახსნილი ჩრდილოეთის ქარიც წვიმის განრისხებულ ნაკადებს ახეთქებდა ფანჯრებზე. შორიდან მოგუდული ქუხილი ისმოდა. ზოგჯერ იშვიათი წვეთები, რომლებიც გულუბრყვილოდ აგებულ სიცილიურ საკვამურებში აღწევდა, შავ წერტილებად შიშხინებდა ზეთისხილის ხის გავარვარებულ მუგუზლებზე. თავადი „მარია ანჯოლას“ კითხულობდა და იმ საღამოს უკვე უკანასკნელი გვერდებისთვის მიეღწია: ლომბარდიის თოვლით დაფარულ ტრამალებზე ყმანვილი ქალის უიმედო მოგ-

ზაურობის აღწერა სიცივით კუმშავდა თბილ სავარძლებში მოკალათებული ქალბატონების სიცილიურ გულებს. უეცრად მეზობელი ოთახიდან ხმაური მოისმა და მოახლე მიმი შემოვარდა ქოშინით:

– თქვენო ბრწყინვალეებავ! – ყვირილში დავინწყოდა სტილიზაციისადმი ჩვევა. – ბატონი ტანკრედი ჩამობრძანდა! ეზოშია და ეტლიდან ბარგის ჩამოღება გვიბრძანა. ყოვლადნმიდა ღვთისმშობელო! ამ ამინდში! – და სირბილით გაბრუნდა უკან.

განცვიფრებამ კონჩეტა წამით იმ დროში გადაიყვანა, რომელიც უკვე აღარ შეესაბამებოდა სინამდვილეს. ამიტომაც წამოიძახა:

– სანატრელო!

მაგრამ საკუთარმა ხმამ კვლავ უნუგეშო ანმყოში დააბრუნა და, როგორც ადვილად შეგვიძლია ვივარაუდოთ, დროის ერთი თბილი და ამქვეყნიურობას მონყვეტილი მდინარებიდან მეორე – ცხადსა და ყინულივით მწვავე მდინარებაში ეს უხეში გადასვლა ძალიან მტკივნეული იყო. საბედნიეროდ, საერთო აღელვებაში ჩანთქმული წამოძახილი არავის გაუგონია.

დონ ფაბრიციოს უშველებელი ნაბიჯები ყველას გაუძღვა კიბისაკენ. სწრაფად გადაჭრეს ჩაბნელებული დარბაზები, დაბლა დაეშვნენ. ეზოში გამავალი სადარბაზოს კარი ღია იყო. ქარის მრისხანება პორტრეტების დაჭიმულ ტილოებს აკანკალებდა, სინესტესა და მინის სუნს მიერეკებოდა ოთახებში. ელვით განათებული ცის ფონზე ბაღში მდგარი ხეები ქარს ებრძოდნენ და აბრეშუმის ფხრენის ბგერას გამოსცემდნენ. დონ ფაბრიციო უკვე კარში უნდა გასულიყო, როცა გარე კიბის ზედა საფეხურზე მძიმე და უფორმო მასა გამოჩნდა. ეს ტანკრედი იყო. პიემონტური კავალერიის უშველებელ ლურჯ ლაბადაში გახვეულიყო, რომელიც, წყლით გაჟღენთილი და სულ მთლად გაშავებული, უკვე აღბათ ორმოცდაათ კილოს იწონიდა.

– ფრთხილად, ძია, არ შემეხო, სულ გალუმპული ვარ!

დარბაზიდან გამოსულმა ჩირალდნის შუქმა სახე გაუნათა. ტანკრედი სასახლეში შევიდა, ყელთან ჯაჭვის საბნევი მოიხსნა და ლაბადაც ნესტიანი ტყლაშუნით ჩამოსრიალდა იატაკზე. სველი ძაღლის სუნი უდიოდა, სამი დღის განმავლობაში არ გაეხადა ჩექმები, მაგრამ მაინც ტანკრედი იყო – დონ ფაბრიციოსათვის საკუთარ შვილებზე უფრო საყვარელი ჭაბუკი,

მარია სტელასათვის ძვირფასი მულისშვილი და ვერაგული ცილისნამების მსხვერპლი, კონჩეტასათვის სანატრელი აჩრდილი, რომელიც ასე ჰგავდა მის დაკარგულ სიყვარულს. საბრალო მადემუაზელ დომბრეიმაც კი აკოცა ალერსს მიუჩვეველი ტუჩებით და თან აყვირდა:

– *Tancrède, Tancrède, pensons à la joie d'Angelica!*³⁵ – მისი სულის ქნარს ისე ცოტა სიმები ება, რომ მუდამ იძულებული იყო, სხვისი სიხარული წარმოედგინა ხოლმე.

ბენდიკოც სიხარულით ხვდებოდა ერთგულ ამხანაგს, რომელიც ასე სასიამოვნოდ უბერავდა ხოლმე დრუნჩში მუშტად შეკრული ხელიდან, მაგრამ, როგორც ძალღებს სჩვევიათ, თავის სიხარულს მთელს დარბაზში გიჟური ნავარდით გამოხატავდა და საყვარელ ადამიანს თითქოს ყურადღებასაც არ აქცევდა.

ეს მართლაც ამაღლევებელი წამი იყო, როცა მთელი ოჯახი შეიკრიბა დაბრუნებული ჭაბუკის გარშემო, რომელიც მით უფრო ძვირფასი იყო, რომ საკუთრივ ოჯახს არ ეკუთვნოდა და მით უფრო სასიხარულო, რომ სიყვარულის გარდა მუდმივი უსაფრთხოების გრძნობასაც ატარებდა თან. ამაღლევებელი იყო წამი და ხანგრძლივიც. როცა პირველმა აღტაცებამ გაიარა, დონ ფაბრიციომ შენიშნა, რომ კარის ზღურბლზე ორი სხვა ადამიანიც მოჩანდა: მათაც წურწურით ჩამოსდიოდათ წყალი და ისინიც იღიმებოდნენ. ტანკრედიმაც შენიშნა და გაიღიმა:

– მაპატიეთ, მაგრამ სიხარულმა თავგზა ამიბნია. ბიცოლა, – მიუბრუნდა დიდ ქალბატონს, – თავს უფლება მივეცი, სტუმრად ჩამომეყვანა ჩემი ძვირფასი მეგობარი, გრაფი კარლო კავრიავი. ხომ გეცნობათ? რამდენჯერ მოსულა ჩვენთან ვილაზე, როცა გენერალს ემსახურებოდა. ეს კი რიგითი ულანი მორონია, ჩემი ადიუტანტი.

ჯარისკაცის ჩლუნგად პატიოსანი სახე იღიმებოდა, სმენაზე იდგა და სქელი მაუდის ლაბადიდან წყალი იატაკზე წვეთავდა. ახალგაზრდა გრაფი კი სმენაზე არ იდგა: დასველებული და ფორმადაკარგული კივერი მოეხადა და ხელზე ეამბორებოდა დიდ ქალბატონს, ისიც იღიმებოდა და ქერა ულვაშებითა და დაუძლეველი რბილი „რ“-თი ხიბლავდა ქალიშვილებს.

– წარმოიდგინეთ, მე მითხრეს, რომ თქვენს მხარეში არასო-

³⁵ ტანკრედი, ტანკრედი, წარმოვიდგინოთ ანჯელიკას სიხარული (ფრანგ.)

დეს წვიმს! ღმერთმანი, ორი დღის განმავლობაში თითქოს მდინარეში მივცურავდით! – შემდეგ კი სერიოზული სახე მიიღო. – ერთი ეს მითხარი, ფალკონერი, სადაა სინიორინა ანჯელიკა? ნეაპოლიდან აქ მის სანახავად ჩამომატრიე. ჩემს ირგვლივ ამდენ სილამაზეს ვხედავ, მას კი არა, – შემდეგ დონ ფაბრიციოს მიუბრუნდა. – იცით, თავადო, ამას რომ დავუჯეროთ, ნამდვილი საბას დედოფალი უნდა იყოს! ახლავე წავიდეთ და პატივი მივაგოთ მას, რომელ არს formosissima et nigerima!³⁶ გაინძერი, შტერო!

ასე ლაპარაკობდა და საოფიცრო სასადილოების ჟარგონი გადმოჰქონდა ამ პირქუშ სალონში, რომლის კედლებს პრიალა ჯავშნებითა და ბაფთებით მორთულ წინაპართა ორმაგი მწკრივი ამშვენებდა. ირგვლივ კი ყველანი ხარობდნენ. მაგრამ დონ ფაბრიციომ და ტანკრედიმ გაცილებით მეტი იცოდნენ: დონ კალოჯეროსა და მისი ცოლის, იმ „ლამაზი პირუტყვის“ ამბავიც. იცნობდნენ რა დაუჯერებლად მოუვლელი იყო იმ გამდიდრებული ბობოლას სახლი. ყოველივე იცოდნენ, რაც წმიდა ამბროსი მედიოლანელის ალალ თანამემამულეს გამოეპარა.

საუბარში დონ ფაბრიციო ჩაერია:

– ყური მიგდეთ, გრაფო. თქვენ გეგონათ, რომ სიცილიაში არასოდეს წვიმს, მაგრამ ხედავთ, რომ ნამდვილი წარლენაა. არ მინდა ისიც გეგონოთ, რომ ჩვენში ფილტვების ანთებაც არ არსებობს და მერე კი სანოლში აღმოჩნდეთ ორმოცგრაფუსიანი სიცხით. მიმი! – დაუძახა მოახლეს. – ბუხრები აანთებინე ბატონ ტანკრედის ოთახში და მწვანე სასტუმროში. იქვე გვერდით ჯარისკაცისთვისაც მოამზადეთ ოთახი. თქვენც, გრაფო, მობრძანდით, შეიმშრალეთ და ტანისამოსი გამოიცვალეთ. ახლავე პუნშსა და ნამცხვარს მოვატანინებ თქვენთვის. ორ საათში კი, რვაზე, სადილია.

კავრიაგი უკვე საკმაო ხანს იყო სამხედრო სამსახურში და იმნამსვე დამორჩილდა ავტორიტეტულ ხმას. სამხედრო სალამი მისცა თავადს და სრულიად დათრგუნული გაჰყვა მოახლეს. უკან მორონი მისდევდა და თან ოფიცრების ჩანთებსა და მწვანე ფლანელის ქარქაშებში ჩაგებულ ხმლებს მიათრევდა.

ამასობაში ტანკრედიმ სახელდახელოდ დაწერა შემდეგი:

„ჩემო ანჯელიკა, ჩამოვედი, შენთან ჩამოვედი. კატასავით

³⁶ მშვენიერი და შავი (ლათ.).

შეყვარებული ვარ, მაგრამ ბაყაყივით სველი, უპატრონო ძალღივით ჭუჭყიანი და მგელივით მშვიერიც. როგორც კი თავს წესრიგში მოვიყვან და მივიჩნევ, რომ მშვენიერთა შორის უმშვენიერესი ქალის წინაშე შემოძლია წარვდგე, შენთან გამოვიქცევი. ორ საათში. მოკითხვა შენს ძვირფას მშობლებს. შენ კი ... ჯერ არაფერი”.

ტიქსტი თავადს წარუდგინა და დონ ფაბრიციომაც, რომელსაც ყოველთვის ხიბლავდა ტანკრედის ეპისტოლეთა სტილი, ღიმილით მოიწონა. ბარათი დაუყონებლივ იქნა გაგზავნილი.

* * *

ისეთი იყო სიხარულისგან მიღებული ენერგია, რომ თხუთმეტობდნენ წუთი საკმარისი აღმოჩნდა, რათა ყმანვილებს დაებანათ, ტანი შეემშრალეზინათ, მუნდირები გამოეცვალათ და „ლეოპოლდისეულად“ წოდებულ დარბაზში ჩასულიყვნენ ანთებულ ბუხართან. აქ ჩაი და კონიაკი მიირთვეს და განცვიფრებით აღსავსე თვალეზს წარუდგნენ. იმ დროს სიცილიის წარჩინებულ ოჯახებში სამხედრო პირი დიდი იშვიათობა იყო: ბურბონთა ოფიცრები არავის არასოდეს ენახა პალერმოს სალონებში, ხოლო მცირერიცხოვანმა გარიბალდელებმა, რომლებსაც იქ შესვლა ეღირსათ, უფრო გაფერადებული საფრთხობელების შთაბეჭდილება დატოვეს, ვიდრე ნამდვილი ამხედროებისა. შეიძლება ითქვას, რომ ორი ახალგაზრდა ოფიცრის სახით სალინას ქალიშვილები პირველად უჭვრეტდნენ ახლოდან სამხედროებს. ორივეს ორბორტიანი მუნდირი ემოსა – ტანკრედის – ულანთა ვერცხლისფერი, კარლოს კი ბერსალიერებისა, მოოქროვილი ღილებით – შავი ხავერდის მაღალი საყელოთი, რომელიც პირველს წარინჯისფრად, ხოლო მეორეს – ყირმიზისფრად ჰქონდა მოქარგული. ცეცხლისკენ ლურჯ და შავ მაუდში გამოკვართულ ფეხებს იშვერდნენ. სახელოებზე ოქროსა და ვერცხლის ღვლარჭნილი ნაქარგები უელავდათ: მკაცრ რედინგოტებსა და სამგლოვიარო ფრაკებს მიჩვეული ქალიშვილებისათვის ეს ნამდვილი ცდუნება იყო. სულის მარგებელი რომანი პირქვე ეგდო სავარძლის უკან.

დონ ფაბრიციოს ვერაფერი გაეგო: ორივე დაუდევრად და მოხარული კიბორჩხალებივით ნითლებში გამონყობილი ახსოვდა.

– კი მაგრამ, თქვენ, გარიბალდელები, წითელ პერანგს აღარ ატარებთ?

ორივემ ისე მოიხედა, თითქოს გველმა დაგესლაო.

– რალა დროს გარიბალდელობაა, ძია?! ვიყავით და მორჩა. მე და კავრიაგი ახლა მისი უდიდებულესობის, სარდინიის, რამდენიმე თვეში კი სრულიად იტალიის მეფის რეგულარული შიარალებული ძალების ოფიცრები ვართ. როცა გარიბალდის ჯარი დაიშალა, უნდა აგვერჩია: ან შინ დაბრუნება, ან მეფის არმიაში სამსახური. ჩვენ, ყველა წესიერი კაცის მსგავსად, ჭეშმარიტ ჯარში დავინყეთ სამსახური. იმათთან დარჩენა შეუძლებელი იყო. არა, კავრიაგი?

– ღმერთო ჩემო, რა ხალხი იყო! საჩხუბრად და სასროლად ვარგოდნენ, მეტი არა! ახლა მართლაც ღირსეულთა შორის ამოვყავით თავი, ერთი სიტყვით, ნამდვილი ოფიცრები ვართ, – და ყმანვილური ქედმაღლობის ნიშნად მალლა ანია ულვაშები.

– იცი, ძია, დაგვაქვეითეს კიდევ. იმდენად არ ენდობოდნენ ჩვენი სამხედრო გამოცდილების სერიოზულობას. მე, ხომ ხედავ, კაპიტანი კი არა, ისევ ლეიტენანტი ვარ, – და ყურთმაჯის ნაქარგები უჩვენა. – კავრიაგი კი ლეიტენანტი კი არა, უმცროსი ლეიტენანტია. მაგრამ მაინც ისეთი გრძნობა გვაქვს, თითქოს წოდება მოგვიმატეს. ახლა ჩვენს მუნდირებს სულ სხვა პატივს სცემენ.

– დარწმუნებული ვარ, – გაანყვეტინა კავრიაგიმ, – ხალხს უკვე აღარ ეშინია, რომ ქათმების პარვას დავინყებთ.

– უნდა გენახა პალერმოდან აქეთობას, როცა საფოსტო სადგურებში გვაჩერებდნენ ცხენების გამოსაცვლელად! საკმარისიო იყო გეთქვა: „მისი უდიდებულესობის სასწრაფო ბრძანება“, და ცხენებიც იმნამსვე ჩნდებოდნენ, თითქოს ჯადოქრობით. ჩვენ კი ბრძანების მაგიერ ნეაპოლის სასტუმროს ანგარიშებს ვუჩვენებდით, ლამაზი ბეჭდითა და ღერბით.

როცა სამხედრო ცვლილებების თემა ამოინურა, საუბარმა უფრო თავისუფალი მიმართულება მიიღო. კონჩეტა და კავრიაგი გვერდი-გვერდ ისხდნენ, ერთმანეთისგან ოდნავ მოშორებით, და გრაფი თავადის ქალს ნეაპოლიდან ჩამოტანილ საჩუქარს უჩვენებდა. ეს ალყარდო ალყარდის ლექსთა კრებული იყო, შესანიშნავად აკინძული. ტყავის მუქ-ლურჯ ყდაზე ღრმად ამოტვიფრული სათავადო გვირგვინის ქვეშ კონჩეტას ინიცია-

ლები იყო გამოსახული – C. C. S. – კიდევ უფრო ქვემოთ კი დიდი გოთური ასოებით ეწერა: „მარად ყრუ“. კონჩეტა იცინოდა.

– კი მაგრამ, რატომ ყრუ, გრაფო? C. C. S.-ს ძალიან კარგი სმენა აქვს. გრაფის სახეს ყმანვილური ვნების ალმური მოედო:

– ყრუ, დიახ, ყრუ ბრძანდებით, ქალბატონო. ჩემი ოხვრა და კვნესა არ გესმით. ბრმაც ბრძანდებით, რადგან ვერ ხედავთ ვედრებას, ჩემი თვალები რომ გიგზავნიან. რომ იცოდეთ, როგორ დავიტანჯე პალერმოში, როცა აქეთკენ ინებეთ გამომგზავრება: არც გამომშვიდობების, არც გამოხედვის ღირსად არ ჩამთვალეთ, როცა ეტლები ქუჩას მიუყვებოდნენ და მშორდებოდნენ! და კიდევ მოითხოვთ, რომ ყრუ არ გინოდოთ? „სასტიკი“ უნდა დამენერა.

გრაფის ეს ლიტერატურული აღტყინება ქალიშვილის ცივიმა თავშეკავებამ განყვიტა:

– ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ ჯერაც დაღლილი ბრძანდებით, ნერვებმა გიმტყუნათ. დამშვიდდით: უმჯობესი იქნება, თუ რომელიმე მშვენიერ ლექსს წამიკითხავთ.

სანამ ბერსალიერი ალეარდის რბილ სტრიქონებს კითხულობდა თავშეკავებული ხმითა და უნუგეშობით აღსავსე პაუზებით, ბუხრის წინ მჯდარმა ტანკრედიმ ჯიბიდან ცისფერი ატლასით განყობილი ზარდახშა ამოიღო.

– აი, ბეჭედი, ძია, ბეჭედი, რომელსაც ანჯელიკას ვაჩუქებ, ან უფრო სწორად, შენ აჩუქებ ჩემი სახელით.

საკეტი გახსნა და გამოაჩინა ძალიან მუქი საფირონი, რვაკუთხედად დანახნაგებული, რომელსაც ირგვლივ მჭიდროდ ეკვროდა მრავალი პანანინა უნმინდესი აღმასი. ერთობ პირქუში სამკაული იყო, მაგრამ იმდროინდელი სამგლოვიარო გემოვნების უაღრესად შესაბამისი. სამკაული მართლაც ღირდა დონ ფაბრიციოს მიერ გაგზავნილ სამას უნციად, მაგრამ სინამდვილეში გაცილებით ნაკლები დაჯდა: ძარცვა-გლეჯისა და ნეაპოლიდან გაქცევის იმ თვეებში იაფად შეიძლებოდა უმშვენიერესი ძვირფასეულობის შოვნა. ფასის განსხვავება საკმარისი აღმოჩნდა გულსაბნევის შესაძენად – ქალბატონ შვარცვალდსაც ხომ უნდა დარჩენოდა რამე სამახსოვროდ. ბეჭდის სანახავად კონჩეტასა და კავრიაგისაც უხმეს, მაგრამ ისინი ადგილიდან არ დაძრულან, რადგან გრაფმა ადრე უკვე ნახა, კონჩეტამ კი ეს სიამოვნება შემდეგისთვის გადადო. ბეჭედი

ხელიდან ხელში გადადიოდა და ყველგან საქებარ სიტყვებს იღებდა. განსაკუთრებით აღნიშნეს ტანკრედის მაღალი გემოვნება. დონ ფაბრიციომ ჰკითხა:

– ზომას კი როგორ მოარგებ? ამისთვის ალბათ ჯირჯენ-ტომში გაგზავნა მოგვიწევს.

ტანკრედის თვალები ეშმაკურად უელავდა:

– არ მოგვიწევს, ძია: წინასწარ უკვე ავიღე ზომა.

დონ ფაბრიციო დადუმდა, რადგან ოსტატი შეიცნო.

ზარდახშამ ბუხრის გარშემო მთელი წრე შემოიარა და კვლავ ტანკრედის დაუბრუნდა, როცა კარის ღრიალიდან ჩუმი შეკითხვა მოისმა:

– შეიძლება?

ანჯელიკა იყო. აღელვებასა და მღელვარებაში უკეთესი ვერაფერი მოეფიქრებინა და კოკისპირული წვიმისაგან თავის დასაცავად უხეში მაუდისაგან შეკერილი უშველებელი გლეხური მოსასხამი მოეგდო თავზე. მუქ-ლურჯ და ხეშემ ნაკეცებში გახვეული მისი სხეული კიდევ უფრო ნატიფი ჩანდა, სველი კაპიუშონის ქვეშ მოელვარე მწვანე თვალები, ალგზნებული და დაბნეული, ვნების ენაზე ლაპარაკობდნენ.

ამ სანახაობამ, სხეულის მშვენიერებისა და მოსასხამის ამ კონტრასტმა ტანკრედის თითქოს შოლტი გადაუჭირა: ფეხზე წამოხტა, უსიტყვოდ მიირბინა ანჯელიკასთან და ტუჩებში აკოცა. ხელში ისევ ეჭირა ცისფერი ზარდახშა, რომელიც ახლა ანჯელიკას დახრილ კეფას ეხახუნებოდა. ტანკრედიმ კვლავ გახსნა საკეტი, ბეჭედი ამოიღო და არათითზე ჩამოაცვა. ზარდახშა იატაკზე დაეარდა.

– აჰა, ლამაზო, ეს შენთვისაა. შენი ტანკრედისაგან, – მერე კი კვლავ მოიხმო ჩვეული ირონია. – ძიასაც უთხარი მაღლობა.

შემდეგ კვლავ მოეხვია ანჯელიკას: გრძნობიერი შეტევისაგან ორივეს აკანკალებდა. დარბაზი და მასში შეკრებილები ორივეს ძალიან შორს ეჩვენებოდა. ტანკრედის კი მართლა ეგონა, რომ ამ კოცნით კვლავ ეპატრონებოდა სიცილიას – მშვენიერსა და ორგულ მინას, რომელზედაც ფალკონერები საუკუნეთა განმავლობაში ბატონობდნენ და რომელიც ახლა, ამჟამად ამბოხის შემდეგ კვლავ სამარადისოდ ნებდებოდა მათ, ხორციელი სიტკბოებისა და ოქროსფერი მოსავლებისგან მოქსოვილი.

სასურველი სტუმრების ჩამოსვლის გამო პალერმოში დაბრუნება კვლავ გადაიდო. ამას მოჯადოებით სავსე ორი კვირა მოჰყვა. ორი ოფიცრის თანმხლები ქარიშხალი უკანასკნელი აღმოჩნდა და მის შემდეგ სან მარტინოს ზაფხული გამობრწყინდა, რომელიც სიცილიაში ნამდვილი სიყვარულის ხანაა: კრიალა და ცისფერი დღეები, წელიწადის დროთა სასტიკ მიმდევრობაში მონყალების ოაზისი, რომელიც თავისი დამყოლი ბუნებით აცდუნებს და აჯადოებს გრძნობებს, საიდუმლო სიშიშვლისკენ მოუწოდებს მათ. დონაფუგატას სასახლის ეროტიკული სიშიშვლის შესახებ ლაპარაკი ნამდვილად უადგილოა, მაგრამ იყო მასში მგრძნობელობის რალაცნაირი სიღიადე – საგულდაგულოდ შეკავებული და ამის გამო კიდევ უფრო მწვავე. სალინას ციხედარბაზი, ასე, ოთხმოციოდე წლით ადრე იმ ბნელ სიამეთა საბუდარი იყო, რომლებითაც მომაკვდავი მეთვრამეტე საუკუნე იწუგეშებდა თავს. მაგრამ თავადის დედის, კაროლინას მკაცრი მმართველობა, რესტავრაციის ეპოქის აღორძინებული რელიგიურობა, თვით დონ ფაბრიციოს უშუალო და ზარმაცი ავხორცობა ადრინდელ თავაშვებულობათა დავინყების საბაბი გახდა. შეუძრული ეშმაკუნები გაიქცნენ. რა თქმა უნდა, ჯერაც არსებობდნენ, მაგრამ მხოლოდ ჭუპრის სახით და უზარმაზარი შენობის ვინ იცის როჰელ სხვენზე მისცემოდნენ საღათას ძილს. სასახლეში ანჯელიკას გამოჩენამ, თუ გახსოვთ, ოდნავ გამოალვიდა ეს ჭუპრები, მაგრამ შეყვარებულ ჭაბუკთა ჩამოსვლამ კი მართლაც ახალი სიცოცხლე შთაბერა სახლში ჩაბუდებულ ინსტინქტებს და ისინიც ახლა უკვე ყველგან ამჟღავნებდნენ საკუთარ არსებობას, როგორც მზისგან გამოცოცხლებული ჭიანჭველები. თვით როკოკოს სტილის მორთულობა და არქიტექტურა თავისი მოულოდნელი ხვეულებით ქალის ნებიერად განოლილ სხეულსა და აცქვეტილ ძუძუსთავეებს ჰგავდა. ყოველი კარი გაღებისას უკვე ალკოვის საფარველივით შრიალებდა.

კავრიაგის კონჩეტა უყვარდა. მაგრამ ეს ახალგაზრდა გრაფი ბავშვი იყო არა მარტო გარეგნული სახით, როგორც ტანკრედი, არამედ მთელი ბუნებითაც, ამიტომ მისი სიყვარული გამოსავალს პრატიხა და ალუარდის მსუბუჟ რითმებში პოულობდა. სულ მუდამ მთვარიან ღამეს მოწყობილ მოტაცება-

ზე ოცნებობდა, მაგრამ მისი ლოგიკური შედეგის განხილვას ვერ ბედავდა, თანაც კონჩეტას სიყრუე ყველაფერს ჩანასახშივე სპობდა. არავინ იცის, იქნებ თავისი მწვანე ოთახის სიმშვიდეში კავრიაგი უფრო კონკრეტულ ჩანაფიქრსაც ელოლიავებოდა, მაგრამ აშკარაა, რომ დონაფუგატას შემოდგომის გალანტურ სცენოგრაფიაში ეს ყმანვილი მხოლოდ დახატული ღრუბლებისა და ნისლიანი ჰორიზონტების დეკორატიორი იყო და არა მიზანსცენათა დამდგმელი. დანარჩენი ორი ქალიშვილი, კაროლინა და კატერინა, მისგან განსხვავებით მშვენივრად ართმევდნენ თავს საკუთარ პარტიებს სურვილთა სიმფონიაში, რომლის ბგერები იმ ნოემბერს მთელ სასახლეში ისმოდა და ერთვოდა შადრევნების ჩუხჩუხს, თავლაში ახურებული ცხენების თქარათქურს, და ძველი ავეჯის სიზრქეში სასიყვარულო თავშესაფართა ბეჯითად მშენებელი მატლების ჭრიალს. ქალიშვილები ახალგაზრდა და სანდომიანნი იყვნენ. და თუმცა შესაბამისი სატრფოები არ ჰყავდათ, მაინც ეფლობოდნენ იდუმალი სტიმულების საერთო დინებაში და ხშირად კონჩეტას უარი კავრიაგის კოცნაზე, ანჯელიკას ხვევნით ტანკრედის დაუკმაყოფილებლობა მათ არსებაში პოულობდა გამოძახილს, მათ ხელშეუხებელ სხეულებს ედებოდა ოდნავ და მათაც სურნელოვანი ოფლით დასველებული კულულები და ხანმოკლე კვნესა ესიზმრებოდათ. თვით უბედური მადემუაზელ დომბრეი, იმის გამო, რომ მეხამრიდის როლი უნდა ეკისრა, ჩართული იყო ამ მღვრიე და მოცინარ მორევში, მსგავსად იმ ფსიქიატრებისა, რომელთაც ხანდახან რომელიმე პაციენტის ავადმყოფობა გადაედებათ ხოლმე. როცა დევნასა და მორალისტურ ჩასაფრებაში გატარებული დღის შემდეგ ის თავის განმარტოებულ სანოლში გაიშოტებოდა ხოლმე, თავის დამჭკნარ მკერდს ისრესდა და განურჩევლად მოუხმობდა ტანკრედის, კარლოს, ფაბრიციოს...

ამ გრძნობიერი ეგზალტაციის ცენტრი, რა თქმა უნდა, ტანკრედისა და ანჯელიკას წყვილი იყო. უკვე გადაწყვეტილი, თუმც კი ჯერ შორეული ქორწინება წინასწარ ფენდა მათი სურვილების გამომწვარ მიწაზე ნუგეშისმცემელ ჩრდილს. სოციალურ წოდებათა სხვადასხვაობა დონ კალოჯეროს აფიქრებინებდა, რომ წარჩინებულთა შორის მიღებული იყო ახალგაზრდების ასეთი ხანგრძლივი განმარტოება, ხოლო

დიდ ქალბატონს, მარია სტელას ეგონა, რომ სედარას რანგი-სათვის ჩვეულებრივი უნდა ყოფილიყო ანჯელიკას ასე ხშირი ვიზიტები და ერთგვარად თავისუფალი ქცევა, რომელსაც თავის ქალიშვილებს არასოდეს აპატიებდა. ამგვარად, ანჯელიკა სულ უფრო და უფრო ხშირად ჩნდებოდა სასახლეში და ეს ვიზიტები ლამის განუწყვეტელი გახდა და მამაც მხოლოდ ფორმალურად თუ ახლდა თან, რადგან მოსვლის შემდეგ ცოტა ხანში კვლავ ჩუმად გაიპარებოდა ხოლმე ადმინისტრაციაში დაფარული ინტრიგების აღმოსაჩენად ან მოსაქსოვად, ან მოახლის ოთახში იმალებოდა ყავის დასალევად.

ტანკრედის სურდა, რომ ანჯელიკა მთელ სასახლეს გასცნობოდა, გარკვეულიყო მისი ძველი და ახალი სასტუმროების, მისაღები ოთახების, სამზარეულოების, კაპელების, შინაური თეატრების, პინაკოთეკების, ტყავის სურნელით გაჟღენთილი საკუჭნაოების, თავლების, ჩახუთული ორანჟერების, დერეფნების, გასასვლელების, კიბეების, ტერასებისა და თაღების უსასრულო ერთობლიობაში. განსაკუთრებით კი ათწლეულების წინ მიტოვებული და უკაცრიელი ოთახები იზიდავდა, რომლებიც იდუმალსა და გამოუკვლეველ ლაბირინთს ქმნიდა. ტანკრედიმ არ იცოდა (ან მშვენივრად იცოდა), რომ ქალიშვილს გრძნობათა ციკლონის დაფარული ცენტრისკენ ჰიათრევედა, ანჯელიკა კი იმ დროს ტანკრედის ყველა გადანჯვეტილებას ეთანხმებოდა. ამიტომაც შენობის თითქმის უსაზღვრო სივრცეებში ურიცხვი ექსპედიცია ჩაატარეს, თითქოს რაღაც უცნობი მინის გამოსაკვლევად მიემგზავრებოდნენ. მინა კი ნამდვილად უცნობი იყო, რადგან იმ მიტოვებულ ოთახთაგან მრავალში დონ ფაბრიციოსაც კი არასოდეს შეუდგამს ფეხი, რაც მისთვის არცთუ მცირე სიამაყის საგანი იყო, რადგანაც ამბობდა, რომ სასახლე, რომლის ყველა ოთახი ცნობილია, არ იმსახურებს იქ ცხოვრებას. შეყვარებულები თავისი ალთქმული ქვეყნისაკენ მიეშურებოდნენ ხან ბნელი და ხანაც მზით გასხივოსნებული, ხან მდიდრული და ხან უბადრუკი, ხან ცარიელი და ხანაც ძველი, სხვადასხვაგვარი ავეჯის რელიქტებით სავსე ოთახებისგან შემდგარი ნავით. მოგზაურობას მადემუაზელ დომბრეის ან კავრიაგის ან ზოგჯერ ორივეს თანხლებით იწყებდნენ (პადრე პირონემ, თავისი ორდენისათვის დამახასიათებელი სიბრძნის წყალობით, უარ-

ყო ამგვარ ნამოწყებებში მონაწილეობა). ამგვარად, გარეგნული დეკორი დაცული იყო. მაგრამ სასახლის ნიაღში აღარ უჭირდათ აბეზარი თანხლებისაგან თავის დაღწევა: საკმარისი იყო რომელიმე დერეფანში შეხვევა (დერეფნები კი გრძელი იყო, ვიწრო და მიხვეულ-მოხვეული, ცხაურიანი ფანჯრებითა და გულისფანცქალით, რომელიც მათში სირბილისას გიპყრობდა), ან რომელიმე ქანდაკასავით აივანზე გასვლა, თანამზრახველსავით გამზადებულ კიბეზე არბენა და ორი მიჯნური უკვე შორს იყო და განმარტოებით, როგორც უდაბურ კუნძულზე. მათ ახლა მხოლოდ პასტელით შესრულებული და მხატვრის გამოუცდელივით გამოხედვის გარეშე დარჩენილი გახუნებული პორტრეტი თუ უყურებდა, ან მოხატულ ჭერზე გამოსახული და ყველაფერზე თანახმა მწყემსი ქალი. კავრიაცი მალე იღლებოდა და როგორც კი რომელიმე ნაცნობ ადგილას იგულებდა თავს, ან ბაღში ჩასასვლელ კიბეს იპოვიდა, იმწამსვე უკუიქცეოდა ხოლმე, ერთი მხრივ, მეგობრისთვის ხელი რომ არ შეეშალა, და, მეორე მხრივ, კონჩეტას ცივი ხელების საჭვრეტად და თავისი უიღბლო სიყვარულის გამო სატირლად. გუვერნანტი უფრო დიდხანს უძლებდა ამაო დევნას, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ისიც ნებდებოდა ხოლმე. რაღაც დროის განმავლობაში ისმოდა მისი მუდამ უპასუხოდ დარჩენილი მონოდება:

– Tancredi, Angelica, où êtes-vous?³⁷

შემდეგ კი ყოველივე იძირებოდა სიჩუმეში, რომელსაც მხოლოდ სხვენზე თავგების შლიგინი ან იატაკზე დავარდნილი და მონაბერ ნიავს აყოლილი ასწლოვანი დავინწყებული წერილის შრიალი თუ არღვევდა – სასურველი შიშების და მათგან დასაცავად ერთმანეთს შეხების საბაბი. ეროსი კი მუდამ იქვე იყო, ცბიერი და ბეჯითი – დანინდულებს მუდამ რაღაც აზარტულ და სახიფათო თამაშში ინვევდა. ორივე, ბავშვობასთან ჯერ კიდევ ასე ახლო მყოფი, თვით თამაშისგან იღებდა სიამოვნებას, ტკბებოდა ერთმანეთის დევნით, დაკარგვით, კვლავ პოვნით. და როცა ერთმანეთს პოულობდნენ, ერთბაშად გამახვილებული გრძნობები იმარჯვებდა და ტანკრედის ხუთივე თითი ეხლართებოდა ანჯელიკას თითებს ჯერაც მო-

³⁷ ტანკრედი, ანჯელიკა, სადა ხართ (ფრანგ.).

რიდებულთა საყვარელი ჟესტიო, როცა თითის წვერების ნაზი ხახუნი ხელის ზურგის მკრთალ ძარღვებზე უფრო გაბედული აღერსის წინათგრძნობას აღძრავდა.

ერთხელ ანჯელიკა კედელს მიყრდნობილ უშველებელ სურათს უკან დაიძალა და ცოტა ხნის განმავლობაში „არტურო კორბერა ანტიოქიის ალყის დროს“ იფარავდა ქალწულის იმედით აღსავსე აფორიაქებას. მაგრამ როგორც კი აღმოჩენილ იქნა, და აბლაბუდებით დაბინდული ღიმილითა და დამტყვერილი ხელებით საქმროს მკლავებში იგულა თავი, მის წინ მთელი მარადისობა გადაიშალა, რათა ეთქვა:

– არა, ტანკრედი, არა, – უარი, რომელიც სინამდვილეში შეგულიანება იყო, რადგანაც ტანკრედი მხოლოდ მისი მწვანე თვალების სიღრმეში იკარგებოდა თავისი ლურჯი მზერით.

ერთხელაც, მზიან და სუსხიან დილას ანჯელიკას თავის ჯერ კიდევ საზაფხულო სამოსში აკანკალებდა სიცვივისაგან. ტანკრედიმ გასათბობად თავისკენ მიიზიდა იგი დროისაგან დაგლეჯილი ქსოვილით განყობილ ძველ ტახტზე. ანჯელიკას სურნელოვანი სუნთქვა ტანკრედის შუბლზე ჩამოშლილ თმებს ეხებოდა. ეს ექსტაზისა და ტანჯვის წამები იყო, როცა სურვილი წვალებად იქცეოდა, ვნებათა ბორკილები კი სიამედ.

სასახლის მიტოვებულ ადგილებში ოთახებს არც საკუთარი სახე გააჩნდათ, არც სახელი. და ახალი ქვეყნების აღმომჩენთა მსგავსად ყმანვილები გადახდენილი ფათერაკების მიხედვით არქმევდნენ სახელებს სათავსოებს: ერთ ვრცელ საძინებელ ოთახს, სადაც შუაში უშველებელი სანოლის აჩრდილი იდგა, რომელსაც ზემოდან სირაქლემას ფრთების ჩონჩხებით შემკული ბალდახინი დაჰყურებდა, „სანამებელი ოთახი“ უწოდეს; ფიქალის მონგრეული და გაცვეთილსაფხურებიანი კიბე ტანკრედიმ „ბედნიერი ჩამოსრიალების კიბედ“ მონათლა. ხშირად აღარც კი იცოდნენ, სად იყვნენ: ერთმანეთის გაუთავებელ დევნაში, ერთსა და იმავე ადგილას დაბრუნებაში, ხელის შეხებითა და ჩურჩულით სავსე ხანგრძლივ გარინდებაში თავგზა ებნეოდათ და საჭირო იყო ჩამსხვრეულშუშებიანი სარკმლიდან გამოხედვა, რათა იქიდან გამოჩენილი ეზოს კუთხით, ბალის პერსპექტივით მიმხვდარიყვნენ, სასახლის რომელ ფრთაში იმყოფებოდნენ. ზოგჯერ ესეც არ შველოდათ, რადგან სარკმელი დიდ ეზოს ან ბაღს კი არ გადაჰყურებ-

და, არამედ მრავალ შიდა ეზოთაგან ერთ-ერთს – უსახელოსა და ჩაკარგულს, რომელსაც სხვა ამგვარი ეზოებისაგან მხოლოდ კატის ლეში ან პომიდორიანი მაკარონის ვინ იცის, ოდესღაც ამორწყული თუ გადაგდებული გროვა თუ გამოარჩევდა. სხვა საარკმლიდან კიდევ რომელიმე დათხოვნილი და იქვე მცხოვრები მოხუცი მოახლის თვალები მოჩანდა. ერთხელ, ნაშუადღევს, სამფეხა სკივრში ოთხი კარილიონი აღმოაჩინეს – მუსიკალური ზარდახშვები, რომელთა გამოგონებითაც ერთბოდა XVIII საუკუნის დახელოვნებული გულბერყვილობა. სამი მათგანი, მტვერსა და აბლაბუდაში ჩაფლული, სამუდამოდ დამუნჯებულიყო. მაგრამ მეოთხემ, უფრო ახალმა, მუქი ფერის ხის ყუთში უკეთესად შენახულმა, ადვილად დაატრიალა წვრილი ნასვრეტებით დაფარული სპილენძის დისკო და ფოლადის ენებმა მოულოდნელად ააუღერა ვერცხლის მაღალი ნოტებით მოქსოვილი სიფრიფანა მელოდია – სახელგანთქმული „ვენეციის კარნავალი“. მიჯნურებმაც თავიანთი კოცნა შეუთანხმეს ამ მხიარული და წრფელი ჰანგის რიტმს. მაგრამ როცა ეს მახრჩობელა ხვევნა მოეშვა და დასუსტდა, გაკვირვებით აღმოაჩინეს, რომ ბგერა დიდი ხნის წინ მიჩუმებულიყო, მათი ალერსი კი მხოლოდ მუსიკის ამ აჩრდილის გახსენებას აჰყოლოდა.

სხვა დროს გაკვირვებაც სხვა ფერისა იყო. ერთ ძველ სასტუმრო ოთახში კარადის უკან დამალული კარი აღმოაჩინეს. ასწლოვანი საკეტი მალე დამორჩილდა თითებს, რომლებიც ესოდენ ტკბებოდნენ მისი გალების ცდისას ერთმანეთში გადახლართვითა და ერთმანეთის შეხებით. კარის უკან ვარდისფერი მარმარილოს მაღალი და ვინრო კიბე ადიოდა რბილ ხვეულებად. კიბის თავზე უკვე დაშლილი ქერის სქელი ფენით განწყობილი ღია კარი დახვდათ, კარს უკან კი ერთი საშუალო სიდიდის სალონის გარშემო განლაგებული ექვსი პატარა ოთახისაგან შემდგარი კეკლუცი და უცნაური ბინა. ოთახებსა და სალონში იატაკი სპეტაკი მარმარილოსი იყო, ოდნავ დაქანებული გვერდითი ღარის მიმართულებით. დაბალ ჭერზე რაღაც ეშმაკური მოხატულობა იყო, რომლის გარჩევა, საბედნიეროდ, სინესტის მიზეზით სრულიად შეუძლებელი იყო. კედლებზე ვეებერთელა გარინდებული სარკეები ძალიან დაბლა ეკიდა. ერთი მათგანი თითქმის შუაგულში მიყენებული დარტყმით იყო

დამსხვრეული, თითოეულს XVIII საუკუნის დაგრეხილი შანდალი ამკობდა. ფანჯრები რალაც ყრუ-მუნჯი ჭის მსგავს განცალკევებულ შინაგან ეზოს გადაჰყურებდა, სადაც არც ერთი სხვა სარკმელი არ გადიოდა და მხოლოდ მონაცრისფრო შუქი აღწევდა. ყოველ ოთახში და სალონშიც თითო ფართო, ძალიან ფართო ტახტი იდგა და ზედ უკვე ჩამოშლილი აბრეშუმის ქსოვილის კვალი ეტყობოდა. ელეგანტურ ბუხრებზე პაროქსიზმის პოზებში გამოსახული რალაც ტანჯვას დაქვემდებარებული შიშველი ფიგურები იყო ამოკვეთილი, მაგრამ ბევრი მათგანი ჩაქუჩის განრისხებულ დარტყმებს ჩამოეწვია.

აფორიაქებულმა ტანკრედიმ არ ისურვა, რომ სალონში ანჯელიკას ხელი ეხლო კედლის კარადისათვის. მან თვითონ ჩარაზა მისი კარი. კარადა ძალიან ღრმა იყო და მეტად უცნაურ საგნებს შეიცავდა: აბრეშუმის წვრილი თოკის ხვეულებს; ურცხვი ფიგურებით შემკულ ვერცხლის ზარდახმებს, რომელთა ფსკერზე გაუგებარი და ლამაზი ხელწერით შესრულებული თითქოსდა სააფთიაქო ეტიკეტები იყო მიწებებული – „str. catch.“, „Tirch-stram.“, „art-opp.“; ცარიელ ბოთლებს; კედელს მიყუდებული ჭუჭყიანი ქსოვილის გრაგნილს, რომელშიც პატარა შოლტების თუ მათრახების კონა იყო გახვეული – მათრახები ხარის ძარღვისა იყო, ზოგს ვერცხლის სახელური ჰქონდა, სხვებს – ძვირფასი და ძალიან ძველი აბრეშუმის ქსოვილით შემოკერებული, თეთრი და ლურჯზოლიანი, შავი კომპლების სამმაგი რიგებით; ლითონის აუხსნელ მონყობილობებს. ტანკრედის უცებ საკუთარი თავისაც შეეშინდა: მიხვდა, რომ სასახლეში გავრცელებული ავხორცი გამოსხივების ცენტრში შეაღწია.

– ნავიდეთ აქედან, ჩემო კარგო, არაფერია საინტერესო.

კარი საიმედოდ ჩაკეტეს, ჩუმად დაეშვნენ კიბეზე, ძველ ადგილზე დააყენეს კარადა. მთელი დღის განმავლობაში ტანკრედის კოცნა მსუბუქი და რალაცნაირი სიზმარეული იყო, თითქოს პატიებას ითხოვდა.

მართალი რომ ვთქვათ, ლეოპარდის შემდეგ შოლტი დონაფუგატაში ყველაზე ხშირი საგანი იყო. იდუმალი აღმოჩენის შემდგომ დღეს ორი მიჯნური კვლავ წააწყდა ამჯერად სულ სხვა დანიშნულების შოლტს. ეს, მართალია, უკვე უცნობ აპარტამენტებში კი არა, დუკა-სანტოდ, ანუ „წმიდა თავადად“

ნოდებულ და სასახლის შორეულ კუთხეში მდებარე მეტად დაფასებულ სათავსოში იპოვეს. აქ, XVII საუკუნის შუაწლებში ერთ-ერთი სალინა დაეყუდა როგორც კერძო მონასტერში, აქ ინანიებდა იგი ცოდვებს და სულს ზეციური აღმასვლისათვის ამზადებდა. ვინრო ოთახები იყო, უბრალო გამომწვარი აგურით ნაშენი დაბალი ჭერი ჰქონდათ, კედლები კი კირით შეთეთრებული, როგორც უღარიბესი გლეხების სახლებში. უკანასკნელი ოთახი აივანზე გადიოდა, საიდანაც ნაღვლიან ნათელში ჩაფლული ერთმანეთის მოსაზღვრე ფეოდებისაგან შეკონინებული ვრცელი მოყვითალო ვაკე მოჩანდა. ერთ-ერთ კედელზე უშველებელი, რეალურზე საგრძობლად დიდი ჯვარცმა ეკიდა: ტანჯული ღმერთის თავი ჭერს ეხებოდა, გასისხლიანებული ფეხები – იატაკს. მაცხოვრის ფერდზე ნყლული დაღებულ პირს ჰგავდა, რომლის საშინელებამ თითქოსდა აღკვეთა უკანასკნელი შენდობის სიტყვათა წარმოქმნა. ღვთაებრივი ცხედრის გვერდით ლურსმანზე მოკლესახელურიანი შოლტი იყო დაკიდებული. უკვე გამაგრებული ტყავის ექვსი ენა ჰქონდა, ბოლოებზე თხილისგულისოდენა ტყვიის ბურთულებით. ეს „წმიდა თავადის“ ეგრეთ ნოდებული „დისციპლინა“ იყო. ამ ოთახში ჯუზეპე კორბერა, სალინას პატრონი, თავს იშოლტავდა საკუთარი ღმერთისა და საკუთარი ფეოდის წინაშე: ალბათ ეგონა, რომ მისი სისხლის წვეთები მიწებს ერთვოდა საცხოვნებლად. ამ ღვთისმოსავ აღტყინებაში ალბათ ეგონა, რომ მხოლოდ ამ მონანიე ნათლობის შედეგად შევიდოდა ეს მიწები მის ჭეშმარიტ საკუთრებაში, გახდებოდა, როგორც იტყვიან, მისი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი. მიუხედავად ამისა, მიწა ბელტ-ბელტად მაინც გაეპარა და, აივნიდან რომ ჩანდა, იმ ფეოდთა დიდი ნაწილი უკვე სხვისი იყო, მაგალითად, დონ კალოჯეროსიც. დონ კალოჯეროსი, ესე იგი, ანჯელიკასი, და აქედან გამომდინარე, მისი მომავალი შვილისა. ხორციელი მშვენიერებით ამ აშკარა გამოსყიდვამ, რომელიც სხვა, ხორციელი ტანჯვის ფასად გამოსყიდვის პარალელური იყო, თავბრუ დაახვია ტანკრედის. მუხლმოყრილი ანჯელიკა ამბორს უყოფდა ქრისტეს გამსჭვალულ ფეხებს.

– ხედავ, შენ აი ამ იარაღით ხარ, იმავე მიზნებს ემსახურები, – ტანკრედიმ „დისციპლინაზე“ მიუთითა.

ანჯელიკას ვერაფერი გაეგო, თავი ანია და გაუღიმა, მშვენიერმა და ცარიელმა. ტანკრედი დაიხარა და მუხლმოყრილს იმდენად უხეშად აკოცა, რომ კვნესა მოჰგვარა, რადგან ტუჩი დაუზიანა და სასაზეც მტკივნეულად მოედო.

იმ დღეებს ორივენი სინამდვილეს მონყვეტილ ხეტიალში ატარებდნენ. მათ აღმოჩენილ ჯოჯოხეთებს სიყვარული აცხონებდა, დავიწყებულ სამოთხეებს კი იგივე სიყვარული ბილწავდა. თამაშის შეწყვეტისა და მოგებული ფსონების დაუყოვნებელი მიღების საფრთხე ორივესათვის სულ უფრო მწვავე და მნიშვნელოვანი ხდებოდა. ბოლოს და ბოლოს აღარაფერს ეძებდნენ, უბრალოდ, დადიოდნენ ყველაზე შორეულ უკაცრიელ ოთახებში, საიდანაც ვერანაირი კივილი ვერ მისწვდებოდა ვინმეს ყურს. მაგრამ არანაირი კივილი არ იქნებოდა – მხოლოდ ჩუმი კვნესა და ვედრება. ამის მაგიერ იქ რჩებოდნენ ერთმანეთს მიხუტებულნი და უმანკონი, ერთმანეთის თანაღმობით მოცულნი. ყველაზე სახიფათო მათთვის ძველი სასტუმრო ოთახები იყო: განმარტოებული, უკეთესად მოვლილი, თითოეულში მშვენიერი სანოლითა და ზედ დახვეული ლეიბით, რომლის გაშლას გაბედული ხელის ერთი მოძრაობა ეყოფოდა... ერთ დღეს კი – არა, ტანკრედის ტვინმა არა, მას ამ მხრივ არაფერი ჰქონდა სათქმელი – მთელმა მისმა სისხლმა გადანყვიტა, დაესრულებინა ეს ყოველივე: იმ დილას ანჯელიკამ, ამ ლამაზმა და ნუნკალმა, მოულოდნელად უთხრა:

– შენი მონაფე ვარ.

და ამ აშკარა გამოწვევით მოაგონა მათ შორის განფენილ სურვილთა პირველი შეხვედრა. და უკვე სულ მთლად აფორიკებული ქალი ნებდებოდა, უკვე მამაკაცი ამარცხებდა ადამიანს, როცა ანაზდად დიდი საეკლესიო ზარის გუგუნნი დააცხრა მათ განრთხმულ სხეულებს, მათ თრთოლვას საკუთარი დაუმატა. შეერთებული პირები ერთმანეთს ღიმილით მოსწყდა. წამოდგნენ. მეორე დღეს კი ტანკრედი უკვე ტოვებდა იქაურობას.

ეს დღეები საუკეთესო იყო ტანკრედისა და ანჯელიკას ცხოვრებაში, რომელიც შემდგომში, ასე ნაირფერი და ცოდვებრალით დატვირთული გამოჩნდა ტკივილის გარდაუვალი თანხლებით. მაგრამ მათ ჯერ არაფერი იცოდნენ ამის შესახებ, ისინი ჯერ წარმოდგენაში საკმაოდ კონკრეტულად დასა-

ხულ მომავალს მისდევდნენ, ნამდვილი მომავალი კი მხოლოდ კვამლითა და ქარით აგებული გამოვიდა. როცა უკვე მოხუცდნენ და ამაოდ დაბრძენდნენ, მათი აზრები დაჟინებული სინანულით უბრუნდებოდა იმ დღეებს: ის მუდამ არსებული და მუდამ დამალული სურვილის, მრავალი გამზადებული და უარყოფილი სანოლის დღეები იყო, სექსუალური სტიმულისა, რომელმაც სწორედ იმის წყალობით, რომ აკრძალული იყო, ერთი წამით თავისი სუბლიმაცია უარყოფაში, ესე იგი, ჭკმმარიტ სიყვარულში პოვა. ეს იყო მოსამზადებელი დღეები მათი ქორწინებისა, რომელიც ეროტიკული თვალსაზრისითაც კი ცუდად განხორციელდა. სამაგიეროდ, მომზადება ჩამოყალიბდა რალაცნაირ ხანმოკლე და განსაცვიფრებელ თვითკმარ ერთობლიობად, როგორც დავინწყებული ოპერების შემორჩენილი უვერტიჟურები, რომლებიც მორცხვი სიხარულით მიანიშნებენ თვით ოპერაში მოუხეშავად განვითარებულ და ამიტომ წარუმატებელ არიებზე.

* * *

როცა ანჯელიკა და ტანკრედი გადაშენებულ მანკიერებათა, დავინწყებულ სიქველეთა და, განსაკუთრებით, მარადიული სურვილის ქვეყნიდან ცოცხალთა სამყაროს უბრუნდებოდნენ, მათ კეთილგანწყობილი ირონიით ხვდებოდნენ.

– სულ გაგიჟდით, ბავშვებო? დახეთ, როგორ დამტვერილხართ. რას დამსგავსებოხარ, ტანკრედი, – იღიმებოდა დონ ფაბრიციო. დისნულიც ტანსაცმლის გასანმენდად მიიჩქაროდა. დამორცხვებული კავრიაგი სკამზე დასკუპებული ეწეოდა „ვირჯინიას“ და უყურებდა, როგორ იბანდა მისი მეგობარი პირსა და კისერს, როგორ უკმაყოფილოდ ფრუტუნებდა თავ-პირიდან ჩამოდენილი ნახშირივით გაშავებული წყლის დანახვაზე.

– არა, ფალკონერი, არაფერს ვამბობ. სინიორინა ანჯელიკა ყველაზე ლამაზი გოგოა, რაც კი ცხოვრებაში მინახავს, მაგრამ ეს არ გამართლებს: ღმერთმანი, ცოტა უნდა ალაგმო საკუთარი თავი! დღეს სამი საათით განმარტოვდით. თუ ასე გიყვართ ერთმანეთი, დაუყონებლივ დაქორწინდით და ხალხს ნუ აცინებთ. მამამისის სახე უნდა გენახა დღეს, როცა დღეს ადმინისტრაციიდან დაბრუნდა და თქვენ კი კვლავ იმ მიტოვებული ოთახების ოკეანეში დაცურავდით! მუხრუჭები გჭირდებათ-

მეთქი, მუხრუჭები – თქვენ, სიცილიელებს, არ გესმით ეს!

ქედმაღალი ტონით ასწავლიდა ჭკუას, უხაროდა, რომ უფროს ამხანაგს, „ყრუ“ კონჩეტას მამიდაშვილს უჩვენებდა საკუთარ სიბრძნეს. მაგრამ ტანკრედი თმებს იმშრალეზდა და განრისხებული ჩანდა: მუხრუჭების უქონლობა დააბრალებს მას, ვისაც მუხრუჭები იმდენი ჰქონდა, მატარებელს გააჩერებდა! მეორე მხრივ კი ეს თავხედი ბერსალიერი მთლად მტყუანი არ უნდა ყოფილიყო: გარეგან მხარეზეც უნდა ეფიქრათ. მაგრამ მორალისტად, რა თქმა უნდა, შურმა აქცია, რადგან უკვე აშკარა იყო: კონჩეტასთან მისი არშიყოზა ვერავითარ შედეგს ვერ მოიტანდა. და მერე ანჯელიკაც: სისხლის ეს უნაზესი გემო, როცა დღეს შიგნიდან უკბინა ტუჩზე! როგორ დაჰყვება ხოლმე მისი ტანი ხვევნას! თუმცა კი საერთო აზრისთვის ეს მართლაც გაუგებარი იყო.

– ხვალ ეკლესიაში წავალთ და ამალის სახით პადრე პირონესა და მონსინიორ ტროტოლინოს წავიყოლებთ.

ამასობაში ანჯელიკა ქალთა ოთახში იცვლიდა ტანისამოსს.

– Mais, Angelicà, est-ce Dieu possible de se mettre en un tel état?³⁸

– ბრაზდებოდა მადემუაზელ დომბრეი, სანამ პერანგისამარა მშვენიერი ასული მკლავებს იბანდა. ცივი წყალი აღგზნებას აგრილებდა და გულის სიღრმეში არწმუნებდა, რომ გუვერნანტი მართალი იყო: ნუთუ ღირდა ამდენი დაღლა, ასეთი გაჭუჭყიანება, ხალხის ამდენი გაცინება და მერე რად? ერთმანეთის თვალეზში საყურებლად, ერთმანეთის თითებიტ სააღერსოდ თუ ცოტა მეტად... თან ტუჩიც სტკიოდა.

– ახლა კი კმარა. ხვალ სალონში დავრჩებით სხვებთან ერთად.

მაგრამ მეორე დღეს იგივე თვალეზი, იგივე თითები თავის წინანდელ ჯადოქრობას მიჰყვებოდნენ და ორი შეყვარებულიც კვლავ იწყებდა დამალობანას გიჟურ თამაშს.

ამ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, მაგრამ შეთანხმებული ფიქრების პარადოქსული შედეგი ის იყო, რომ ვახშამზე ორივე მიჯნური ყველაზე მშვიდად იყო: ხვალინდელი დღის

³⁸ კი მაგრამ, ანჯელიკა, შესაძლებელია ამ მდგომარეობაში ჩაიგდო თავი? (ფრანგ.).

კეთილი განზრახვებით იმედმოცემულები ისინი სხვათა ბევრად უფრო სუსტ სასიყვარულო გამოვლენებზე ქილიკით ერთობოდნენ. კონჩეტამ ტანკრედის იმედი გაუცრუა: ნეაპოლში გარკვეულად ქენჯნას გრძნობდა მის გამო და ამიტომაც ნამოიყოლა თან კავრიაგი, რომლითაც საკუთარი თავის ჩანაცვლებას ვარაუდობდა ბიძაშვილის გულში. ტანკრედის წინდახედულებაში თანაგრძნობაც შედიოდა. მისთვის დამახასიათებელი დახვეწილი, მაგრამ კეთილი ცბიერებით ისეთი სახე დაიჭირა, თითქოსდა ქალთან ერთად დარდობდა იმას, რომ თვითონვე მიატოვა იგი. თან მეგობარს აქეზებდა. შედეგად – არაფერი. კონჩეტა კვლავაც საეკლესიო კოლეგიუმის მონაფესავით ქსოვდა თავის საუბრებს, სანტიმენტებით შეპყრობილ ახალგაზრდა გრაფს კი-გაყინული თვალებით შესცქეროდა და ამ მზერაში ზიზღის შეცნობაც შეიძლებოდა. ეს ქალი სულელი იყო, მისგან არაფერი კარგი არ გამოდნებოდა. ბოლოს და ბოლოს რა უნდოდა? კავრიაგი კეთილი ყმანვილი იყო, მშვენიერი ადამიანი, ნარჩინებული გვარი ჰქონდა და ბრიანცას მიდამოებში – ნაყოფიერი ფერმებიც. ერთი სიტყვით, ის იყო, რასაც ამ საზიზღარ ენაზე „შესაფერ პარტიას“ ეძახიან. მაგრამ კონჩეტას ხომ ტანკრედი სურდა, ასე არ იყო განა? თვით ტანკრედისაც სურდა ოდესღაც კონჩეტა: ანჯელიკაზე ნაკლებად ლამაზი იყო და ნაკლებად მდიდარიც, მაგრამ თავის თავში რაღაც ისეთს შეიცავდა, რაც ვერასოდეს ექნებოდა დონაფუგატელ ქალს. მაგრამ ცხოვრება ხომ სერიოზული რამაა, ღმერთმანი! კონჩეტას უნდა გაეგო. მაშ, რატომღა ექცეოდა ასე ცუდად? ეს საზიზღარი გამოხტომა სანტო სპირიტოს მონასტერში და კიდევ მრავალი ამის მსგავსი. ლეოპარდია, ნამდვილი ლეოპარდი. მაგრამ ამ ქედმაღალი მხეცისთვისაც უნდა არსებობდეს საზღვრები. „მუხრუჭები გჭირდებათ, ჩემო ბიძაშვილო, მუხრუჭები – თქვენ კი, სიცილიელებს, არ გესმით ეს“.

ანჯელიკა კი გულში ეთანხმებოდა კონჩეტას: კავრიანის გვარიანად აკლდა საკაზმი. რაც ტანკრედი შეუყვარდა, კავრიანის ცოლობა ნყლის სმას ემსგავსებოდა, მას შემდეგ, რაც მარსალას ღვინო იგემე. კეთილი, კონჩეტა ამას წინანდელი გამოცდილებით ატყობდა. მაგრამ დანარჩენი ორი სულელი, კაროლინა და კატერინა, მოხარული თევზის თვალებით ამ-

ტერდებოდნენ კავრიაგის, ინაზებოდნენ და ლამის გული მის-
დიოდათ მის მიახლოებაზე. მერე და რა?! ოჯახურ საკითხებ-
ში ქენჯნას მოკლებული ანჯელიკა გაკვირვებული იყო, რა-
ტომ არ ცდილობდა რომელიმე მათგანი, კონჩეტასათვის გრა-
ფის წართმევას. „ამ ასაკში ყმანვილი კაცები პატარა გოშიებს
გვანან: საკმარისია დაუსტვინო და მაშინვე მოცუნცულდები-
ან. ეს გოგოები კი სულელები არიან: ამ თავიანთი სიფრთხი-
ლით, აკრძალვებითა და ამპარტავნებით, თავიდანვე ცხადია,
როგორც დაამთავრებენ“.

სალონში, სადაც მამაკაცები თამბაქოს მოსანევედ იკრიბე-
ბოდნენ, ტანკრედისა და კავრიაგის – სახლის ერთადერთი
მწვევლების და, მაშასადამე, ერთადერთი განმარტოებულე-
ბის საუბრები რაღაც განსაკუთრებულ ტონს იძენდა. ახალ-
გაზრდა გრაფი ბოლოს და ბოლოს გამოუტყდა მეგობარს თა-
ვისი სასიყვარულო იმედების მარცხში:

– მეტად მშვენიერია, მეტად წმინდაა ჩემთვის. არ ვუყვარ-
ვარ. ჩემი იმედი მხოლოდ კადნიერება იყო. აქედან გულგან-
გმირული წავალ. აშკარად ხელის თხოვნა ვერ გავუბედე.
ვგრძნობ, რომ მისთვის მინაზე მხოხავი მატლი ვარ და მეტი
არაფერი. ამაში მართალია. ჩემი საკადრისი მატლი უნდა ვი-
პოვო, ჩემით რომ დაკმაყოფილდება.

და ცხრამეტი წლის ასაკი საკუთარ უიღბლობაზე სიცილ-
საც აბედვინებდა.

ტანკრედი თავისი უკვე განაღებული ბედნიერების სი-
მაღლიდან ცდილობდა მის ნუგეშისცემას:

– იცი, კონჩეტას დაბადებიდან ვიცნობ. ყველაზე უფრო
საყვარელი ქმნილებაა, რაც კი ქვეყნად არსებობს. მართლაც
რომ სათნოებათა სარკეა, მაგრამ ოდნავ ჩაკეტილია, ბევრი
შეზღუდვა აწევს, ვშიშობ, რომ ზედმეტად აფასებს საკუთარ
თავს. მერე თხემით ტერფამდე სიცილიელია. აქედან არასო-
დეს წასულა სადმე. ვინ იცის, მილანში როგორ იგრძნობს
თავს: იმ საძაგელ ადგილას ხომ ერთი თეფში მაკარონის საჭ-
მელად ერთი კვირით ადრე უნდა იზრუნო.

ტანკრედის ამ გამოხტომამ – ეროვნული ერთიანობის ერთ-
ერთმა პირველმა გამოვლენამ კვლავ ღიმილი მოჰგვარა კავრი-
აგის. მასში ტკივილი და ნუხილი დიდი ხნით ვერ ჩერდებოდა.

– მაგ თქვენს მაკარონებს ყუთებით ვუშოვიდი! ასეა თუ

ისე, რაც არის, არის. იმის იმედშია მაქვს, რომ ბიძაშენი და ბიცოლაშენი არ შემოძულდებიან, მათ სახლში რომ უშედეგოდ ვინადირე.

აქ კი სრულიად სამართლიანად დაარწმუნეს, რადგან კავრიაგი კონჩეტას გარდა ყველას მოეწონა (კაცმა რომ თქვას, კონჩეტასაც) მისი ხმაურიანი და კარგი განწყობისათვის, რომელიც მის ყველაზე სათუთ გრძნობებს ეხამებოდა. ამის შემდეგ კი სხვაზე, ესე იგი, ანჯელიკაზე გადავიდა საუბარი.

– აი, ფალკონერი, შენ კი ნამდვილად ბედნიერი ხარ! ამ სალონებში (მაპატიებ, ხომ, ძვირფასო) სინიორინა ანჯელიკას მსგავსი მარგალიტი რომ ამოქექე. რა ლამაზია, ღმერთო დიდებულო, რა ლამაზია! შე გაიძვერავე, თან რომ საათობით სეირნობ მასთან ამ ჩვენი საკათედრო ტაძრისოდენა სასახლის შორეულ კუნჭულებში! მერე მარტო ლამაზი კი არა, ჭკვიანი და განათლებულიცაა. და კეთილიც: სიკეთე და უმანკო მიამიტობა თვალებში ეტყობა.

კავრიაგი ანჯელიკას სიკეთით აღფროვანებას განაგრძობდა ტანკრედის ნასიამოვნები მზერის ქვეშ.

– ამ ყველაფერში ნამდვილად კეთილი შენა ხარ, კავრიაგი. ფრაზა ჩამოსრიალდა და წმ. ამბროსი მედიოლანელისაგან მემკვიდრეობით მიღებულ ოპტიმიზმს შეუმჩნეველი დარჩა. შემდეგ კი:

– მისმინე, – თქვა გრაფმა, – რამდენიმე დღეში გავემგზავრებით: არ გგონია, რომ დროა, ბარონესას დედას ნარუდგინო ჩემი თავი?

პირველად იყო, რომ ტანკრედი ისმენდა, როგორ იხსენიებდა ლომბარდიული ხმა მის სატრფოს ტიტულით. ჯერ ვერც კი მიხვდა, ვის გულისხმობდა გრაფი. მერე კი მასში თავადმა გაიღვიძა:

– რა ბარონესაზე მელაპარაკები, კავრიაგი?! ეს ლამაზი და კარგი გოგოა, რომელიც მიყვარს და კმარა ამაზე!

ეს „კმარა“, რა თქმა უნდა, მართალი არ ყოფილა. მაგრამ ტანკრედი მაინც გულწრფელად ლაპარაკობდა: დიდი საკუთრების ატავისტური ჩვევის ნყალობით მას მართლაც ეგონა, რომ ჯიბილდოლჩე, სეტესოლი და ტილოს ტომრები მას ეკუთვნოდა კარლოს ანჟუელის დროიდან, სამარადისოდ.

– ვნუხვარ, მაგრამ ანჯელიკას დედას, მგონი, ვერ იხილავ.

ხვალ შაკაში მიემგზავრება თერმული აბაზანების მისაღებად. ძალიან ავადაა, საცოდავი.

ჯირჯინიული სიგარის ნამწვავი საფერფლეში ჩასრისა.

– სალონში გავიდეთ, რას დავყუდებულვართ აქ დათვებით!

* * *

იმ დღეებში დონ ფაბრიციოს ჯირჯენტის პრეფექტის წერილი მოუვიდა, უკიდურესი თავაზიანობით რედაქტირებული – დონაფუგატაში პრეფექტურის მდივნის, კავალერ აიმონე შევალიე დი მონტერცუოლოს ჩამოსვლას აუწყებდა, რომელიც მთავრობის მიერ მეტად მონონებული საკითხის განხილვას უნდა მიძღვნოდა. გაკვირვებულმა დონ ფაბრიციომ მეორე დღეს თავისი ვაჟი, ფრანჩესკო-პაოლო გაგზავნა სადგურზე, რათა საკადრისად მიეღო missus dominicus³⁹ და სასახლეში მოეწვია საცხოვრებლად. ეს არა მარტო სტუმართმოყვარეობის, არამედ ნამდვილი გულმონყალების აქტი იყო პიემონტელი წარჩინებულის მიმართ, რომლის სხეული, წინააღმდეგ შემთხვევაში, ძია მენიკოს სასტუმროსა თუ ფუნდუკში ასობით გაუმადლარი არსების საჯიჯგნად დარჩებოდა.

შეიარაღებული დაცვითა და რამდენიმე მოლუშულსახიანი მგზავრით დატვირთული დილიჟანსი შელამებულზე ჩამოვიდა. მას შევალიე დი მონტერცუოლოც ჩამოჰყვა, რომლის ცნობა მაშინვე შეიძლებოდა შიშნარევი გამომეტყველებითა და ფრთხილი ღიმილით. უკვე ერთი თვე იყო, რაც სიცილიაზე იმყოფებოდა, თანაც, კუნძულის ყველაზე უიმედოდ თვითმყოფად ნაწილში, სადაც პირდაპირ თავისი მიყრუებული მონაფერატული სოფლიდან ამოყო თავი. მისი მორცხვი და თანდაყოლილი ბიუროკრატიზმით გამსჭვალული ბუნების გამო ძალიან შეწუხებული ჩანდა. თავი გამოტენილი ჰქონდა ყაჩაღური ამბებით, რითაც სიცილიელებს უყვარდათ ახალჩამოსულთა ნერვული გამძლეობის დაჭაშნიკება, რის გამოც უკვე ერთი თვეა, დაქირავებული მკვლელი ელანდებოდა თავისი დანესებულების ყოველ კარისკაცში, საკუთარ სანერ მაგიდაზე ქალაღდის საჭრელი ხის დანა კი ხშირად ხანჯლად ეჩვენე-

³⁹ საღეთო წარგზავნილი (ლათ.).

ბოდა. გარდა ამისა, უკვე ერთი თვე იყო, რაც ზეითუნის ზეთზე დამყარებულმა სამზარეულომ ნანლავეები აუშალა. ახლა კი იდგა მიმწეხრის შუქში თავისი ჩალისფერი ტილოს ჩემოდნით და შეფარვით უთვალთვალებდა იმ ქუჩის სრულიად უბადრუკ გარეგნობას, სადაც ჩამოსვეს დილიჯანსიდან. ნარწერა „ვიტორიო ემანუელეს პროსპექტი“, რომელიც თეთრ ფონზე გამოყვანილი ლურჯი ასოებით ამშვენებდა მის წინ აღმართული მონგრეული სახლის ფასადს, არ კმაროდა მის დასარწმუნებლად, რომ მშობლიური ქვეყნის ფარგლებში იმყოფებოდა. ვერც იმ გლეხებისთვის ბედავდა რაიმე შეკითხვის მიცემას, კარიატიდებივით რომ აპკროდნენ სახლების კედლებს, რადგანაც ერთი მხრივ დარწმუნებული იყო, რომ ვერ გაუგებდნენ, მეორე მხრივ კი ეშინოდა, დანის უფასო ჩარტყმა არ მიეღო თავის ძვირფას, თუმცა კი აშლილ ნანლავეებში.

როცა ფრანჩესკო-პაოლო მიუახლოვდა და წარუდგა, შევალეიმ თვალეები გადმოკარკლა, რადგან ეგონა, რომ გასაძარცვად დაესხნენ თავს, მაგრამ ქერათმიანი აყლაყუდა ყმანეილის წესიერმა და პატიოსანმა გამომეტყველებამ რამდენადმე ნუგეში სცა და შემდეგ, როცა გაიგო, რომ სალინას ციხე-დარბაზში საცხოვრებლად მიიწვიეს, განცვიფრდა და გულიც მიეცა. სასახლემდე ბნელით მოცული გზა სიცილიური და პიემონტური თავაზიანობის განუწყვეტელმა შეჯიბრმა დაამშვენა – ეს ორი მთელ იტალიაში თავისი პედანტურობითაა ცნობილი. შეჯიბრი კი ჩემოდანს ეხებოდა, რომელიც, თუმც მსუბუქი იყო, ბოლოს და ბოლოს ორმა რაინდობით გამორჩეულმა თანამგზავრმა ერთად წაიღო.

სასახლეს რომ მიუახლოვდნენ, პირველ ეზოში მდგარი შეიარაღებული მცველების წვეროსანმა სახეებმა კვლავ შეძრა შევალეის სული, მაგრამ თავადის დახვედრის თავშეკავებულმა კეთილგანწყობამ და სასახლის სათავსოთა აშკარა ფუფუნებამ მალევე საპირისპირო აზრებისკენ მიმართეს მისი გონება. შევალეი, იმ წვრილი პიემონტელი აზნაურების შთამომავალი, რომლებიც საკუთარ მიწაზე ღირსეულად და შეჭირვებით ცხოვრობდნენ, ცხოვრებაში პირველად იყო სტუმრად დიდი ბატონის სახლში, რაც მის მორცხვობას აორკეცებდა. თანაც ჯირჯენტიში მოსმენილი სისხლიანი ანეგდოტები, ამ სოფლის უკიდურესად უბადრუკი სახე და ეზოში დაბანაკებული „ბან-

დიტები" (როგორც თვითონ ფიქრობდა) ჯერ კიდევ შიშს
პკვრიდა. სწორედ ამ ყოველმხრივ შემოჯარული ერთმანეთის
საპირისპირო შიშებით დატანჯული ჩამოვიდა სასადილო
დარბაზში: ერთი მხრივ, როგორც ადამიანი, რომელიც ნაჩვევ-
ზე აღმატებულ გარემოში მოხვდა, მეორე მხრივ კი, როგორც
ყაჩაღთა საფარს გადაყრილი უმანკო მგზავრი.

ვახშამზე პირველად ჭამა რიგიანად მას შემდეგ, რაც სი-
ცილიის ნაპირზე შედგა ფეხი. ქალბატონების მომხიბლაობამ,
პადრე პირონეს თავშეკავებამ და დონ ფაბრიციოს მაღალმა
სიდარბაისლემ დაარწმუნა, რომ დონაფუგატას სასახლე არ
იყო ბანდიტ კაპაროს თავშესაფარი და რომ აქედან, რო-
გორც ეტყობა, ცოცხალი გააღწევდა. ყველაზე მეტად მაინც
კავრიაგის იქ ყოფნამ ანუგეშა, რომელიც, როგორც გაიგო, იქ
უკვე ათი დღის განმავლობაში ცხოვრობდა და არა მარტო
მშვენივრად გამოიყურებოდა, არამედ ჩანდა, რომ იმ ახალ-
გაზრდა ფალკონერის მეგობარიც იყო – სიცილელსა და
ლომბარდიელს შორის მეგობრობა კი ნამდვილ სასწაულად
მოეჩვენა. ვახშმის ბოლოს დონ ფაბრიციოს მიეახლა და
სთხოვა პირადი შეხვედრა და საუბარი, რადგანაც უკვე დი-
ლით აპირებდა გამგზავრებას. მაგრამ თავადმა მხარზე ხელი
მოუტყაპუნა და ერთ-ერთი ყველაზე ლეოპარდისებრი ღიმი-
ლი შეაგება:

– ნურას უკაცრავად, ძვირფასო კავალერო, – უთხრა, – ახ-
ლა ჩემს ოჯახში ბრძანდებით და მძევლად დაგტოვებთ, სანამ
ამის ნება მექნება. ხვალ დილით ვერ გაემგზავრებით და სრუ-
ლიად დარწმუნებული რომ ვიყო ამაში, თქვენთან პირადი სა-
უბრის სიამოვნებას ნაშუადღევამდე მოვიკლებ.

ამ წინადადებამ, რომელიც ღირსეულ კავალერს სამი საა-
თის წინ საბოლოოდ დააშინებდა, ახლა საოცრად გაახარა. იმ
საღამოს ანჯელიკა არ მოსულა, ამიტომაც ვისტის თამაშით
გაერთნენ. დონ ფაბრიციოს, ტანკრედისა და პადრე პირონეს-
თან ერთ მაგიდასთან შევალემ ორი ხელი მოიგო, სამი ღირა
და ოხდათხუთმეტი ჩენტეზიმო მიითვალა, შემდეგ თავის
ოთახში განმარტოვდა, ღირსეულად შეაფასა ქვეშაგების სის-
პეტაკე და მართალი კაცის უმფოთველ ძილს მიეცა.

დილით ტანკრედიმ და კავრიაგიმ ბალში სასეირნოდ გაიყვანეს, სურათების საცავი და გობელენების კოლექცია დაათვალიერებინეს. სოფელიც კი შემოატარეს. ნოემბრის თაფლისფერი მზის ქვეშ სოფელი წინანდელზე ნაკლებ პირქუშად გამოიყურებოდა. გზად რამდენიმე ღიმილიც კი შეხვდათ და შევალედი მონტერცუოლომ სოფლური სიცილიის მიმართაც მოიბრუნა გული. ეს შეამჩნია ტანკრედიმ და იმნამსვე კუნძულის მცხოვრებთა ჩვეული სურვილი მოერია, რომ ჩამოსულისათვის თავზარდამცემი და, სამწუხაროდ, ყოველთვის უტყუარი ისტორიები მოეთხრო. ერთ სასაცილოდ ნაგებ პატარა სასახლეს ჩაუარეს, რომლის ფასადს მოუქნელი ბარელიეფები ამკობდა.

– ეს, ძვირფასო შევალე, ბარონ მუტოლოს სახლია. ახლა ცარიელია და დაკეტილი, რადგან ოჯახი ჯირჯენტიში ცხოვრობს იმ დღიდან მოყოლებული, რაც ათი წლის წინ ბარონის მცირეწლოვანი ვაჟი ბანდიტებმა მოიტაცეს.

აქ პიემონტელმა კანკალი დაიწყო:

– საბრალო! ვინ იცის, რამდენი დაუჯდა მისი გათავისუფლება!

– არა, არაფერიც არ დასჯდომია. უკვე ფინანსურ სიძნელებებში იყვნენ გახლართულნი, ნაღდი ფულიც ისევე აკლდათ, როგორც ყველას ამ ქვეყანაში. მაგრამ ბიჭი მაინც დაუბრუნეს. ოღონდაც განვადებით.

– რაო, თავადო, რას გულისხმობთ?

– განვადებით, ხომ გეუბნებით, განვადებით-მეთქი. ანუ ნაწილ-ნაწილ. პირველად მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი გამოუგზავნეს. ერთი კვირის შემდეგ მარცხენა ფეხის ტერფი. და ბოლოს, ლამაზ კალათაში შეფუთული, ზემოდან ლელვმოყრილი (აგვისტოს თვე იდგა) თავიც მოვიდა. თვალედაჭყეტილი იყო და ტუჩის კუთხეს სისხლი შეხმობოდა. მე არ მიწახავს, მაშინ ბავშვი ვიყავი, მაგრამ გამიგონია, რომ სანახაობა სულაც არ ყოფილა მშვენიერი. კალათი აი, იმ ბალში დატოვა, კარის წინ უცნობმა თავშალმოხვეულმა დედაბერმა. ვერავინ იცნო, ვინ უნდა ყოფილიყო.

შევალეის საშინელებისაგან მზერა გაეყინა. ეს ამბავი ადრეც მოესმინა, მაგრამ ახლა ამ მშვენიერი მზის ქვეშ კიბის იმ საფეხურის ხილვა, სადაც ეს გაუგონარი საჩუქარი დატოვეს,

სულ სხვა იყო. აქაც მისი ჩინოვნიკური სული დაეხმარა:

– რა უსარგებლო პოლიცია ჰქონდათ ამ ბურბონებს. ცოტა ხანში, როცა აქ ჩვენი კარაბინერები მოაღწევენ, ეს ყოველივე შეწყდება.

– შეჭველად, შევალიე, შეჭველად.

ამის შემდეგ სამოქალაქო კლუბს ჩაუარეს, სადაც მოედანზე შემორგული ჭადრების ჩრდილში ჩვეულებრივ იყო გამოფენილი ყოველდღიური სანახაობა – რკინით შემოჭედილი სკამები და ძაძებით მოსილი კაცები. აქაც პატივისცემა და ღიმილი დახვდათ.

– ამათ შეხედეთ, შევალიე და მეხსიერებაში ჩაიბეჭდეთ ეს სცენა: წელიწადში ორჯერ მაინც ამ სინიორთაგან რომელიმეს საკუთარ სავარძელში უსულოდ აღმოაჩენენ ხოლმე. საღამოს მქრქალ ნათელში ერთი თოფის გასროლა კმარა ამისთვის. ვერც ვერავინ გაიგებს, ვინ ისროლა.

შევალიემ კავრიაგის მკლავს დაყრდნობის აუცილებლობა იგრძნო, რათა ცოტაოდენი კონტინენტური სისხლის სიახლოვეში დარწმუნებულიყო.

მაღე, ციცაბო ქუჩის მწვერვალზე, გასაშრობად გამოკიდული საცვლების ნაირფერი გირლანდების მიღმა გულუბრყვილო ბაროკოს სტილში გადანყვეტილი მცირე ეკლესია შენიშნეს.

– ეს წმიდა სასძლოს ეკლესიაა. მისი წინამძღვარი ხუთი წლის წინ მოკლეს იქ, შიგნით, მესის აღსრულებისას.

– რა საშინელებაა! თოფის გასროლა ეკლესიაში!

– რა თოფის გასროლაზე მეუბნებით, შევალიე! ჩვენ ძალზე ღვთისმოსავი კათოლიკეები ვართ და ამგვარ უმსგავსობას არ დავუშვებთ. უბრალოდ, საზიარებელ ზედაშეს ოდნავ სანამლავი ჩაუმატეს. ასე უფრო შესაფერია, ვიტყოდი, უფრო ლიტურგიულიც. სამუდამოდ უცნობი დარჩა, ვინ მოიმოქმედა ეს საქმე. წინამძღვარი შესანიშნავი პიროვნება იყო და მტრებიც არ ჰყოლია.

როგორც კაცი, რომელიც შუალამისას იღვიძებს და სანოლის ფერხთით საკუთარ წინდებზე მჯდომარე მოჩვენებას ხედავს, შიშისგან თავის დახსნას იმით ცდილობს, რომ ყველაფერს მოცლილი მეგობრების ხუმრობას მიაწერს, ასე შევალიემაც შეაფარა თავი რწმენას, თითქოს ეს ყოველივე მხოლოდ მასხარად აგდება იყო:

– ძალიან თავშესაქცევია, თავადო, ნამდვილად მშვენიერი გასართობია! თქვენ რომანები უნდა წეროთ, ისე სასიამოვნოდ ყვებით ამ ზღაპრებს!

მაგრამ ხმა უკანკალებდა. ტანკრედის შეებრაღა და თუმცა შინ მისვლამდე სამ თუ ოთხ ისეთ ადგილს ჩაუარეს, რომლებიც მსგავს მოგონებებს აღძრავდა, მემატთანის როლს თავი აარიდა და საუბარი ვერდისა და ბელინის – ეროვნულ ნყლულთა ამ ორი მარადიული მალამოს შესახებ არჩია.

* * *

ნაშუადღევის ოთხ საათზე თავადმა აუნყა შევალის, რომ კაბინეტში ელოდებოდა. ეს პატარა ოთახი იყო, სადაც კედლებზე შემინულ ჩარჩოებში ჩასმული კაკბის რამდენიმე ფიტული ეკიდა, მონაცრისფრო ბუმბულითა და ვარდისფერი ფეხებით, რომლებიც იშვიათ ფრინველებად ითვლებოდა – ეს ძველ ნადირობათა ნადავლი იყო. ერთი კედელი წიგნის მალაღლი და ვინრო კარადით იყო გაკეთილშობილებული, სადაც წლების მიხედვით აკინძული მათემატიკური ჟურნალები ეწყო. სტუმრებისათვის განკუთვნილი მალაღლი სავარძლის თავზე კი საოჯახო მინიატურათა მთელი თანავარსკვლავედი განლაგებულიყო: დონ ფაბრიციოს მამა, თავადი პაოლო – სარკინოზივით შავგვრემანსა და მგრძნობიარე ტუჩების მქონეს შავი უნიფორმა ემოსა, რომლის გარდიგარდმო წმ. იანუარიუსის ორდენის ლენტი გადაეჭირა; დიდი ქალბატონი კაროლინა, უკვე დაქვრივებული, გოდოლივით დანყობილი ქერა თმითა და მკაცრი ცისფერი თვალებით; თავადის და, ჯულია, ფალკონერის ცოლი, ბალში მერხზე მჯდომი, მის მარჯვნივ მინაზე დაყრდნობილი ღია ქოლგის მენამული ლაქა, მარცხნივ კი – ყვითელი, სამი წლის ტანკრედისა ხელში მინდვრის ყვავილების თაიგულით (ეს მინიატურა დონ ფაბრიციომ ჩუმად ჩაიდო ჯიბეში, როცა სასამართლოს აღმასრულებლები ფალკონერის ვილის ავეჯის აღწერას აკეთებდნენ). უფრო ქვემოთ პაოლო, თავადის პირმშო, შემოტყეცილი საჯირითო შარვლით, ყელმოღერებულ და თვალებმოელვარე ბედაურზე შემოხტომისას გამოსახული. სხვადასხვა ბიძები, დეიდები და მამიდები, რომელთა იდენტიფიცირება უკეთესად არ შეიძლებოდა, ან სამკაულების უზომო რაოდენობით იყვნენ დატვირთულნი, ან

კიდევ მწუხარედ მიუთითებდნენ ძვირფასი მიცვალებულის ბიუსტზე.

მაგრამ თანავარსკვლავედის შუაგულში, პოლარული ვარსკვლავის ადგილზე ერთი უფრო დიდი ზომის მინიატურა გამოირჩეოდა: თვით დონ ფაბრიციო, ოც წელს ოდნავ გადაცილებული და მის გვერდით ნორჩი მეუღლე, ქმრის მხარზე თავდაყრდნობილი სრული სასიყვარულო მინდობით. ცოლი – შავგვრემანი, ქმარი – შაქრისფერი, მეფის პირადი მცველების ცისფერ და ვერცხლისფერ მუნდირში გამოწყობილი ილიმებოდა ახალშეღერებული ოქროსფერი ბაკენბარდების ჩრდილში.

როგორც კი დაჯდა, შევალემ მაშინვე თავისი მისიის გადმოცემას მიჰყო ხელი:

– სიცილიის წარმატებული ანექსიის, უფრო სწორად, სარდინიის სამეფოსთან კეთილი შეერთების შემდეგ ტურინის მთავრობამ ზოგიერთი წარჩინებული სიცილიელის სამეფო სენატორებად დანიშვნა განიზრახა. პროვინციის წარმომადგენლობას დაევალა ცენტრალური მთავრობის მიერ შესამონმებელი სიის შედგენა, რომელსაც შემდეგ სამეფო დანიშვნა უნდა დაეყრდნოს. ბუნებრივია, რომ ჯირჯენტიში მაშინვე თქვენი სახელი გაიხსენეს, თავადო: ეს სახელი ხომ გასხივოსნებულია სიძველით, მისი მატარებლის პირადი პრესტიჟით, სამეცნიერო დამსახურებებით, ღირსეული და ლიბერალური მოღვაწეობით, მათ შორის, უკანასკნელი მოვლენების შუქზეც.

ეს მცირე რამ სიტყვა შევალემ წინასწარ მოამზადა. უფრო მეტიც, ფანქრით გაკეთებული მოკლე ჩანიშვნების სახით ჩაინერა პატარა რვეულში, რომელიც ახლა შარვლის უკანა ჯიბეში ედო. მაგრამ დონ ფაბრიციოს სიცოცხლის ნიშანწყალიც კი არ ეტყობოდა, დამძიმებული ქუთუთოები ძლივს აჩენდნენ მის მზერას. ქერა ბაღნით შემოსილი ვეება თათი მთლიანად ფარავდა მაგიდაზე დადგმული წმ. პეტრეს ტაძრის ალებასტრისგან გამოთლილი მაკეტის გუმბათს.

მაგრამ შევალიე უკვე მიჩვეული იყო ჩვეულებრივ ენაჭარტალა სიცილიელების საყოველთაო ყოყმანს იმ შემთხვევაში, როცა რაიმეს შესთავაზებდნენ, ამიტომაც არ შეეპუა.

– სანამ ამ სიას ტურინში ჩავიტან, ჩემმა უფროსობამ დამავალა, პირადად მეუწყებინა თქვენთვის ეს ყოველივე და მეკითხა, თუ ეთანხმება ეს წინადადება თქვენს ნება-სურვილს.

თხოვნა თქვენი თანხმობისა, რომლის დიდი იმედიც აქვს ჩემს უფროსობას, ჩემი აქაური მისიის საგანია, იმ მისიისა, რომელმაც მომიტანა თქვენი, თქვენი ოჯახისა და ამ ბრწყინვალე სასახლის გაცნობის სიამოვნება, არაფერი რომ არა ვთქვათ ამ თვალწარმტაც დონაფუგატაზე.

პირმოთნეობა ისევე ადვილად ჩამოედინებოდა თავადის პიროვნებიდან, როგორც წყალი – დუმფარას ფოთლებზე: ეს ერთ-ერთი უპირატესობაა, რომლითაც ამაყი და საკუთარ სიამაყეს მიჩვეული ადამიანები სარგებლობენ.

„ახლა ეს ფიქრობს, რომ დიდი პატივი მცა, – ფიქრობდა. – მე, ვინცა ვარ, რაცა ვარ, სხვათა შორის, სიცილიის სამეფოს პერი, რაც ალბათ სენატორს უდრის. რა თქმა უნდა, საჩუქარი უნდა დააფასო იმის მიხედვით, ვინც გთავაზობს: გლეხი, რომელიც ცხვრის ყველის ნაჭერს მაძლევს, უეჭველად უფრო მეტს მჩუქნის, ვიდრე ჯულიო ლასკარი, როცა სადილად მიწვევს. უბედურება ისაა, რომ ცხვრის ყველისაგან გული მერევა. ამგვარად რჩება უხილავი მადლიერება და ზედმეტად ხილული ზიზლისგან აბზუებული ცხვირი“.

თუმცა კი სენატის თაობაზე საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა. მიუხედავად ყველა მცდელობისა, აზრით მაინც რომაულ სენატს უბრუნდებოდა, სენატორ პაპირიუსს, რომელმაც უზრდელ გალს თავზე კვერთხი გადაამტვრია, ცხენს, სახელად ინციტატუსს, რომელიც კალიგულამ სენატორად შერაცხა და ამ პატივს მხოლოდ თავადის შვილი პაოლო არ ჩათვლიდა გადაჭარბებულად. ამის გარდა თავი მოაბეზრა მეხსიერებაში დაჟინებით გამოჩენილმა ფრაზამ, რომელსაც ხანდახან პადრე პირონე იმეორებდა: „senatores boni viri, senatus autem mala bestia“.⁴⁰ ახლა პარიზის იმპერიული სენატიც არსებობდა, მაგრამ ეს მხოლოდ მსუქან წილებზე ჩამოკიდებულ მედროვეთა კრებული იყო. პალერმოშიც იყო, თუ ოდესღაც იყო სენატი, მაგრამ ასე მხოლოდ ქალაქის ადმინისტრატორთაგან შედგენილ კომიტეტს ერქვა! სალინას ხომ ამ ხალხში არაფერი ესაქმებოდა. ამიტომ გულწრფელი დაზუსტება ინება:

– ბოლოს და ბოლოს, კავალერო, ერთი ამიხსენით, რას ნიშ-

⁴⁰ სენატორები კარგი კაცები არიან, მაგრამ სენატი — ბოროტი მხეცი (ლათ.).

ნავს სენატორობა. გარდასული მონარქიის პრესა არ ბეჭდავდა ცნობებს სხვა იტალიურ სახელმწიფოთა კონსტიტუციური მოწყობის შესახებ, ორი წლის წინ კი ტურინში ერთკვირიანი ვიზიტი არ აღმოჩნდა საკმარისი ჩემი განათლებისათვის. რას ნიშნავს? უბრალო საპატიო ნოდებაა, რალაც დეკორაციის მაგვარი, თუ რალაც საკანონმდებლო მოღვაწეობა და გადანყვეტილებების მიღება მომეთხოვება?

პიემონტელი, იტალიაში ერთადერთი ლიბერალური სახელმწიფოს წარმომადგენელი წამოჭარხლდა:

– კი მაგრამ, თავადო, სენატი სამეფოს უმაღლესი პალატაა! მასში ჩვენი ქვეყნის საუკეთესო პოლიტიკოსები, სამეფო სიბრძნის მიერ არჩეულნი, განიხილავენ, კამათობენ, ადასტურებენ ან უარყოფენ კანონებს, რომელთაც ხელმწიფე ან თვითონ ისინი ადგენენ ქვეყნის სასიკეთოდ. სენატი ერთდროულად დეზიცაა და სადავეც, მოუწოდებს კეთილი საქმიანობისთვის და აღკვეთს ბოროტებას. როდესაც თქვენ იქ ადგილის დაკავებას გადანყვეტთ, სხვა არჩეულ დეპუტატთა მსგავსად სიცილიის წარმომადგენელი იქნებით, გააგონებთ ამ თქვენი უმშვენიერესი მიწის ხმას, რომელიც ეს-ესაა იწყებს თანამედროვე მსოფლიო ასპარეზზე გამოჩენას, რომელსაც ამდენი სამკურნალო წყლული და ამდენი შესასრულებელი სამართლიანი სურვილი აქვს.

შევალე კიდევ დიდხანს გააგრძელებდა ამ ტონით, ბენდიკოს რომ კარის იქიდან არ ეთხოვა „სამეფო სიბრძნისათვის“ ოთახში შემოსვლა. დონ ფაბრიციო ასადგომად წამოინია, მაგრამ მოძრაობა შესაბამისად წელი იყო იმისათვის, რომ პიემონტელს საკმაოდ დრო დარჩენოდა, თვითონ გაელო კარი. ბენდიკო დიდხანს ყნოსავდა შევალეს შარვალს. მერე, როცა დარწმუნდა, რომ წესიერ კაცთან ჰქონდა საქმე, ფანჯრის ქვეშ მოიკალათა და დაიძინა.

– ყური მიგდეთ, შევალე. ეს რომ პატივისცემის ნიშანი ყოფილიყო, უბრალოდ სავიზიტო ბარათზე დასაწერი, სიხარულით მივიღებდი. ვფიქრობ, რომ იტალიური სახელმწიფოს მომავლისათვის ამ გადამწყვეტ მომენტში ყოველი ჩვენგანი ვალდებულია აშკარად მიემხროს მას, რათა თავი ავარიდოთ, იმას რომ განხეთქილების შთაბეჭდილება დავტოვოთ საზღვარგარეთის იმ სახელმწიფოებზე, რომლებიც ახლა შიშით

ან იმედით გვიყურებენ. ერთიც და მეორეც, საბოლოოდ, არ გამართლდება, მაგრამ ჯერ-ჯერობით არსებობს.

– მაშინ კი, თავად, რატომ არ ლეებულობთ?

– მოთმინება იქონიეთ, შევალე, ახლავე ავიხსნით. ჩვენ, სიცილიელები, იმ მმართველთა ხანგრძლივმა ჰეგემონიამ, რომლებსაც ჩვენი სარწმუნოება არ ჰქონიათ, ჩვენს ენაზე არ ლაპარაკობდნენ, რწყილის გატყავებას მიგვაჩვია. სხვანაირად როგორ გავექცეოდით ბიზანტიელ ხარკის ამკრეფებს, ბერბერ ემირებს, ესპანელ მეფისნაცვლებს? ეს საქმე გადანყვეტილია. ასეთები ვართ, მორჩა და გათავდა. „მიმზრობა“-მეთქი, მოგახსენებთ, და არა „მონანილეობა“. ამ ბოლო ექვსი თვის მანძილზე, მას აქეთ, რაც თქვენმა გარიბალდომ მარსალას ნაპირზე დადგა ფეხი, უკვე ბევრი რამ გაკეთდა ჩვენი რჩევის გარეშე. უკვე გვიანაა, ძველი მმართველი კლასის წარმომადგენელს სთხოვოთ ამ საქმეთა განვითარება და განხორციელება. ახლა არ მსურს იმაზე კამათი, რაც გაკეთდა, კეთილი იყო თუ ბოროტი. ჩემი მხრივ, მგონია, რომ ბოროტებაც საკმაოდ იქნა ჩადენილი. მაგრამ პირდაპირ მინდა გითხრათ ის, რასაც თვითონ მიხვდებით, როცა ჩვენ შორის ერთ წელიწადს მაინც დაყოფთ. სიცილიაში მნიშვნელობა არა აქვს, კარგს აკეთებ, თუ ცუდს: ცოდვა, რომელსაც ჩვენ, სიცილიელები, არასოდეს შევუწდობთ, უბრალოდ კეთებაა. ჩვენ მოვხუცდით, შევალე, ძალიან მოვხუცდით. უკვე ოცდახუთი საუკუნე იქნება, რაც საკუთარი მხრებით ვზიდავთ ბრწყინვალე და ჰეტეროგენული ცივილიზაციების ტვირთს. ყველა ეს ცივილიზაცია გარედან მოვიდა, უკვე ჩამოყალიბებული და სრულქმნილი. ჩვენ არც ერთი არ შეგვიქმნია და აღმოგვიცენებია. ჩვენ ისეთივე თეთრი ადამიანები ვართ, როგორც თქვენ, შევალე, ან თუნდაც ინგლისის დედოფალი. და მაინც, ორიათას ხუთასი წლის განმავლობაში კოლონიას წარმოვადგენთ. ეს ჩივილი არაა: მნიშვნელოვანწილად ჩვენი ბრალიცაა, მაგრამ საბოლოოდ მაინც დაღლილნი და დაცარიელებულნი ვართ.

ახლა კი შევალე შეცბა:

– ასეა თუ ისე, ეს ყველაფერი უკვე დასრულდა. ახლა სიცილია უკვე დაპყრობილი მინა კი არა, თავისუფალი ქვეყნის თავისუფალი ნაწილია.

– განზრახვა კეთილია, შევალე, მაგრამ დაგვიანებული.

თანაც უკვე მოგახსენეთ, რომ უპირატესი ბრალი ჩვენია. ნელან მეუბნებოდით ახალგაზრდა სიცილიაზე, რომელიც თანამედროვე სამყაროს საოცრებათა ასპარეზზე გამოდის. მე უფრო ასი წლის დედაბერი წარმომიდგება თვალწინ, რომელსაც ეტლით მიათრევენ ლონდონის მსოფლიო გამოფენაზე და რომელსაც არაფერი გაეგება, ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია – შეფილდის ფოლადჩამომსხმელი საამქროებიცა და მანჩესტერის სართავი დაზგებიც – რომელსაც ერთი სული აქვს, როდის ჩათვლემს საკუთარი წერწყვით გაყლენთილ ბალიშებზე და სანოლქვეშ საიმედოდ დაიგულებს ღამის ქოთანს.

ჯერ კიდევ დაბალი ხმით ლაპარაკობდა, მაგრამ წმინდა პეტრეს გუმბათს შემოხვეული ხელი იძაბებოდა. მეორე დღეს აღმოჩნდა, რომ გუმბათის წვერზე პანანინა ჯვარი მოტეხილიყო.

– ძილი, ძვირფასო შევალე, ძილია, რაც სიცილიელებს მუდამ სწადიათ და სამარადისოდ შესძულდებათ ის, ვინც მათ გამოლვიძებას ისურვებს, თუნდაც უმშვენიერესი საჩუქრები მოუტანოს. და ჩვენ შორის დარჩეს, ვეჭვობ, ახალ მთავრობას თავის ბარგში ბევრი საჩუქარი ჰქონდეს შემონახული ჩვენთვის. სიცილიელების ყველა გამოვლენა, თუნდაც საქმე ძალადობას ეხებოდეს, თავისი ბუნებით სიზმარეულია: ჩვენი მგრძნობელობა დავინყების სურვილია, ჩვენი თოფის სროლა და დანის ტრიალი – სიკვდილისა. ავხორცი უძრაობის, ესე იგი, კვლავაც სიკვდილის სურვილია ჩვენი სიზარმაცე, მიხაკდარიჩინით შეზავებული ჩვენი ტკბილი შარბათები. ჩვენი მედიტაციური გამომეტყველება მხოლოდ არარაობაა, რომელსაც ნირვანის საიდუმლოებათა განხილვა მოუნდომებია. სწორედ აქედან გამომდინარეობს ჩვენში ზოგიერთების ზედმეტი ძალაუფლება, მათი, ვინც სანახევროდ გამოლვიძებულა. აქედანაა სწორედ სიცილიაში ხელოვნების ნანარმოებთა და ინტელექტუალური გამოვლენების ის ცნობილი ერთსაუკუნოვანი დაგვიანება: სიახლეები მხოლოდ მაშინ გვიზიდავს, როცა დარწმუნებულნი ვართ, რომ ისინი უკვე გარდაცვლილნი არიან, ვერასოდეს მისცემენ დასაბამს სასიცოცხლო ნაკადებს. სწორედ აქედან მომდინარეობს ჩვენში დღევანდელი, თანამედროვე მითების წარმოქმნის დაუჯერებელი ფენომენი – მითებისა, რომლებიც მართლაც პატივსაცემი იქნებოდა, ნალ-

დად ძველი რომ ყოფილიყო, სინამდვილეში კი მხოლოდ შავ-ბნელი ცდაა იმ ნარსულში ჩაძირვისა, რომელიც სწორედ იმიტომ გვიზიდავს, რომ მკვდარია.

კეთილმა შევალემ ბევრი რამ ვერ გაიგო. განსაკუთრებით გაურკვეველი იყო მისთვის ეს ბოლო წინადადება: ადრე ენახა ნაირფერი ეტლები, რომლებშიც ნასუქალი და სირაქლემას ბუმბულით დამშვენებული ცხენები შეებათ, თოჯინების ცნობილ თეატრზეც მოუყოლიათ მისთვის, მაგრამ მასაც ეგონა რომ ეს ჭეშმარიტი ტრადიციები იყო. ამიტომ თქვა:

– ხომ არ გგონიათ, რომ აჭარბებთ, თავადო? მეც გამიცვნია ტურიში იმიგრანტი სიცილიელები, მაგალითად, კრისპი. არა მგონია, ძილისგულები იყვნენ.

თავადი გალიზიანდა:

– ჩვენ საკმაოდ მრავალნი ვართ იმისათვის, რომ რამდენიმე გამონაკლისი მოვიძიოთ. თანაც, ჩვენს სანახევროდ გამოღვიძებულებებზე უკვე მიგანიშნეთ. რაც შეეხება ამ ახალგაზრდა კრისპის, მე, რა თქმა უნდა, ვერა, თქვენ კი იხილავთ, სიბერეში როგორ ჩავარდება ჩვენებურ ძილნარეე ავხორცობაში. ეს ყველას მოსდის. იმასაც ვხედავ, რომ სათანადოდ ვერ გამოვთქვი სათქმელი: სიცილიელები-მეთქი, ვამბობდი, უნდა მეთქვა სიცილია, მისი გარემო, ჰავა, პეიზაჟი. ეს ის ძალებია, რომელთა ერთობლიობამ ალბათ უცხო შემოსევების უაზრო ძალადობაზე მეტად ჩამოაყალიბა ჩვენი სული: ეს პეიზაჟი, რომელმაც არ იცის შუალედი წარმტაც სილბოსა და წყეულ ველურობას შორის. არასოდესაა მორჩილი, დამინებული, თვინიერი, ადამიანური, როგორიც უნდა იყოს გონიერი არსებებისათვის საცხოვრებლად შესაფერი ადგილი. ეს ქვეყანა, სადაც რანდაცოდან რამდენიმე მილის მანძილზე სასტიკი ჯოჯოხეთი სუფევს, იქვე კი ტაორმინას ყურის სილამაზევა: ორივე წრეგადასული და, მაშასადამე, სახიფათო. ეს ჰავა, რომელიც ექვსი თვის განმავლობაში ორმოცგრადუსიან სიცხეს გვახვევს თავს. დაითვალეთ, შევალე, დაითვალეთ: მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი. ექვსჯერ ოცდაათ დღეს გავარვარებულ ტყვიასავით ესხმება მზის მხურვალეობა თავებს. ეს ჩვენი ზაფხული ისეთივე ხანგრძლივი და შავბნელია, როგორც რუსული ზამთარი, მაგრამ მის წინააღმდეგ ბრძოლა ნაკლებად წარმატებულია. თქვენ ალბათ არ

იცით, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენში ცეცხლის თოვლი მოდის, როგორც დანყველილ ბიბლიურ ქალაქებში. ამ თვეებში სიცილიელი სერიოზულად რომ მუშაობდეს, ალბათ სამი კაცის სამყოფ ენერგიას დახარჯავდა. მერე კიდევ წყალი, რომელიც ან სულ არ არის, ან ისეთი მანძილიდან უნდა შემოიყვანო, რომ მისი ყოველი წვეთი ერთი წვეთი ოფლის ფასად ჯდება. ამას გარდა, წვიმები, სულ მუდამ კოკისპირული, გამშრალ მდინარეებს რომ აგიჟებენ მერე კი ცხოველებსა და ადამიანებს წყალში ახრჩობენ იქ, სადაც ერთი კვირით ადრე ერთნიც და მეორენიც წყურვილისგან კვდებოდნენ. პეიზაჟის ეს ძალმომრეობა, ჰავის ეს სისასტიკე, ყველანაირი და გაუთავებელი დაძაბულობა, ეს წარსულის ძეგლებიც, ბრწყინვალენი, მაგრამ გაუგებარნი, რადგანაც სხვების მიერ აშენებულნი და მხოლოდ მშვენიერ მუნჯ მოჩვენებებად დგანან ჩვენ ირგვლივ; ყველა ეს მთავრობა, ხელში იარაღით რომ ვინ იცის საიდან გადმოსხდა ჩვენს ნაპირზე, რომელსაც, ჩვეულებრივ, იმწამსვე ვემსახურებოდით, მალევე ვიძულებდით და არასოდეს ვუგებდით, რადგანაც ჩვენთვის იდუმალი ხელოვნების ნიმუშებისა და, ვაი რომ, ზედმეტად გასაგები ხარკის გადამხდელების ენაზე გვესაუბრებოდა და აკრეფილ ხარკს კი სულ სხვაგან ხარჯავდა. ამ ყოველივემ წარმოქმნა ჩვენი ხასიათი, რომელიც ჯერაც ძლიერადაა განპირობებული გარეგანი ბედისწერითა და სულის საშინელი ჩაკეტილობით.

ამ კაბინეტში დატრიალებულმა იდეოლოგიურმა ჯოჯოხეთმა დილანდელ სისხლიან მონათხრობებზე უფრო დიდი თავზარი დასცა შევალის. რალაცის თქმა მოინდომა, მაგრამ დონ ფაბრიციო უკვე მეტად აღგზნებული იყო მის მოსასმენად.

– არ უარყოფ, რომ ამ კუნძულს მიღმა გადახვენილმა რამდენიმე სიცილიელმა შეძლოს ამ ყოველივეს დაძლევა. მაგრამ საჭიროა, რომ ისინი ძალიან, ძალიან ადრეულ ასაკში გაემგზავრონ: ოცი წელი უკვე გვიანია, ქერქი უკვე წარმოქმნა. ასე რომ, დარწმუნებულნი დარჩებიან, რომ მათი ქვეყანა ისეთივეა, როგორც ყველა დანარჩენი, ოღონდ უსამართლო ცილისწამების მსხვერპლია, რომ ცივილიზებულიობა და ნორმალურობა აქაა, სხვაგან კი მხოლოდ უცნაურობა და გაუგებრობა. მაგრამ მომიტევეთ, შევალე, ჩემს აზრებს გადავყვი და ალბათ თავიც მოგაბეზრეთ. აქ იმისათვის არ მობრძანე-

ბულხარტ, რომ უსმინოთ, როგორ ამხელს იეზუკიელი ისრაელის უბედობას. ჩვენს ქვეშარიტ არგუმენტს დავუბრუნდეთ. ძალიან მადლიერი ვარ მთავრობისა, რომ სენატში ჩემი ნევრობა გაითვალისწინა და გთხოვთ, მოახსენოთ ეს ჩემი მადლიერობა, ვისაც ჯერ არს. მაგრამ ამ პატივის მიღება კი არ შემძლია. მე ძველი კლასის წარმომადგენელი ვარ, ბურბონთა რეჟიმით გარდაუვალად კომპრომეტირებული, ამ რეჟიმსა ვარ მიბმული ღირსების ბორკილით, რადგან სიყვარული არ გამაჩნია. მე ძველსა და ახალ დროებას შორის გაჩხერილ დაკარგულ თაობას ვეკუთვნი, რომელიც ორივე დროით უკმაყოფილოა. გარდა ამისა, როგორც თქვენ აუცილებლად შეამჩნევდით, სრულიად მოკლებული ვარ ილუზიებს. რითი უნდა გამოვადგე სენატს ეს გამოუცდელი კანონმდებელი, რომელსაც თავის მოტყუების უნარიც კი არ შესწევს – თვისება, რომელიც აუცილებელია ყველასათვის, ვისაც კი სხვათა მართვა მოუნადინებია? ჩვენი თაობის ხალხი ახლა კუთხეში უნდა შეიყუჟოს და იქიდან უცქერდეს, როგორ ხტიან და ყირაზე გადადიან ახალგაზრდები მათ შემკულ საფლავთან. თქვენ ახლა ახალგაზრდები გჭირდებათ, ფხიზელი ახალგაზრდები, რომელთა გონება უფრო ადვილად პასუხობს კითხვაზე „როგორ?“, ვიდრე კითხვაზე „რატომ?“ და რომლებთანაც შეუძლიათ შენიღბონ, მინდა ვთქვა, შეკაზმონ თავიანთი კერძო ინტერესები გაურკვეველი პოლიტიკური იდეალებით, – აქ გაჩუმდა, ხელი უშვა წმ. პეტრეს გუმბათს და განაგრძო. – შემძლია, ერთი რჩევა მოგცეთ, უფროსებისთვის გადასაცემად?

– რა თქმა უნდა, თავადო, ამ რჩევას უეჭველად ყურად იღებენ. მაგრამ ჯერ კიდევ მსურს იმედი გამოვთქვა, რომ რჩევის მაგიერ თანხმობას მოგვცემთ.

– არის ერთი, სახელი, რომლის რეკომენდებაც მსურს სენატისათვის: კალოჯერო სედარა. მან ჩემზე უფრო დაიმსახურა ეს ადგილი. მისი გვარი, როგორც მითხრეს, ძველია, ან მალე გახდება ძველი. იმაზე უფრო მეტად, რასაც თქვენ პრესტიჟს უწოდებთ, მას ძალაუფლება აქვს. სამეცნიერო თუ არა, მრავალი და აღსანიშნავად ღირსეული პრაქტიკული დამსახურებაც მიუძღვის. მისი საქმიანობა გასული წლის მაისის კრიზისის დროს მეტად სასარგებლო აღმოჩნდა. ილუზიები, არა მგონია, ჩემზე მეტი ჰქონდეს, მაგრამ საკმაოდ გონიერია, რომ საჭი-

როების შემთხვევაში, რამდენიც გნებავთ, იმდენი შეიქმნას. ეს სწორედ ის ინდივიდია, თქვენ რომ გჭირდებათ. მაგრამ უნდა აჩქარდეთ, რადგანაც გავიგე, რომ საკუთარი კანდიდატურის შეთავაზება განუზრახავს დეპუტატთა პალატაში.

სედარაზე პრეფექტურაში ბევრი ულაპარაკიათ, მისი მოღვაწეობა მერის ხარისხში და კერძო სახითაც ცნობილი იყო. შევალე შეცბა: პატიოსანი კაცი იყო და ის, თუ როგორ აფასებდა საკანონმდებლო პალატებს, შეეფერებოდა მის პირადი განზრახვების სინმინდეს. ამიტომაც მიზანშეწონილად ჩათვალა, ხმა არ ამოელო. სწორადაც მოიქცა, რადგან ათი წლის შემდეგ დონ კალოჯერო მართლაც გახდა სენატორი. თუმც კი პატიოსანი იყო, შევალე ბრიყვი არ ყოფილა. მართალია, არ ჰქონდა გონების ის სისხარტე, რომელსაც სიცილიაში დაუმსახურებლად ეძახიან ჭკუას, მაგრამ საგნებისა და მოვლენების არსს მყარი სიდინჯით სწვდებოდა, თანაც სხვათა გრძნობების მიმართ სამხრეთული შეუვალობაც არ ახასიათებდა. დონ ფაბრიციოს სიმნარესა და უნუგეშობას მიხვდა, ერთი ნამით წარმოიდგინა სილატაკის, უსასოობისა და შავი გულგრილობის სურათი, რომლის მონმეც თვითონ იყო ერთი თვის განმავლობაში. გასული რამდენიმე საათის განმავლობაში შურდა სალინას ფუფუნებისა და განსაკუთრებულობისა, ახლა კი ალერსით იხსენებდა თავის პატარა ვენახს, თავის მონტერცუოლოს კაზალეს მახლობლად, უშნოს, უსახურს, მაგრამ მშვიდსა და ცოცხალს. ერთნაირად ეცოდებოდა სასონარკვეთილი თავადიცა და ფეხშიშველი ბავშვებიც, ციებიანი ქალებიცა და ის არცთუ უდანაშაულო მსხვერპლნიც, რომელთა სიები დროდადრო მოსდიოდა დანესებულებაში. ბოლოს და ბოლოს, ყველანი ერთნაირები იყვნენ, ერთსა და იმავე ჭაში ჩაყრილი უბედურების მოზიარენი.

ბოლო ცდა განიზრახა. ფეხზე წამოდგა. მღელვარებას პათოსით დაეტიერთა მისი ხმა:

– თავადო, ნუთუ მართლაც სერიოზულად უარყოფთ, ქმნათ ყოველივე შესაძლებელი, რათა შეამსუბუქოთ, ეცადოთ, ყველანაირად დაძლიოთ მატერიალური სილატაკე, ბრმა მორალური უბადრუეობა, რომელშიც ჩავარდნილა ეს თქვენი ხალხი? ჰავა შეიძლება დაამარცხო, ცუდ მმართველობათა მოგონება – ნაშალო, სიცილიელები მოინდომებენ, უკეთესნი

იყვნენ. თუ პატიოსანი ხალხი უკან დაიხევს, გზა უსინდისო და უპერსპექტივო ადამიანებს დარჩებათ, მაგალითად, სედარას-ნაირებს. ყველაფერიც საუკუნოდ ისევე დარჩება, როგორც მანამდე იყო. სინდისის ხმას უსმინეთ, თავადო, და არა იმ ამ-პარტავან ტყუილბრძანებებს, რომლებიც ახლახან წარმოთქვი-თიანამშრომლეთ ჩვენთან.

დონ ფაბრიციომ გაუღიმა, ხელი გაუწოდა და, ტახტზე გვერდით მოისვა:

– თქვენ კეთილშობილი კაცი ხართ, შევალე. ილბალი მქონია, რომ გაგიცანით. ყველაფერში მართალი ბრძანდებით. მხოლოდ იქ შეცდით, როცა თქვით: „სიცილიელები მოინდომებენ, უკეთესი იყვნენო“. ერთ პირად სასაცილო ამბავს მოგიყვებით. გარიბალდის-პალერმოში შესვლამდე ორი თუ სამი დღით ადრე ინგლისის სამხედრო ფლოტის რამდენიმე ოფიცერი გამაცნეს. მათი გემები იქვე რეიდზე იდგა, რათა მოვლენათა მსვლელობა არ გამოჰპარეოდათ. არ ვიცი, როგორ, მაგრამ გაიგეს, რომ მე ერთი სახლი მქონდა მარინას მახლობლად, სწორედ ზღვის ნაპირზე, სადაც ბანიდან შეიძლებოდა ქალაქის გარშემო აღმართული მათა საარტყელის თვალთვალი. სახლში შემოსვლის ნება მთხოვეს, რათა იქიდან დაენახათ მთელი პანორამა, სადაც, როგორც ამბობდნენ, გარიბალდის ჯარები მოძრაობდნენ, რაც მათი გემებიდან არ ჩანდა. მოვიდნენ სახლში, მე ტერასაზე გაუძიხე. მათი მონითალო ეპოლეტიების მიუხედავად ნამდვილად გულუბრყვილო ყმანვილები იყვნენ. პანორამამ და სინათლის სიუხვემ მათ აღფრთოვანება მოჰგვარა, მაგრამ აღიარეს, რომ გაოგნებული დარჩნენ მისასვლელი გზების სიბინძურით, სიღარიბითა და სიძველით. თქვენგან განსხვავებით, მათ არ დაუწყებია იმის ახსნა, რომ ერთი მეორისაგან გამომდინარეობს. ერთ-ერთმა მათგანმა სიცილიაში იმ იტალიელი მოხალისეების ჩამოსვლის ნამდვილი მიზეზი მკითხა. ვუპასუხე: „they are coming to teach us good manners, but wont succeed, because we are gods“ – „მოდიან, რომ კარგი ქცევები გვასწავლონ, მაგრამ ვერ შეძლებენ, რადგანაც ჩვენ ღმერთები ვართ“. მგონი ვერ გამიგეს, მაგრამ გაიცინეს და წავიდნენ. იმავს გიპასუხებთ თქვენც, ძვირფასო შევალე: სიცილიელები არასოდეს მოინდომებენ, უკეთესნი იყვნენ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ თავი სრულყოფილებად

მიაჩნიათ. მათი ამპარტავნება მათ სილატაკეზე ძლიერია. ყოველგვარი ჩარევა უცხო ტომისა, ან, თუ გნებავთ, სულიერი დამოუკიდებლობის წყალობით გაუცხოებული სიცილიელისა, შეძრავს მათ წარმოდგენას, თითქოს სისრულეს მიღწეულნი ყოფილიყვნენ, ხელს შეუშლის არაფრის თვითკმაყოფილ ლოდინს. თუმც კი ათეულობით სხვადასხვა ხალხისაგან არიან გათელილნი, მაინც სწამთ, თითქოს იმპერიული წარსული ჰქონდათ და საზეიმო დასაფლავება დაიმსახურეს. თქვენ მართლა გჯერათ, შევალე, რომ პირველი ხართ, ვისაც სიცილიის მსოფლიო ისტორიის ფერხულში ჩაბმა მოუნდომებია? ვინ იცის, რამდენი მუსლიმი იმამი, მეფე როჟეს რამდენი რაინდი, რამდენი შვაბი მოხელე, რამდენი ანჟუელი ბარონი, რამდენი კათოლიკე კანონმდებელი იზიარებდა იმავე მშვენიერ სიგიჟეს. რამდენი ესპანელი მეფისნაცვალე, კარლოს III-ის რამდენი რეფორმატორი ფუნქციონერი და ვინ იცის, კიდევ ვინ! სიცილიას კი ყოველთვის მხოლოდ ძილი სურდა, მათი მონოდების მიუხედავად. რატომ უნდა შეესმინა იმათი, თუ მდიდარი იყო, თუ ბრძენი იყო, თუ პატიოსანი იყო, თუ ყველა შურიტა და აღფრთოვანებით შესცქეროდა, თუ, მოკლედ რომ ვთქვათ, სრულყოფილი იყო?

ახლა ჩვენთანაც ამბობენ იმის კვლდაკვალ, რაც პრუდონმა და კიდევ ერთმა გერმანელმა ურიამ დაწერეს (ამ უკანასკნელის სახელი დამავინყდა), რომ საგანთა და მოვლენათა უსამართლობაში ბრალი აქ და სხვაგან ფეოდალიზმს მიუძღვის. ესე იგი, მე მიმიძღვის. ალბათ ასეც არის. მაგრამ ფეოდალიზმი ხომ ყველგან იყო, და უცხო შემოსევებიც. არა მგონია, რომ თქვენი წინაპრები, შევალე, ან ინგლისელი სკვაირები, ან ფრანგი აზნაურები სალინაზე უკეთესად მართავდნენ. მაგრამ შედეგები განსხვავებულია. ამ განსხვავების მიზეზი კი უპირატესობის ის გრძნობა უნდა იყოს, რომელიც ყოველი სიცილიელის თვალეში ელავს, რომელსაც ჩვენ სიამაყეს ვუნოდებთ, სინამდვილეში კი მხოლოდ სიბრმავეა. ჯერ-ჯერობით, კარგა ხნის განმავლობაში, ვერაფერს გავანყობთ. სამწუხაროა, მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით, თითსაც ვერ გამოგინოდებთ. აუცილებლად ვინმე მიკბენს. ასე ლაპარაკი არ შეიძლება სიცილიელებთან. მე თვითონაც, თქვენგან რომ გამეგონა, ძალიან მენყინებოდა.

უკვე გვიანაა, შევალე, უნდა ჩავიდეთ და სადილისთვის გამოვიცვალოთ. რამდენიმე საათით ცივილიზებული ადამიანის როლი უნდა ვითამაშო.

* * *

მეორე დღეს, ადრინად გაემგზავრა შევალე. დონ ფაბრიციოს, რომელიც იმ დროს სანადიროდ მიდიოდა, გაუადვილდა მისი საფოსტო სადგურამდე მიცილება. მათ დონ ჩიჩო ტუმეოც ახლდა და მხრებით ორი სანადირო თოფის სიმძიმეს ზიდავდა, გულით კი თავისი ჩახშობილი ღირსებების ნალველს.

დილის ექვსის ნახევრის მოლურჯო სინათლეში დანახული დონაფუგატა უდაბური იყო და სასონარკვეთილი ჩანდა. ყოველი საცხოვრებლის წინ კეთროვანი კედლების გასწვრივ უბადრუკი საკვების ნარჩენები გროვდებოდა, სადაც მოკანკალე ძაღლები იქექებოდნენ მუდამ იმედგაცრუებული სიხარბით. ზოგი კარი უკვე ღია იყო და ერთმანეთზე მიყრილი მძინარე ადამიანების სიმყრალე ქუჩაში გამოდიოდა. კვარის შუქზე დედები შვილების ტრაქომიან ქუთუთოებს ათვალეერებდნენ. თითქმის ყველას ძაძები ემოსა და მრავალი მათგანი ცოლი იყო იმ გლეხებისა, რომლებიც ზემოთ-ქვემოთ მოჩვენებასავით დაეხეტებოდნენ გზაჯვარედინებზე. მხარზე თოხგადებული კაცები უკვე გამოსულიყვნენ ვინმეს საძებნელად, ვინც ღვთის ნებით იმ დღეს სამუშაოს მისცემდა. ირგვლივ გამეფებულ ყრუ დუმილს დროდადრო ისტერიული ხმების წყვეტილი კივილი არღვევდა. სანტო სპირიტოს მონასტრის მხრიდან თუთიის გარიჟრაჟი უკვე დუჟს აფრქვევდა ტყვიისფერ ღრუბლებს.

შევალე ფიქრობდა: „ეს მდგომარეობა არ გაგრძელდება. ჩვენი ადმინისტრაცია, ახალი, ახლებური, უნარიანი, ყველაფერს შეცვლის“. თავადი თავს უგუნებოდ გრძნობდა: „ეს ყველაფერი, – ფიქრობდა, – ალბათ არ უნდა გაგრძელდეს, მაგრამ გაგრძელდება. სამარადისოდ. რა თქმა უნდა, ადამიანის თვალსაწიერით – ას ან ორას წელიწადს... მერე სხვანაირად იქნება, მაგრამ უარესად. ჩვენ ლეოპარდები და ლომები ვიყავით. ჩვენს მაგიერ კი ტურები და აფთრები მოვლენ. და ყველანი, ლეოპარდები, ტურები და ცხვრები კვლავაც დაიჯერებენ, რომ „მარილი ქვეყნისანი“ არიან“.

ერთმანეთს მადლობა გადაუხადეს, გამოემშვიდობნენ. შევალე აფოფხდა საფოსტო დილიჟანსზე, რომელიც ნარწყევისფერ ოთხ ბორბალზე იდგა. სულ მთლად შიმშილად დაწყულად ქცეულმა ცხენმა თავისი ხანგრძლივი მოგზაურობა დაიწყო.

ახალგათენებული იყო. ღრუბლების საბანს გამოღწეულ ცოტაოდენ სინათლეს სარკმლის მინაზე უხსოვარი დროიდან დაგროვილი ჭუჭყი აბრკოლებდა. შევალე მარტო იყო. დილიჟანსის რყევით გულშენუხებულმა თითის წვერი დაინერწყვა და შუშაზე თვალისოდენა არე ამონმინდა. მის წინ ფერფლისფერ სინათლეში ტოკავდა ყოველგვარი ცხოვნებისა და გამოსყიდვისთვის მიუწვდომელი არემარე.

პადრე პირონეს ჩამოსვლა სან კონოში. მეგობრებთან და აფთიაქართან საუბარი – იეზუიტის ოჯახური სიძნელეები – სიძნელეების გადაწყვეტა – საუბარი „ღირსეულ კაცთან“ – პალერმოში დაბრუნება

პადრე პირონე წარმოშობით სოფლიდან იყო: იგი სან კონოში დაიბადა, პანანინა სოფელში, რომელიც დღეს, ავტობუსების წყალობით, თითქმის პალერმოს თანამგზავრი დასახლებაა, მაგრამ ერთი საუკუნის წინ, თუ შეიძლება ასე ითქვას, სხვა პლანეტარულ სისტემას მიეკუთვნებოდა, რადგან პალერმოს მზის ქვეშ იქამდე ეტლით ოთხი თუ ხუთი საათის სახალი იყო.

ჩვენი იეზუიტის მამა იმ ორი ფეოდალს „ზედამხედველი“ იყო, რომლის მფლობელად თავი მიაჩნდა წმ. ელფთერის სააბატოს სან კონოს ტერიტორიაზე. იმხანად „ზედამხედველის“ თანამდებობა მეტად საშიში იყო სულის ცხონებისა და სხეულის ჯანმრთელობისათვის, რადგანაც გულისხმობდა უცნაურ ადამიანებთან კავშირებსა და კიდევ ისეთი ამბების ცოდნას, რომელთა გავრცელება ინვეედა თავისებურ სნეულებას, ერთი დარტყმით (და სწორედ პირდაპირი მნიშვნელობით) რომ აგდებდა ხოლმე ზედამხედველს რომელიმე ღობის ძირში და მთელი მისი ცოდნა მის მუცელში ერთიანად ჩაკირული და სხვათა ცნობისმოყვარეობისათვის მიუწვდომელი რჩებოდა. მაგრამ დონ გაეტანომ, პადრე პირონეს მშობელმა, მოახერხა ამ პროფესიული დაავადების თავიდან არიდება მდუმარებასა და წინასწარი ზომების გონივრულ გამოყენებაზე დამყარებული მკაცრი ჰიგიენის წყალობით. იგი მშვიდობიანად მიიცვალა ფილტვების ანთებით თებერვლის მზიან და ნუშის ყვავილების მოფრიალე ქარით აჟღერებულ კვირადღეს. ქვრივსა და სამ შვილს (ორი ქალიშვილი და ერთი მღვდელი) შედარებით შეძლებული ოჯახი დაუტოვა. ამ გონიერმა კაცმა სააბატოს დაუჯერებლად მწირი ჯამაგირის საფუძველზეც შეძლო რაღაც ქონების დაგროვება და როცა ამა ქვეყნიდან წასვლის უა-

მი მოინია, ხეობის ძირში რამდენიმე ძირი ნუშის, ფერდობებზე რამდენიმე ძირი ვენახისა და უფრო მაღლა ქვით მოფენილი მცირე საძოვრის მფლობელი იყო. ეს ყველაფერი ღარიბთა საკადრისი იყო, რა თქმა უნდა. თუმცა კი სან კონოს დეპრესიაში მყოფი ეკონომიკის პირობებში რალაც მნიშვნელობა მაინც ჰქონდა. დონ გაეტანოს ქონებაში ერთი მკაცრად კუბური ფორმის სახლიც შედიოდა, გარედან ცისფერი და შიგნით თეთრი, ქვემოთ ოთხი და ზედა სართულზეც ასევე ოთხი ოთახით, პალერმოს მხარეს სოფლის შესასვლელში.

პადრე პირონე იმ სახლიდან თექვსმეტი წლის ასაკში იყო წამოსული, როცა სამრევლო სკოლაში წარმატებებმა და წმ. ელეფთერის აბატის, პადრე მიტრატოს კეთილგანწყობამ გაუყვალა გზა საარქიეპისკოპოსო სემინარიისკენ, მაგრამ წლების განმავლობაში მრავალგზის დაბრუნდა, ხან დების ქორწინების საკურთხებლად, ხანაც მომაკვდავი დონ გაეტანოსათვის სრულიად ზედმეტი (რა თქმა უნდა, საერო თვალსაზრისით) შენდობის მისაცემად და ახლაც ბრუნდებოდა, 1861 წლის თებერვლის ბოლოს, მამის გარდაცვალების მეტხუთმეტე წლისთავზე. ესეც ზუსტად ისეთი ქარიანი და გამჭვირვალე დღე იყო.

ცხენის ძუის უკან მოქანავე ფეხებით ხუთი საათი გაატარა, მაგრამ რაკი ერთხელ დაძლია ეტლის კედლებზე ახლად დახატული პატრიოტული შინაარსის სურათებით გამოწვეული გულისრევა, რომელიც განსაკუთრებით ძნელი ასატანი იყო ცეცხლისფერი გარიბალდისა და ზღვისფერი წმ. როზალიას რიტორიკული გამოსახულების გამო, ეს ხუთი საათი მაინც სასიამოვნო იყო. პალერმოდან სან კონოსაკენ აღმავალი ხეობა ზღვისპირა პეიზაჟის სიმდიდრესა და ნაპირს მოშორებული ადგილების სისასტიკეს აერთიანებს. გარდა ამისა, მას ხშირად მოულოდნელად შემოუტევეს ხოლმე ძლიერი ქარი, რაც ჰაერს აჯანსაღებს და კიდევ იმითაა ცნობილი, რომ კარგად დამიზნებული ტყვიების ტრაექტორიებსაც ამრუდებს, ასე რომ, ამგვარი ბალისტიკური პრობლემების წინაშე აღმოჩენილი საუკეთესო ჩუბინებიც კი არჩევენ, სხვაგან ივარჯიშონ ხოლმე თავიანთ ხელობაში. თანაც მეეტლე კარგად იცნობდა პადრე პირონეს გარდაცვლილ მამას და მთელი გზა მისი ღვანლის ვრცელ მოგონებებში გაატარა, და თუმცა მონათ-

ხრობი ყოველთვის არ შეესაბამებოდა შვილისა და, მით უმეტეს, სასულიერო პირის სმენას, ეს უკანასკნელი მაინც კმაყოფილი დარჩა.

ჩამოსულს ცრემლიანი სიხარულით დახვდნენ. პადრე პირონე მოეხვია და აკურთხა დედა – თეთრთმიანი ქალი ვარდისფერი ქვრივული სახითა და შალის მარადიული ძაძვებით, მიესალმა დებსა და დისწულებს, რომელთა შორის აღმაცერად გადახედა კარმელოს: ამას დღესასწაულის ნიშნად სამფეროვანი კოკარდა მიეხვია ქუდზე. შინ შესულს, როგორც ყოველთვის, ახლაც სიყმანვილის ტკბილ მოგონებათა გუნდი დაეხვია. ყველაფერი უცვლელი დარჩენილიყო: მონითალო აგურის იატაკიცა და მწირი ავეჯიც. ვინრო ფანჯრებიდან ძუნნი სინათლე შემოდოდა. ძაღლი, რომეო, ეზოდში რომ ყეფდა, შორეული შთამომავალი და მსგავსი იყო იმისა, რომელთანაც ბავშვობაში ხმაურიან თამაშებს მართავდა მომავალი იეზუიტი. სამზარეულოდან კი ცეცხლზე შედგმული რაგუს საუკუნო სურნელი გამოდიოდა – პომიდორის, ხახვისა და ჭედილას ხორცის შეჭამანდი, რომელიც განსაკუთრებულ დღეებში მზადდებოდა. თითოეული საგანი გამოსცემდა სიმშვიდეს, რომელიც მიცვალებულის ხანგრძლივი და მტანჯველი შრომის შედეგად იქნა მიღებული.

მალე ეკლესიაში გაეშურნენ მოსახსენებელი მესის მოსასმენად. სან კონო იმ დღეს თავის საუკეთესო სახეს წარმოაჩინდა და ლამის ამაყად გამოეფინა თავისი სიბინძურის ნაირფერობა. ციცაბო ქუჩებზე ადამიანებს შორის დარბოდნენ ანცი მოშავო თხები ჩამოკიდებული ჯიქნებით და კიდევ ის სიცილიური ღორები, რუხი და წერწეტი, როგორც პანანინა კვიცები. და რადგანაც პადრე პირონე უკვე ადგილობრივ სიამაყედ იყო მიჩნეული, გამოსულთა შორის მრავლად იყვნენ ქალები, ბავშვები და ყმანვილებიც კი, რომლებიც ირგვლივ შემოსჯაროდნენ კურთხევის მისაღებად ან გარდასული დროის მოსაგონებლად.

სამკვეთლოში შესულმა წინამძღვართან ერთად მცირე ლოცვა აღავლინა სამშობლოში მშვიდობით დაბრუნების აღსანიშნავად, მესის შემდეგ კი საფლავზე გავიდა, რომელიც იქვე იყო, მახლობელ კაპელაში. ქალები ტირილით ემთხვევნენ მარმარილოს, ვაჟმა ხმამაღლა წართქვა იდუმალი ლათინური

ლოცვა. და როცა შინ დაბრუნდნენ, რაგუ უკვე მზად იყო პადრე პირონეს სასიხარულოდ, რადგან სალინას სახლის კულინარულ დახვეწილობას მისთვის პირის გემო არ ნაურთმევიან.

სალამოს მეგობრები ეწვივნენ და მის ოთახში შეიკრიბნენ: ჭერზე დაკიდებული სამმხრიანი სპილენძის შანდალი ზეთის კანდელების მოკრძალებულ შუქს აფრქვევდა. კუთხეში, სანოლზე ჭრელი ლეიბები დაეხვავებინათ და სულის შემხუთველი წითლად და ყვითლად ამოქარგული საბანი დაეფინათ. მეორე კუთხე მაგარი ჭილობით იყო შემოვლილი და იქ სკივრი იდგა, თაფლისფერი ხორბლით სავსე, რომელსაც ყოველ კვირას გზავნიდნენ წისქვილში საოჯახო საჭიროებისათვის. კედლებზე დახვრეტილი გრავიურებიდან წმ. ანტონიო ღვთაებრივ ყრმას აჩენდა, წმ. ლუჩია – თავის გადატრიალებულ თვალებს, წმ. ფრანსისკო ხავიერი კი თავისი ორატორული ნიჭით ბუმბულებითა და საკუთარი სიშიშველით შემკული ინდიელების დარწმუნებას ცდილობდა. გარეთ ვარსკვლავებით მოჭედულ სიბნელეში ქარი წიოდა და, გარკვეული აზრით, ისიც მიცვალებულის ხსენებას აღასრულებდა. ოთახის ცენტრში, შანდლის ქვეშ დიდი რკინის კერა იყო, პრიალა ხის ფიცრით გარს შემოვლებული, სადაც ფეხების დანყობა შეიძლებოდა. კერის ირგვლივ კი სტუმრებისათვის სკამები დაედგათ. მოსულიყვნენ ეკლესიის წინამძღვარი, ძმები სკიროები, ადგილის მემამულენი, და დონ პიეტრინო, მოხუცი აფთიაქარი. პირქუშად შემოვიდნენ და პირქუშადვე რჩებოდნენ, რადგან, სანამ ქვედა სართულზე ქალები იქაურობას ალაგებდნენ, აქ პოლიტიკაზე საუბრობდნენ და პალერმოდან ჩამოსულ და სინიორებს შორის მცხოვრებ პადრე პირონესაგან სანუგეშო ამბებს ელოდნენ. ამბების მოლოდინი გაუმართლდათ, ნუგეშის იმედი და კი ნყალში ჩაეყარათ, რადგანაც მათი მეგობარი იეზუიტი ნანილობრივ გულწრფელად, ნანილობრივ კი არჩეული ტაქტიკის თანახმად შავ ფერებში უხატავდა მომავალს: გაეტას თავზე ჯერ კიდევ ფრიალებდა ბურბონების დროშა, მაგრამ ბლოკადა სასტიკი იყო და ერთიმეორის მიყოლებით ფეთქდებოდა ციხესიმაგრის იარაღსაწყობები. იქ მხოლოდ ღირსებას თუ დაიცავდი, ესე იგი, თითქმის ველარაფერს. რუსეთი მეგობარი იყო, მაგრამ შორეული. ნაპოლეონ III ახლოს იყო, მაგრამ ვერ ენდობოდი. ბაზილიკატასა და ტერა დი ლავოროს ამბო-

ხებებზე კი იეზუიტი ცოტას ლაპარაკობდა, რადგანაც გულის სიღრმეში რცხვენოდა მათი. ამბობდა, რომ აუცილებელი იყო დაეთმინათ ამ ახლად ჩამოყალიბებული იტალიური სახელმწიფოს სინამდვილე – უღმერთო და მტაცებლური, აეტანათ პიემონტიდან აქამდე ქოლერასავით ჩამოლწეული ექსპროპრიაციისა და იძულების კანონები.

– აი, ნახავთ, – ასეთი იყო მისი არაორიგინალური დასკვნა, – ნახავთ, რომ თვალეხსაც არ დაგვიტოვებენ სატირლად.

ამ სიტყვებს სტუმრების ტრადიციული სოფლური ჩივილი შეერია. ძმები სკიროები და აფთიაქარი უკვე გრძნობდნენ საგადასახადო პოლიტიკის ბრჭყალებს. პირველთათვის ეს გაუთვალისწინებელი აკრეფები და დამატებითი მეასედები იყო, მეორისათვის – გულის შემძრავი განცვიფრება: მერიაში გამოიძახეს და უთხრეს, რომ თუ ყოველწლიურად ოც ლირას არ გადაიხდიდი, ბალახეულის გაყიდვას აგიკრძალავთ.

– მე ხომ ამ სინამაქსა და ამ ლემას, უფლის მიერ შექმნილ ყველა ამ წმიდა ბალახეულს დარსა თუ ავდარში ჩემი ხელით ვაგროვებ მთის ფერდობზე ღამით და დღისით, როგორც საჭიროა! ვაშრობ მათ მზეზე, რომელიც ყველას ეკუთვნის, და ბაბუაჩემის ნაქონ როდინში ვნაყავ! მერიას რა ესაქმება ამასთან? რატომ უნდა გადავუხადო ოცი ლირა? ლამაზი თვალეხისთვის?

სიტყვებს ანიტებდა უკბილო პირიდან და თვალეხი ნალდი მრისხანებით უელავდა.

– მართალი ვარ თუ მტყუანი? შენ მითხარი, მამაო!

იეზუიტს უყვარდა დონ პიეტრინო: იგი უკვე დაკაცებული ახსოვდა, უფრო მეტიც, განუწყვეტელი ხეტიალისა და შეგროვებისგან წელში მოხრილი, მაშინ, როცა თვითონ ჯერ კიდევ ბავშვი იყო და ბელურებს ქვებს უშენდა. მადლიერიც იყო დონ პიეტრინოსი, რომელიც ქალებს სამკურნალო ნახარშებით ამარაგებდა, თანაც ყოველთვის ეტყოდა ხოლმე, რომ რამდენიმე „ღვთისმშობელო, ქალწულო“ ან „მამაო ჩვენოს“ გარეშე წამალი არ იმოქმედებდა. თანაც იეზუიტის ფრთხილ გონებას არ სურდა იმის გაგება, სინამდვილეში რისგან მზადდებოდა ეს ნაყენები და რა იმედებს აღუძრავდა მათ შემძენს.

– მართალი ბრძანდებით, დონ პიეტრინო, ასგზის მართალი. როგორ არა? მაგრამ ფული თუ არ გამოგართვეს თქვენ

და სხვა თქვენნაირ ლარიბს, საიდან ექნებათ სახსრები იმისათვის, პაპს რომ ომი გამოუცხადონ და მიიტაცონ, რაც მას ეკუთვნის?

საუბარი დაკეტილ ფანჯრებში გამოღწეული ქარისაგან მთრთოლვარე რბილი შუქის ქვეშ გრძელდებოდა. პადრე პირონე დაჟინებით ახსენებდა საეკლესიო საკუთრების მომავალ კონფისკაციას – მაშინ მშვიდობით, სააბატოს ლმობიერო ძალაუფლებავ; მშვიდობით, მკაცრ ზამთრებში დარიგებულ უფასო წვნიანო. და როცა უმცროსმა სკირომ გაუფრთხილებლად აღნიშნა, იქნებ ზოგიერთ უღარიბეს გლახს რალაც ფონდებიდან დაეხმარებიანო, მღვდლის ხმა უკიდურესი ზიზღისგან გამკაცრდა:

– ამასაც ნახავთ, დონ ანტონინო, ამასაც ნახავთ. მერი ყველაფერს იყიდის, პირველ გადასახადს თვითონ შეიტანს და მერე კარგად მეყოლეთ. ასე უკვე მოხდა პიემონტში.

ბოლოს დაიშალნენ, უნინდელზე უფრო მოღუშულები. თან წუნუნისა და ჩივილის ორი თვის მარაგი მიჰქონდათ. მხოლოდ აფთიაქარი დარჩა, რომელიც იმ ღამით დანოლას არ აპირებდა, რადგანაც ახალმთვარეობა იყო და როზმარინის შესაგროვებლად უნდა წასულიყო პიეტრაციის კლდეებზე. თან ფარანი წამოედო და სახლიდან გამოსული მაშინვე საქმეზე აპირებდა წასვლას.

– კი მაგრამ, მამაო, შენ წარჩინებულთა შორის ცხოვრობ. რას ამბობენ სინიორები მთელ ამ დავიდარაბაზე? რას ამბობს ეს დიდი, მრისხანე და ამაყი თავადი სალინა?

პადრე პირონეს მრავალგზის დაუსვამს საკუთარი თავისთვის ეს შეკითხვა, მაგრამ პასუხის გაცემა ადვილი არ იყო. იმიტომაც, რომ ან უგულვებელყო, ან კიდევ გადაჭარბებდად გაიგო ყოველივე, რაც კი დონ ფაბრიციომ უთხრა იმ დღით, წელიწადზე მეტი ხნის წინ, ობსერვატორიაში. ახლა უკვე იცოდა, მაგრამ დონ პიეტრინოსათვის გასაგებ ენაზე თარგმნის ხერხს ვერ პოულობდა, თუმც კი აფთიაქარი სულაც არ იყო ბრიყვი, მაგრამ გაცილებით უკეთესად ერკვეოდა თავისი ბალახების ანთების სანინაალმდეგო, სასაქმებელსა და, ვინ იცის, აღმგზნებ თვისებებში, ვიდრე ამგვარ აბსტრაქციებში.

– როგორ გითხრათ, დონ პიეტრინო, სინიორები, როგორც თქვენ ბრძანებთ, ადვილად გასაგები ხალხი არაა. ისინი გან-

საკუთრებულ სამყაროში ცხოვრობენ, რომელიც უშუალოდ ღმერთს კი არ შეუქმნია, თვითონ მათ შექმნეს მათი საკუთარი გაჭირვებისა და სიხარულის განსაკუთრებული გამოცდილებით აღსავსე საუკუნეების განმავლობაში. მათ საოცრად დიდი კოლექტიური მეხსიერება აქვთ, ამიტომაც მწუხრდებიან და სიხარულით ივსებიან ისეთ საგნებზე, რომლებიც მე და თქვენ სულაც არ გვადარდებს, მათთვის კი სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, რადგანაც იმ კლასობრივი მეხსიერების, შიშებისა და იმედების მემკვიდრეობას ეხება. საღვთო განგებამ ინება, რომ მე მარადიული და ძლევამოსილი ეკლესიის ერთ-ერთი ყველაზე დიდებული ორდენის მცირედი ნაწილაკი ვაგმხდარიყავი. თქვენ კიბის მეორე ბოლოში იმყოფებით, არ ვამბობ, ყველაზე დაბალ, მაგრამ ყველაზე განსხვავებულ საფეხურზე. თქვენ, როცა თავშავას ძლიერ ძირს აღმოაჩენთ, ან კანტარიდების ბუდეს (ვიცი, დონ პიეტრინო, რომ ამათაც აგროვებთ), პირდაპირ კავშირს ამყარებთ ბუნებასთან, რომელიც უფალმა ისე შექმნა, რომ სიკეთისა და ბოროტების შესაძლებლობები არ გამოყო ერთმანეთისაგან, რათა ადამიანს თავისუფალი არჩევანის გამოყენება შეძლებოდა. და როცა თქვენთან რჩევისათვის ბოროტი დედაბრები ან სურვილით ანთებული გოგოები მოდიან, თქვენ საუკუნეთა იმ უფსკრულში ჩადიხართ, რომელიც გოლგოთას ნათელზე უფრო ძველია.

მოხუცი განცვიფრებული მიშტერებოდა: მას მხოლოდ იმის გაგება უნდოდა, თავადი სალინა კმაყოფილი იყო თუ არა საგანთა ახალი წესრიგით, ეს კიდევ კანტარიდებსა და გოლოგოთას ნათელზე ელაპარაკებოდა. „იმდენი წიგნი აქვს, ნაკითხული, რომ, ეტყობა, გაგიჟდა ეს საცოდავი“.

– სინიორები კი ასეთები არ არიან. მათ ხელოვნური საგნებით უდგათ სული. ჩვენ, სასულიერო პირები, იმისთვის ვჭირდებით, რომ სამარადისო სასუფეველი დაიმკვიდრონ, როგორც თქვენ, აფთიაქრები ხართ საჭირო იმისათვის, რომ ხორცი დაანყნაროთ ან ალაგზნოთ. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ისინი ბოროტები არიან: სულაც არა. უბრალოდ, განსხვავებულნი არიან. შეიძლება იმიტომ გვეჩვენებიან ამდენად უცნაურები, რომ უკვე მიაღწიეს იმ საფეხურს, რომლისკენაც ყველა მიისწრაფვის, ვისაც სინმინდუ სწაღია: საფეხური, სადაც უკვე აღარ გადარდებს მინიერი სიკეთე, რადგანაც მიეჩ-

ვიე მას. ალბათ ამიტომაც ყურადღებას არ აქცევენ იმას, რასაც ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. მთის მწვერვალზე მდგომი დაბლობის კოლოებზე არ ფიქრობს და ეგვიპტის მცხოვრებს ქოლგა არ სჭირდება. სამაგიეროდ, პირველს ზეავები აშინებს, მეორესი კი ნიანგები – ერთიც და მეორეც ჩვენთვის უმნიშვნელოა. სინიორებს ახლა სხვა, ჩვენთვის უცნობი შიშები აქვთ: მინახავს, როგორ დამწუხრებულა დონ ფაბრიციო, ეს სერიოზული და ბრძენი ადამიანი, პერანგის ცუდად გაუთოებული საყელოს გამო. ზუსტად ვიცი, რომ თავადი დილასკარი განრისხებულა და მთელი ღამე არ უძინია იმის გამო, რომ მეფისნაცვალთან სადილის დროს შეცდომით სხვა ადგილზე დასვეს. ახლაც გგონიათ, რომ ის ადამიანები, რომლებიც მხოლოდ თეთრეულისთვის ან პროტოკოლისთვის წუხდებიან, მართლაც ბედნიერები და აქედან გამომდინარე, ჩვენზე უმაღლესნი არიან?

დონ პიეტრინოს აღარაფერი ესმოდა: უცნაურობები მრავლდებოდა, ახლა უკვე პერანგის საყელოები და ნიანგები გამოტყვრა საიდანღაც. მაგრამ სალი სოფლური გონება ჯერ კიდევ აკავებდა მის განცვიფრებას.

– მაგრამ თუ ასეა, მამაო, ყველანი ჯოჯოხეთში წავლენ!

– რატომ? ზოგი წარწყმდება, მაგრამ ზოგი სულს იცხოვნებს იმის მიხედვით, თუ როგორ იცხოვრებენ ამ თავიანთ ხელოვნურ სამყაროში. აი, სალინა, როგორც ეტყობა, ცხოვნდება: თავის თამაშს კარგად თამაშობს, წესებს იცავს, არ იტყუება. უფალი ღმერთი იმას სჯის, ვინც შეგნებულად ეწინააღმდეგება საღვთო კანონებს, ვინც თავისი სურვილით ადგება ბოროტების გზას. მაგრამ ვინც საკუთარ ბილიკს მიჰყვება, ოღონდაც მასზე სვლისას სისულელეებს ნუ ჩაიდენს, ყოველთვის თავის ადგილზეა. თქვენ, დონ პიეტრინო, პიტნის მაგიერ შეგნებულად ლენცოფა რომ გაყიდოთ, თქვენი საქმე გათავებული იქნებოდა. მაგრამ თუ თქვენ ამასვე შეუგნებლად ჩაიდენდით, სინიორა ტანა სოკრატეს უკეთილშობილესი სიკვდილით განისვენებდა, თქვენ კი პირდაპირ ზეცაში გაემგზავრებოდით თეთრი სამოსითა და ანგელოზის ფრთებით.

სოკრატეს სიკვდილი უკვე მეტისმეტი იყო აფთიაქარისათვის. საბოლოოდ დანებდა და ჩასთვლიდა. პადრე პირონემ ეს შენიშნა და კმაყოფილი დარჩა, რადგან ახლა უკვე აღარ ეში-

ნოდა, რომ მის ლაპარაკს ვერ გაიგებდნენ. ლაპარაკი კი სურდა, რათა ფრაზების კონკრეტულობაში განესხეულებინა აზრები, შიგნიდან რომ შეფარვით აშფოთებდა.

– ბევრ კეთილ საქმესაც სჩადიან. აი, მაგალითიც: რამდენი კეთილი ოჯახი ქვაფენილზე დარჩებოდა იმ სასახლეებიდან შემოსული დახმარების გარეშე! არც არაფერს ითხოვენ ამისთვის, იმასაც კი არა, რომ მათი ქონების წერილმანი ქურდობა შეწყდეს. ეს მათი ახირებით კი არ ხდება, არამედ რალაც ატავისტური ინსტინქტის წყალობით, რომლის გამო მათ სხვაგვარად არ ძალუძთ. თუმცა კი ასე არ ჩანს, სინამდვილეში ბევრ სხვაზე ნაკლები ეგოისტები არიან: მათი სახლების ბრწყინვალეობა, მათი დღესასწაულების ფუფუნება რალაც უპიროვნოს შეიცავს, რალაც ეკლესიისა და ლიტურგიის სიმდიდრის მსგავსს, ოღონდაც მიმართულს ad maiorem gentis gloriam,⁴¹ რაც საკმაოდ უწყობს ხელს სულის ცხოვნებასაც. მათ მიერ დაღეული შამპანურის თითო ჭიქაზე ორმოცდაათი სხვისთვის შეთავაზებული მოდის, ხოლო როცა ვინმეს ცუდად ექცევიან, ამით მათი პიროვნება კი არ სცოლავს, არამედ მათი წოდება ადასტურებს საკუთარ არსებობას. Fata crescunt,⁴² მაგალითად, დონ ფაბრიციომ მეურვეობა გაუნია და აღზარდა თავისი დისწული ტანკრედი – იხსნა საბრალო ობოლი, რომელიც უამისოდ დაიღუპებოდა. თქვენ იტყვი, ეს იმისთვის გააკეთა, რომ ყმანვილიც სინიორი იყო, რომ სხვისთვის თითსაც არ გაანძრევდა. მართალია, მაგრამ რატომ უნდა გაეკეთებინა სხვისთვის, თუ გულის სიღრმეში ყველა ეს სხვა ჩვენი სახეობის ცუდად გამოსული წარმომადგენელი, გამოუცდელი მეთუნის ხელიდან გამოსული თიხის მოღრეცილი ფიგურა ჰგონია, რომლის გამოსაწვავ ქურაში შედებაც არ ღირს?

თქვენ, დონ პიეტრინო, ახლა რომ არ გეძინოთ, აუცილებლად მეტყვოდით, რომ სინიორები ცუდად იქცევიან, სხვები რომ ეზიზღებათ, და რომ ყველანი, ვინც კი სიყვარულისა და სიკვდილის ორმაგ მონობას ექვემდებარება, თანასწორნი არიან შემოქმედის წინაშე. მე მხოლოდ დავადასტურებდი ამას. მაგრამ დავსძენდი, რომ არ იქნებოდა სამართლიანი

⁴¹ ხალხთა უაღრესი დიდებისათვის (ლათ.)

⁴² ფაქტები ამტკიცებს (ლათ.)

ზიზღში მხოლოდ სინიორების დადანაშაულება, რადგანაც ეს საყოველთაო მანკიერებაა. უნივერსიტეტის პროფესორს სამრევლო სკოლის უბადრუკი მასწავლებელი ეზიზღება, თუმცა კი არ ამჟღავნებს ამას. და რადგანაც გძინავთ, შემძლია დაუფარავად გითხრათ, რომ ჩვენ, სასულიერო პირებს თავი ერისკაცებზე მალლა მდგომებად მიგვაჩნია, ჩვენ იეზუიტებს გვგონია, რომ დანარჩენ სამღვდელოებას ვჯობივართ, როგორც თქვენ, აფთიაქარებს გეზიზღებათ კბილის მკურნალები, ისინი კი თქვენ დაგცინიან. ექიმებს აფთიაქარებიც ეზიზღებათ და კბილის მკურნალებიც, თვითონ მათ კი ვირებად მიიჩნევენ ავადმყოფები, რომლებსაც ძველებურად ცხოვრება სურთ, თუმცა კი გულ-ღვიძლი ფაფად ჰქცევიან. მოსამართლეებისთვის ადვოკატები მხოლოდ მართლმსაჯულების შემაფერხებელი ინტრიგანები არიან, მეორე მხრივ კი ლიტერატურა აღსავსეა თვით მოსამართლეთა მრავალსიტყვაობის, უბადრუკობისა და ზოგჯერ უფრო უარესი თვისებების გაქილიკებით. მხოლოდ ყანის მუშებს ეზიზღებათ საკუთარი თავი. როცა მიხვდებიან, რომ სხვებს დასცინიან, წრე შეიკვრება და თავიდან უნდა დავიწყოთ.

გიფიქრიათ ოდესმე, დონ პიეტრინო, ხელობის აღმნიშვნელი რამდენი სიტყვა გადაქცეულა გინებად? მებარგულიდან და მეჯლანიდან დაწყებული ფრანგულ *reitre* და *pompier*-ამდე?⁴³ ხალხი არ ფიქრობს, რა დამსახურება მიუძღვით მებარგულებსა და მეხანძრეებს. მხოლოდ მათ უმნიშვნელო მანკიერებებს ხედავს და ყოველ მათგანს ხეპრეობასა და ყოყორობას აბრალებს. და რადგანაც ჩემი არ გესმით ახლა, შემძლია გითხრათ, რომ მშვენივრად ვიცი, რა მოარული მნიშვნელობა აქვს სიტყვას „იეზუიტი“.

გარდა ამისა, ნარჩინებულებს საკუთარი უბედურებებისა რცხვენიათ: ერთი მათგანი მახსოვს, რომელმაც თვითმკვლელობა გადაწყვიტა, წინაღლით კი ისეთივე მხიარული და ცელქი იყო, როგორც პატარა ბიჭი პირველი ზიარების კვირაძალს. თქვენ კი, დონ პიეტრინო, ვიცი, როცა საჭიროება მოითხოვს, რომელიმე თქვენი ნაყენი მიიღოთ, მთელს სოფელს გააყრუ-

⁴³ დაქირავებული ჯარისკაცი და მეხანძრე (ფრანგ.) – იმდროინდელ ფრანგულ ცნობიერებაში ერთი ძალადობის სიმბოლო იყო, მეორე კი – სიბრყვილა.

ებთ ოხვრითა და კვნესით. მრისხანება და დაცივნვა სინიორების თვისებაა. ელეგიური განწყობა და ჩივილი – არა. უფრო მეტიც, ერთ რეცეპტსაც გამოგინერთ: თუ რომელიმე ნუნუნა და ბუზლუნა სინიორი შეგხვდებათ, გამოიკვლიეთ მისი გენეალოგიური ხე, აუცილებლად აღმოაჩინებთ ხმელ შტოებს.

ეს ნოდება ძალიან ძნელი გასანადგურებელია, რადგანაც თავის თავში განუწყვეტლად აღდგება და, თუ საჭიროა, კარგი სიკვდილიც ეხერხება, ესე იგი, ბოლო ნუთს ახალი თესლის ჩაგდებას ასწრებს. საფრანგეთს შეხედეთ: რა ელეგანტურად გააჟღეჭინეს საკუთარი თავი, ახლა კი ისევე არიან, როგორც ადრე. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ იქ წარჩინებულის ნოდება კვლავაც ლატიფუნდიებსა და ფეოდალურ სამართალს ემყარება, არამედ იმიტომ, რომ განსხვავებები დარჩა. ახლა მეუბნებიან, რომ პარიზში პოლონელი გრაფებიც არიან, რომლებიც ამბოხებებმა და დესპოტიზმმა მიიყვანა გადასახლებაში და სილარიბეში ჩააგდო. მეეტლებად მუშაობენ, მაგრამ ისე მალლიდან დასცქერიან თავიანთ ბურჟუა კლიენტებს, რომ საბრალოები ეკლესიაში შემოხეტებული ძალის უბადრუკი სახით სხდებიან ეტლში და თვითონაც არ იციან, რატომ.

იმასაც გეტყვით, დონ პიეტრინო, რომ თუ ეს კლასი, როგორც ადრეც მომხდარა, ოდესმე უნდა გაქრეს, აუცილებლად მისი ეკვივალენტი გაჩნდება, იმავე ღირსებებითა და იმავე ნაკლოვანებებით: შეიძლება სისხლზე არ იყოს დამყარებული, არამედ, რა ვიცი... რომელიმე ადგილზე მკვიდრობის ხანდაზმულობით, ან რომელიმე წმინდად შერაცხული ტექსტის საუკეთესო ცოდნაზე.

ამ დროს ხის კიბეზე დედის ნაბიჯები გაისმა. დედა ღიმილით შემოვიდა ოთახში:

– ნეტა ვის ელაპარაკები, შვილო? ვერ ხედავ, რომ შენს მეგობარს ჩასძინებია?

პადრე პირონემ ოდნავ დაიმორცხვა. არ უპასუხია, მაგრამ თქვა:

– ახლავე გავაცილებ გარეთ. საბრალო, მთელი ღამე სიცივეში უნდა გაატაროს.

ფარნის პატრუქი ამონია, ფეხისწვერებზე შემდგარმა შანდლის ალზე აანთო იგი და კაბაზე ზეთი დაინვეთა. პატრუქი ადგილზე დააბრუნა და ფარნის სარკმელი ჩაკეტა. დონ პიეტრინო

სიზმრებში დაფრინავდა. ტუჩის კუთხიდან ნერწყვი ჩამოუვიდა ქურთუკის საყელოზე. მის გაღვიძებას დრო დასჭირდა.

– მაპატიე, მამაო, მაგრამ ძალიან უცნაურ და უთავბოლო რამეებს ამბობდი.

ერთმანეთს გაუღიმეს, კიბე ჩაიარეს, სახლიდან გამოვიდნენ. სახლს, სოფელს, მთელს ხეობას ღამე მოიცავდა. მხოლოდ იქვე ახლოს აღმართული და, როგორც ყოველთვის, შუბლშეჭმუხნილი მთები მოჩანდა. ქარი ჩადგა, მაგრამ ძალიან ციოდა. ვარსკვლავები გაგიჟებით კაშკაშებდნენ, მილიონობით გრადუსის მხურვალეობას გამოსცემდნენ, მაგრამ საბრალო მოხუცის გათბობა არ შეეძლოთ.

– საბრალო დონ პიეტრინო! იქნებ მეორე მოსასხამიც ჩამოგიღოთ?

– გმადლობ, უკვე მივეჩვიე. ხვალ გნახავ და მაშინ მეტყვი, როგორ გადაიტანა რევოლუცია თავადმა სალინამ.

– ახლავე მოგახსენებთ ორი სიტყვით: ამბობს, რომ არავითარი რევოლუცია არ მომხდარა და ყველაფერი ისევე გაგრძელდება, როგორც უნინ.

– სულელს გაუმარჯოს! შენ კი ის რევოლუცია არა გგონია, როცა მერი ფულს მახდევინებს ღვთის შექმნილი და ჩემს მიერ შეგროვილი ბალახებისთვის? თუ შენც დაკარგე ჭკუა?

ფარნის შუქი ნაბიჯ-ნაბიჯ შორდებოდა, ბოლოს ქერასავით სქელ სიბნელეში ჩაიკარგა.

პადრე პირონემ გაიფიქრა, რომ სამყარო ერთი დიდი თავსატეხი უნდა ყოფილიყო იმისთვის, ვინც არც მათემატიკა იცის და არც თეოლოგია. „უფალო ჩემო, მხოლოდ შენს ყოვლისმცოდნეობას შეეძლო ამდენი გართულების გამოგონება“.

* * *

ამ გართულებათა სხვა მაგალითი მეორე დილას გადაანყდა პადრე პირონეს. როცა სამრევლო ეკლესიაში მესის აღსასრულებლად გაემზადა და ქვევით ჩავიდა, ნახა, რომ მისი და, სარინა სამზარეულოში ხახვს ჭრიდა. მის ლოყებზე ჩამომდინარე ცრემლები პადრე პირონეს ერთობ გადაჭარბებული ეჩვენა იმ რაოდენობაზე, რომელსაც მსგავსი საქმიანობა გულისხმობდა.

– რა მოხდა, სარინა? რა უბედურებაა ჩვენს თავს? ნუ გეში-

ნია: უფალი სასონარკვეთილებაში გვაგდებს და ნუგეშსაც გვცემს.

ამ მოსიყვარულე ხმამ სრულიად გააქრო ის მცირედი თავ-შეკავებაც, რაც საბრალო ქალს ჯერაც შერჩენოდა: მყისვე მოთქმით დაიწყო ტირილი და გაზინთულ მაგიდას დააყრდნო სახე. ქვითინში სულ ერთი და იმავე სიტყვების გარჩევა შეიძლებოდა:

– ანჯელინა, ანჯელინა... ვიჩენცინომ რომ გაიგოს, ორივეს მოკლავს... ანჯელინა... მოკლავს!

ფეხზე მდგომ პადრე პირონეს ხელები განიერ შავ ქამარში ჩაეყო, საიდანაც მხოლოდ ცერები ჩანდა, და ისე უყურებდა. მიხვედრა არ იყო ძნელი: ანჯელინა სარინას გასათხოვარი ქალიშვილი იყო, ვიჩენცინო, რომლის მრისხანებისა ეშინოდათ, – სარინას ქმარი და პადრე პირონეს სიძე. განტოლების ერთადერთი უცნობი ანჯელინას შესაძლო საყვარლის სახელი იყო.

შვიდი წლის უნახავი დისწული, მაშინ პატარა მტირალა გოგო, იეზუიტმა გუშინ ნახა, უკვე დაქალბული. ასე, თვრამეტი-სა იქნებოდა და საკმაოდ შეუხედავი, იმ სოფლის სხვა გლეხის ქალებივით წინ წამოწეული ტურჩებითა და უპატრონო ძაღლის შეშინებული თვალებით. ჩამოსვლისთანავე შენიშნა იგი და გულში ნაკლებად სახარბიელო შედარებაც გააკეთა ორ სახელს შორის: ერთი მდაბიური კნინობითით შემკული, მეორე კი არიოსტოსებრ დიდებული ანჯელიკა, რომელმაც მცირე ხნის წინ თავდაყირა დააყენა სალინას მთელი საგვარეულო.

უბედურება მართლაც დიდი იყო და პადრე პირონეც მთლიანად ჩაფლულიყო მასში. დონ ფაბრიციოს ნათქვამი გაახსენდა: ნათესავთან შეხვედრა ეკალზე ფეხის დადებააო. მერე მყისვე ინანა ეს მოგონება. ქამრიდან მარჯვენა ხელი გამოიღო, ქუდი მოიხადა და დის მტოკავ მხარს შემოუტყაპუნა:

– წამო, სარინა. ეგრე ნუ. მადლობა ღმერთს, აქ მე ვარ და ამდენი ტირილიც არაფერს გვარგებს. ვიჩენცინო სადაა?

ვიჩენცინო უკვე სახლიდან გასულიყო რიმატოში სკიროების მეველესთან შესახვედრად. კიდევ კარგი, რომ თავისუფლად ლაპარაკი მაინც შეიძლებოდა. ქვითინში, ცრემლის წმენდასა და ცხვირის სრესაში მთელი ეს სანყალობელი ამბავი გამომჟღავნდა: ანჯელინა (უფრო მეტიც, ნჩილინა) გააბახეს. ეს საშინელე-ბა სან მარტინოს ზაფხულის განმავლობაში მოხდა. კუროსთან

შესახვედრად დონა ნუნციატას საბძელში დადიოდა. ახლა კიდევ სამი თვის მუცელი ჰქონდა. რამდენიმე ხანში უკვე დაეტყობოდა და ვიჩენცინო უბედურებას დაატრიალებდა.

– მეც მომკლავს, არაფერი რომ არ ვუთხარი; ის ხომ ღირსების კაცია.

მართლაც, დაბალ შუბლზე, „კაჩოლანებზე“, ანუ საფეთქლებზე ნაზრდილი თმის კულულებზე, მოქანავე სიარულზე, შარვლის მუდამ გამობერილ მარჯვენა ჯიბეზე კაცი მაშინვე მიხვდებოდა, რომ ვიჩენცინო „ღირსების კაცი“ იყო, ანუ ერთ-ერთი იმ ბრწყინვალეანი, რომლებიც არანაირი ძალმომრეობისაგან არ დაიხვედნენ უკან.

სარინას ტირილის ახალი შეტევა მოუვიდა, პირველზე უფრო მძიმე, რადგანაც იმას ფიქრობდა, რომ ქმრის, ამ რაინდობის განსახიერების ნდობა ვერ გაამართლა.

– სარინა, სარინა, ისევ ტირილი! ასე ნუ გინდა! ყმანვილმა ის ცოლად უნდა შეირთოს, შეირთავს კიდევ. შინ მივალ მასთან, დაველაპარაკები ოჯახს და ყველაფერიც მოგვარდება. ვიჩენცინოს მხოლოდ მათი დანიშვნის ამბავი ეცოდინება და მის ძვირფას ღირსებას არაფერი დააკლდება. მაგრამ უნდა ვიცოდე, ვინ იყო. თუ იცი, მითხარი.

დამ თავი ასწია: მის თვალებში ახლა ახალი შიში იკითხებოდა. ეს უკვე აღარ იყო დანით სიკვდილის ცხოველური შიში, არამედ უფრო შეფარული, უფრო მწარე იყო და ძმას მისი ამოცნობა გაუჭირდა.

– სანტინო პირონე იყო! ტურის ვაჟი! განგებ გააკეთა, განგებ გამიკეთა, დედაჩვენის, მამაჩვენის წმიდა მოგონების ჯინაზე. მე არასოდეს მილაპარაკია მასთან. ყველა ამბობს, რომ კარგი ბიჭია, მაგრამ ურცხვია, თავისი საძაგელი და უღირსი მამის საკადრისიო. მერე მომაგონდა: იმ ნოემბრის დღეებში სულ ჩვენი სახლის წინ დადიოდა ორი ძმაკაცის თანხლებით და ყურში წითელი გერანის ყვავილი ჰქონდა გარჭობილი. ჯოჯოხეთი და სიკვდილი მაგას!

იეზუიტი ქალის მახლობლად სკამზე ჩამოჯდა. ახლა უკვე ცხადი იყო, რომ მესაზე დაავიანდებოდა. საქმე ძნელი იყო. ტური, ანჯელინას შემაცდენელი სანტინოს მამა, ბიძამისი იყო; განსვენებული მამის ძმა, მეტიც, უფროსი ძმა. ოციოდე წლის წინ გარდაცვლილს შეუამხანაგდა ზედამხედველობაში, სწო-

რედ იმ დროს, როცა ამ საქმეს ყველაზე მეტი შემოსავალი მოჰქონდა. მერე შეკამათებამ დააპორა ძმები ერთმანეთს – ერთ-ერთმა იმ ოჯახურმა შეკამათებამ, რომლის ფესვები მუდამ გამოუკვლეველი რჩება და რომლის განკურნებაც შეუძლებელია, რადგანაც ბევრი დასამალის გამო არც ერთი მხარე ცხადად არ ამბობს სათქმელს. საქმე კი ის იყო, რომ როცა პადრე პირონეს განსვენებული მამა ნუშის პატარა ბაღს დაეუფლა, მისმა ძმამ, ტურიმ თქვა, სინამდვილეში ნახევარი მე მეკუთვნის, რადგანაც ფულისა და შრომის ნახევარი ჩემი წილი იყო. მაგრამ ნასყიდობის აქტივი მხოლოდ გაეტანოს, პადრე პირონეს მამის სახელი ეწერა. ტური განრისხდა და პირზე დუქმორეულმა გაიარა სან კონოს ქუჩებში: თამაშში გაეტანოს პრესტიჟი და მისი ძმაცა ცეხები ჩაერივნენ. საქმის ყველაზე უარესი განვითარება თავიდან აიცილეს: ნუშის ბაღი გაეტანოს დარჩა, მაგრამ პირონეს ოჯახის ორ შტოს შორის გაჩენილი უფსკრულის ამოცემა შეუძლებელი გახდა. ტური ძმის დაკრძალვაზეც არ მოსულა და ორი დის სახლში მას მხოლოდ „ძალიშვილად“ მოიხსენიებდნენ. იეზუიტმა ყოველივე ამის შესახებ ეკლესიის წინამძღვრისათვის ნაკარნახევი უთავბოლო წერილებით იცოდა და, რაც შეეხება ძალიშვილობას, ამის შესახებ თავისი განსაკუთრებული თვალსაზრისი შეიქმნა, რომელსაც მამის მიმართ პატივისცემის გამო ხმამაღლა არ გამოთქვამდა. ერთი სიტყვით, ნუშის ბაღი ახლა სარინას ეკუთვნოდა.

ყოველივე ცხადი იყო: სიყვარულსა და ვნებას აქ არაფერი ესაქმებოდა. უბრალოდ ერთი ღორობით სხვა ღორობისათვის შურს იძიებდნენ. მაგრამ საქმის გამოსწორება მაინც შეიძლებოდა: იეზუიტმა მადლი შესწირა განგებას, რომელმაც სწორედ ამ დღეებში ჩამოიყვანა სან კონოში.

– მისმინე, სარინა, ამ უბედურებას ორ საათში მოგიგვარებ. ოღონდ შენ უნდა დამეხმარო: კიბაროს ნახევარი (ეს ნუშის ბაღი იყო) წჩილინას უნდა გაატანო მზითვად. სხვა საშუალება არ არსებობს: ამ სულელმა ოჯახი დაგიქციათ.

თან იმაზე ფიქრობდა, რომ უფალი ხანდახან ახურებული ძუენებითაც სარგებლობს თავისი სამართლის გასატარებლად. სარინა კი სულ მთლად გველს დაემსგავსა:

– კიბაროს ნახევარი?! იმ არამზადების თესლს?! არასოდეს! სიკვდილი მირჩევნია!

– ჰო, კარგი. მესის შემდეგ დონ ვიჩენცინოს დაველაპარაკები. ნუ გეშინია, დავამშვიდებ.

ქუდი დაიხურა და ხელები ქამარში ჩაილაგა. მოთმინებით ელოდა საკუთარ თავში დარწმუნებული.

ვიჩენცინოს მრისხანების ვერსია, თუნდაც იეზუიტი მამის მიერ რედაქტირებული და ცენზურირებული, მაინც წასაკითხად შეუძლებელი იყო სარინასათვის, რომელმაც უკვე მესამედ დაიწყო ტირილი. მაგრამ თანდათანობით ქვითინი ჩანყნარდა და შეწყდა. ქალი ფეხზე წამოდგა:

– იყოს ღვთის ნება: შენ გამოასწორე საქმე, თორემ აქ აღარ დაგვედგომება. ოჰ, კიბარო! მამაჩვენის ოფლის ნაყოფი!

ცრემლები კვლავ მოემზადნენ გამოსაჩენად, მაგრამ პადრე პირონე უკვე გასული იყო სახლიდან.

* * *

როცა საღვთო საიდუმლოება აღასრულა და წინამძღვრის მიერ შემოთავაზებული ფინჯანი ყავაც მიირთვა, იეზუიტი პირდაპირ ძია ტურის სახლისკენ გაეშურა. იქ არასოდეს ყოფილა, მაგრამ იცოდა, რომ უღარიბესი ქოხი იყო ზედ სოფლის მწვერვალზე მასტრო ჩიკუს სამჭედლოს ახლოს. სახლი უცვებ იპოვა და რადგანაც ფანჯრები არ არსებობდა, ხოლო კარი ღია იყო, რათა ცოტა მზე მაინც შესულიყო შიგნით, ზღურბლზე შეჩერდა. სახლის ბნელ სიღრმეში ერთმანეთზე დახვავებული ჯორის კურტნები, ხურჯინები და ტომრები ელაგა: ძია ტური მეჯორეობით ირჩენდა თავს და ახლა ვაჟიშვილიც ეხმარებოდა.

– დორაციო! – დაიყვირა პადრე პირონემ. ეს შემოკლება იყო ფორმულისა Deo gratias agamus,⁴⁴ რომელიც სასულიერო პირთათვის შემოსვლის ნებართვის სათხოვნელად გამოიყენებოდა. მოხუცის ხმამ უპასუხა:

– ვინ არის?

ოთახის სიღრმეში მყოფი კაცი წამოდგა და კარებს მიუახლოვდა.

– თქვენი ძმისწული ვარ, პადრე სავერიო პირონე. თქვენთან საუბარს ვისურვებდი, თუ ნებას დამრთავთ.

მოხუცს ძალიან არ გაჰკვირვებია: პადრე პირონეს ან მისი

⁴⁴ უფალს ვმადლობთ (ლათ.).

შემცვლელის ვიზიტზე უკვე ორი თქვეა, რაც ლაპარაკობდნენ. ძია ტური მაღალი და ძლიერი მოხუცი იყო, მზითა და სეტყვით დამწვარი და გადამწვარი. სახეზე ის ბნელი ნაოჭები აჩნდა, რომლებითან გაჭირვება უკეთურ ადამიანებს დაღავს.

– შემოდი, – თქვა გაუღიმრად. გზა დაუთმო და უხალისოდ ხელზეც კი ემთხვია. პადრე პირონე უშველებელ ხის უნაგირზე ჩამოჯდა. სათავსო უალრესად ღარიბული იყო: კუთხეში ორი ქათამი ქექავდა რაღაცას და ირგვლივ ყველაფერს ნაკელის, სველი ტანისამოსისა და ცუდი სილატაკის სუნი მოსდებოდა.

– ბიძაჩემო, უკვე რამდენი წელია, რაც ერთმანეთი არ გვინახავს, მაგრამ ეს ჩემი ბრალი არაა. მე, თქვენ იცით, სოფელში არ ვცხოვრობ და თქვენც არასოდეს შემოდიხართ დედაჩემის, თქვენი რძლის სახლში. ეს ძალიან გვაღარდებს.

– მე იმ სახლში ფეხს არ დავდგამ, არასოდეს. ისედაც გული მერევა, წინ რომ ჩაუფელი. ტური პირონე არასოდეს ივინყებს უსამართლობას, ოცი წლის შემდეგაც.

– რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა. მაგრამ დღეს ნოეს კიდობნიდან გაშვებული მტრედის დანიშნულება უნდა შევასრულო, უნდა გამცნოთ, რომ წარღვნა დამთავრდა. ძალიან მიხარია, რომ აქ მოვედი და ნამდვილად ბედნიერი ვიყავი, როცა გუმინ სახლში მითხრეს, რომ სანტინოს, თქვენს ვაჟს, ჩემი დისწული, ანჯელინა დაუნიშნავს. ეს ორი მშვენიერი ახალგაზრდაა, ასე მეუბნებიან, და მათი შეერთება ბოლოს მოუღებს ჩვენს ოჯახებს შორის ჩამოვარდნილ გაუგებრობას, რომელიც მე, თუ ნებას დამრთავთ, ყოველთვის გულს მტკენდა.

ტურის სახეზე გამოსახული გაკვირვება ზედმეტად მკაფიო იყო, გულწრფელი რომ გენოდებინათ.

– ეს თქვენი წმინდა სამოსი რომ არა, მამაო, გეტყოდით, რომ ტყუიხართ. ვინ იცის, რა სისულეებს როშავენ თქვენი სახლის დედაკაცები. სანტინო თავის სიცოცხლეში არასოდეს დალაპარაკებია ანჯელინას. მორჩილი შვილია და მამის სურვილის სანინაალმდეგოდ არაფერს იზამს.

იეზუიტი ტკბებოდა მოხუცის თავშეკავებითა და მისი სიცრუის უშფოთველობით.

– როგორც ჩანს, ბიძაჩემო, მე მცდარი ცნობები მომანოდეს. წარმოიდგინეთ, ისიც მითხრეს, რომ მზითევეც კი შეთანხმებულხართ და დღეს შინ გელოდებიან თანხმობის მისა-

ლებად. რა ტყუილებს არ იგონებენ ეს უნამუსო დედაკაცები! მაგრამ მაშინაც კი, თუ ეს ყველაფერი სიმართლე არაა, მათი კეთილი გულის ზრახვებს მაინც გვიჩვენებს. ახლა, ბიძაჩემო, უკვე აზრი აღარა აქვს ჩემს აქ დარჩენას: ახლავე შინ ნავალ და ჩემს დას ვუსაყვედურებ. მაპატიეთ. ისე კი ძალიან მიხარია, ჯანმრთელად რომ ბრძანდებით.

მოხუცის სახეზე რალაცნაირი ხარბი ინტერესი გამოიხატა:

– მოიცადეთ, მამაო. ერთი კიდევ გამაგონეთ თქვენი სახლის ლაზღანდარობა. რა მზითევზე ლაპარაკობდნენ ეს ქორიკნები?

– აბა, მე საიდან ვიცი, ბიძაჩემო?! მგონი კიბაროს ნახევარზე იყო საუბარი. ნჩილინა, ასე ამბობდნენ, მათი თვალის ჩინია და ვერანაირი მსხვერპლი ვერ იქნება მცირე ოჯახში მშვიდობის დასამყარებლად.

დონ ტური აღარ იცინოდა. ფეხზე წამოდგა.

– სანტინო! – ისეთივე ძალით იყვირა, როგორც გაჯიუტებულ ჯორებს შეუძახებდა ხოლმე. და რადგანაც არავინ მოდიოდა, კიდევ უფრო ძლიერად დაიყვირა. – სანტინო! შენი ღმერთიც არ იყოს, რას აკეთებ მანდ?

და როცა დაინახა, როგორ შეტოკდა პადრე პირონე, მოხუცმა პირზე ხელი აიფარა მოულოდნელად ლაქუცა ყესტით.

სანტინო მეზობელ ეზოში საქონელს უვლიდა. დაშინებული შემოვიდა ხელში სარცხით. ოცდაორი წლის კაი ლამაზი ბიჭი იყო, მამასავით მაღალი და ხმელ-ხმელი, ჯერ გაუფუჭებელი მზერით. წინა დღით სხვებთან ერთად ნახა იეზუიტი სოფლის ქუჩებში და მაშინვე იცნო.

– ეს სანტინოა. ეს კი შენი ბიძაშვილი, პადრე სავერიო პირონეა. ღმერთს მადლობა შესწირე, რომ მისი მაღალღირსება აქ ბრძანდება, თორემ ყურებს დაგაჭრიდი. ეს რა სიყვარულები გაგიბამს, მე კი, მამაშენმა, არაფერი ვიცი ამის შესახებ? შვილები მამებისთვის იბადებიან და არა გოგოების სადევნელად.

ყმანვილმა დაიმორცხვა, ალბათ არა ურჩობის, არამედ უკვე მიღებული თანხმობის გამო. არ იცოდა, რა ეთქვა. მდგომარეობიდან გამოსასვლელად სარცხი მინაზე დააგდო და მღვდელს მიუახლოვდა კურთხევის მისაღებად. პადრე პირონემ ღიმილის ნიშნად კბილები გამოაჩინა და მიახლოებითი პირჯვარი გადასწერა.

- ღმერთმა გაკურთხოს, შვილო, თუმც კი მგონია, რომ არ იმსახურებ.

მოხუცი კი განაგრძობდა:

- ეს შენი ბიძაშვილი მეხვენა და მემუდარა, რომ შენთვის ჩემი თანხმობა მიმეცა. მაინც რატომ არ მითხარი ადრე? ახლა გასუფთავდი და ნჩილინას სახლში წავიდეთ.

- ერთი წუთი, ბიძაჩემო, ერთი წუთი, - პადრე პირონე ფიქრობდა, რომ ჯერ „ღირსების კაცს“ უნდა გასაუბრებოდა, რომელმაც არაფერი იცოდა. - შინ ჯერ გამზადება მოუნდებათ. თანაც მითხრეს, რომ შელამებისას გელოდებიან. ვახშამზე მობრძანდით და თქვენი ხილვა ბედნიერება იქნება.

მამა-შვილი მხრებზე მოეხვია და პადრე პირონეც უკან გაბრუნდა.

* * *

კუბის ფორმის სახლში კვლავ შესულმა პადრე პირონემ ნახა, რომ მისი სიძე, ვიჩენცინო უკვე დაბრუნებულიყო. ამიტომ ისლა მოახერხა, რომ მრისხანე ქმრის ზურგსუკან თვალი ჩაუკრა საკუთარ დას, და რადგანაც საქმე ორ სიცილიელს შორის ურთიერთობას ეხებოდა, ეს სრულიად საკმარისი აღმოჩნდა. ამის მერე თავის სიძეს განუცხადა, რომ მასთან საუბარი სურდა და ორივე სახლის უკან მდებარე დაჩონჩხილ ტალავერში გავიდნენ: სამღვდელო სამოსის ქვედა კიდე იეზუიტის ირგვლივ რალაცნაირ მოძრავ და დაურღვეველ საზღვარს ავლებდა; „ღირსების კაცის“ მსხვილი ღუნდულები კი ქედმაღლური მუქარის მარადიულ სიმბოლოდ გამოიყურებოდა. საუბარი მოსალოდნელისაგან მეტად განსხვავებული გამოდგა. როგორც კი დაარწმუნეს, რომ ქორწინება გარდაუვალია, „ღირსების კაცმა“ თავისი ქალიშვილის ქცევის მიმართ სრულიად მარმარილოსებური გულგრილობა გამოიჩინა. მაგრამ მზითვეზე პირველივე მინიშნების შემდეგ მისმა თვალებმა რისხვით იწყო ტრიალი, საფეთქლის ვენები დაებერა, სიარულისას კი გვერდიდან გვერდზე რხევა მართლაც გიჟური გაუხდა. პირიდან სრულიად წარმოუდგენელი ლანძღვა-გინების ჩანჩქერი გადმოუვიდა და მას კიდევ უფრო აძლიერებდა საშინელი ძალადობის მუქარა. მისი ხელი, რომელიც ქალიშვილის ნამუსის დასაცავად არ განძრეულა, ახლა ნერვულად აწვა-

ლებდა შარვლის ჯიბეს იმის ნიშნად, რომ თუ ნუშის ბალის დაცვა დასჭირდებოდა, ვიჩენცინოს გადანყვეტილი ჰქონდა სხვისი სისხლის ბოლო წვეთამდე დაღვრა.

პადრე პირონემ ლანძღვა-გინების წყაროს დაშრეტა აცალა და იმით შემოიფარგლა, რომ გამალებით ინერდა პირჯვარს, როცა სიძის სიტყვები ხშირად ღვთის გმობის ზღვარს სცილდებოდა. მკვლევლობის მომასწავებელ მოძრაობას კი სულაც არ აქცევდა ყურადღებას. ბოლოს, პაუზით ისარგებლა:

– გასაგებია, ვიჩენცინო, რომ მეც მინდა ჩემი წვლილი გავილო საქმის მოსაგვარებლად. იმ ქალადს, რომელიც მამაჩემის მემკვიდრეობის გარკვეულ წილს მიმტკიცებს, დავხევე და ნახევებს პალერმოდან გამოგიგზავნი.

ამ მალამომ მყისიერი შედეგი გამოიღო. ვინჩენცინომ ამ წინასწარი მემკვიდრეობის დათვლა განიზრახა და გაჩუმდა. მზით სავსე ჰაერში გაისმა ყალბი ნოტები სიმღერისა, რომელსაც ნჩილინა ღლინებდა და თან ბიძის ოთახში გვიდა იატაკს.

ნაშუადღევს ძია ტური და სანტინო მოვიდნენ. გასუფთავებულიყვნენ და თეთრი პერანგები ჩაეცვათ. ერთმანეთის გვერდიგვერდ დამსხდარი დანიშნულები დროდადრო ერთმანეთს გადახედავდნენ და უსიტყვო ხმაურიანი სიცილით აყრუებდნენ იქაურობას. მართლაც კმაყოფილნი ჩანდნენ. ნჩილინა იმით, რომ „ბედში ჩავარდა“ და ახლა მის განკარგულებაში ეს მშვენიერი ხვადიც იყო. სანტინო კი იმით, რომ მამის სურვილი შეასრულა და ახლა მოახლესა და ნუშის ბალის ნახევარს ფლობდა. მის ყურში კვლავ გარჭობილი წითელი გერანის ყვავილი აღარავის ეჩვენებოდა ჯოჯოხეთის ცეცხლად.

* * *

ორ დღეში პადრე პირონე პალერმოს გაემგზავრა. გზად მიღებულ შთაბეჭდილებებს აწესრიგებდა და ისინი მთლად სასიამოვნოდ არ ეჩვენებოდა: ეს წმ. მარტინის ზაფხულში მომწიფებული სიძვა, ეს წინასწარ განზრახული არშიყობით მოპოვებული ნუშის ბალის უბადრუკი ნახევარი შუქს ჰფენდა უკანასკნელ დროს მომხდარი სხვა მოვლენების საზიზღარ მხარეებს. დიდი ბატონები შეუვალნი და გამოუკვლეველნი იყვნენ, გლეხები – ცხადი და აშკარა. მაგრამ ეშმაკი ყველას ისე ათამამებდა, როგორც სურდა.

სალინას ვილაზე თავადი საუკეთესო განწყობით შეხვდა. დონ ფაბრიციომ ჰკითხა, როგორ გაატარა ის ოთხი დღე და ხომ არ დაავიწყდა დედისთვის მისი მოკითხვის გადაცემა. პადრე პირონეს დედა თავადმა ექვსი წლის წინ გაიცნო, როცა იგი სტუმრად იმყოფებოდა ვილაზე და სახლის პატრონები თავისი ქვრივული სიმშვიდით მოხიბლა. მოკითხვა იეზუიტს სრულიად დაეინწყნოდა და ამიტომაც გაჩუმდა, მაგრამ უთხრა, რომ დედამ და დამ თავისი პატივისცემა დაუდასტურეს თავადს, რაც მხოლოდ ზღაპარი იყო და, ესე იგი, სიცრუეზე ბევრად მსუბუქი რამ.

– თქვენო ბრწყინვალეებავ, – დასძინა შემდეგ, – მინდა გთხოვოთ, რომ იქნებ ხვალისათვის ეტლი გებრძანებინათ ჩემთვის: მთავარეპისკოპოსს საქორწინო ნებართვა უნდა ვთხოვო: ჩემი დისწული და ჩემი ბიძაშვილი დაინიშნენ.

– უეჭველად, პადრე პირონე, უეჭველად, თუ ასე გსურთ. მაგრამ ზევ მევ მივდივარ პალერმოში. შეგიძლიათ გამომყვეთ. რაო, ასე სასწრაფოა?

VI ნოემბერი 1862

მეჯლისზე გამგზავრება – მეჯლისი: პალაფიჩინოსა და სედა-
რას შემოსვლა; დონ ფაბრიციოს უკმაყოფილება – სამეჯლისო
დარბაზი – ბიბლიოთეკაში. დონ ფაბრიციო ანჯელიკასთან ცეკ-
ვავს – ვახშამი: საუბარი პალაფიჩინოსთან – მეჯლისის ტყნობა
და შინ დაბრუნება

დიდი ქალბატონი მარია-სტელა კარეტაში აბრძანდა, ბა-
ლიშების ლურჯ ატლასზე ჩამოჯდა და გარშემო რაც შეიძლე-
ბა მჭიდროდ შემოიკრიბა კაბის ნაკეცები. ამასობაში კონჩეტა
და კაროლინაც ამოდიოდნენ ეტლში: დედის პირდაპირ სხდე-
ბოდნენ და მათი ერთნაირი ვარდისფერი კაბები იის მსუბუქ
სურნელს გამოსცემდა. ამის შემდეგ საფეხურზე დაყრდნობი-
ლი ფეხის უსაშველო წონამ შეაქანა ეტლი მაღალ რესორებზე:
დონ ფაბრიციოც ამოდიოდა. კარეტა სულ მთლად გამოტენი-
ლი იყო: აბრეშუმის ტალღები, სამი კრინოლინის ჩონჩხი ერ-
თმანეთს ლამის თავების სიმაღლეზე ეხლებოდა და ერეოდა
ერთმანეთს. ქვეშ კი ერთმანეთში ირეოდა დიდი ქალბატონის
ჩექმები *mordoré*, ქალიშვილების აბრეშუმის ფეხსაცმელი, თა-
ვადის ლაქის შტიბლეტები. თითოეული სხვისი ფეხების შეხე-
ბით იტანჯებოდა და საკუთარს ველარ გრძობდა.

ორსაფეხურიანი ასასვლელი ასნიეს, მსახურმა მიიღო ბრძა-
ნება – „პონტელეონეს სასახლეში!“ – და ისიც კოფოზე ავიდა.
მეჯინიბე, რომელსაც სადავე ეჭირა, ჩამოსცილდა, მეეტლემ
შეუმჩნევლად დაანკლაპუნა ენა და კარეტა წინ გაასრიალდა.

მეჯლისზე მიემგზავრებოდნენ.

პალერმო იმხანად საერო ელიტური ცხოვრების ერთ-ერთ
გარდამავალ პერიოდს განიცდიდა. მეჯლისები ხშირი იყო. პი-
ემონტელების შემოსვლის, ასპრომონტეს მარცხის შემდეგ,
როცა ექსპროპრიაციისა და ძალმომრეობის მოჩვენებები ჰა-
ერში გაიბნა, „მაღალი საზოგადოების“ შემადგენელი ორასი-
ოდე პიროვნება დაუღალავად იკრიბებოდა. ერთი და იგივე სა-
ხეები ერთმანეთს ულოცავდნენ, რომ კვლავაც განაგრძობ-
დნენ არსებობას.

იმდენად ხშირი იყო სხვადასხვა და მაინც ერთი და იგივე

დღესასწაული, რომ თავადი სალინას ოჯახი სამი კვირით თავის ქალაქის სასახლეში გადმოვიდა საცხოვრებლად, რომ ყოველ საღამოს სან ლორენცოდან ხანგრძლივი მგზავრობა აეცილებინათ თავიდან. ქალბატონების კაბები ნეაპოლიდან ჩამოდიოდა კუბოების მსგავს გრძელ შავ ყუთებში, სახლში კი მოდისტების, პარიკმახერებისა და ხარაზების გაუთავებელი მისვლა-მოსვლა იყო გამართული. გალიზიანებულ მსახურებს ნამდაუნუმ დაჰქონდათ მკერავებთან ამალეღვებელი ბარათები. პონტელეონეს მეჯლისი იმ ხანმოკლე სეზონის ყველაზე მნიშვნელოვანი ზეიმი უნდა ყოფილიყო: ყველასათვის მნიშვნელოვანი საგვარეულოსა და სასახლის ბრწყინვალეობით, მონვეულთა რიცხვით. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი სალინათათვის, რადგანაც აქ უნდა წარედგინათ „საზოგადოებისათვის“ ანჯელიკა, დისწულის მშვენიერი საცოლე.

თერთმეტის ნახევარი იყო, თავადი სალინასათვის ჯერ ძალიან ადრე იყო მეჯლისზე მისასვლელად, რადგანაც იგი ყოველთვის მაშინ უნდა შემოსულიყო, როცა ზეიმი მთელი თავისი მხურვალეობით იქნებოდა გაშლილი. ამჯერად კი სხვანაირად არ შეიძლებოდა, სედარების შემოსვლისას იქ უნდა ყოფილიყვნენ – ეს ხომ ისეთი ხალხი იყო („ჯერ არ იციან, საბრალოებმა“), რომელიც პრიალა მოსანვევზე აღნიშნულ დროს პირდაპირი მნიშვნელობით იგებს. რალაც ძალები იმაზეც დაიხარჯა, რომ მათთვის ეს ბარათი ეშოვათ: მათ არავინ იცნობდა. ამიტომაც დიდი ქალბატონი მარია-სტელა იძულებული გახდა, ვიზიტით ხლებოდა მარგერიტა პონტელეონეს. ყველაფერი მოგვარდა, რა თქმა უნდა, მაგრამ ეს მაინც ერთ-ერთი იმ ეკალთაგანი იყო, რომელიც ტანკრედის არჩევანმა შეასო ლეოპარდის სათუთ თათებს.

პანტელეონეს სასახლემდე ხანმოკლე მგზავრობა ბნელი ქუჩაბანდების ლაბირინთში გადიოდა ნაბიჯით: ვია სალინა, ვია ვალვერდე, ბამბინაის დაღმართი, რომელიც ასეთი ჭრელი იყო დღისით ცვილის ქანდაკებათა სახელოსნოების წყალობით და ასეთი პირქუში ღამით. ცხენების ნალები ფრთხილად თქარუნებდნენ მძინარე ან თავმომძინარებულ სახლებს შორის.

ქალიშვილები, ეს იდუმალი არსებები, რომელთათვისაც მეჯლისი სიამოვნებაა და არა მოსაწყენი ელიტური ვალდებუ-

ლება, ჩუმად და მხიარულად ყლურტულებდნენ. დიდი ქალბატონი მარია-სტელა ხელჩანთას სინჯავდა, რათა დარწმუნებულიყო, რომ „აქროლადი მარილის“ ფლაკონი წამოეღო. დონ ფაბრიციო წინასწარ იგემოვნებდა ეფექტს, რომელსაც ანჯელიკას სილამაზე მოახდენდა მათზე, ვინც მას არ იცნობდა, და რომელსაც ტანკრედის ილბალი მოახდენდა მათზე, ვინც მას იცნობდა. ამ კმაყოფილებას მხოლოდ ერთი ჩრდილი აჩნდა: როგორი იქნება დონ კალოჯეროს ფრაკი? რა თქმა უნდა, ისეთი არა, როგორც დონაფუგატაში: ეს საკითხი ტანკრედის მიანდეს და მანაც სასიამორო არა მარტო საუკეთესო მკერავთან მიიყვანა, არამედ პირადად დაესწრო მოზომვებს. ოფიციალურად კმაყოფილი იყო მიღებული შედეგებით, მაგრამ ჩუმად მაინც თქვა: „ფრაკი ისეთია, როგორც საჭიროა, მაგრამ რას იზამ, ანჯელიკას მამას პენი აკლია“. ამის უარყოფა შეუძლებელი იყო. მაგრამ ტანკრედი მაინც დადგა სრულყოფილი გაპარსვისა და შესახედი ფეხსაცმლის გარანტად. ეს უკვე არ იყო ცოტა.

იქ, სადაც ბამბინაის დაღმართი წმ. დომინიკის ეკლესიის აფსიდას უახლოვდება, ეტლი შეჩერდა: ზანზალაკის სუსტი წკარუნი ისმოდა და თალის შიგნიდან ხელში პირველმენიერული ძღვნით სავსე ბარძიმით ხელში მღვდელი გამოჩნდა. მის უკან სტიქროსანს თეთრი ოქროთი მოქარგული ქოლგა მოჰქონდა. წინ სხვა სტიქროსანს მარცხენა ხელში ცვილის მსხვილი ანთებული სანთელი ეჭირა, მარჯვენათი კი მხიარულად აჟღერებდა ვერცხლის ზანზალაკს. ესე იგი, ამ ჩაკეტილი სახლებიდან ერთ-ერთი თავის შიგნით აგონიას მალავდა – იქით მიაბრძანებდნენ უკანასკნელ ზიარებას.

დონ ფაბრიციო ეტლიდან ჩამოვიდა, ზედ ტროტუარზე მუხლი მოიყარა. ქალბატონებმა პირჯვარი გარდაისახეს. ზანზალაკის წკარუნი მიწყდა სან ჯაკომოს მხარეს მიმავალ შესახვევში. ეტლი და ამ მაცხოვრებელი შეგონებით დამძიმებული მისი მგზავრები კვლავ გაემართნენ მოგზაურობის უკვე მოახლოებული მიზნისკენ.

ბოლოს მიაღწიეს, სადარბაზოსთან ჩამოვიდნენ. ეტლი კი ეზოს სივრცეში მიიმალა, საიდანაც ადრე მოსული ეკიპაჟების ცხენების ფრუტუნი და ფარნების ციმციმი აღწევდა.

სადარბაზოს კიბე საკმაოდ მოკრძალებული მასალისაგან, მაგრამ უაღრესად კეთილშობილი პროპორციებით იყო აგებული. ყოველი საფეხურის გვერდითა კიდეებზე დადგმული უბრალო ყვავილები მკვეთრ სურნელს ავრცელებდა. ბაქანზე, რომლის შემდეგაც კიბე ორ ფრთად იყოფოდა, ყირმიზი ლივრეებით მოსილი ორი გაპუდრული და უძრავი მსახური ფერადოვან ლაქას მატებდა ირგვლივ გაბატონებულ მარგალიტისფერ რუხს. ორი მაღალი და ოქროსფერი რიკულებით დამშვენებული ფანჯრიდან ბავშვების სიცილი და ბუტბუტი ისმოდა: მეჯლისზე არდაშვებული პონტელეონეს შვილიშვილები შურს სტუმრების გამოჯავრებით იძიებდნენ. ქალბატონები აბრეშუმის ნაკეცებს ასწორებდნენ, ილღიაში სტეკამოჩრილი დონ ფაბრიციო მათზე მთელი თავით მაღალი იყო, თუმცა კი ერთი საფეხურით ჩამორჩებოდა. პირველი სალონის კარებთან მასპინძლები შეეგებნენ: დონ დიეგო, ჭაღარა ლიპიანი, რომელსაც მხოლოდ თვალების მსუსხავი მზერა განასხვავებდა მდაბიოსაგან; დონა მარგერიტა, რომელიც დიადემისა და ზურმუხტის სამმაგი ყელსაბამის კაშკაშს მიღმა მოხუცი დეკანოზის კაუჭა სახეს აჩენდა.

– ადრე მობრძანებულხართ! მით უკეთესი! არხეინად იყავით, თქვენი მოწვეულები ჯერ არ გამოჩენილან, – ახალი ხიჭვი შეესო ლეოპარდის მგრძნობიარე ბრჭყალებს. – ტანკრედი უკვე აქაა.

მართლაც, სალონის მოპირდაპირე კუთხეში, გველივით ნვრილ და შავ დისნულს წრეში ეჭირა სამი თუ ოთხი ყმანვილი და სიცილის კრუნჩხვებს ჰგვრიდა თავისი ნამდვილად რისკიანი ისტორიებით, მაგრამ არ ავინყდებოდა თავისი სულ მუდამ აფორიაქებული მზერით შემოსასვლელი კარის თვალთვალი. ცეკვები უკვე დაწყებულიყო და სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი სალონის იქით საცეკვაო დარბაზიდან პატარა ორკესტრის ხმა ისმოდა.

– პოლკოვნიკ პალავიჩინოსაც ველოდებით, აი, იმას, ასპრომონტეში რომ ასე კარგად მოიქცა.

პონტელეონეს ეს ფრაზა თითქოს მარტივი ჩანდა, მაგრამ მარტივი არ ყოფილა. მის ზედაპირზე მხოლოდ ფაქტის კონსტატაცია იყო, პოლიტიკურ საზრისს მოკლებული და მონო-

დებული იმ ტაქტის, დელიკატურობის, სულიერი ძრწოლისა და ლამის ალერსის შესაქებად, რომლებიც გენერლის ფეხის ტყვიით გახვრეტისას გამოვლინდა. გარდა ამისა, ეს ფრაზა ხოტბას ასხამდა ამას მოყოლილ თავის დაკვრებს, მუხლმოყრებსა და ხელზე კოცნებსაც კი, რომლებიც დაჭრილ გმირს დაახვიეს, კალაბრიის ერთ-ერთ მთაზე ნაბლის ქვეშ რომ ინვა და უფრო ალელვებით ილიმებოდა, ვიდრე ირონიით, თუმც კი ირონიის უფლება ნამდვილად ჰქონდა (ვაი რომ, გარიბალდი სრულიად მოკლებული იყო იუმორის გრძობას). თავადის გონების ერთ-ერთ საშუალოდ ფენაში წინადადებას ტექნიკური მნიშვნელობა მიიღო და გულისხმობდა პოლკოვნიკის ქებას იმისათვის, რომ მან ასე მამაცად შეკრიბა თავისი ბატალიონები და შეძლო, წარმატებით დაპირისპირებოდა იმავე მოწინააღმდეგეს, რომელთანაც გაუგებარი მიზეზების გამო კატალაფიმიისთან დამარცხდა ლანდი. მაგრამ გულის სიღრმეში თავადი იმასაც ფიქრობდა, პოლკოვნიკი „კარგად“ იმიტომ მოიქცა, რომ შეძლო გარიბალდის შეჩერება, დამარცხება, დაჭრა და დატყვევება, რითაც იხსნა საქმის ძველსა და ახალ ვითარებას შორის ასე გაჭირვებით მიღწეული კომპრომისი.

კიბზე სახოტბო სიტყვებითა და კიდევ უფრო სახოტბო განაზრებებით გამოხმობილი, ლამის შექმნილი პოლკოვნიკი გამოჩნდა. ყანიმების, ძენკვების, დეზებისა და სამშენისების წკრიალში მოდიოდა, კარგად მორგებული ორბორტიანი მუნდირით, მკლავზე დასვენებული პლუმაჟიანი კივერითა და მარცხენა მაჯას ვადით დაყრდნობილი მოხრილი ხმლით. ნამდვილად მაღალი საზოგადოებისა და უზადო მანერების კაცი იყო და, როგორც უკვე მთელმა ევროპამ იცოდა, დახელოვნებული იყო განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ხელზე ამბორებში. ყოველ ქალბატონს, რომლის თითებსაც იმ საღამოს მისი სურნელოვანი უღვაშები შეეხო, მიეცა პოპულარული გაზეთების წყალობით უკვე აღზევებული ისტორიული მომენტისა და მისი პირდაპირი მიზეზის უშუალო შეცნობის საშუალება.

მას შემდეგ, რაც პონტელეონეს მიერ თავზე გადასხმული საქებარი შხაპი აიტანა და დონ ფაბრიციოს მიერ განოდებული ორი თითი ჩამოართვა, პალავიჩინო მყისვე შეერია სირაქლემას ბუმბულებით დამშვენებული ქალბატონების სურნელოვან გუნდს. მისი შეგნებულად მამაკაცური ნაკვთები

მკვეთრად გამოიყოფოდა ქალების სპეციაკი მხრების გარემოცვაში, საიდანაც მისი მონყვეტილი ფრაზები ისმოდა: „ვტიროდი, ქალბატონო, ბატარა ბიჭივით ვტიროდი“, ანდა „ის მშვიდი და მშვენიერი იყო, როგორც მთავარანგელოზი“. მისი ხვადური სანტიმენტალობა იტაცებდა მისი ბერსალიერების თოფებით დაცული ქალბატონების გულებს.

ანჯელიკა და დონ კალოჯერო იგვიანებდნენ და სალინას ოჯახის ნევრებმა უკვე სხვა სალონებში გასვლა ოფიქრეს, როცა ტანკრედიმ ერთბაშად მიატოვა თავისი ჯგუფი და ელვის სისწრაფით გაექანა შესასვლელისკენ: ვისაც ელოდა, შემოდოდნენ. სავალდებულო კრინოლინის ვარდისფერ გრიგალს ზემოთ ანჯელიკას ქათქათა მხრები რბილად ეშვებოდა ძლიერი და ნაზი მკლავებისაკენ. პატარა და ამაყი თავი ნორჩსა და მალალ, განგებ ძალიან მოკრძალებული მარგალიტებით დამშვენებულ ყელზე აღმართულიყო. როდესაც გრძელი ხელთათმანიდან მისი არცთუ პატარა, მაგრამ სრულყოფილი ფორმის ხელი გამოსრიალდა, თვალისმომჭრელად აელვარდა ნეაპოლური საფირონი. დონ კალოჯერო კვალდაკვალ მიჰყვებოდა, როგორც ალისფერი ვარდის მცველი თავუნა. მისი ტანისამოსი ელეგანტურობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ ამჯერად შეეხედებოდა მაინც. ერთადერთი შეცდომა ის იყო, რომ ფრაკის საყელოზე ახლახან მიღებული იტალიის გვირგვინის ჯვარი დაებნია, თუმცა ისიც მალევე გაქრა ტანკრედის ფრაკის ერთ-ერთ საიდუმლო ჯიბეში.

საქმრომ უკვე ასწავლა ანჯელიკას უგრძნობელობა, ღირსების საფუძველი („საყვარელო, შენ შეგიძლია ექსპანსიური და ხმაურიანი იყო მხოლოდ ჩემთან, დანარჩენებისათვის შენ მომავალი ქალბატონი ფალკონერი ხარ, მრავალთა მიმართ მალალი და ყველას მიმართ თანასწორი“). ამიტომაც მასპინძელი ქალბატონისადმი მისი მისალმება თუმც უშუალო არ ყოფილა, მაინც ქალწულებრივი მოკრძალების, ნეო-არისტოკრატიული ქედმაღლობისა და ახალგაზრდული სინატიფის წარმატებული ნარევი იყო.

ბოლოს და ბოლოს, პალერმოელებიც იტალიელები არიან და სხვებზე ნაკლებად არ გრძნობენ სილამაზის ეშხსა და სიმდიდრის პრესტიჟს. გარდა ამისა, ტანკრედის, მისი მიმზიდველობის მიუხედავად, უფულობის გამო არასასურველ პარტი-

ად მიიჩნევდნენ (მართალია, სრულიად მცდარად, როგორც მაშინ გამოჩნდა, როცა უკვე გვიანი იყო). ამიტომ მის ღირსებებს უფრო გათხოვილი ქალბატონები აფასებდნენ, ვიდრე გასათხოვრები. ამ ღირსებათა და ნაკლოვანებათა ერთობლიობამ გამოიწვია, რომ ანჯელიკას მოულოდნელი სიტუაციით შეხვდნენ. კაცმა რომ თქვას, ზოგიერთმა ყმანვილმა კი იხანა მწარედ, რომ თვითონ არ წააწყდა მონეტებით გამოტენილ ამ უმშვენიერეს ამფორას. მაგრამ დონაფუგატა დონ ფაბრიციოს ფეოდი იყო და თუ მან იქ იპოვა ეს განძი და საყვარელ ტანკრედის გადაულოცა ის, იმაზე მეტად სადარდებელი ვერ იქნებოდა, მაგალითად, საკუთარ მიწაზე გოგირდის საბადო რომ აღმოეჩინა: ესეც მისი საკუთრება იყო და სალაპარაკოც არაფერი რჩებოდა.

უნდა ითქვას, რომ ამ სუსტ წინააღმდეგობასაც აცამტკე-რებდა ანჯელიკას თვალების ელვარება. რაღაც წამში ყმანვი-ლების მთელი ბრბო დაეხვია წარდგენისა და ცეკვის სურვი-ლით: თითოეულ მათგანს ანჯელიკა მარწყვის ტუჩებით ღი-მილს უნანილებდა, თითოეული მათგანის თვალწინ ფრიალებ-და მისი carnet, რომელზედაც ყოველი პოლკის, მაზურკისა და ვალსის ქვეშ ერთადერთი მფლობელის ხელმოწერა იხილვე-ბოდა: ფალკონერი. ახალგაზრდა ქალბატონებიდან კი მრავა-ლი სთავაზობდა პირდაპირ „შენობით საუბარს“. ასე რომ, ერთ საათში ანჯელიკა მშვენივრად გრძნობდა თავს მათ შო-რის, ვისაც მცირედი წარმოდგენაც არ გააჩნდა დედამისის ვე-ლურობასა და მამამისის სიძუნწეზე.

მის ქცევას არასოდეს უღალატია: არავის არ უნახავს იგი მარტო, ფიქრებში გართული, არასოდეს არ მოსცილებია მისი მკლავები სხეულს, არასოდეს არ ასცილებია მისი ხმა სხვა ქალბატონების ისედაც საკმაოდ მაღალ დიაპაზონს. ეს კი იმი-ტომ, რომ ტანკრედიმ წინა საღამოს უთხრა:

– იცი, საყვარელო, ჩვენ (და ესე იგი შენც) ჩვენს სახლებსა და ავეჯს სხვა ნებისმიერ საგანზე უფრო მაღლა ვაყენებთ. არაფერი არ შეურაცხვეყოფს ამის მიმართ გულგრილობაზე უფრო მეტად. ამიტომაც ყველაფერი დაათვალიერე და ყვე-ლაფერი შეაქე, თანაც პონტელეონეს სასახლე ამას იმსახუ-რებს. მაგრამ იმის გამო, რომ უკვე ყველაფრით გაკვირვებუ-ლი პროვინციელი ქალიშვილი აღარა ხარ, ყოველთვის შემოი-

ნახე რალაც საქებარი სიტყვა. აღფრთოვანდი, რა თქმა უნდა, მაგრამ ყოველთვის შეადარე რალაც ადრე ნანახ არქექტიპს, რომელიც აუცილებლად ამის ღირსი უნდა იყოს.

დონაფუგატას სასახლეში ხანგრძლივმა ვიზიტებმა ბევრი რამ ასწავლა ანჯელიკას. ამიტომაც ყველა გობელენი შეაქო, მაგრამ თქვა, რომ პიტის სასახლეში გობელენებს უფრო ლამაზი არშეიბი ჰქონდა. დოლჩის მადონათიც აღტაცებული დარჩა, მაგრამ ისიც დასძინა, რომ გრანდუკას უკეთესად გამოესახა ღვთისმშობლის მელანქოლია. ის კი არა, როცა მზრუნველმა ახალგაზრდა ბატონმა ტორტის ნაჭერი შესთავაზა, ანჯელიკამ თქვა, რომ ტორტი საოცრად გემრიელია, თითქმის ისეთივე, როგორსაც „მონსუ გასტონი“, სალინას მზარეული აცხობს. და რადგანაც „მონსუ გასტონი“ მზარეულთა შორის რაფაელი იყო, ხოლო პიტის სასახლის გობელენები – ხალიჩათა შორის აღიარებული „მონსუ გასტონი“, ვერავინ იპოვა საპირისპირო სათქმელი, პირიქით, ყველანი ნასიამოვნები დარჩნენ შედარებით და ანჯელიკამაც, იმ საღამოდან მოყოლებული, დაიმკვიდრა ხელოვნების თავაზიანი თუმცაღა მკაცრი და შუურყვევლი მცოდნის სახელი, რომელიც უსაფუძვლოდ გაჰყვა მას მთელი ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში.

სანამ ანჯელიკა დაფნებს იმკიდა, მარია-სტელა ორ ძველ მეგობარ ქალბატონთან ერთად დივანზე ჩამომჯდარი ჭორაობდა, ხოლო კონჩეტა და კაროლინა თავიანთი მორცხვობით ცივ წყალს ასხამდნენ ყველაზე კეთილშობილ ყმანვილებს, დონ ფაბრიციო სალონიდან სალონში დაეხეტებოდა: ხელზე კოცნიდა შემხვედრ ქალებს, მხრებს უნგრევდა მამაკაცებს თავისი ძალუმი მილოცვებით, მაგრამ გრძნობდა, რომ თანდათანობით ცუდი განწყობა იპყრობდა. უპირველეს ყოვლისა, სახლი არ მოსწონდა: პონტელეონეს სამოცდაათი წელია, რაც მისი მოწყობილობა არ განუახლებია და ირგვლივ კვლავაც დედოფალ მარია-კაროლინას დროინდელი ავეჯი იდგა. თავადი თავისი მოდერნისტული გემოვნებით ამაცობდა და ამიტომაც შუურაცხყოფილად გრძნობდა თავს.

– ღმერთო ჩემო, დიეგოს შემოსავლის პატრონს უნდა გაუჭირდეს ყველა ამ „ტრიუმოს“, ყველა ამ გამქრქალეული სარკის თავიდან მოშორება?! რა იქნება, პალისანდრის მოხავერ-

დებული ავეჯით რომ მოანყოს აქაურობა?! თვითონაც ხალ-
ვათად იქნება და სტუმრებსაც არ მოუნევთ ამ კატაკომბებში
ბოდიალი. ბოლოს და ბოლოს, ვეცყვი!

მაგრამ არც არასოდეს უთქვამს დიეგოსათვის, რადგანაც
ეს თვალსაზრისები მხოლოდ მისი ცუდი განწყობისაგან და
დაპირისპირების ჩვევისაგან მომდინარეობდა, ამიტომაც მა-
ლევე ეძლეოდა დავინყებას. თვითონაც არაფერს ცვლიდა
არც დონაფუგატაში და არც სან ლორენცოში. და მაინც ცუდი
განწყობა კიდევ უფრო გაუძლიერდა.

არც მეჯლისზე დამსწრე ქალები მოსწონდა: ხანში შესულ-
თა შორის ორი თუ სამი ადრე მისი საყვარელი იყო და როცა
ახლა წლებით დამძიმებულ მათ გარეგნობას უყურებდა, მეხ-
სიერებაში მათი ოცი წლის წინანდელი სახის აღდგენა უჭირდა
და ღიზიანდებოდა იმის გაფიქრებაზე, რომ საუკეთესო წლები
დახარჯა მსგავს ფეთხუმებზე ნადირობასა და მათს მონადი-
რებაში. მაგრამ ახალგაზრდებიც არ ეუბნებოდნენ ბევრს რას-
მე, თითო-ოროლას გამოკლებით: ნორჩი ქალბატონი პალმა,
რომლის ნაცრისფერი თვალები და მიხრა-მოხრის მკაცრი ჰა-
ეროვნება ხიბლავდა; ტუტუ ლასკარიც, რომელთანაც, თვი-
თონ რომ უფრო ახალგაზრდა ყოფილიყო, შეძლებდა რაღაც
განსაკუთრებული თანხმობის გამოძებნას. მაგრამ სხვები...
კიდევ კარგი, დონაფუგატას წყვილიადიდან ანჯელიკა ამო-
ცურდა, რათა პალერმოელებისათვის ეჩვენებინა, რას ნიშ-
ნავს ლამაზი ქალი.

ამას კი ვერ უარყოფდი: იმხანად ბიძაშვილთა შორის გახ-
შირებულმა ქორწინებამ, რომელსაც ხან სექსუალური სიზარ-
მაცე და ხანაც მინათმფლობელური ანგარიშები კარნახობდა,
კვებაში პროტეინების ნაკლებობამ და სახამებლის სიჭარბემ
სალონები დაუჯერებლად ტანდაბალი, წარმოუდგენლად
მწვანე პირისახისა და აუტანლად ენაბლუ ქალიშვილების
ბრბოებით აავსო. ისინი დროს ერთად ატარებდნენ და დაშინე-
ბულ ყმანვილებს მხოლოდ გუნდური შეძახილებით ინვევ-
დნენ. მათი ერთადერთი ბედი იყო ფონად გამოსდგომოდნენ
სამ ან ოთხ მართლაც მშვენიერ ქალს, რომლებიც, როგორც
ოქროსთმიანი მარია პალმა ან ულამაზესი ელეონორა ჯარდი-
ნელი, გედებივით მიირხეოდნენ ბაყაყებით დასახლებულ
ტბორში. რაც უფრო დიდხანს უყურებდა, მით უფრო ღიზიან-

დებოდა თავადი. მისი ხანგრძლივი მარტოობითა და აბსტრაქტული აზრებით განპირობებულმა გონებამ, სწორედ მაშინ, როცა გრძელ გალერეაში დადგმული ტახტის გასწვრივ გადიოდა, სადაც ამ ქმნილებათა ხმაურიანი კოლონია დასახლებულიყო, რაღაც ჰალუცინაციის მსგავსი მოჰგვარა: მოეჩვენა, რომ ზოოლოგიური პარკის დარაჯი იყო, რომელსაც ასიოდე მაიმუნის ყურისგდება და თვალთვალი ჰქონდა დავალებული. ისე ეგონა, ერთი ნამიცი და ყველანი ჭალებზე აძვრებოდნენ, იქ კუდებით დაეკიდებოდნენ და მოჰყვებოდნენ ქანაობას, ქვეყნის დასანახად გამოუფენდნენ უკანალებს, კაკლის ნაჭუჭების სროლას დაინყებდნენ და მშვიდობიან დამთვალეიერებლებს ჭყვივითა და კბილების კრეჭით შეხედებოდნენ.

უცნაური სათქმელია, მაგრამ ამ ზოოლოგიური ხილვიდან რელიგიურმა გრძნობამ გამოიყვანა. მართლაც, კრინოლინებში გამონყობილი მანჭიების გუნდიდან მონოტონურად და განუწყვეტლად ისმოდა ნმიდა სახელი: „მარია! მარია!“ – გაუთავებლად წარმოთქვამდნენ ეს საბრალო ქალები. „მარია! რა მშვენიერი სახლია!“, „მარია! რა გადასარევი კაცია ეს პოლკოვნიკი პალავიჩინო!“, „მარია! როგორ მტკივა ფეხები!“, „მარია! როგორ მომშვიდა! როდის გახსნიან ბუფეტს?“. ყოვლადნმიდა ქალწულის სახელი, ქალწულთა ამ გუნდის მიერ მოხმობილი, ავსებდა გალერეას და მაიმუნებს კვლავ ქალებად აქცევდა, რადგანაც ჯერ არ მოსულიყო ცნობა, რომ ბრაზილიის ჯუნგლების ლემურები კათოლიკურ სარწმუნოებაზე მოქცეულიყვნენ.

ოდნავ გულარეული თავადი გვერდით სალონში შევიდა: იქ კი მამაკაცთა განსხვავებული და მტრული ტომი იყო დაბანაკებული. ახალგაზრდები ცეკვავდნენ და სალონში მხოლოდ ხანდაზმულები, მისი მეგობრები შეკრებილიყვნენ. ერთხანს მათთან ერთად დაჯდა: აქ უკვე ამოად არ მოიხსენიებდნენ ზეციურ დედოფალს, მაგრამ, სამაგიეროდ, ჰაერს უაზრო და ბრტყელ-ბრტყელი საუბრები ამღვრევდა. ამ ბატონთა შორის დონ ფაბრიციოს „უცნაურის“ სახელი ჰქონდა გავარდნილი. მისი ინტერესი მათემატიკისადმი ლამის მანკიერ პერვერსიად განიხილებოდა და ის რომ თვით თავადი სალინა არ ყოფილიყო და ცნობილი არ ყოფილიყო როგორც ბრწყინვალე მოჯირითე, დაულალავი მონადირე და თანაც მოქალთანე, თავისი

პარალაქსები და ტელესკოპები ნამდვილად საყოველთაო განკვეთის ფასად დაუჯდებოდა. მაგრამ მას ისედაც იშვიათად მიმართავდნენ, რადგან მისი თვალების ლურჯი სიცივე, მძიმე ქუთუთოებს გამოძკრთალი, თანამოსაუბრეებს თავგზას უბნევდა და მას ხშირად თავს არიდებდნენ არა პატივისცემით, როგორც თვითონ ეგონა, არამედ შიშის გამო.

ფეხზე წამოდგა. მელანქოლია უკვე ნამდვილად შავ ნალექლად ჰქცეოდა. სისულელე ჩაიდინა ამ მეჯლისზე მოსვლით: სტელა, ანჯელიკა, ქალიშვილები მის გარეშეც მშვენივრად გაართმევდნენ თავს. თვითონ კი ამ დროს ნეტარად გაატარებდა ვილა სალინას ტერასის გვერდით მდებარე კაბინეტში. შადრევნების ჩუხჩუხს მოუსმენდა და კომეტების კუდიტ დაჭერას შეეცდებოდა.

— ოღონდ უკვე მოსულნი ვართ. ახლა წასვლა არ ივარგებს. წავალ, მოცეკვავეებს დავხედავ.

* * *

საცეკვაო დარბაზს სულ მთლად ოქრო ამშვენებდა: კარნიზებთან პრიალა, კარების გარშემო კი ნაოჭებად შემოკეცილი. ღია, თითქმის ვერცხლისფერი ორნამენტები მუქ ოქროსფერ ფონზე დაუყვებოდა კარებსა და დარაბებს, რომლებითაც არათუ დაფარეს, მართლაც რომ გააუქმეს ფანჯრები და მთელს დარბაზს ქედმაღლობის იერი მიანიჭეს, იდუმალ ზარდახშას დაამსგავსეს, რათა მასში უღირს გარემო სამყაროს არ შეეღწია. ეს არ იყო ის ურცხვი მოოქროვება, რომელსაც დღეს უზომოდ იყენებენ დეკორატორები, არამედ ძველი თითქოს გახუნებული ოქრო, ფერმკრთალი, როგორც ზოგი ჩრდილოელი გოგონას თმები. ეს ოქრო თითქოსდა იმას ცდილობდა, საკუთარი ღირებულება დაემალა იმ უკვე დაკარგული მოკრძალების ქვეშ, რომლითაც ძვირფასი მასალა თავის მშვენიერებას აჩვენებს და თავის ფასზე არ აფიქრებინებს მნახველს. აქა-იქ, პანელზე როკოკოს სტილის ყვავილები ჩანდა, იმდენად ფერწასული, რომ სინითლე მხოლოდ ჭალების ათინათის წყალობით ეტყობოდათ.

ეს მზიანი ფერადოვნება, ელვარებათა და შუქ-ჩრდილთა მრავალფეროვნება, მაინც გულს სტიკენდა დონ ფაბრიციოს, შავი და წელგამართული რომ იდგა კარებში. ამ აშკარად პატ-

რიციულ დარბაზში სოფლის სურათებს წარმოიდგენდა: ფერადოვანი ტემბრი დონაფუგატას ირგვლივ მიმოფენილ გადამხმარ მინდვრებს აგონებდა, ტკივილის ექსტაზით მოცულთ, მზის ტირანიისგან ხსნის მავედრებელთ. ამ დარბაზშიც, როგორც ფეოდებში, აგვისტოს შუა რიცხვებში მოსავალი უკვე აღებული და დაბინავებული იყო, აქაც ამ მდიდარ მოსავალს მხოლოდ ნამჯის ღეროების ფერი მოაგონებდა, გამხმარი და უსარგებლო. ვალსი, რომლის ნოტები ავსებდა თბილ ჰაერს, დონ ფაბრიციოს მხოლოდ ქარის გაუთავებელი კვნესის სტილიზაციად ეჩვენებოდა, რომელიც თავისი მგლოვიარე ქნარით მინის წყურვილისაგან მომაკვდავ ზედაპირს დასტირის გუშინ, ხვალ, დღეს, მუდამ, მუდამ, მუდამ. მოცეკვავეთა დასი, რომელთა შორის მრავალი იყო მისი გულით თუ არა, ხორციტ ახლობელი, უკვე ირეალურად მიაჩნდა, თითქოსდა იმ მატერიისაგან ყოფილიყო შექმნილი, რომლისგანაც მარადიული მოგონებები იქსოვება და რომელიც იმაზე უფრო სუსტია, საშინელ სიზმრებში რომ გვტანჯავს. დარბაზის ჭერზე გამოსახული ღმერთები ქვევით იყურებოდნენ, მომლიმარნი და ზაფხულის ზეცასავით ულმოებლნი. თავიანთი თავი უკვდავად მიაჩნდათ, სანამ პიტსბურგში (პენსილვანია) დამზადებულმა ბომბმა სანინალმდეგო არ დაუმტკიცა 1943 წელს.

– მშვენიერია, თავადო, მშვენიერია! ახლა უკვე ასეთ სილამაზეს ვერ შექმნი, ოქროზე დღევანდელი ფასების გათვალისწინებით! – სედარა მიახლებოდა, მისი ფხიზელი და წერილი თვალები გაფაციცებით აკვირდებოდნენ დარბაზს, სილამაზის მიმართ უგრძნობნი, ფულადი ღირებულების მიმართ ყურადღებიანნი.

დონ ფაბრიციომ ერთბაშად იგრძნო, რომ ეს კაცი სძულდა. სწორედ მისი და ასეულობით მისი მსგავსის გამოვლენა, მათი ბნელი ინტრიგები, მათი ბეჯითი სიძუნწე და სიხარბე იყო მიზეზი სიკვდილის შეგრძნებისა, ახლა რომ სიბნელით ავსებდა ამ სასახლეებს. მისი, მისი ამხანაგების, მათი ბოლმისა და არასრულყოფილების შეგრძნების, მათი განუხორციელებელი აყვავების ბრალი იყო, რომ თვითონ დონ ფაბრიციოს მოცეკვავე კაცების შავი სამოსი აყროლებული ლეშის ძიებაში წინ და უკან მიკარგულ ხეობათა თავზე მოფარფატე ყვავ-ყორნებს აგონებდა. ბოროტი პასუხის გაცემა, მისი ჯანდაბაში

გაგზავნა მოუნდა. მაგრამ არ შეიძლებოდა: ის სტუმარი იყო და მშვენიერი ანჯელიკას მამა. ალბათ ისიც სხვებსავით უბედური იყო.

– მშვენიერია, დონ კალოჯერო, მშვენიერია. მაგრამ ყველას და ყველაფერს მაინც ჩვენი ორი ყმანვილი სჯობია.

სწორედ ამ დროს მათ წინ ანჯელიკა და ტანკრედი ცეკვავენ: ვაჟის ხელთათმანიანი ხელი ქალის წელზე, დაძაბული და ერთმანეთს ჩაჭიდებული მკლავები, ერთმანეთში შეღწეული ორი მზერა. ტანკრედის შავი ფრაკი და ანჯელიკას ვარდისფერი კაბა ერთად უცნაურ სამკაულს ქმნიდა. ისინი სხვაზე უფრო პათეტიკურ სანახაობას წარმოადგენდნენ: მოცეკვავე ორი მიჯნური, ერთმანეთის ნაკლოვანებათა მიმართ ბრმა, ბედისწერის გაფრთხილებათა მიმართ ყრუ, დარწმუნებული, რომ მთელი ცხოვრება ამ საცეკვაო დარბაზის იატაკით სწორი და პრიალა იქნება, უმეცარი მსახიობები, რომლებსაც უცნობი რეჟისორი ჯულიეტასა და რომეოს როლებს ათამაშებს და საგულდაგულოდ უმაღლავს სცენარში უკვე გათვალისწინებულ აკლდამასა და შხამს. არც ერთი არ იყო კეთილი და მიამიტი, ორივეს ანგარიში და საიდუმლო მიზნები ამოძრავებდა, მაგრამ ორივენი მაინც სიყვარულს ასხივებდნენ, როცა მათი გაუმჭირვალე და მიამიტი ამბიციები დაფარული იყო ტანკრედის მიერ ჩუმად ნათქვამი სამიჯნურო სიტყვებით, ანჯელიკას თმების სურნელითა და მათი სასიკვდილოდ განწირული სხეულების ხვევით.

ახალგაზრდები უკვე შორდებოდნენ, ახლა სხვა წყვილები ტრიალებდნენ წინ, ნაკლებად მშვენიერნი, ასევე ამაღელვებლნი, თითოეული საკუთარ წარმავალ სიბრმავეში ჩაძირული. დონ ფაბრიციომ იგრძნო, რომ გულის გაქვავება შეუზღბილდა: ზიზღის გრძნობა ადგილს უთმობდა თანალმობას ამ ეფემერულ არსებათა მიმართ, რომლებიც ცდილობდნენ, დამტკბარიყვნენ ამ წყალ-წყალა სინათლით, აკვნამდე და კუბოს ფიცრის შემდეგ გადაჭიმულ ორ უკუნეთს შორის რომ მიეცათ. როგორ შეიძლება განურისხდე მას, ვინც აუცილებლად უნდა მოკედეს? ეს ხომ სიმხდალე და უღირსობა იქნებოდა, თევზით მოვაჭრე იმ ქალების საკადრისი, რომლებიც სამოცი წლის წინ საბაზრო მოედანზე სიკვდილით დასასჯელებს წყევლა-კრულვით ავსებდნენ. ტახტზე ჩამომსხდარი მანჭია

მაიმუნებიც, მისი ბენტერა მოხუცი მეგობრებიც ისეთივე სა-
ცოდავი, განწირული და საყვარელი იყვნენ, როგორც საქო-
ნელი, რომელსაც ქალაქის ქუჩებში ღამით სასაკლაოზე მიე-
რეკებიან. ერთ მშვენიერ დღეს ყოველი მათგანის სმენას მის-
წვდება ზანზალაკის წკარუნი, რომელიც სამი საათის წინ სან
დომენიკოს მახლობლად გაისმა. მხოლოდ მარადისობის სი-
ძულვილი იყო დასაშვები.

თანაც ამ დარბაზში თავშეყრილი მთელი ხალხი, ეს უშნო
ქალები და სულელი კაცები, ეს ორივე ამპარტავანი სქესი მი-
სი სისხლი სისხლთაგანი, მისი პიროვნების ნაწილი იყო. მხო-
ლოდ მათი ესმოდა, მხოლოდ მათ შორის გრძნობდა თავს არ-
ხეინად.

– ალბათ მათზე უფრო ჭკვიანი ვარ, ნამდვილად მათზე
უფრო განათლებულიც, მაგრამ ისინი ჩემი ჯიშისანი არიან,
მათ უნდა მივემხრო.

შენიშნა, რომ დონ კალოჯერო ყველის ფასის შესაძლო
გაზრდაზე ესაუბრებოდა ჯოვანი ფინალეს და ამ სასიხარუ-
ლო ამბის იმედით მისი მზერა თხევადი და უწყინარი გახდა.
ახლა უკვე უშიშრად შეიძლებოდა თავის დაძვრენა.

აქამდე დაგროვილი გალიზიანება ენერგიას აძლევდა. ახლა
კი სიმშვიდესთან ერთად დაღლილობაც მოვიდა: უკვე ღამის
ორი საათი შესრულდა. წყნარი ადგილის ძებნა დაიწყო, სადაც
შესაძლებელი იქნებოდა თუმცა საყვარელი, მაგრამ ყოველ-
თვის მოსაწყენი ადამიანებისგან მოშორებით დაჯდომა. მალე
იპოვა კიდეც: პატარა, ჩუმი, განათებული და უკაცრიელი ბიბ-
ლიოთეკა. დაჯდა, მერე პატარა მაგიდაზე მდგარი წყლის და-
საღვებად წამოგდა.

– ეჰ, წყალს მაინც არაფერი სჯობია, – ნამდვილი სიცილი-
ელივით გაიფიქრა და ტუჩებზე შერჩენილი წვეთები არ შეუმ-
შრალვია. კვლავ დაჯდა. ბიბლიოთეკა მოსწონდა, მალე კარ-
გად იგრძნო თავი. ბიბლიოთეკა მის უფლებისმოყვარე ნებას
არ ეწინააღმდეგებოდა, რადგან უპიროვნო იყო, როგორც ყვე-
ლა ნაკლებად გამოყენებული ოთახი: პონტიელეონე არ იყო ის
კაცი, ვინც ბევრ დროს დაკარგავდა აქ. დონ ფაბრიციო საპი-
რისპირო კედელზე დაკიდებული სურათის თვალეიერებას
მოჰყვა: ეს გრიოზის „მართალი კაცის სიკვდილის“ კარგად
შესრულებული ასლი იყო. მოხუცი თავის საწოლში კვდებოდა,

ქათქათა და ფუმფულა ზენარზე, გარშემო კი შვილიშვილები ეხვია – სასონარკვეთილი ვაჟები და ჭერისკენ ხელაპყრობილი ქალები. გოგონები ლამაზები იყვნენ და არცთუ მოკრძალებულნი, მათი ტანსაცმლის მოუნესრიგებლობა უფრო ურცხვობის მაჩვენებელი იყო, ვიდრე მწუხარებისა. მაშინვე ჩანდა, რომ სწორედ ეს გოგონებია სურათის მთავარი ობიექტი. და მაინც დონ ფაბრიციოს გაუკვირდა, რომ დონ დიეგოს ყოველთვის თვალწინ ჰქონდა ეს მელანქოლიური სცენა. ბოლოს თავი იმით დაიმშვიდა, ალბათ დონ დიეგო აქ წელიწადში ერთხელ ან ორჯერ თუ შემოეხეტებაო.

მერე გულში ის იკითხა, ჩემი სიკვდილი თუ ემსგავსება ამა-სო: სავარაუდო იყო, რომ ემსგავსებოდა, ოღონდ თეთრეული არ იქნებოდა ასეთი უნაკლო (იცოდა, რომ მომაკვდავთა ზენრები ყოველთვის ბინძურია, ზედ მუდამ ნერწყვი, სხეულის სხვა გამონაყოფი და წამლის ლაქები სცხია) და იმის იმედიც იყო, რომ კონჩეტა, კაროლინა და სხვები უფრო მოკრძალებულად შეიმოსებოდნენ. მაგრამ საერთო ჯამში მაინც იგივე იქნებოდა. როგორც ყოველთვის, საკუთარ სიკვდილზე ფიქრმა იმდენადვე დაამშვიდა, რამდენადაც სხვის სიკვდილზე ფიქრი აღიზიანებდა. ალბათ იმიტომ, რომ მისი სიკვდილი, რაც არ უნდა იფიქრო, უპირველეს ყოვლისა, მთელი ქვეყნიერების სიკვდილი იქნებოდა.

ამის შემდეგ იმის ფიქრი დაიწყო, რომ საჭირო იყო კაპუცინების მონასტერში საოჯახო საძვალის შეკეთება. სანყენი იყო, რომ აღარ შეიძლებოდა გვამების მინისქვეშეთში კისრით დაკიდება და შემდეგ დაკვირვება, როგორ იქცეოდნენ ისინი ნელ-ნელა მუმიებად: თვითონ საოცარი შესახედავი იქნებოდა იმ კედელთან, ზორბა და მალალი, გოგოებს შეაშინებდა პერგამენტივით სახეზე შერჩენილი მისი ღიმილი და გრძელი თეთრი შარვალი. არა, უსათუოდ სამეჯლისოდ გამოანყობდნენ, ალბათ ამავე ფრაკში, ახლა რომ ეცვა.

კარი გაიღო.

– ძია, დღეს ნამდვილად ძალიან ლამაზი ხარ. ეს ფრაკიც როგორ გიხდება! რასაა, რომ უყურებ? სიკვდილს ეარშიყები?

ტანკრედის ანჯელიკას მკლავი ეჭირა: ორივენი ჯერ კიდევ მეჯლისის გრძნობიერი გავლენის ქვეშ იყვნენ, დაღლილნი. ანჯელიკა დაჯდა, საფეთქლების შესამშრალეblად ტანკრე-

დის ცხვირსახოცი სთხოვა. დონ ფაბრიციომ თავისი მიაწოდა. ორი ახალგაზრდა სურათს სრულიად გულგრილად შესცქეროდა. მათთვის სიკვდილის შემეცნება სრულიად ინტელექტუალური იყო, ეს, ასე ვთქვათ, კულტურის მონაცემი იყო და არა ძვლის ტვინამდე მისული გამოცდილება. სიკვდილი არსებობდა, მაგრამ სხვათა მოხმარების საგანი იყო. დონ ფაბრიციო ფიქრობდა, რომ ამ უზენაესი ნუგეშის ინტიმური უმეცრების გამოა, ახალგაზრდები მოხუცებზე უფრო მწვავედ რომ გრძნობენ ტკივილს: ამ უკანასკნელთათვის სათადარიგო გასასვლელი უფრო ახლოსაა.

– თავადო, – ამბობდა ანჯელიკა, – ვიცოდით, რომ აქ ბრძანდებოდით. აქ დასასვენებლად შემოვედით, მაგრამ ერთი რამ უნდა გთხოვოთ. იმედია, უარს არ მეტყვიოთ, – მისი თვალები ეშმაკურად ელავდა, ხელი კი დონ ფაბრიციოს სახელოზე იდო. – გთხოვთ, ჩემთან იცეკვოთ პირველივე მაზურკა. ნუ იქნებით ბოროტი, დამეთანხმეთ: ყველამ იცის, რომ შესანიშნავი მოცეკვავე ხართ.

თავადი ძალიან კმაყოფილი იყო, სიხარული თავში აუვარდა. რომელი კაპუცინები და რომელი საძვალე! წვერმოშეებული ლოყები სიამით უთრთოდა. ოღონდაც მაზურკა აშინებდა ოდნავ: ეს სამხედრო ცეკვა, სულ მთლად ფეხის ბაკუნისა და შემოტრიალებებისგან შემდგარი აღარ ერგებოდა მის სახსრებს. ანჯელიკას წინაშე დაჩოქება ერთი სიამოვნება იქნებოდა, მაგრამ ადგომა რომ გასჭირვებოდა?

– გმადლობ, ანჯელიკა, ხელახლა მომანიჭე სიყმანვილე. ოღონდ მაზურკა არა, პირველი ვალსის ნება მომეცი.

– ხომ ხედავ, ტანკრედი, რა კეთილი ძია გყავს? შენსავით ახირება არ უყვარს. იცით, თავადო, არ სურდა, რომ მეთხოვა: ეჭვიანია.

ტანკრედი იცინოდა.

– ეჭვიანი იქნები, როცა ასეთი ლამაზი და ელეგანტური ძია გყავს. მაგრამ ამჯერად წინააღმდეგი არა ვარ.

სამივე ილიმებოდა და დონ ფაბრიციოს არ ესმოდა რისთვის ჩაიფიქრეს ეს შეთქმულება, სასიამოვნებლად თუ გასამასხარავებლად. მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაინც საყვარლები იყვნენ.

გასვლისას ანჯელიკამ ხელი გაუსვა სავარძლის ხავერდს.

– ლამაზია, ფერიც მშვენიერი აქვს, მაგრამ თქვენი სასახლის ხავერდი, თავადო... – ხომალდი ერთხელ აღებული კურსით განაგრძობდა სვლას. ტანკრედი ჩაერია:

– კმარა, ანჯელიკა, ჩვენ ისედაც გვიყვარხარ, იმისგან დამოუკიდებლად, როგორ ერკვევი ავეჯში. გაანებე თავი სკამებს და ნამოდი, ვიცეკვოთ.

როცა საცეკვაო დარბაზში გადიოდნენ, დონ ფაბრიციომ შენიშნა, რომ სედარა ისევ ჯოვანი ფინალეს ესაუბრებოდა. შიგადაშიგ ხორბლის ჯიშების დასახელებები ისმოდა: „რუსელა“, „პრიმინტიო“, „მარცოლინო“. თავადმა იფიქრა, რომ მარგაროსაში მინვევაც არ დააყოვნებს, ამ ადგილ-მამულში ფინალე სასოფლო-სამეურნეო ექსპერიმენტებით იკოტრებდა თავს.

* * *

ანჯელიკასა და დონ ფაბრიციოს წყვილმა ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვა. თავადის უშველებელი ფეხები გასაოცარი დელიკატურობით მოძრაობდა და მისი დამის ატლასის ფეხსაცმელებს არასოდეს დამუქრებია მათთან შეხების საფრთხე. თავადის ვეება თათიცი ქალის წელს ძალუმი სიმტკიცით მოხვეოდა, ნიკაპიცი მშვიდად განისვენებდა მისი ლეთასებრ ყოველივეს დამაფინყებელ თმათა ტალღაზე. ანჯელიკას დეკოლტეს Bouquet à la Maréchale-ის სურნელი, უფრო მეტად კი ნორჩი კანის არომატი ასდიოდა. თავადის მეხსიერებაში ტუმეოს ნათქვამი ერთი წინადადება ამოტივტივდა: „მის ქვეშაგებს ალბათ სამოთხის სუნი უნდა უდიოდეს“. უზრდელი სიტყვები იყო, გლეხური, მაგრამ ზუსტი. ოჰ, ეს ტანკრედი...

ანჯელიკა ლაპარაკობდა. მისი ბუნებრივი პატივმოყვარეობაც და დაჟინებული ამბიციაც სრულიად დაკმაყოფილებული ჩანდა.

– ისეთი ბედნიერი ვარ, ძია. ყველანი ძალიან გულითადად შემხვდნენ. ტანკრედიც ისეთი საყვარელია. თქვენც ძალიან საყვარელი ხართ. ამ ყველაფრისთვის თქვენი მადლიერი უნდა ვიყო, ძია, ტანკრედისთვისაც. თქვენი თანხმობა რომ არა, ვინ იცის, როგორ დასრულდებოდა ყველაფერი.

– მე რა შუაში ვარ, შვილო? ყველაფერს საკუთარ თავს უნდა უმადლოდე.

მართალი იყო: ვერავითარი ტანკრედი ვერ გაუძლებდა მი-

სი სილამაზისა და მისი მემკვიდრეობის ერთობლივ ხიბლს. ყველაფერს გადააბიჯებდა მის შესართავად. გული მაინც ჩხვლეტამ განუმსჭვალა: კონჩეტას მედიდურ და დამარცხებულ თვალებზე ფიქრობდა. მაგრამ ტკივილი ხანმოკლე იყო: ვალსის ყოველ შემოტრიალებაზე თითო წელი აკლდებოდა. მალე თავი ისევე იგრძნო, როგორც ოცი წლის წინ, როცა ამავე დარბაზში სტელასთან ერთად ცეკვავდა, როცა არ იცოდა, რა იყო იმედგაცრუება, მოყირჭება და ყოველივე დანარჩენი. ერთი წამით, იმ ღამეს, სიკვდილი კვლავაც „სხვისი მოსახმარი რამ“ იყო მისთვის.

იმდენად გაიტაცა მოგონებებმა და ახლანდელ შეგრძნებებთან მათმა თანხმობამ, ვერ შეამჩნია, რომ რალაც დროიდან ის და ანჯელიკა მარტონი ცეკვავდნენ. ალბათ ტანკრედის მიერ შეგულიანებულნი, სხვა წყვილები შეჩერდნენ და მათ უყურებდნენ. პონტელეონეს წყვილიც იქ იდგა: გულაჩუყებულნი ჩანდნენ, ხანში შესულნი იყვნენ და, როგორც ეტყობა, ყველაფერი ესმოდათ. სტელაც ხანში შესული იყო, მაგრამ კარის უკნიდან მისი თვალები ამღვრეული იყურებოდა. როცა ორკესტრი მიჩუმდა, ტაშის გრიალი მხოლოდ იმიტომ არ გაისმა, რომ დონ ფაბრიციოს საკმარისად ლომური გამომეტყველება ჰქონდა ამგვარი უხერხულობის აღსაკვეთად.

ვალსის დასრულების შემდეგ ანჯელიკამ დონ ფაბრიციოს მის და ტანკრედის სუფრასთან ვახშმობა შესთავაზა. სხვა დროს კმაყოფილი დარჩებოდა, მაგრამ იმ წამს ახალგაზრდობის მოგონებანი იმდენად ცოცხლად ედგა თვალწინ, რომ მიხვდა, რამდენად უსიამო უნდა ყოფილიყო ბებერ ბიძასთან ერთად ვახშამი მაშინ, როცა სტელაც იქ იყო, ორ ნაბიჯში. „მარტო ყოფნა სურთ შეყვარებულებს, ან სხვებთან ერთად მაინც. მოხუცებთან უარესზე უარესია, ნათესავეებთან კი – არასოდეს“.

– გამაღობ ანჯელიკა, მადა არა მაქვს. ისე, ფეხზე მდგომი მოვციცქნი რამეს. წადი ტანკრედისთან, ნუ ფიქრობთ ჩემზე.

* * *

ერთხანს დაელოდა, სანამ ახალგაზრდები დაშორდებოდნენ, მეჩრე ისიც შევიდა დარბაზში, სადაც ბუფეტი იყო გამართული. სიღრმეში ძალიან გრძელი და ვიწრო მაგიდა იდგა მოქროვილი ვერცხლის სახელგანთქმული თორმეტი შანდლით

განათებული – ეს შანდლები დიეგოს ბაბუამ ძღვნად მიიღო ესპანეთის სამეფო კარისაგან მადრიდში თავისი ელჩობის ბოლოს: კაშკაშა ლითონის კვარცხლბეკებზე შემდგარი ექვსი ქალისა და ექვსი ათლეტური მამაკაცის ფიგურებს თავს ზემოთ ეჭირათ თორმეტი სანთლის ალით დაგვირგვინებული ვერცხლის რგოლები. ოქრომჭედლის ოსტატობამ შესანიშნავად გამოსახა ათლეტთა არხეინი სიმშვიდე და ქალწულთა ნატიფი შეჭირვება შეუსაბამო ტვირთის ზიდვისას. თორმეტი პირველხარისხოვანი საგანი. „ვინ იცის, რამდენი მიწის შეძენა შეიძლებოდა ამათ ფასად“ – იტყოდა უბედური სედარა. დონ ფაბრიციომ გაიხსენა, როგორ აჩვენა დიეგომ ერთხელ ამ შანდლების შესანახი ზარდახშები, მწვანე ტყავშემოკრული, გვერდზე ამოტვიფრული პონტელეონეს სამმაგი ფართა და მომძღვნელთა ხვეული მონოგრამებით.

შანდლებისა და ხუთსართულიანი ლანგრების ქვეშ, რომლებსაც ცამდე აჰყავდათ „საკუჭნაოს ტკბილეულობის“ პირამიდები, რომლებიც მუდამ ხელუხლებელი რჩებოდა, დიდ მეჯლისებზე მიღებული tables à l'hé⁴⁵ – მონოტონური ფუფუნება იშლებოდა: ცოცხლად მოხარშული ომარების მარჯნები, ცვილივით რბილი და ბლანტი ხბოს ხორცის ცჰაუდ-ფროიდს, ჰაეროვან სანებლებში ჩადებული ფოლადისფერი თევზები, ლუმელის მხურვალეობაში მოოქროვილი ინდაურები, ხრაშუნა პურზე დადებული ძვალგაცლილი ტყის ქათმები, მათივე დაკეპილი შიგნეულობით განყობილი, მსუქანი ღვიძლის პაშტეტები ყელატინის ჯავშნის ქვეშ, ოქროსფერი ყელეები და კიდევ ასეულობით სხვა ამგვარადვე მორთული და უღმობელი დელიკატესი. მაგიდის კიდევებზე მონუმენტურ ვერცხლის ქვაბებში დამწვარი ამბრის ფერის გამჭვირვალე ბულიონი ესხა. მზარეულები ალბათ წინაღამიდან მოყოლებული ოფლად იღვრებოდნენ ამ ვახშმის მოსამზადებლად.

– ღმერთო ჩემო, რამდენი ხორაგია! დონა მარგერიტას არაფერი ეშლება. მაგრამ ამ ყველაფრის შექმას ჩემგან განსხვავებული კუჭი სჭირდება.

ზიზლით აუარა გვერდი მარჯვნივ მდგარ და ბროლით აბრდღვიალებულ სასმელების მაგიდას, მარცხნივ გაეშურა, სა-

⁴⁵ „ჩაის მაგიდა“ (ფრ.).

დაც ტკბილეულობა ეგულებოდა. ქურანა ცხენის ფერი ვეებერთელა babà; ათქვეფილი ნაღების თოვლისფერი მონბლანები; beignets Dauphine – ნუშით თეთრად და ბუსტულებით მწვანედ მორთული; გორაკებად დალაგებული შოკოლადიანი პროფიტეროლეს, ყავისფერი და ცხიმიანი, როგორც კატანიის დაბლობის მინა, საიდანაც მრავალი თავგადასავლის შემდეგ მიიღებოდა ისინი; ვარდისფერი პარფაიტს, შამპანურის პარფაიტს, ჩალისფერი პარფაიტს, ჭრიალით რომ წყდებოდნენ ერთმანეთს მსახურის დანის ქვეშ; ალუბლის კომპოტის მაჟორული პასაჟები, ყვითელი ანანასის მომყავო ტემბრი, და კიდევ „გემოთმოყვარეობის ტრიუმფები“ დანაყილი ბუსტულის მქრქალი სიმწვანით; ურცხვი „ქალწულის ნამცხვრები“. ამ უკანასკნელთაგან დონ ფაბრიციომ თავისთვის ორი უბრძანა. თეფშზე დადებული ნამცხვრები წმიდა აგატას მოჭრილი ძუძუების პროფანულ კარიკატურას ჰგავდა.

– როგორ მოხდა, რომ ინკვიზიციამ, როცა შეეძლო, არ აკრძალა ეს ტკბილეულობა? „გემოთმოყვარეობის ტრიუმფი“ – გემოთმოყვარეობა, მომაკვდინებელი ცოდვა. წმიდა აგატას ძუძუებს მონასტრები ყიდიან და ვილაც ვიგინდარები ჭამენ! ეჰ!

ვანილის, ღვინისა და პუდრის სურნელით სავსე დარბაზში დონ ფაბრიციო ადგილის ძებნაში დაბორიალობდა. ერთი მაგიდიდან ტანკრედიმ შენიშნა და სკამზე ხელი დაჰკრა იმის აღსანიშნავად, რომ ადგილი თავისუფალი იყო. მის გვერდით მჯდომი ანჯელიკა ვერცხლის ფინჯნის ფსკერში ყურებით ცდილობდა საკუთარი ვარცხნილობის შემოწმებას. დონ ფაბრიციომ უარის ნიშნად თავი გააქნია. ძებნა განაგრძო. სხვა მაგიდიდან პალავიჩინოს კმაყოფილი ხმა მოისმოდა:

– ჩემი ცხოვრების უმაღლესი შეგრძნება იყო...

მის გვერდით ცარიელი ადგილი იყო. მაგრამ რა მობეზრება ელოდა იქ! ამას განა ანჯელიკას ყალბი გულითადობის, ტანკრედის მშრალი გონებამხვილობის მოსმენა არ სჯობდა? არა, ჯობს თვითონ მოიწყინო, ვიდრე სხვები მოაწყინო. ბოდიში მოიხადა, გვერდით მიუჯდა პოლკოვნიკს, რომელიც მისი მიახლოებისთანავე ფეხზე წამოდგა და ამით ოდნავ მაინც შემოირიგა ლეოპარდის სიმპათიები. სანამ ბლამანუეს, დარიჩინისა და ბუსტულის უნატიფეს ნარევს იგემოვნებდა, დონ ფაბრიციო პალავიჩინოსთან საუბრით ირთობდა თავს და ამჩნევ-

და, რომ ალბათ ქალბატონებისათვის გათვალისწინებული ფრაზეების მიღმა ეს კაცი სულაც არ ტოვებდა სულელის შთაბეჭდილებას. ისიც სინიორი იყო და თავისი კლასის ფუნდამენტური სკეპტიციზმი, ჩვეულებრივ, ბერსალიერის ეპოლეტებს ქვეშ მომწყვდევული, ახლა კვლავ იჩენდა თავს, რადგან ნაცნობ გარემოში მოხვედრილი, შორს იყო ყაზარმათა და თაყვანისმცემელ ქალთა მიერ განპირობებული გარდაუვალი რიტორიკისგან.

– ახლა მემარცხენეებს სურთ ჩემი ჯვარცმა, რადგანაც აგვისტოში ჩემს ბიჭებს ვუბრძანე, გენერლისთვის ცეცხლი გაეხსნათ. მაგრამ თქვენ მიბრძანეთ, თავადო, სხვა რა შემეძლო, როცა ასეთი ნერილობითი ბრძანებით ვიყავი შეზღუდული? უნდა ვაღიარო: როცა იქ, ასპრომონტეში თვალწინ დამიდგა ეს ასეულობით კონკიაჟლარუნა, ზოგიერთი მათგანი უკურნებელი ფანატიკოსის სიფათით, სხვები კიდევ პროფესიონალი რევოლუციონერის ქედმაღლობით, ბედნიერი ვიყავი, რომ ეს ბრძანება სრულიად ეთანხმებოდა ჩემს შინაგან განწყობას. მე რომ არ მესროლა, ეს ხალხი ჩემგან და ჩემი ჯარისკაცებისაგან კატლეტებს დაამზადებდა. ეს კიდევ არაფერი, მაგრამ შედეგად ფრანგულ და ავსტრიულ ინტერვენციას მივიღებდით, უპრეცედენტო ჩეხვას, რომელშიც მყისვე ჩავარდებოდა ეს ისედაც სასწაულის ძალით, ესე იგი, კაცმა არ იცის, როგორ შექმნილი იტალიის სამეფო. გამოგიტყდებით: ეს ხანმოკლე სროლა, უპირველეს ყოვლისა, გარიბალდის გამოადგა, რადგან გაათავისუფლა იმ ხალხისგან, რომელიც ასე მოურიდებლად აეკიდა, მაგალითად, ძამბიანკის ტიპის ყველა იმ ინდივიდისაგან, რომლებიც გარიბალდის სახელს თავიანთი ბნელი მიზნებისთვის იყენებდნენ, ასე რომ ეხამებიან ტიუილრისა და პალაცო ფარნეზეს ზრახვებს.⁴⁶ ყველა ეს ხალხი ძალიან განსხვავდება იმათგან, ვინც გარიბალდისთან ერთად მარსალაში ჩამოსხდა, იმათ, ან მათგან საუკეთესოებს სჯეროდათ მაინც, რომ იტალიის შექმნა შესაძლებელია ორმოცდარვა წლის მსგავსი აურზაურების სერიით. თვითონ გენერალს ეს შეგნებული აქვს, რადგანაც ჩემი სახელგანთქმული მუხლმოყრის დროს ხელი

⁴⁶ ტიუილრი – პარიზში აქ განლაგებული იყო საფრანგეთის მთავრობა. პალაცო ფარნეზე – სასახლე რომში, სადაც დღესაც განლაგებულია საფრანგეთის საელჩო.

მაგრად ჩამომართვა, თანაც ისეთი სითბოთი, რომელიც, არა მგონია, ჩვეულებრივი იყოს იმის მიმართ, ვინც ხუთი წუთის წინ ფეხში ტყვია დაგახალათ. და იცით, რა მითხრა დაბალი ხმით, ამ ერთადერთმა პატიოსანმა კაცმა, რომელიც იმ უბედურ მთაზე იმ მხარეს მოიპოვებოდა? – „გმადლობთ, პოლკოვნიკო“. გმადლობთ რისთვის, მე გეკითხებით თქვენ? იმისთვის, რომ სამუდამოდ დავაკოჭლე? რა თქმა უნდა, არა. მაგრამ იმისთვის, რომ ხელშესახებად დავუმტკიცე მისი საეჭვო მიმდევრების ყოყოჩობა და, რაც უარესია, სიმხდალე.

– მომიტევეთ, პოლკოვნიკო, მაგრამ არა გგონიათ, რომ ერთგვარად გადააჭარბეთ ამ ხელზე კოცნებით, ქუდის მოხდებითა და ქათინაურებით?

– გულწრფელად გეტყვით, რომ არა. რადგანაც პატივისცემის გამომხატველი ეს ქმედებები ალალი იყო. უნდა გენახათ ეს საბრალო დიდი ადამიანი, ნაბლის ხის ქვეშ მინაზე განრთხმული, ხორციელად დატანჯული და კიდევ უფრო მეტად სულით განამებული. საცოდაობა! აშკარად აჩენდა იმას, რაც ყოველთვის იყო: ბავშვი, დანაოჭებული და წვეროსანი, მაგრამ მაინც პატარა ბიჭუნა, თავქარიანი და გულუბრყვილო. ძნელი იყო არ ავლელვებულიყავი, როცა იძულებული გახვდი „ბუათი“ დამეშინებინა. რატომაც არ უნდა ავლელვებულიყავი? მე ხელზე მხოლოდ ქალებს ვეამბორები. მაშინ კი ხელზე სამეფოს გადარჩენას ვეამბორე, რადგან ისიც ქალია, რომელსაც ჩვენ, სამხედროებმა, პატივი უნდა მივაგოთ.

იქვე მსახური გადიოდა: დონ ფაბრიციომ უბრძანა, რომ მონბლანის ნაჭერი და ერთი ჭიქა შამპანური მოეტანა მისთვის.

– თქვენ კი, პოლკოვნიკო, არაფერს მიირთმევთ?

– საჭმელს არა, გმადლობთ. ერთ ჭიქა შამპანურს კი გეახლებით.

საუბარი განახლდა. ჩანდა, რომ ამ მოგონებებს ვერაფრით შორდებოდა: ამ მცირე სროლებსა და დიდ სიმარჯვეს. ნამდვილად ისეთი ვინმე იყო, ვინც თავის მსგავსებს ხიბლავდა.

– გენერლის კაცები, სანამ ჩემი ბერსალიერები მათი განაირალებით იყვნენ დაკავებულნი, წყევლა-კრულვით იკლებდნენ იქაურობას. და იცით, ვის წყევლიდნენ? თავიანთ სარდალს. მას, ვინც ერთადერთი აღმოჩნდა, საკუთარი თავით რომ ზღო. ეს საძაგლობაა, მაგრამ ბუნებრივია: ისინი ხედავ-

დნენ, რომ ხელიდან ეცლებათ ბავშვური, მაგრამ დიდი ადამიანი, ერთადერთი, რომელსაც შეეძლო ბევრი მათგანის ბნელი ზრახვების მიჩქმალვა. შესაძლოა, ჩემი გულითადობა მართლაც გადაჭარბებული იყო, მაგრამ მე მაინც კმაყოფილი ვარ. ჩვენთან, იტალიაში სანტიმენტებისა და კოცნის სიჭარბე არასოდეს მოიტანს ზიანს: ეს ყველაზე ქმედითი პოლიტიკური არგუმენტია, რომელზედაც ხელი მიგვიწვდება.

მოტანილი ღვინო შესვა, მაგრამ ამან თითქოსდა კიდევ უფრო გაზარდა მისი სიტყვების სიმწარე.

– კონტინენტი ხომ არ მოგინახულებიათ სამეფოს დაარსების შემდეგ? ბედი გქონიათ. სულაც არაა ლამაზი სანახაობა. არასოდეს არ ვიყავით ისე გაყოფილნი, როგორც მას შემდეგ, რაც შევერთდით. ტურინს არ უნდა დედაქალაქობის დათმობა, მილანში მიაჩნიათ, რომ ჩვენი ადმინისტრაცია ავსტრიულზე დაბლა დგას, ფლორენციას ეშინია, არავინ წაართვას ხელოვნების ნიმუშები, ნეაპოლი დაკარგულ მრეწველობას მისტირის, აქ სიცილიაში კი რალაც დიდი და ირაციონალური უბედურება უნდა გამოიჩეკოს... ამ წუთას, სხვათა შორის, თქვენი მონა-მორჩილის წყალობითაც, ნითელ პერანგებზე საუბარი აღარაა, მაგრამ რამდენიმე ხანში კვლავ იქნება. ესენი რომ გაქრებიან, სხვა ფერის პერანგები მოვლენ. მერე ისევ ნითლები. ჰოდა, რას მოგვიტანს ეს ჩვენ? ამბობენ, იტალიას თავისი ვარსკვლავი აქვსო. ექნება. მაგრამ თქვენ მაინც ხომ ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, თავადო, რომ უძრავი ვარსკვლავებიც სინამდვილეში სულაც არ არიან უძრავნი.

ოდნავ მთვრალი პოლკოვნიკი წინასწარმეტყველებას იყო აყოლილი. დონ ფაბრიციოს ამ ამაფორიაქებელი პერსპექტივის წინაშე გული შეეკუმშა.

* * *

მეჯლისი დიდხანს გაგრძელდა და დილის ექვსი საათიც შესრულდა. ყველანი დაღლილიყვნენ და უკვე სამი საათის წინ ლოგინში ჩანოლა სურდათ. მაგრამ ადრე წასვლა იმის გამოცხადებას ნიშნავდა, რომ ზეიმი ჩაიშალა, რითაც შეურაცხყოფა მიადგებოდა სახლის პატრონებსა და ამ საბრალოთა განუულ ამდენ შრომას.

ქალბატონებს სახეები ჩალურჯებოდათ, სამოსი დასჭმუჭ-

ვნოდათ, სუნთქვა დამძიმებოდათ. „მარიაში! როგორ დავილა-
ლე! მარიაში! როგორ მეძინება“. მოშლილ ჰალსტუხებს ზემოთ
მამაკაცებს სახეები გაჰყვითლებოდათ და დანაოჭებოდათ,
პირები კი მწარე ნერწყვით გავსებოდათ. მათი ვიზიტები ორ-
კესტრის ლოჯიის დონეზე მდებარე ერთ განმარტოებულ
ოთახში სულ უფრო ხშირი გახდა: იქ მწყობრად იდგა ოციოდე
ტევადი ჭურჭელი, იმ დროისათვის ყველა სავსე და ზოგიერთი
კი იატაკზე გადმომდინარე. იმ შეგრძნებით, რომ მეჯლისი
მთავრდებოდა, ძილმორეული მსახურები უკვე აღარ ცვლიდ-
ნენ სანთლებს: მოკლე ნამწვავები სალონებში განსხვავებულ
შუქს აფრქვევდა – კვამლიანსა და ავისმომასწავებელს. ბუ-
ფეტის ცარიელ დარბაზში მხოლოდ მაგიდებზე დახვავებული
თეფშები ეყარა და ჭიქებშიც ერთი თითის სიმალლეზე ესხა
ღვინო, რომელსაც სწრაფად სვამდნენ აქეთ-იქით ქურდულად
მომზირალი მსახურები. გარიჟრაჟის სინათლე, მდაბიურად
იპარებოდა დარაბათა შორის დარჩენილ ღრიჭოებში.

თავყრილობა იშლებოდა და დონა მარგერიტას ირგვლივ
წარმოიქმნა გამოსამშვიდობებლად გამზადებული ხალხი!
ჯგუფი. „შესანიშნავი იყო! ნამდვილი ანტიკური სიზმარი!
ტანკრედიმ ძლივ-ძლივობით გააღვიძა განმარტოებულ სავარ-
ძელში თავგადაგდებულად ჩაძინებული დონ კალოჯერო. შარ-
ვალი ლამის მუხლებამდე ასწეოდა და აბრეშუმის წინდებს ზე-
მოდან ჩანდა მისი ნამდვილად სოფლური საცვლის კიდები.
თვალების ირგვლივ ლურჯი წრეები პოლკოვნიკ პალავიჩინო-
საც დასტყობოდა. მაგრამ მოსმენის მსურველთ განუცხადა,
შინ არ დავბრუნდები, არამედ პალაცო პონტელეონედან პირ-
დაპირ პლაცზე გავეშურებო. მართლაც, ამას მოითხოვდა
მეჯლისზე მიწვეულ სამხედროთა რკინისებური ტრადიცია.

როცა სალინას ოჯახი ეტლში ჩასხდა (ნესტს დაენამა ბალი-
შები), დონ ფაბრიციომ თქვა, შინისკენ ფეხით გავისეირნებო.
ცოტაოდენი სუფთა ჰაერი არ აწყენდა, რადგან თავის ტკი-
ვილს გრძნობდა. სიმართლე კი ის იყო, რომ ვარსკვლავების
თვალთვალთ სურდა მცირეოდენი ნუგემის მიღება. რამდენი-
მე ჯერ კიდევ ჩანდა, მალლა, ზენიტში. როგორც ყოველთვის,
მათმა ხილვამ ახლაც გაამხიარულა. შორს იყვნენ, ყოვლისშემ-
ძლენი და ამავე დროს მისი გამოთვლების ასე მორჩილნი. ადა-
მიანები კი სრულიად სანინაალმდეგონი იყვნენ, მუდამ ასე ახ-

ლობელნი, სუსტნი და მაინც დაუმორჩილებელნი.

ქუჩებში უკვე დანყებულიყო მოძრაობა: რამდენიმე ურიკა შიგ შებმულ სახედარზე ოთხჯერ მალალ ნაგვის გროვებს მიათრევდა. გრძელსა და ღია ურემზე საყასბოში ახლახან დაკლული ხარები დაენყოთ. უკვე აქნილებს თავიანთი ყველაზე ინტიმური მექანიზმები გამოეფინათ სიკვდილისათვის დამახასიათებელი ურცხვობით. დროდადრო რამდენიმე წითელი ბლანტი წვეთი ეცემოდა ქვაფენილს.

გადამკვეთი ქუჩაბანდის მხარეს ცის აღმოსავლეთი ნაწილი გამოჩნდა ზღვის თავზე. ვენერა ახლა იქ იყო, შემოდგომის ნისლოვან რიდეში გახვეული. ის მუდამ ერთგული იყო, მუდამ თან ახლდა ადრე დილით გამოსულ დონ ფაბრიციოს – დონაფუგატაში ნადირობამდე და ახლაც, მეჯლისის შემდეგ.

დონ ფაბრიციომ ამოიოხრა. როდის იქნება, რომ გადანყვეტს მასთან ნაკლებად ეფემერულ პაემანზე მოსვლას, ნაგვისა და სისხლისგან შორს, თავისი მარადიული გარკვეულობის არეში?

თავადის სიკვდილი

ამ შეგრძნებას დონ ფაბრიციო მუდამ იცნობდა. ათწლეულების განმავლობაში აყურადებდა, როგორ მიედინებოდა მისგან მაცოცხლებელი ფლუიდი, არსებობის უნარი, ერთი სიტყვით, თვითონ სიცოცხლე და მასთან ერთად ალბათ სიცოცხლის გაგრძელების სურვილიც – ნელა მაგრამ განუწყვეტლივ, როგორც ქვიშის საათის ვინრო ღრიჭოსთან შეგროვილი და ნელა, მაგრამ შეუჩერებლივ, თითო-თითოდ ჩამოვარდნილი მარცვლები. ზოგჯერ, ინტენსიური მოქმედების ან დიდი ყურადღების წუთებში მუდმივი დანებების ეს შეგრძნება ქრებოდა, რათა შემდეგ, თავის გამოსაჩენად კვლავ ესარგებლა სიჩუმის ან თვითდაკვირვების ყველაზე უმნიშვნელო საშუალებით, როგორც ყურში შეუჩერებელი ზუზუნი ან საათის ნიკნიკი სრულიად ეპატრონება ხოლმე ჩვენს სმენას, როცა ყოველივე დანარჩენი დუმს, და გვარწმუნებს, რომ მუდამ იქ იყო ჩასაფრებული, მაშინაც კი, როცა არ გვესმოდა.

დროის ყველა სხვა მომენტში კი თავადისთვის ყურადღების უმცირესი დაძაბვაც კი საკმარისი იყო მსუბუქად მომდინარე ქვიშის მარცვალთა, მისი ცხოვრებიდან სამუდამოდ გამქრალ დროის ნაწილაკთა შრიალის გასაგონად. თანაც ეს შეგნება თავიდან არ ყოფილა დაკავშირებული რაიმე სისუსტესთან, უფრო მეტიც, სიცოცხლის ეს აღუქმელი კარგვა, ასე ვთქვათ, თვით სიცოცხლის გამოცდა და მისი აუცილებელი პირობა იყო. ხოლო მის გარეთ მდებარე სამყაროს უსასრულო სივრცეთა დაკვირვებას ჩვეული თავადისთვის მისი უკიდევანო შინაგანი უფსკრულების კვლევისას ამის შეგრძნება სულაც არ ყოფილა უსიამოვნო. პიროვნების ეს განუწყვეტელი და შეუმჩნეველი ცვეთა ბუნდოვნად ჰპირდებოდა, რომ ეს პიროვნება (ღვთის მადლით) კვლავ აღდგება სადღაც სხვაგან, ნაკლებად შეგნებული და უფრო ფართო: ქვიშის მარცვლები არ იკარგებოდა, თუმც ქრებოდა, მაგრამ ვინ იცის, სად გროვდებოდა უფრო გამძლე ერთობლიობის შესაქმნელად. მაგრამ

ფიქრობდა, რომ ერთობლიობა ზედმეტად მძიმე სიტყვაა ამ რეალობის გამოსახატავად და არც სხვაგან შეგროვილი ქვიშის მარცვლებია კარგი შედარება: უფრო იმას ჰგავდა, წყლის ორთქლის ნაწილაკები ტბორის ზედაპირიდან რომ მალლა ზეცაში ადიან უშველებელი და მსუბუქი ღრუბლების წარმოსაქმნელად. ზოგჯერ ისიც უკვირდა, რომ წლობით მუდმივი კარგვის მიუხედავად სიცოცხლის მარაგი მთლად არ ამოწურულიყო. „მაშინაც კი, თუ პირამიდასავით დიდია“. ზოგჯერ კი, და თანდათანობით სულ უფრო ხშირად, ამაცობდა, რომ მხოლოდ ის ამჩნევდა ამ განუწყვეტელ დინებას, მაშინ როცა ირგვლივ თითქოსდა არავინ გრძნობდა ამასვე. ამ აღმოჩენამ სხვებზე უპირატესობის შეგნება მიანიჭა. ასე დაცინვით უყურებს მოხუცი ჯარისკაცი ახალწვეულს, რომელსაც ჰგონია, რომ მის ირგვლივ მოზუზუნე ტყვიები მხოლოდ უწყინარი ბუზებია.

მაგრამ გაუგებარი მიზეზების გამო ხმამაღლა ამ საგნებზე არასოდეს ლაპარაკობენ. ადამიანებმა თვითონ უნდა გამოიციონ ეს სხვებში, მაგრამ მის ირგვლივ არასოდეს არავის გამოუცვნიან. ანკი რას გამოიცინობდნენ? მისი ქალიშვილები ხომ ამა ქვეყნის მსგავს საიქიოზე ოცნებობდნენ, სადაც ასევე იარსებებდა სასამართლო, მზარეულები, მონასტრები, მესაათები, ყველაფერი. სტილაც, რომელსაც დიაბეტური განგრენა ჭამდა, მაინც ეჭიდებოდა ამ მტანჯველ არსებობას. ალბათ მხოლოდ ტანკრედი მიხვდა ნუთით, როცა თავისი ქვეშ-ქვეშა ირონიით უთხრა: „შენ, ძია, სიკვდილს ეარშიყები“. ახლა კი არშიყობა დასრულდა: ლამაზმანი დათანხმდა, საბოლოოდ გაქცეულიყო მასთან ერთად მატარებლის წინასწარ დაჯავშნულ კუპეში.

ახლა საქმე სხვაგვარად იყო, სრულიად სხვაგვარად. სასტუმრო „ტრინაკრიას“ აივანზე სავარძელში მჯდარი, გრძელ ფეხებზე საბანმოხურული, გრძნობდა, რომ სიცოცხლე უკვე ფართო და მზარდ ტალღებად გამოდიოდა მისგან და ამ გამოსვლის ხმა რაინის ჩანჩქერის გრიალს ედრებოდა. ივლისის ბოლო ორშაბათის შუადღე იყო და პალერმოს ზღვა, შეკუმშული, ზეთივით დაღვრილი და ინერტული მის წინ გადაშლილიყო, დაუჯერებლად უძრავი და განრთხმული, როგორც ძალი, პატრონის მუქარათა წინაშე გაუჩინარებას რომ ცდილობს. მაგრამ ცას გამოკერებული, გარინდული მზე თავზე

ადგა მაინც და უღმობლად შოლტავდა. დუმილი აბსოლუტური იყო. მაღლიდან დაღვრილ სინათლეში დონ ფაბრიციოს მხოლოდ საკუთარი არსებიდან გამოსული სიცოცხლის შინაგანი ხმაური ესმოდა.

ამ დღით, რამდენიმე საათის წინ ჩამოვიდა ნეაპოლიდან იქ კი პროფესორ სემოლასთან კონსულტაციისთვის იყო გამგზავრებულ. ამ პირქუმ, ნელ და სამგლოვიარო პროცესიის მსგავს მოგზაურობაში თან ორმოცი წლის ქალიშვილი, კონჩეტა და შვილიშვილი, ფაბრიციეტო გაჰყვნენ. ნეაპოლის ნავსადგურის ალიაქოთმა, კაიუტის მყავე სუნმა, ამ პარანოიდული ქალაქის გაუთავებელმა ხმაურმა გაღიზიანება მოჰგვარა, დასუსტებულთა ბუზღუნა და მოჩხუბარი გაღიზიანება, დამღლელი და სასონარმკვეთი, რომელიც ასე განსხვავდება იმ კეთილი ქრისტიანების რისხვისაგან, რომელთაც ხურჯინში ჯერ საკმაო რაოდენობით ულაგიათ წლები. დაიჟინა, უკან სახმელეთო გზით დავბრუნდეთო: ექიმი შეეცადა, წინ აღდგომოდა ამ გაუთვალისწინებელ გადაწყვეტილებას. მაგრამ თავადმა კვლავ დაიჟინა და ჯერაც ისეთი ძალუმი იყო მისი პრესტიჟის აჩრდილი, რომ თავისი გაიტანა. მაგრამ მხოლოდ იმისათვის, რათა შემდეგ ოცდათექვსმეტი საათით ჩაკეტილიყო გავარვარებულ ყუთში, ციებიანის სიზმრებივით მიყოლებით განლაგებულ გვირაბებში კვამლისგან სულშეხუთული, ავ უწყებასავით ცხად და აშკარა სივრცეებზე მზით დაბრმავებული, დამცირებული იმ ურიცხვი მდაბალი თხოვნით, რომლითაც იძულებული იყო შეშინებული შვილიშვილისათვის მიემართა. მატარებელი ბოროტ ადგილებს ჰკვეთდა, წყეულ უღელტეხილებს, მაღარიითა და ძილბურანით სავსე დაბლობებს. კალაბრიისა და ბაზილიკატის ეს პეიზაჟები თავადს ბარბაროსულად ეჩვენებოდა, თუმცა კი მშობლიური სიცილიის ტყუპისცალი იყო. რკინიგზის მშენებლობა ჯერ არ დაესრულებინათ: რეჯო დი კალაბრიას მახლობლად მკვეთრი მოსახვევი იყო მეტაპონტოსკენ რალაცნაირი მთვარეული უდაბნოების გასწვრივ, რომლებიც თითქოსდა დაცინვის სახით ატარებდნენ კროტონესა და სიბარის ათლეტურსა და ვნებიან სახელებს. მესინის იქით კი, სრუტის ვერაგი ღიმილის შემდეგ, პელორიტანოს გადახრუკული ბორცვებით მოტყუებულს, კვლავ მოსახვევი ელოდა, მტკივნეულ სამკურნალო პროცედურასავით გრძელი.

მატარებელი კატანიაში ჩაეშვა, მერე კასტროჯოვანის მხარეს აფოფხდა. ორთქლმავალი ქოშინით მიიწეოდა აღმა დაუჯერებლად ციცაბო ფერდობებზე და თითქოს ქანცვანყვეტილი ცხენით ის-ის იყო უნდა დაცემულიყო. ბოლოს, გულისნამღები დაღმასვლის შემდეგ პალერმოს მიაღწიეს.

ჩასვლისას ოჯახის ნევრთა ჩვეული ნიღბები დახვდა ზედ გამოსახული ღიმილით: მოგზაურობის კეთილ დასასრულს ულოცავდნენ. სადგურზე დამხვდურთა სწორედ ამ მანუგეშებელი ღიმილიდან, მათი გათამაშებული ან ცუდად გათამაშებული გამომეტყველებიდან ჩასწვდა სემოლას მიერ გამოტანილ ჭეშმარიტ დიაგნოზს, რადგან თვითონ მას პროფესორმა მხოლოდ რაღაც გამამხნეველებელი და ზოგადი სიტყვები უთხრა. ჰოდა, სწორედ მაშინ, მატარებლიდან ჩამოსვლის შემდეგ, როცა სამუდამო საქვრივო ძაძებში დასამარებულ რძალს, ღიმილის ნიშნად კბილებდაკრეჭილ შვილებს, თვალებში შიშვეპარულ ტანკრედის, სავსე და მომნიჭებულ მკერდზე აბრეშუმშემოტკეცილ ანჯელიკას ეხვეოდა, მაშინ იყო, რომ პირველად გაისმა ჩანჩქერის გრიალი.

როგორც ეტყობა, გული წაუვიდა: არ ახსოვდა, როგორ მივიდა ეტლთან. გონს იქ მოეგო, ფეხები დაბუყებოდა, გვერდით კი მხოლოდ ტანკრედი ეჯდა. ეტლი ჯერ არ დაძრულიყო და გარედან ნათესავთა ხმები სწვდებოდა სმენას: „არაფერია“, „ძალიან ხანგრძლივი იყო მოგზაურობა“, „ამ სიცხეში ჩვენც როგორ არ მიგვდის გული“, „ვილამდე მგზავრობა ძალიან დაღლის“. კვლავ სრულად დაუბრუნდა შეგნება: ამჩნევდა კონჩეტასა და ფრანჩესკო-პაოლოს შორის რაღაც სერიოზულ საუბარს, ტანკრედის ელეგანტურობას, მის ყავისფერ და ჩალისფერ კუბოკრულ კოსტიუმს, მუქ ცილინდრს. ისიც შეამჩნია, რომ დისწულის ღიმილი აღარ იყო ჩვეულად დამცინავი, ახლა რაღაცნაირი მელანქოლიური ალერსი შეჰპარვოდა. და აქედან ტკბილ-მწარე შეგნება მიიღო იმისა, რომ დისწულს უყვარს და ისიც იცის, რომ მისი დღეები დათვლილია. აბა, სხვანაირად მუდმივი ირონია როგორ დაუთმობდა ადგილს ამ ალერსიან მზერას. ეტლი დაიძრა და მარჯვნივ მოუხვია.

– კი მაგრამ, საით მივდივართ, ტანკრედი? – საკუთარმა ხმამ გააკვირვა, შინაგანი გრიალის ექო იგრძნობოდა.

– „ტრინაკრიას“ სასტუმროში, ძია. შენ დაღლილი ხარ, ვი-

ლა კი შორსაა. ერთ ღამეს დაისვენებ და ხვალ შინ დაბრუნდები. განა ასე არ ჯობია?

– მაშინ ჩვენს სახლში ნავიდეთ, სანაპიროზე. ეს კიდევ უფრო ახლოა.

მაგრამ შეუძლებელი იყო: თვითონაც იცოდა, რომ სახლი მოუნყობელი იყო, მხოლოდ ზღვის ნაპირას სახელდახელო საუზმეებისათვის თუ გამოდგებოდა, სანოლიც კი არ იდგა იქ.

– სასტუმროში უკეთესად იგრძნობ თავს, ძია. იქ ყველაფერი გექნება.

ახალშობილივით ექცეოდნენ, მაგრამ ახალშობილის ძაღვბილა შერჩენოდა.

პირველი, რაც სასტუმროში დახვდა, ექიმი იყო. სასწრაფოდ გამოიძახეს, ალბათ გულის წასვლისას. მაგრამ ეს დოქტორი კატალიოტი არ ყოფილა, მისი ჩვეული მკურნალი, მომღიმარე სახის ქვეშ მუდამ რომ თეთრი ჰალსტუხი უჩანდა, ცხვირზე კი ოქროს მდიდრული სათვალე. ეს ვიღაც დაკონკილი იყო, ამ სანყალობელი უბნის ექიმი, ათასობით უბადრუკი აგონიის უძლური მოწმე. გახუნებული რედინგოტის ზემოდან გრძელი და გამხდარი სახე იყურებოდა, თეთრი ჯაგრით დაფარული, მშვიერი ინტელექტუალის იმედგაცრუებული თვალებით. როცა ჯიბიდან უძენკვო საათი ამოიღო, ყალბი ოქროს ფენის ქვეშ დაჟანგული სპილენძის სიმწვანე გამოჩნდა. თვითონაც უკვე გზის მოსახვევში ჯორიდან ჩამოვარდნილ ძირგამოხეულ ტიკს ჰგავდა, საიდანაც დაუბრკოლებლად იღვრება ზეითუნის ზეთის ნარჩენი. მაჯა გაუსინჯა, ქაფურის წვეთები გამოუწერა, დაჭმული კბილები გამოაჩინა ღიმილში, რომელიც ნუგეშისმცემელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ სინამდვილეში მხოლოდ შებრალებას ითხოვდა. ქეჩასავით რბილი ნაბიჯებით გავიდა გარეთ.

მალე წვეთებიც მოიტანეს ახლომდებარე აფთიაქიდან. მოუხდა, ოდნავ მოლონიერდა კიდევ, მაგრამ მისგან გაქცეულ ჟამთასვლას არ შეუსუსტებია თავისი დინება.

დონ ფაბრიციომ კარადის სარკეში ჩაიხედა: უფრო ტანსაცმელი იცნო, ვიდრე საკუთარი თავი. მაღალი, აყლაყუდა, ჩაცვნილი ლოყებით, სამი დღის გაუპარსავი წვერით, იმ ინგლისელ მანიაკებს ჰგავდა, ჟიულ ვერნის წიგნებში რომ გამოსახავენ – ამ წიგნებს ფაბრიციეტოს ჩუქნიდა ხოლმე საშობა-

ოდ. ლეოპარდი ცუდ ფორმაში იყო. რატომ სურდა ღმერთს, რომ არავინ მომკვდარიყო საკუთარი სახით? ყველას ასე მოსდის: სახეზე ნილაბაკრულნი კვდებიან. ახალგაზრდებიც. ის ჯარისკაციც, მოთხერილი სახით; პაოლოც, როცა ქვაფენილიდან წამონიეს მოკრუნჩხული და მოკეცილი, სანამ სხვები მის გადმომგდებ ცხენს მისდევდნენ მტვერში. და თუ მასში, უკვე მოხუცში, გამოდენილი ცხოვრების გრიალი იმდენად ძლიერი იყო, რაოდენი უნდა ყოფილიყო იმ ჯერაც სავსე მარაგის გუგუნის, ერთ წამში რომ ტოვებდა საბრალო ნორჩ სხეულებს? სურდა რამენაირად მაინც წინ აღდგომოდა ამ იძულებითი კამუფლაჟის აბსურდულ წესს, მაგრამ გრძნობდა, რომ უძლური იყო: ახლა სამართებლის აწევა იგივე იქნებოდა, რაც ოდესღაც სანერი მაგიდის აწევა იყო.

– დალაქი მოვაყვანიხით, – უთხრა ფრანჩესკო-პაოლოს. მაგრამ მაშინვე იფიქრა: „არა. ეს თამაშის წესია ასეთი, საზიზღარი, მაგრამ ფორმალური. მერე გამპარსავენ“. ხმამაღლა კი თქვა: – თავი გაანებე. მერე ვიფიქრებთ ამაზე.

მოკაკეული დალაქის ანაბარა დატოვებულ გვამად წარმოიდგინა თავი, მაგრამ ამას არ შეუშფოთებია.

თბილი წყლით სავსე თასითა და ღრუბლით ხელში მსახური შემოვიდა. პიჯაკი და პერანგი გახადა, სახე და ხელები დაბანა, როგორც პატარა ბავშვს ბანენ ხოლმე, ან მკვდარს. მატარებელში დღენახევრის დაგროვილმა ჭვარტლმა წყალიც ძაძებით შემოსა. დაბალჭერიან ოთახში სული ეხუთებოდა: სიცხეში სხვადასხვა სურნელი ღვებოდა; დამტვერილი ხავერდის სიმყრალე ცურავდა ჰაერში; აქ გასრესილი ტარაკნის ათობით აჩრდილი იღვიძებდა მათ დამახასიათებელ წამლის-მაგვარ სუნში; ღამის მაგიდის ირგვლივ ოდესღაც აქ მცხოვრები სხვადასხვა ადამიანის შარდის ძველი და დაჟინებული მოგონებები იპყრობდა ოთახს. დარაბები გააღებინა: სასტუმრო ჩრდილში იდგა, მაგრამ ლითონისებური ზღვიდან ანარეკლი სინათლე დამაბრმავებელი იყო. საპყრობილის ამ სიმყრალეს მაინც სჯობდა. ითხოვა, სავარძელი აივანზე გაეტანათ. ვილაცის მკლავზე დაყრდნობილი გამოლასლასდა ჰაერზე და განვლილი ორი მეტრის შემდეგ ისეთივე გრძნობით ჩამოჯდა, როგორსაც ადრე განიცდიდა, როცა მთებში ექვსსაათიანი განუწყვეტელი ნადირობის შემდეგ ისვენებდა.

- ყველას უთხარი, თავი გამანებონ. უკეთესად ვარ. მეძინება.

მართლაც ეძინებოდა, მაგრამ იფიქრა, რომ ახლა ძილსათვის თავის მინებება იგივე იქნებოდა, რაც სასურველ სადილამდე ცოტა ხნით ადრე ტორტის ნაჭრის შეჭმა. გაიღიმა: „ყოველთვის ბრძენი მჭამელი ვიყავი“. ასე იჯდა დიდ გარეგან სიჩუმეში და ზარდამცემ შინაგან გრიალში ჩაძირული.

თავის მარცხნივ მიბრუნება შეძლო: მონტე პელეგრინოს გვერდით მთების რგოლში გასასვლელი ჩანდა, უფრო შორს კი ორი ბორცვი, რომელთა ძირშიც მისი სახლი იდგა. მიულნეველი და შორეული ჩანდა ახლა. თავისი ობსერვატორია მოაგონდა, ახლა უკვე ათწლეულთა მტვრისათვის განწირული ტელესკოპები; თვითონაც მტვრად ქცეული საბრალო პადრე პირონი; ფეოდების სურათები, შპალიერის მანჭია მაიმუნები, დიდი სპილენძის სანოლი, სადაც მისი სტელუჩა მოკვდა. ფიქრობდა ყველა ამ უბადრუკ საგანზე, ახლა რომ ასე ძვირფასი იყო, ლითონის ყველა ხლართზე, ძაფის ყველა ნწულზე, მინითა და მცენარეთა წვენით დაფარულ ტილოებზე, ყველაფერზე, რასაც თვითონ აცოცხლებდა და რაც ახლა, სრულიად უდანაშაულო, მასთან ერთად მოოხრებისა და მივიწყების უფსკრულში უნდა ჩააცვინილიყო. გული შეეკუმშა, საკუთარი აგონია მიავიწყდა ამ საბრალო და საყვარელ საგნებზე ფიქრში. მის უკან სახლების უძრავი მწკრივი, მთების ჯებირი, მზით განამებული ფერდობები ხელს უშლიდა, დონაფუგატაზე ეფიქრა. ეს სიზმრად მოვლენილ სახლად მიაჩნდა ახლა. ეგონა, მისი აღარ იყო: მას ახლა მხოლოდ უძლური სხეული ეკუთვნოდა, და კიდევ – ფეხქვეშ ფიქალის ფილები, ბნელ წყალთა ეს შეუჩერებელი დინება უფსკრულისკენ. მარტო იყო, ჩაძირული გემის ტივზე გადარჩენილი მეზღვაური, გამოუცნობ დინებებს მინდობილი.

მართალია, შვილებიც ჰყავდა. ერთადერთი მისი მსგავსი, ჯოვანი, აქ აღარ იყო. ორ წელიწადში ერთხელ ლონდონიდან მოკითხვას გზავნიდა. ქვანახშირთან უკვე აღარა ჰქონდა საქმე და ბრილიანტებით ვაჭრობდა. სტელას სიკვდილის შემდეგ მის მისამართზე ამანათით სამაჯური მოვიდა. ეს მართლაც ვაჟი იყო. ისიც „ეარშიყებოდა სიკვდილს“, უფრო მეტიც, ყველაფრის მიტოვებით საკუთარ თავს იმ რაოდენობით მოუნყო

სიკვდილი, რაც კი შესაძლებელია სიცოცხლის შეუნყვეტლად. სხვები კი... შვილიშვილებიც ჰყავდა: ფაბრიციეტო, სალინას გვარში ყველაზე უმცროსი, ასეთი ლამაზი, ასეთი ცოცხალი, ასეთი საყვარელი.

ასეთი საძულველი. მალვიკას სისხლის ორმაგი დოზით, ტკობისკენ მიმართული ინსტინქტებით, ბურჟუაზიული ელემენტურობისკენ მიდრეკილებით. ამოა იყო თავის იძულება და სანინალმდევოს მტკიცება: უკანასკნელი სალინა თვითონ იყო, გალუული გიგანტი, სულთამბრძოლი რომ იჯდა სასტუმროს აივანზე. წარჩინებული საგვარეულოს მთელი მნიშვნელობა ხომ ტრადიციებში, ცხოვრებისეულ მოგონებებშია: ის უკანასკნელი იყო, ვინც თავისებურ, სხვა ოჯახებისგან განსხვავებულ მოგონებებს ფლობდა. ფაბრიციეტოს კი ბანალური მუხსიერება ექნება, მისი გიმნაზიელი ამხანაგებისაგან განურჩეველი. მოაგონდება იაფი საუზმეები, ბოროტი სასკოლო ხუმრობები, ცხენები, რომლებსაც უფრო ფასის მიხედვით შეიძენს, ვიდრე მათი ღირსებების გამო. სახელის მნიშვნელობა კი ცარიელ პომპეზურობად გადაიქცევა, რომელსაც სულ უფრო ჩაამნარებს აზრი, რომ ვიღაცას გაცილებით უფრო საამაყო სახელი შეიძლება ჰქონდეს. გაიმართება ნადირობა მდიდარ ქორწინებაზე, მაგრამ ესეც რუტინად იქცევა და აღარ იქნება ის რისკიანი და თავბრუდამხვევი ფათერაკი, როგორც ტანკრედისთვის იყო. დონაფუგატას გობელენებს, რაგატიზის ნუშის ბალებს, ყველა ამ ნატიფ და შუქრდილიან საგანს და, ვინ იცის, ალბათ ამფიტრიტეს შადრევანსაც ადვილად მოსაწონებელი ჟელატინის ბუტერბროდებად, თავიანთ ეფემერულ ბალებებზე უფრო ადრე დასაჭკნობ მოცეკვავე ქალებად გარდასახვის გროტესკული ბედი ენევა. თვით მასზე კი მხოლოდ იმას მოიგონებენ, რომ, აი, მოხუცმა ახირებულმა ბაბუამ ივლისის ერთ ნაშუადღევს სწორედ დროზე გაფშიკა ფეხები, რათა შვილიშვილისთვის ლივორნოს პლაჟზე გამგზავრება არ დაეშალა. თვითონ მას უთქვამს ოდესღაც, სალინა ყოველთვის სალინად დარჩებაო. შეცდა – უკანასკნელი სალინა თვითონ იყო. ამ გარიბალდიმ, ამ წითელწვერა ვულკანმა ბოლოს და ბოლოს გაიმარჯვა.

მეზობელი ოთახიდან, რომლის ფანჯარა იმავე აივანზე გადიოდა, კონჩეტას ხმა მოისმა:

– არა, უამისოდ ვერ იქნებოდა. უნდა დაგვეძახა. ვერასოდეს ვინუგეშებდი თავს, რომ არ მოგვეყვანა.

იმნამსვე მიხვდა: მღვდელზე ამბობდა. ერხანს იფიქრა, უარი ეთქვა, ეცრუა, ყვირილი დაეწყო, თავს კარგად ვგრძნობ, არაფერი მჭირდებაო. მალევე შეიგნო თავისი განზრახვის უგუნურება: იგი თავადი სალინა იყო და ისე უნდა მომკვდარიყო, როგორც თავად სალინას შეჭფერის, ღვთისმსახურის თანხლებით. კონჩეტა მართალი იყო. თანაც რატომ უნდა ეთქვა უარი იმაზე, რაც ათასობით მომაკედავს სურს? გაყურდა: უკანასკნელი ზიარების ზანზალაკს ელოდებოდა. ოჰ, ეს მეჯლისისი პონტელეონესთან: ანჯელიკას ყვავილის სურნელი უდიოდა მის მკლავებში. მალე ზანზალაკის რეკვაც გაიგონა, რადგან მწუხარე ღვთისმშობლის ეკლესია თითქმის ქუჩის გადაღმა იყო. ვერცხლისფერი და მოზეიმე ბგერა კიბეზე მიიკვლევდა გზას, დერეფანს აყრუებდა, განსაკუთრებით გამახვილდა, როცა კარი გაიღო: წინ სასტუმროს დირექტორი მოუძლოდა, უგუნებოდ მყოფი შვეიცარიელი, რომელსაც თავის სამფლობელოში მომაკედავის ატანა მოუხდა, უკან პადრე ბალსანო მოსდევდა, ეკლესიის წინამძღვარი, ტყავის ზარდახშაში ჩაბრძანებული ბარძიმით მოჰქონდა ნაკურთხი ძღვენი. ტანკრედიმ და ფაბრიციეტომ სავარძელი ანიეს, ოთახში შეიტანეს. იქ სხვები ელოდნებოდნენ მუხლმოყრილნი. უფრო უესტით უთხრა, ვიდრე ხმით:

– გადით, გადით! – აღსარების თქმა სურდა. საქმე ან კარგად უნდა გააკეთო, ან სულ არა.

ყველანი გავიდნენ, მაგრამ როცა სათქმელად მოემზადა, აღმოაჩინა, რომ სათქმელი ბევრი არ ჰქონია: ზოგი ჩადენილი ცოდვა ზუსტად ახსოვდა, მაგრამ იმდენად უმნიშვნელოდ მიაჩნდა, რომ არ ღირდა ამაზე ღირსი მამის მოცდენა ამ პაპანაქებაში. არა, თავი უმანკოდ არ მიაჩნდა, მაგრამ მთელი მისი ცხოვრება იყო ცოდვიანი და არა ესა თუ ის ცალკეული ქმედება. ერთადერთი ნამდვილი ცოდვა არსებობს – პირველყოფილი. მაგრამ ამის სათქმელად დრო აღარ ჰყოფნიდა. თვალებზე აფორიაქება დაეტყო, და მღვდელს შესაძლებლობა მიეცა, შემუსვრილი გულის გამოხატულებად მიეჩნია ეს. კაცმა რომ თქვას, ასეც იყო. მღვდელმა შენდობა მისცა. როგორც ეტყობა, ნიკაპი მკერდზე ჰქონდა დაყრდნობილი, ამიტომ მალალ-

ღირს მამას თვითონ მოუხდა დაჩოქება მომაკვდავის საზიარებლად. ამის შემდეგ წაკითხულ იქნა უკანასკნელი გზის დასატკეპნი უხსოვარი სიტყვები და მღვდელიც გავიდა.

სავარძელი აივანზე აღარ გაუტანიათ. ფაბრიციეტო და ტანკრედი გვერდით მოუსხდნენ და თითოეულს მისი ხელი ეჭირა. ყმანვილი მხოლოდ და მხოლოდ ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა თავის ცხოვრებაში პირველი მომაკვდავის სანახაობას. მომაკვდავი კაცი კი არა, ბაბუა იყო, ეს კი სულ სხვა რამაა. ტანკრედის მაგრად ეჭირა ბიძის ხელი და ლაპარაკობდა, ბევრს ლაპარაკობდა, მხიარულად ლაპარაკობდა: წარმოუდგენდა გეგმებს, რომლებშიც თითქოს დონ ფაბრიციოსაც უნდა მიეღო მონაწილეობა, განუმარტავდა პოლიტიკურ მოვლენებს. იგი უკვე დეპუტატი იყო და ლისაბონში ელჩის ადგილსაც ჰპირდებოდნენ, მრავალი საიდუმლო და გემრიელი ამბავი იცოდა. მისი ცხვირისმიერი ხმა და ცინცხალი ლექსიკონი სიცოცხლის წყალთა სულ უფრო ხმაურიან გადინებას ამაო და წარმავალ კვალს ამჩნევდა. თავადი მაინც ემაღლიერებოდა ამ ლაყბობისთვის, დიდი ძალისხმევით მაგრამ მცირე შედეგით უჭერდა ხელზე. მაღლიერი იყო, მაგრამ არ უსმენდა. თავის ცხოვრებას აჯამებდა, ბალანსის შედგენა ენადა, სურდა უმოქმედობის ნაცრის უშველებელი გროვიდან ბედნიერი წამების გაბნეული ოქრო ამოეღო. აჰა, ეს მარცვლებიც: ქორწინებამდე ორი კვირით ადრე; ექვსი კვირის შემდეგ; ნახევარი საათი პაოლოს დაბადებასთან დაკავშირებით, როცა იგრძნო სიამაყე, რომ ერთი შტო წაამატა სალინათა გენეალოგიურ ხეს (ახლა კი იცოდა, რომ ეს სიამაყე უსაფუძვლო იყო); რამდენიმე საუბარი ჯოვანისთან მის გაქრობამდე, როცა ეგონა, რომ ამ ყმანვილში თავისი მსგავსი სული აღმოაჩინა; ობსერვატორიაში განმარტოებით გატარებული მრავალი საათი, როცა აბსტრაქტულ გამოთვლებს ეძლეოდა და მოუხელთებლის შეპყრობას ლამობდა. მაგრამ განა ამ საათების ჩანერა შეიძლებოდა სიცოცხლის აქტივში? განა ეს საიქიო ნეტარების წინასწარ ნაგემი წილი არ იყო? რა მნიშვნელობა ჰქონდა: ეს საათებიც ყოფილა მის ცხოვრებაში.

ქვემოთ, ქუჩაში, სასტუმროსა და ზღვას შორის მეარღნე გაჩერდა და იმ დროს არარსებული უცხოელების მოზიდვის ხარ-

ბი იმედით აღძრულმა დაკვრა დაიწყო. თუ *che a Dio spiegasti l'af-
fi*⁴⁷ – ფქვევდა მისი არღანი. იმან, რაც დონ ფაბრიციოსგან რჩე-
ბოდა, გაიფიქრა, რამდენი ნაღველი ერეოდა მთელ იტალიაში
ამ წუთას არსებულ აგონიებს ამ მექანიკური მუსიკის გამო. ყო-
ველთვის გამჭრიახი ტანკრედი მსწრაფლ აივანზე გავიდა, მო-
ნეტა ისროლა ქვევით და შეარღნეს გაჩუმების ნიშანი მისცა.
გარეთ დუმილი დამყარდა, შიგნით გრიალი გაძლიერდა.

ტანკრედი. რა თქმა უნდა, სიცოცხლის აქტივში ბევრი რამ
მისი წყალობით ჩაინერა: მისი ცნობიერება, ირონიულობის
გამო კიდევ უფრო ძვირფასი და სანუკვარი; ესთეტიკური
ტკბობა იმის ხილვით, თუ რა ადვილად ამარცხებდა ცხოვრე-
ბისეულ სიძნელეებს; მისი დამცინავი სიყვარული. ამის მერე
ძაღვები: ფუფი, მისი ბავშვობის მოზრდილი მოპსი; ტომი,
მხიარული პუდელი, სანდო მეგობარი; ზველტოს უწყინარი
თვალები; ბენდიკოს ონავარი მხიარულება; პოპის ალერსიანი
თათები – პოინტერისა, რომელიც ამ წუთას ვილის ბაღში ბუჩ-
ქებსა და მერხებზე ეძებდა პატრონს, მაგრამ ველარასოდეს
იპოვნინდა. მერე რამდენიმე ცხენი, ოლონდაც ესენი უფრო შო-
რეულნი და უცხონი იყვნენ.

ახსოვდა დონაფუგატაში დაბრუნებების პირველი საათები,
ტრადიციისა და მარადიულობის ქვითა და წყლით ნაგები შეგ-
რძნება, გაყინული დრო. ნადირობისას რამდენიმე მხიარული
სროლა, ბოცვრებისა და კაკბების ლალი ყლელა, ტუმეოს რამ-
დენიმე გულიანი სიცილი, მოწინების რამდენიმე წუთი მონას-
ტერში, ობისა და მურაბის სუნში. სხვა კიდევ რა? ჰო, სხვაც
იყო, მაგრამ ეს ყველაფერი უკვე მინასთან იყო შერეული:
ტკბილი მომენტები, როცა ბრიყვებისთვის საკადრისად უპა-
სუხია; კმაყოფილება, როცა იგრძნო, რომ კონჩეტას სილამა-
ზესა და ხასიათში ნამდვილი სალინა ცოცხლობს; სასიყვარუ-
ლო ჟინის ზოგიერთი ნამი; სასიამოვნო გაკვირვება, როცა
არაგოსაგან მილოცვის წერილი მიიღო, ჰექსლის კომეტის გა-
მოჩენის ურთულესი გამოთვლების ზუსტად ჩატარების გამო.
რატომაც არა? საჯარო ტრიუმფი, როცა სორბონის მედლით
დააჯილდოეს, რამდენიმე აბრეშუმის ჰალსტუხისაგან მიღე-
ბული სასიამოვნო შეგრძნება კანზე, ზოგი დათრიმლული ტყა-

47 “შენ ღვთისკენ გაშალე ფრთები” (იტ.) – არია გაეტანო დონიცეტის ოპერი-
დან “ლუჩია დი ლამერმური”.

ვის სურნელი, ზოგი შემხვედრი ქალის ვნებიანი ან მოცინარი გამომეტყველება; მათ შორის ისიც, გუშინ კატანიის სადგურზე რომ შენიშნა ბრბოში გარეული თავისი ყავისფერი სამგზავრო კაბითა და ნატის ხელთათმანებით – ეს მზერა თითქოსდა მის დაშლილ სახეს ეძებდა ბინძური ვაგონის ფანჯრებს მიღმა. ბრბოში კი გაჰკიოდნენ: „ღვეზელი, ღვეზელი!“, „შეიძინეთ კორიერე!“. მერე კიდევ დაღლილი და სუნთქვაშეღებულ მატარებლის ქოშინი... და ჩამოსვლისას ეს სასტიკი მზე, ეს ცრუ ღიმილი ირგვლივ, შიგნიდან გამოსული წარღვნა...

თანდათანობით მოახლოებულ ჩრდილში შეეცადა, გამოეთვალა, რამდენი ხანი იცოცხლა ნაღდი სიცოცხლით. მისი ტვინი უკვე ველარ იტევდა უბრალო გამოთვლას: სამი თვე, ოცი დღე, ექვსი თვე, ექვსჯერ რვა ორმოცდარვა... ორმოცდარვა ათასი... ორმოცდარვა ათასი... თავიდან დაიწყო.

– სამოცდაცამეტი წლისა ვარ. ჯამში ნაღდი ცხოვრებით ალბათ ორი ან დიდი-დიდი სამი წელი ვიცხოვრე.

ტკივილი და მოწყენა კი რამდენი იყო? რა საჭიროა გამოთვლა: დანარჩენი დრო – სამოცდაათი წელი.

იგრძნო, რომ მისი ხელები შვილიშვილსა და დისწულს აღარ ეჭირათ. ტანკრედი სასწრაფოდ წამოდგა და გავიდა... მისი არსებიდან კი უკვე მდინარე კი არა, ოკეანე გამოედინებოდა, ქარიშხლიანი, ყალყზე შემდგარი აქაფებული და აღვირახსნილი ტალღებით...

ალბათ კიდევ ერთხელ ნაუვიდა გული, რადგან უცებ შენიშნა, რომ ლოგინზე იწვა. ვილაცას მისი მაჯა ეჭირა. ფანჯრიდან მომავალი, ზღვის ზედაპირზე არეკლილი შუქი აბრმავებდა. ოთახში რაღაც სისინი ისმოდა: ეს მისი ხროტინი იყო, მაგრამ არ იცოდა. გარშემო პატარა ბრბო წარმოქმნილიყო, უცხო ადამიანები შეშინებული მზერით მიშტერებოდნენ. ნელ-ნელა ყველა იცნო: ტანკრედი, კონჩეტა, ანჯელიკა, ფრანჩესკო-პაოლო, კაროლინა, ფაბრიციეტო. მისი მაჯა კი დოქტორ კატალიოტის ეჭირა. ეგონა, რომ ამ უკანასკნელს გაუღიმა მისალმების ნიშნად, მაგრამ არავის შეუმჩნევია. კონჩეტას გარდა ყველა ტიროდა. ტანკრედიც მოთქვამდა:

– ძია, ჩემო კარგო ძია!

ამ ჯგუფში უცებ გზა გაიკვლია ახალგაზრდა ქალბატონმა: წერნეტმა, ყავისფერი ფართოტურნირიანი სამგზავრო კა-

ბით. რიდეთი შემკული ჩალის ქუდი ვერ უფარავდა სახის ემ-
ხსა და სანდომიანობას. ნატივთ შემოსილი ხელი გაეყო ჭირი-
სუფალთა მკლავებს შორის, ბოდიშს უხდიდა, ახლოვდებოდა.
ის იყო, ის – მუდამ სასურველი არსება, რომელიც მის წასაყ-
ვანად მოსულიყო: უცნაურია, რომ ასე ნორჩმა მოისურვა, მას
დანებებოდა. მატარებლის გასვლის დრო მონეულიყო. როცა
პირისპირ მიუახლოვდა, რიდე აინია და მორცხვი, მაგრამ და-
უფლებების მოსურნე უფრო მშვენიერი ეჩვენა, ვიდრე მაშინ,
როცა ვარსკვლავიერ სივრცეში ხედავდა მას.

ზღვის ხმაური სრულიად მინყნარდა.

VIII მაისი 1910

მონსინიორ ვიკარიუსის ვიზიტი – სურათი და რელიკვიები –
კონჩეტას ოთახი – ანჯელიკასა და სენატორ ტასონის ვიზიტი –
კარდინალი: რელიკვიების აღსასრული – ყველაფრის ბოლო

სალინას მოხუც ქალბატონებთან მოსული სტუმარი ვესტიბიულში მდგარ სკამებზე აუცილებლად აღმოაჩენდა მღვდლის ერთ თავსაბურავს მაინც. ქალბატონები სამნი იყვნენ, შინაური ბატონობისათვის იდუმალმა ომებმა სამივე გაცვითა და დაფლითა, ამის გამო თითოეულ მათგანს, საკუთარი, გარკვეული აზრით ძლიერი ხასიათის გამო, სურდა, საკუთარი მოძღვარი ჰყოლოდა. როგორც ეს ჯერ კიდევ ჩვევად იყო 1910 წელს, აღსარებებს შინ ამბობდნენ, ხოლო მონანულთა ქენჯნის სიძლიერე ხშირად უბიძგებდა ამისკენ. მოძღვართა ამ პატარა რაზმს ემატებოდნენ: კაპელანი, რომელიც ყოველ დილით დების კერძო კაპელაში მოდიოდა მესის აღსასრულებლად, იეზუიტი, რომელიც სახლის ზოგად სულიერ ხელმძღვანელობას წარმართავდა, და ბოლოს, ამა თუ იმ სამრევლო ან საქველმოქმედო საქმისათვის შესანიშნავი სათხოვნელად მოსული მღვდლები და მოწესენი. აქედან უკვე ადვილი მისახვედრი იყო, რაოდენ განუწყვეტელი იყო სასულიერო პირთა მისვლა-მოსვლა ამ სახლში და რატომ ჰგავდა ხშირად სალინას ვილის ვესტიბიული რომში, მინერვას მოედნის გარშემო განლაგებულ მაღაზიებს, რომელთა ვიტრინებში გამოფენილია ყველა შესაძლებელი სამღვდლო თავსაბურავი კარდინალის ალისფერიდან დაწყებული, სოფლის მღვდლის ნახშირისფერით დამთავრებული.

1910 წლის მაისის ერთ ნაშუადღევს თავსაბურავების ერთობლიობა ნამდვილად უპრეცედენტო იყო. არქიდოცეზის⁴⁸ გენერალური ვიკარიუსის სტუმრობას მისი უნატიფესი მაუდისაგან შეკერილი პატარძლის ყვავილისფერი ფარფლებიანი ქუდი ამოწმებდა, განსაკუთრებულ სკამზე დასვენებული აბ-

⁴⁸ არქიდოცეზი – კათოლიკურ ეკლესიაში, ეპარქია, რომელსაც სათავეში მთავარეპისკოპოსი უდგას.

რეშუმისა და იმავე უნაზესი ფერის ცალი, მარჯვენა ხელთათმანის გვერდით. მისი თანაშემწის ქუდი უკვე შავი გრძელხაოიანი და ელვარე ხავერდისა იყო, ქსოვილის ვინრო იისფერი ზოლით შემოვლებული. აქვე იდო იეზუიტის ორი ქუდიც, თავშეკავებისა და მოკრძალების ნკვარამისფერი ფეტრისგან დამზადებული სიმბოლო. კაპელანის ქუდი კი განცალკევებით იდო, როგორც შეეფერება დასაკითხი პირის ნივთს.

მართლაც, იმ დღეს შეკრებილი ყრილობა არ ყოფილა უმნიშვნელო. პაპის განჩინებათა აღსასრულებლად პალერმოს კარდინალ-მთავარეპისკოპოსმა არქიდოცეზის კერძო სამლოცველოთა ინსპექცია წამოიწყო, რათა დარწმუნებულიყო ამ მომსახურე პირთა ღირსეულობაში, კულტისა და გარეგანი მონყობილობის საეკლესიო კანონებთან შესაბამისობაში და მათში თავყვანისცემისათვის გამოფენილ რელიკვიათა ავთენტიკურობაში. სალინას ქალბატონების კერძო კაპელა ქალაქში ყველაზე ცნობილი და ამიტომაც ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, სადაც მისმა მაღალყოვლადუსამღვდელოესობამ განიზრახა სტუმრობა. ხვალინდელი დილისათვის გათვალისწინებული სწორედ ამ მოვლენის მოსამზადებლად მობრძანდა მონსინიორ ვიკარიუსი სალინას ვილაში. საარქიეპისკოპოსო კურიაში, ამ კაპელის შესახებ ვინ იცის, რომელი ფილტრებიდან გამოჟონილმა სავალალო ჭორებმა მოაღწია. რა თქმა უნდა, მესაკუთრეთა ღირსეულობასა და მათ მიერ საკუთარ სახლში რელიგიური მოვალეობის აღსრულების უფლებას ეს ჭორები არ ეხებოდა. ეს არგუმენტები ყოველგვარ კამათზე მაღლა იდგა. არც კულტის რეგულარობა და განუწყვეტლობა იწვევდა ეჭვს: ეს ყოველივე სრულყოფილების ზღვარზე იყო, თუ არ გავითვალისწინებდით სალინას ქალბატონების, სხვა თუ არაფერი, გასაგებ სურვილს, არ დაეშვათ უცხო პირები მათ უინტიმურეს ოჯახურ წრეში აღსრულებულ ღვთისმსახურებაზე. კარდინალის ყურადღება ამ კაპელაში თავყვანისსაცემად გამოფენილ ერთ სურათსა და ათობით რელიკვიას მიეპყრო: მათი ავთენტიკურობის შესახებ სხვადასხვა აღმამფოთებელი მითქმა-მოთქმა იყო ატეხილი, რაც მკაცრ შემონმეზას საჭიროებდა. კაპელანმა, მაღალი კულტურისა და მაღალი იმედების მომცემმა სასულიერო პირმა, საყვედური მიიღო იმის გამო, რომ არასაკმარისად აუხილა თვალები მოხუც ქალ-

ბატონებს. მას, თუ შეიძლება ასე ითქვას, საფუძვლიანად „გა-
უსაპნეს ტონზურა“.

თავყრილობა ვილის მთავარ, მაიმუნებითა და თუთიყუშე-
ბით შემკულ დარბაზში იყო. სინიორინა კონჩეტა და მის მარ-
ჯვნივ კი მონსინიორ ვიკარიუსი ისხდნენ წითელზოლიანი
ლურჯი მაუდით განყობილ დივანზე, რომელიც ოცდაათი
წლის წინ შეიძინეს და ცუდად ეხამებოდა ძვირფასი კედლების
მქრქალ მოხატულობას. დივანის აქეთ-იქით, მისი მსგავსი სა-
ვარძლები სინიორინა კაროლინასა და ერთ-ერთ იეზუიტს,
პადრე კორტის დაეკავებინათ, დამბლადაცემული სინიორინა
კატერინა თავის ბორბლებიან სავარძელში ჩაბრძანებულიყო,
ხოლო დანარჩენი სამღვდელონი შპალიერის იდენტური ქსო-
ვილით განყობილ ძველ სკამებზე განანთილებულიყვნენ და თა-
ვიანთი ადგილები ნაკლებ ღირსეულად მიაჩნდათ, სასურველ
სავარძლებთან შედარებით.

დების ასაკი სამოცდაათს ოდნავ იქით ან ოდნავ აქეთ იყო
და კონჩეტა მათ შორის უფროსი არ ყოფილა. მაგრამ ძალაუფ-
ლებისათვის უკვე ხსენებული ომის შედეგად, რომელიც დიდი
ხნის წინ მეტოქეთა გენერალური ბრძოლით დაგვირგვინდა,
ველარავინ ეცილებოდა სახლის პატრონის წოდებას. მის იერ-
ზე ჯერ კიდევ შეიმჩნეოდა ყოფილი სილამაზის ნაკვალები:
მსუქანსა და ზვიადი გარეგნობისას, მუდამ შავი მუარის კაბა-
ში გამონყობილს, ქათქათა თმები ყოველთვის მალლა ჰქონდა
ავარცხნილი, ამიტომ დროისაგან თითქმის ხელუხლებელი
შუბლი უჩანდა. ეს ყველაფერი, თუ მრისხანე თვალებსა და
ცხვირის ზემოთ ამპარტავან ნაკეცსაც გავითვალისწინებთ,
ყოველთვის ავტორიტეტულ და ლამის იმპერიულ იერს ანი-
ჭებდა კონჩეტას. იმდენად, რომ ერთ-ერთი მისი დისწული,
რომელმაც, კაცმა არ იცის, რომელ წიგნში ცნობილი დედოფ-
ლის პორტრეტი ნახა, დეიდას ზურგსუკან ეკატერინე დიდს
ეძახდა. მეტსახელი არასასურველი იყო, მაგრამ, ერთი მხრივ,
კონჩეტას აბსოლუტური ცხოვრებისეული უმანკოება, მეორე
მხრივ, დისწულის ასევე აბსოლუტური უმეცრება რუსეთის ის-
ტორიის დარგში, მას სრულიად უწყინარ ხუმრობად აქცევდა.

საუბარი უკვე ერთი საათი გრძელდებოდა. ყავა უკვე დაი-
ლია. გვიანდებოდა. მონსინიორ ვიკარიუსმა თავისი არგუმენ-
ტები შეაჯამა:

– მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას მამობრივად ნებავეს, რომ კერძო კაპელაში აღსრულებული კულტი სრულიად ესადაგებოდეს დედაეკლესიის უნმინდეს წესებს. სწორედ ამიტომ მიმართა მზერა მისმა სამოძღვრო ზრუნვამ, სხვაზე უფრო ადრე, თქვენი კაპელისკენ. მან უწყის, რომ თქვენი სახელი საგვარეულო შუქურასებრ ბრწყინავს პალერმოს საერო საზოგადოებაში, ამიტომაც სურს, რომ თაყვანისცემისთვის აქ გამოფენილ საგანთა უმნიკვლოებიდან გადმოვიდეს უმეტესი სულიერი განათლება თქვენთვის და ყველა მორწმუნე სულისათვისაც.

კონჩეტა სდუმდა, მაგრამ უფროსმა დამ, კაროლინამ იფეთქა:

– ახლა ჩვენი ნაცნობების წინაშე ბრალდებულებად უნდა წარვდგეთ. ჩვენი კაპელის შემონმება, მომიტვეთ, მონსინიორ, მაგრამ ისეთი რამეა, რომ აზრადაც არ უნდა მოსელოდა მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას.

მონსინიორი ხალისიანად იღიმებოდა:

– სინიორინა, თქვენ ვერც წარმოიდგენთ, რაზომ სათნოა ჩემთვის თქვენი აღლევება: ის ალალი, აბსოლუტური რწმენის გამოვლენაა, რომელიც სასურველია ეკლესიისთვის და, უსათუოდ, ჩვენი უფლის, იესო ქრისტესთვის. სწორედ ამგვარი რწმენის უმეტესი აყვავებისა და განწმენდისათვის ჩაიფიქრა ჩვენმა უწმინდესმა მამამ ეს შემონმება, რომელიც, სხვათა შორის, უკვე ერთი თვეა მიმდინარეობს მთელ კათოლიკე საქრისტიანოში.

პაპის ხსენება, მართალი რომ ვთქვათ, სულაც არ იყო კეთილგონივრული. მართლაც, კაროლინა იმ კათოლიკეთა ლაშქარს მიეკუთვნებოდა, რომლებიც დარწმუნებულნი არიან, რომ უმთავრეს ჭეშმარიტებებს პაპზე უფრო ღრმად ჩანვდომიან. პიუს მეათის მიერ შემოყვანილ ზოგიერთ ზომიერ განახლებას, ზოგიერთი უმნიშვნელო დღესასწაულის გაუქმებას, ადრევე გაელიზიანებინა იგი.

– ამ პაპმა, უმჯობესია, თავის საქმეებს მიხედოს, – მაგრამ აქ დაეჭვდა, დაუკრეფავში ხომ არ გადავდივარო, პირჯვარი გადაინერა და *Gloria Patri*⁴⁹ ჩაიდუღუნა.

⁴⁹ დიდება მამასა [და ძესა და სულსა წმიდასა] (ლათ.).

კონჩეტა ჩაერია:

– გრძნობებს ნუ აპყვები და იმას ნუ ამბობ, რასაც არ ფიქრობ, კაროლინა. რა წარმოდგენისა დარჩება ჩვენზე აქ მყოფი მონსინიორი?!

ეს უკანასკნელი, მართალი რომ ვთქვათ, პირვანდელზე უფრო მხიარულად იღიმებოდა. მხოლოდ იმას ფიქრობდა, რომ იდეების შეზღუდულობასა და გაუნათებელ საქმიანობაში დაბერებული პატარა გოგონას წინაშე იჯდა. გულკეთილი ყველაფერს პატიობდა.

– მონსინიორი დარწმუნებულია, რომ წმიდა ცხოვრების სამი ქალბატონის წინაშე იმყოფება.

იეზუიტმა, პადრე კორტიმ დაძაბულობის განმუხტვა მოიხსურვა:

– მონსინიორ, მე ის ადამიანი ვარ, ვისაც საუკეთესოდ შეუძლია თქვენი სიტყვების დადასტურება. პადრე პირონე, რომლის ხსოვნას ყველა მისი ნაცნობი სამუდამოდ ინახავს გულში, ჩემი ნოვიციატის⁵⁰ დროს ხშირად მომითხრობდა, თუ რა ღვთისმოსავ გარემოში გაიზარდნენ ქალბატონები. თანაც სალინას სახელი საკმარისია იმისათვის, რომ ყოველივე ნათელყოს.

მონსინიორმა კონკრეტულ საკითხებზე გადასვლა ისურვა:

– სინიორინა კონჩეტა, ახლა, როცა ყოველივე განცხადდა, თუ ნებას მიბოძებთ, ვისურვებდი კაპელის დათვალიერებას, რათა შევძლო მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობის მომზადება სარწმუნოების იმ სასწაულებისათვის, რომლებსაც ქველ შეხვდება.

* * *

თავადი ფაბრიციოს დროს ვილას არანაირი კაპელა არ ჰქონია: მთელი ოჯახი სადღესასწაულო დღეებში ეკლესიაში მიეშურებოდა და თვით პადრე პირონეც სავალდებულო მესის აღსასრულებლად ყოველ დილით გზის კარგა გვარიან მონაკვეთს გადიოდა. დონ ფაბრიციოს სიკვდილის შემდეგ, როცა მრავალი, ხანგრძლივი, აქ აღსაწერად სრულიად წარმოუდგე-

⁵⁰ ნოვიციატი — რელიგიურ ორდენში შესასვლელად მოსამზადებელი პერიოდი.

ნელი სამემკვიდრეო დავის შემდეგ ვილა სამი დის საკუთრებაში გადავიდა, მათ მაშინვე განიზრახეს აქ საკუთარი სამლოცველოს მონყობა. ამისათვის ერთი გამოუყენებელი სალონი აირჩიეს, სადაც კედლებში ჩაყოლებული ყალბი მარმარილოს ცრუ სვეტები რომანული ბაზილიკის შორეულ მოგონებას იწვევდა. ჭერიდან გადაფხიკეს შეუსაბამო მითოლოგიური შინაარსის ფრესკა და საკურთხეველი დადგეს. ასე მოეწყო ყველაფერი.

მონსინიორის შესვლისას კაპელა ჩამავალი მზის სხივებით იყო განათებული. საკურთხეველის ზემოთ ქალბატონებისათვის სათაყვანებელ სურათს სინათლე უხვად ეცემოდა: ეს კრემონას სტილის ზეთით მხატვრობა იყო და გამოსახავდა სუსტი აღნაგობის ძალიან სანდომიან ყმანვილ ქალს ზეცას აპრყობილი მზერით, ნახევრადშიშველ მხრებზე გრაციოზულად გაბნეული რბილი ნაბლისფერი თმებითა და მარჯვენა ხელში ჩაბღუჯული მოკეცილი წერილით. სახეზე ქალწულს მთრთოლვარე მოლოდინის გამომეტყველება ჰქონდა, სპეტაკ თვალებში კი ერთგვარი სიხარული უელავდა. უკანა პლანზე რბილი ლომბარდიული პეიზაჟი მოჩანდა მწვანედ. არც ყრმა მაცხოვარი, არც გვირგვინი, არც გველი, არც ვარსკვლავი, ერთი სიტყვით, არც ერთი სიმბოლო, ჩვეულებრივ რომ თან ახლავს მარიამის გამოსახულებას, სურათზე არ იყო. მხატვარი ალბათ ფიქრობდა, რომ ქალწულებრივი იერი სრულიად საკმარისი იქნებოდა ღვთისმშობლის საცნობად. მონსინიორი მიუახლოვდა, საკურთხეველის კიბის ერთი საფეხური აიარა და პირჯვარი არ გადაუნერია, ისე დააკვირდა სურათს რამდენიმე წუთით. თან მომლიმარ განცვიფრებას გამოხატავდა, თითქოს მღვდელი კი არა, ხელოვნებათმცოდნე ყოფილიყო. მის უკან დები გამალებით იწერდნენ პირჯვარს და ლოცვებს ბუტბუტებდნენ.

ამის შემდეგ პრელატი ჩამოვიდა საკურთხეველის კიბიდან და დებს შემოუბრუნდა:

– მშვენიერი ფერწერაა, – თქვა, – ძალიან გამომსახველი.

– ეს სასწაულმოქმედი გამოსახულებაა, მონსინიორ, სასწაულმოქმედი! – განმარტა კატერინამ, საბრალო სნეულმა, რომელიც თავისი მოსიარულე სანამებელი აპარატიდან წამოწეულიყო. – რამდენი სასწაული მოუხდენია!

კაროლინაც არ ცხრებოდა:

– სურათი წარმოადგენს ღვთისმშობელს წერილით. ქალწული უზუნაეს შეტყობინებას გადმოგვცემს და ევედრება თავის ღვთაებრივ ძეს, მესინის მოსახლეობის დასაფარავად. სწორედ ეს მფარველობა გამოვლინდა, როგორც ვნახეთ, ორი წლის წინ მომხდარი მიწისძვრის დროს გამოვლენილი მრავალი სასწაულისას.

– მშვენიერი ფერწერაა, სინიორინა, რასაც არ უნდა გამოსახავდე, მშვენიერი სურათია და ანგარიში უნდა გავუწიოთ.

შემდეგ მონსინიორი რელიკვიებს მიუბრუნდა: სულ სამოცდაათოთხმეტი იყო და მათ მჭიდრო რიგებს საკურთხევლის მახლობლად კედლის ორი ნაწილი ეკავა. ყოველი რელიკვია ჩარჩოში იყო ჩაკეტილი და ქალაქსაც შეიცავდა, რომელზედაც მისი სახელი, წარმომავლობა და ავთენტიკურობის დამამტკიცებელი საბუთის ნომერი იყო აღნიშნული. თვით საბუთები კი, ხშირად საკმაოდ სქელტანიანი და ბეჭდებით დამძიმებული, კუთხეში მდგარ დამასკური აბრეშუმით განწყობილ ზარდახშაში იყო ჩაკეტილი. ჩარჩოები ჭედური და პრიალა ვერცხლის, სპილენძისა და მარჯნის, კუს ბაკნისა და ფილიგრანის, აბანოზისა და ბზისგან გამოთლილი, ლურჯი და ნითელი ხავერდისა იყო. დიდი და პატარა, რვაკუთხა და კვადრატული, ოვალური და მრგვალი. ბოკონის მალაზიაში ნაყიდი უძვირფასესი ჩარჩოები. ზედ ამ ღვთისმოსავი სულების, ზეზუნებრივი განძის ერთგულ მცველთა ზრუნვა ეტყობოდათ.

კაროლინა ამ კოლექციის ნამდვილი შემოქმედი იყო: მან ადრე საიდანღაც გამოქექა დონა როზა, ფაშფაშა დედაბერი, სანახევროდ მონაზონი, რომელსაც პალერმოსა და მისი შემოგარენის ყველა ეკლესიაში, მონასტერსა და საქველმოქმედო დაწესებულებაში რაღაც ძალიან ნაყოფიერი ურთიერთობები ჰქონდა გაბმული. სწორედ ამ დონა როზას მოჰქონდა სალინას ვილაში ორ თვეში ერთხელ სიფრიფანა ქალაქში გახვეული ერთი რელიკვია. ამბობდა, რომელიღაცა გალარიბებულმა მრევლმა, ან გაკოტრებულმა საგვარეულომ დათმოო. და თუ გამყიდვლის სახელი საიდუმლოდ რჩებოდა, ამის მიზეზი ხომ სრულიად გასაგები, უფრო მეტიც, საქებარი მოკრძალება იყო. გარდა ამისა, ავთენტიკურობის დამამტკიცებელი საბუთებიც ყოველთვის თან ახლდა, მზესავით ნათელი, ლათინურ-

რად დანერილი, ხანაც სხვა იდუმალი ასოებით, რომელთაც ხან ბერძნულს უწოდებდნენ, ხანაც სირიულს. კონჩეტა, სახლის ადმინისტრატორი და ხაზინადარი, ფულს იხდიდა. ამის შემდეგ სათანადო ჩარჩოს ეძებდნენ და არგებდნენ რელიკვიას. და კვლავ შეუმკრთალი კონჩეტა იხდიდა ფულს. იყო დრო, ასე, ორიოდე წელიწადი გაგრძელდა, როცა კოლექციონერობის ჟინმა კაროლინასა და კატერინას ძილიც კი დაუფრთხო. დილაობით ერთმანეთს სასწაულებრივი ნაპოვნების შესახებ ნახულ სიზმრებს უყვებოდნენ და მათ ასრულებაზე ოცნებობდნენ, რაც ზოგჯერ მართლაც ახდებოდა ხოლმე, მას შემდეგ, რაც სიზმრის შინაარსს დონა როზასაც ანდობდნენ. რა ესიზმრებოდა კონჩეტას, არავინ იცოდა. მერე დონა როზა გარდაიცვალა და რელიკვიათა შემოდინება თითქმის სრულიად შეწყდა. მაგრამ ამასობაში ერთგვარი მოყირჩებაც გაჩნდა.

მონსინიორმა სახელდახელოდ გადახედა ზოგიერთ უფრო ახლომდებარე ჩარჩოს.

– განძია, – ამბობდა, – ნამდვილი განძია ეს ულამაზესი ჩარჩოები.

შემდეგ დებს აღფრთოვანებით შეუქო აღჭურვილობის სილამაზე (სწორედ ასე თქვა, დანტესებურად) და შეჰპირდა, რომ ხვალ დაბრუნდებოდა მის მაღალყოვლადუსამღვდელოებასთან ერთად („დიახ, ზუსტად ცხრა საათზე“). შემდეგ მუხბლი მოიყარა და პირჯვარი გადაიწერა გვერდითა კედელზე დაკიდებულ პომპეის ღვთისმშობლის მოკრძალებულ ხატთან და კაპელიდან გავიდა. მალე სკამები ქუდებისაგან დაცარიელდა და სამღვდელო პირები იქვე ეზოში მომლოდინე საარქიპისკოპოსოს შავცხენებზე ეტლებში აბრძანდნენ.

მონსინიორმა იზრუნა, რომ კაპელანი, პადრე ტიტა, მის ეტლში ჩამჯდარიყო, რითაც ძალიან ანუგეშა. ეტლები დაიძრა და მონსინიორი ჯერ კიდევ დუმდა. ფალკონერის მდიდრულ ვილასა და მის გალავანზე გადმოყუდებულ მშვენივრად მოვლილ აყვავებულ ბუგანვილეს ჩაუარეს. როცა ფორთოხლის ბაღებს შორის გაჭიმულ პალერმოს დაღმართს მიაღწიეს, მონსინიორი ალაპარაკდა:

– გამოდის, რომ თქვენ, პადრე ტიტა, იმის კადნიერება გეყოთ, რომ წლების განმავლობაში აღასრულებდით წმიდათანიდა საიდუმლოს იმ გოგოს სურათის წინაშე? იმ გოგოსი,

მიჯნურისგან რომ პაემანის დამადასტურებელი წერილი მიიღო და ელოდება? არ მითხრათ ახლა, რომ თქვენც გჯეროდათ, რომ ეს წმინდა გამოსახულება იყო.

– მონსინიორ, შევცოდე, ვიცი. მაგრამ ადვილი არაა სალინას ქალბატონებთან პირისპირ დარჩენა. ეს თქვენ არ იცით.

მონსინიორს შეაჟრჟოლა მოგონებისგან.

– შვილო ჩემო, შენ ჭრილობას შეეხე და ეს ჩაგეთვლება.

* * *

გულის გადასაყოლებლად კაროლინა კიარასადმი წერილის დასაწერად გაეშურა – ეს მათი და ნეაპოლში იყო გათხოვილი. ხანგრძლივი და ემოციური საუბრით გადაღლილი კატერინა ლოგინში ჩაანვინეს. კონჩეტა კი თავის განმარტოებულ ოთახში ჩაიკეტა. ეს ერთ-ერთი იმ ოთახთაგანი იყო (თუმცა კი მათი მრავალრიცხოვნების გამო შეიძლება იგივე გვეთქვა ყველა დანარჩენზეც), რომელთაც ორი სახე აქვთ: ერთს, ნიღბით დაფარულს, უმეცარ სტუმარს აჩვენებენ ხოლმე; მეორე, გაშიშვლებული, მხოლოდ მას ეცხადება, ვინც საქმეშია ჩახედული, უპირველეს ყოვლისა კი თვით ოთახის პატრონს, ვის წინაშეც თავიანთ უბადრუკ არსებას სრულად ამჟღავნებენ. მზიანი ოთახი იყო და ბალს გადაჰყურებდა. ერთ კუთხეში მაღალი სანოლი იდგა ოთხი ბალიშით (კონჩეტას გული ანუხებდა და იძულებული იყო თითქმის დამჯდარს დაეძინა). ხალიჩების მაგივრობას ლამაზი თეთრი და ყვითელი შორენკეცების ორნამენტით განწყობილი იატაკი წევდა. იქვე იდგა ფულის შესანახი ძვირფასი კარადა, მაგარი ქვითა და ქაშანურით შემკული მრავალი უჯრით. საწერი ბიურო და ცენტრში მდგომი მაგიდა მაჯოლინოს დამახასიათებელი მხიარული და ოდნავ პასტორალური სტილით იყო შესრულებული, ზედ, პალისანდრის ხის მქრქალ ფონზე გამოსახული მონადირეებით, ძაღლებითა და გარეული ცხოველებით. ამ მოწყობილობას კონჩეტა ყავლგასულად და უგემოვნოდაც კი მიიჩნევდა, მაგრამ დღეს, კონჩეტას სიკვდილის შემდეგ აუქციონზე გაყიდული, იგი ერთი შეძლებული კომისიონერის საკუთრებას წარმოადგენს და მისი „ქალბატონი“ თავის შურით გამსკდარ დაქალებს ზედ კოქტილს სთავაზობს.

კედლებზე პორტრეტები, აკვარელები და ხატები ეკიდა.

ყოველივე სუფთა და მონესრიგებული იყო. მხოლოდ ორი რამ თუ მოგვეჩვენებოდა უცნაურად: სანოლის მოპირდაპირე კუთხეში გოდოლივით აღმართული მწვანედ შეღებილი ხის ოთხი უშველებელი სკივრი, თითოეული ვეება ბოქლომით. მათ წინ კი, იატაკზე, გაფუჭებული ბენვის გროვა. გულუბრყვილო სტუმარს ეს ოთახი, სხვა თუ არაფერი, ღიმილს მოჰგვრიდა, იმდენად აშკარად ედო ყოველივეს შინაბერა ქალის კეთილი ზრუნვა.

მაგრამ მისთვის, ვისაც საქმის არსი გაეგებოდა, თვით კონჩეტასთვის, ეს მუმიფიცირებულ მოგონებათა ჯოჯოხეთი იყო. ოთხ მწვანე სკივრში დუჟინობით ელაგა დღისა და ღამის პერანგები, ხალათები, ბალიშისპირები და ზენრები, რომლებიც საგულდაგულოდ იყო გადარჩეული და დანყობილი: კონჩეტას მზითევი, ორმოცდაათი წლის წინ ამაოდ შეგროვებული. ბოქლომები არასოდეს იღებოდა, რათა სკივრებიდან ვითარების შეუსაბამო დემონები არ გამოვარდნილიყვნენ, ამიტომაც პალერმოს ყველგანშემღწევე სინესტეში თეთრეული ყვითლდებოდა, იშლებოდა, ყოველთვის და ყველასათვის უსარგებლო. პორტრეტები უკვე სიყვარულისაგან დაცლილ გარდაცვლილებს ეკუთვნოდა, ფოტოები – მეგობრებს, სიცოცხლეში რომ ტკივილი მიაყენეს და მხოლოდ ამიტომ არ მიეცნენ დაინყებას სიკვდილის შემდეგ, აკვარელები უმრავლესად გაყიდულ, უფრო სწორად კი, შვილიშვილების მიერ გაფლანგულ ადგილებს წარმოადგენდა, კედელზე აკრული წმინდანები კი აჩრდილებივით იყვნენ, რომლებსაც ეშინიათ, მაგრამ გულის სიღრმეში უკვე აღარც იმათი სწამთ. თუკი ჩრჩილისაგან დაჭმული ბენვის გროვას კარგად დავაკვირდებოდით, აღმოვაჩენდით ორ აცქვეტილ ყურს, შავი ხის დრუნჩსა და ყვითელი შუშის თვალებს: ეს ბენდიკო იყო, ორმოცდახუთი წლის წინ მკვდარი და ორმოცდახუთი წლის წინ ფიტულად გადაქცეული, ობობებისა და ხის მჭამელი მატლების ბუდე, მსახურების სიძულვილის საგანი, რომლებიც ათობით წელია მის სანაგვეზე გადაგდებას ითხოვდნენ, მაგრამ კონჩეტა ყოველთვის წინააღმდეგი იყო: არ უნდოდა თავისი წარსულის იმ ერთადერთი მოგონების მოშორება, რომელიც ტკივილს არ აყენებდა.

მაგრამ დღევანდელი ტკივილი (გარკვეული ასაკიდან ყოველი დღე პუნქტუალურად წარმოადგენს ხოლმე თავის წილ

გასაჭირს) სულ მთლად ანმყო დროის საკუთრება იყო. კარო-ლინაზე ნაკლებად ღვთისმოსავი და კატერინაზე ბევრად მგრძობიარე კონჩეტა მიხვდა მონსინიორ ვიკარიუსის დღევანდელი ვიზიტის მნიშვნელობას და წინასწარ იცოდა მისი შედეგებიც: ყველა ან თითქმის ყველა რელიკვიის გაუქმება, საკურთხეველს ზემოთ დაკიდებული სურათის შეცვლა, კაპელის სავარაუდო ხელახალი კურთხევა. რელიკვიების ავთენტიკურობისა კონჩეტას მაინცდამაინც არ სჯეროდა, იგი გულგრილად იხდიდა საჭირო თანხებს, როგორც მამა ანერს ხოლმე ხელს შექმნილი სათამაშოების ანგარიშს, რომელიც მას თვითონ არ აინტერესებს, მაგრამ სჭირდება, რათა შვილებმა არ შეანუხონ. ამ საგნების გაუქმებისა და გაქრობის მიმართ კონჩეტა გულგრილი იყო. მას მხოლოდ ერთი რამ ანუხებდა და ერთი რამ იყო იმ დღის მტანჯველი ეკალი: სირცხვილი, რომელიც სალინას გვარმა საეკლესიო ავტორიტეტის წინაშე ჭამა, ცოტა ხნის შემდეგ კი მთელი ქალაქის წინაშე ჭამს. ეკლესიის მიერ საიდუმლოების დაფარვა მაინც საუკეთესო იყო, რისი იმედიც სიცილიაში შეიძლებოდა ჰქონოდა კაცს, მაგრამ ბევრს მაინც არაფერს ნიშნავდა. ერთ ან ორ თვეში ამბავი მაინც გავრცელდებოდა, როგორც ყოველივე ვრცელდება ამ კუნძულზე, რომლის სიმბოლოც ნეპტუნის სამკაპი კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ სირაკუზელი დიონისეს ყური, ყველაზე ძნელად გასაგონ ამოსუნთქვასაც რომ აძლიერებს და ორმოცდაათი მეტრის რადიუსში გასაგონად ხდის. კონჩეტა კი ეკლესიის მხრიდან პატივისცემას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. სახელის, როგორც ასეთის, პრესტიჟი თანდათანობით გაქრა. მრავალგზის გაყოფილი და დაქუცმაცებული ქონება ახლა ყველაზე საუკეთესო ვარაუდების მიხედვით სხვა მრავალი უფრო დაბალი ღირსების მქონე საგვარეულოს ქონებათა ტოლი იყო და უსასრულოდ უფრო მცირე ზოგიერთი განსაკუთრებულად წარმატებული მენარმის სიმდიდრეზე. მაგრამ ეკლესიის წინაშე, მასთან ურთიერთობაში სალინას ოჯახი ყოველთვის უპირატესი იყო. უნდა გენახათ მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა როგორ მასპინძლობდა მასთან საშობაო ვიზიტით მობრძანებულ დებს! ახლა კი?

მოახლე შემოვიდა.

– თქვენო ბრწყინვალეზავ, დიდი ქალბატონი ფალკონერი მობრძანდა. ავტომობილი უკვე ეზოშია.

კონჩეტა წამოდგა, თმები შეისწორა, მხრებზე შავი მაქმანის თავსაფარი მოიგდო, მეფური გამოხედვა აღიდგინა და სწორედ მაშინ გავიდა ვესტიბიულში, როცა ანჯელიკა გარე კიბის ბოლო საფეხურებზე აღიოდა. ვენების ვარიკოზი ანუ-ხებდა, მისი ისედაც ოდნავ მოკლე ფეხები ცუდად იჭერდა მის სხეულს, ამიტომაც მსახურის მკლავს ეყრდობოდა. ამ უკანასკნელის გრძელი შავი მოსასხამის კალთები კიბეს ედებოდა.

– კონჩეტა, კარგო!

– ჩემო ანჯელიკა! რამდენი ხანია, რაც არ მინახიხარ!

სიზუსტისთვის აღვნიშნავთ, რომ ბოლო ვიზიტის შემდეგ მხოლოდ ხუთ დღეს გაველო, მაგრამ მოყვრებს შორის ისეთი ინტიმურობა სუფევდა (სიახლოვითა და გრძნობების ერთიანობით ეს ინტიმურობა იმას შეიძლება შევადაროთ, რომელმაც რამდენიმე წლის შემდეგ ერთმანეთის მომიჯნავე სანგრებში გააერთიანა იტალიელები და ავსტრიელები), ისეთი ინტიმურობა, რომ ხუთი დღეც შეიძლება დიდ დროდ მოსჩვენებოდათ.

სამოცდაათს მიახლოებული ანჯელიკა წარსული სილამაზის ჯერაც მრავალ კვალს ინახავდა. სნეულება, რომელმაც სამიოდე წელიწადში იგი საბრალო ნილაბს დაამსგავსა, უკვე დაწყებულიყო, მაგრამ ჯერაც მისი სისხლის სიღრმეში იმალებოდა. მწვანე თვალები ჯერაც ძველებური ჰქონდა, წლებმა მხოლოდ მსუბუქად შეარბილა მათი გამოხედვა, ყელის ნაოჭები კი შავი კაპორის რბილ ნაკეცებში იმალებოდა. სამი წლის დაქვრივებული ანჯელიკა კაპორს ისეთი კეკლუცობით ატარებდა, რომ ეს წარსულის ნოსტალგიად მოეჩვენებოდა ვინმეს.

– მართალი ხარ, – ეუბნებოდა კონჩეტას, სანამ გვერდი-გვერდ მიდიოდნენ სალონისაკენ, – მაგრამ გარიბალდის გადმოსხდომის ორმოცდაათი წლისთავის დღესასწაული ისე მოულოდნელად მოგვადგა კარს, რომ სიმშვიდე დაგკარგე. წარმოიდგინე, რომ სამი დღის წინ შემომთავაზეს საზეიმო კომიტეტის წევრობა. ეს, რა თქმა უნდა, ჩვენი ტანკრედის ხსოვნის პატივსაცემად, მაგრამ რამდენი საქმე გამიჩნდა! მე უნდა ვიფიქრო მთელი იტალიიდან ჩამოსული ვეტიერანების დაბინავე-

ბაზე, მე უნდა გავანანილო ტრიბუნებზე ასასვლელი მოსანვე-
ვები ისე, რომ არავის ენყინოს, მე უნდა დავარწმუნო მთელი
კუნძულის სოფლებისა და ქალაქების მერები, რომ შემოგვი-
ერთდნენ. ჰო, მართლა, სალინას მერი კლერიკალი აღმოჩნდა
და დემონსტრაციაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. მეც
მაშინვე შენს ძმისწულზე, ფაბრიციოზე ვიფიქრე. ჩემთან იყო
სტუმრად და მეც – ჰოპ! – მაშინვე ჩავავლე. უარი ვერ გამიბე-
და და თვის ბოლოს თავისუფლების ქუჩაზე გამართულ დე-
მონსტრაციაში ვნახავთ ხელში წარწერით: „სალინა“. ხომ კარ-
გი ჩანაფიქრია? სალინა პატივს სცემს გარიბალდის, ძველი და
ახალი სიცილიის ერთიანობა. შენზეც ვიფიქრე, ჩემო კარგო.
აი, შენი მოსანვევი საპატიო სტუმართა ტრიბუნაზე, მეფის
მარჯვენა მხარეს, – პარიზული ხელჩანთიდან გარიბალდუ-
ლად წითელი ფერის მუყაოს ნაჭერი ამოიღო, იმავე ფერის
ლენტი ერთ დროს ტანკრედის საყელოზე ჰქონდა დაკერებუ-
ლი. – კაროლინა და კატერინა შეიძლება უკმაყოფილონი დარ-
ჩნენ, – განაგრძობდა სრულიად გულგრილად. – მაგრამ მხო-
ლოდ ერთი ადგილი მქონდა. თანაც შენ მათზე უფრო მეტი
უფლება გაქვს, ჩვენი ტანკრედის საყვარელი ბიძაშვილი ხარ.

ბევრს ლაპარაკობდა და კარგად. ტანკრედის გვერდით
ცხოვრების ორმოცი წელი, თუმცა ქარიშხლიანი და ზოგჯერ
შენწყვეტილი, მაგრამ მაინც საკმაოდ ხანგრძლივი იყო დონა-
ფუგატას აქცენტისა და ჩვევების საბოლოოდ გასაქრობად.
იმდენად ბაძავდა თავის ქმარს, რომ მისი დამახასიათებელი
ფესტი, ხელების მსუბუქი გადაჭდობაც კი აითვისა. ბევრს
კითხულობდა და მისი სალონის მაგიდაზე ფრანსისა და ბურ-
ფეს ახალი წიგნები განუწყვეტლივ ცვლიდა დ'ანუნციოსა და
სერაოს რომანებს. პალერმოს სალონებში ანჯელიკას ლუა-
რას ფრანგულ ციხედარბაზთა არქიტექტურის საუკეთესო
მცოდნის სახელი ჰქონდა გავარდნილი. ამ საგანზე ხშირად და
გაურკვეველი აღტაცებით ლაპარაკობდა, თითქოს გაუცნო-
ბიერებლად უპირისპირებდა ამ ციხედარბაზთა რენესანსულ
სიმშვიდესა და დონაფუგატას სასახლის ბაროკალურ აფორი-
აქებას, რომლის მიმართ ერგვარ ზიზლსაც გრძნობდა და ეს
ზიზლი სრულიად გაუგებარი იქნებოდა მისთვის, ვინც არ იც-
ნობდა სხვათა წინაშე მორჩილებითა და სხვათაგან უყურად-
ღებობით სავსე მის ბავშვობას.

– ეს რა დამემართა! თავიდან ამომივარდა, მეტქვა შენ-
თვის, რომ სულ მალე აქ სენატორი ტასონი მობრძანდება. ჩემ-
თან სტუმრობს, ფალკონერის ვილაზე, შენი გაცნობა სურს.
ჩვენი საბრალო ტანკრედის დიდი მეგობარი იყო და თანამებ-
რძოლიც. მგონი შენზედაც რალაცეები გაუგონია ტანკრედი-
საგან. ჩვენი ძვირფასი ტანკრედი! – ხელჩანთიდან შავად მო-
არშიიებული აბრეშუმის ცხვირსახოცი გამოძვრა და ჯერაც
ლამაზ თვალებს ცრემლი დაუშრო.

კონჩეტამ შიგადაშიგ რამდენიმე ფრაზის ჩართვა მოახერხა
ანჯელიკას ხმის განუნწყვეტელ ზუზუნში. მაგრამ ტასონის
ხსენებაზე სრულიად მიჩუმდა. შორეულ მაგრამ გამოკვეთილ
სცენას ხედავდა ხელახლა, თითქოს შებრუნებულ დურბინდში:
დიდი თეთრი სუფრა, მის ირგვლივ ყველა ეს მიცვალებული.
მის გვერდით ტანკრედი, ახლა უკვე ისიც გარდაცვლილი, მისი
უხამსი მონათხრობი, ანჯელიკას ისტერიული სიცილი, თვით
კონჩეტას არანაკლებ ისტერიული ცრემლები. ეს მისი ცხოვ-
რების უკულმა შემოტრიალება იყო. მაშინ არჩეულმა გზამ მო-
იყვანა აქამდე, ამ უდაბნომდე, სადაც უკვე აღარც სიყვარული
სახლობდა, მკვდარი, და აღარც საყვედური, ჩამქრალი.

– იმ უსიამოვნებებზეც გავიგე რალაც, კურიასთან რომ შე-
გემთხვა. ღმერთო, რა აუტანლები არიან! აქამდე რატომ არაფე-
რი გამაგებინე? რამეს მაინც მოვახერხებდი: კარდინალი პატივს
მცემს. ახლა კი, მეშინია, გვიანი არ იყოს. მაგრამ იმედი გქონ-
დეს: კულისებში ვიმუშავებ. თანაც არა მგონია, ძნელი იყოს.

სენატორი ტასონი, რომელიც მალე შემოვიდა სალონში,
ერთი მკვირცხლი და ძალიან ელეგანტური მოხუცი იყო. მისი
დიდი და კვლავაც მზარდი სიმდიდრე შეჯიბრისა და ბრძოლე-
ბის ფასად იყო შეძენილი, ამიტომ კი არ დაასუსტა თავისი
მფლობელი, არამედ მუდმივ ენერგიულ მდგომარეობაში
ყოფნას მიაჩვია და ეს ენერგია სძლევდა და ცეცხლოვანებას
ანიჭებდა მის ასაკს. გარიბალდის სამხრეთულ ლაშქარში სამ-
სახურის რამდენიმე თვემ მას ერთგვარი სამხედრო პენი შეს-
ძინა, რომელიც არც არასოდეს ჩაჰქრობოდა. თავაზიანობას-
თან შეერთებულმა ამ პენმა თავის დროზე მრავალი ტკბილი
წარმატება მოუტანა, ახლა კი, აუარებელ შეძენილ აქციასთან
ერთად მშვენივრად ემსახურებდა მას, რათა შიშში ჰყოლოდა
საბანკო ადმინისტრაციის საბჭოები. ნახევარი იტალია და

ბალკანეთის მრავალი ქვეყანა ლილებს ტასონისა და კომპანიის წარმოებული ძაფებით აკერებდა.

– სინიორინა, – ეუბნებოდა კონჩეტას და თან მის გვერდით დაბალ უზურგო სკამზე ჯდებოდა, რომელიც სწორედ იმიტომ ამოარჩია, რომ პაუს უფრო შეეფერებოდა – სინიორინა, ახლა ჩემი შორეული სიჭაბუკის ოცნება ამიხდა. რამდენჯერ ყოფილა, ლაშქრობაში, ვოლტურნოს ან ალყაშემორტყმული გაეტას მახლობლად გატარებულ სუსხიან ღამეებში, რამდენჯერ ყოფილა, რომ ჩვენს დაუფინყარ ტანკრედის თქვენზე უსაუბრია ჩემთან. ისე მეგონა, პირადად გიცნობდით, თითქოსდა მრავალგზის სტუმრად მოვსულვარ სახლში, რომლის კედლებშიც ჩაუვლია თქვენს ლალ ახლაგაზრდობას. ბედნიერი ვარ, რომ თუმცალა დაგვიანებით, მაინც შემიძლია ჩემი პატივისცემა მივიტანო იმის ფერხთით, ვინც ჩვენი გამარჯვების ერთ-ერთი ყველაზე პატიოსანი გმირის ნუგეშისმცემელი იყო.

კონჩეტა არ იყო მიჩვეული მათთან საუბარს, ვისაც ბავშვობიდან არ იცნობდა. არც კითხვა უყვარდა მაინცდამაინც, ამიტომ რიტორიკის წინააღმდეგ არანაირი იმუნიტეტი არ გააჩნდა. პირიქით, რიტორიკის ეშხი მას სრულიად აჯადოებდა და იპყრობდა კიდევ. სენატორის სიტყვებმა გული აუჩუყა: ორმოცდაათი წლის წინანდელი ჯარისკაცული ანეგდოტიც დაავინყდა, ტასონიში უკვე აღარ ხედავდა მონასტერთა ამაოხრებელს, საბრალო შეშინებული მონაზვნების მასხრად ამგდებს, არამედ ტანკრედის ძველსა და გულწრფელ მეგობარს, რომელიც სიყვარულით ლაპარაკობდა და ტანკრედის უწყება მოჰქონდა ჟამთასვლის უფსკრულებიდან, რომელთა დაძლევა მიცვალებულებს იშვიათად ძალუძთ.

– რას გიყვებოდათ ჩემზე ჩემი ძვირფასი მამიდაშვილი? – ჰკითხა დაბალი ხმითა და ისეთი მორცხვობით, რომელმაც თვრამეტი წლის ასაკი გააცოცხლა შავი აბრეშუმისა და თეთრი თმების ამ გროვაში.

– ოჰ! ათას რამეს! თქვენზე იმდენივეს გვიყვებოდა, რამდენსაც დონა ანჯელიკას შესახებ. ეს მისი სიყვარული იყო, თქვენ კი უდარდელი სიყრმის ხატი იყავით მისთვის, იმ სიყრმისა, რომელსაც ასე ადრე ვეთხოვებით ხოლმე ჩვენ, ჯარისკაცები.

ბებერი გული კვლავ გაიყინა. ტასონიმ კი ხმას აუნია და ახლა უკვე ანჯელიკას მიმართა:

– ხომ გახსოვთ, ქალბატონო, რა გვითხრა ვენაში ათი წლის წინ? – და კვლავ კონჩეტას მიუბრუნდა ასახსნელად. – იქ იტალიის დელეგაციის შემადგენლობაში ვიმყოფებოდი, საქმე სავაჭრო საკითხებს ეხებოდა. ტანკრედიმ საელჩოში მიმასპინძლა, თან მეგობრისა და ამხანაგის დიდსულოვნება, დიდი სინიორის გულისხმიერება გამოიჩინა. ალბათ იმ მტრულ ქალაქში თანამებრძოლის დანახვამ მოულობო გული – ვინ იცის, რამდენი რამ მოგვითხრო თავისი წარსულიდან! ოპერის ფოიეში, „დონ ჟუანის“ ანტრაქტის დროს თავისი უბადლო ირონიით აღიარა ერთი მიუტყვევებელი ცოდვა, როგორც თვითონ უწოდებდა, რომელიც თქვენს წინააღმდეგ ჩაუდენია, სინიორინა.

აქ ერთი წამით შეყოვნდა, რათა კონჩეტას მომზადების საშუალება ჰქონოდა გასაკვირვებლად.

– წარმოიდგინეთ, მოგვიყვა, რომ დონაფუგატაში ერთი სადილის დროს საკუთარ თავს უფლება მისცა, ერთი სისულელე შეეთხზა და თქვენთვის ეამბნა. ეს სისულელე თითქოს პალერმოს გარშემო ბრძოლებს ეხებოდა და იქ მეც ვიყავი ერთ-ერთი მოქმედი პირი. მოგვიყვა, რომ თქვენ ყველაფერი დაიჯერეთ და თავი შეურაცხყოფილად იგრძენით, რადგანაც მონათხრობი ერთობ გაბედული გახლდათ, მით უმეტეს, ორმოცდაათი წლის წინანდელი თვალსაზრისების მიხედვით. თქვენ გისაყვედურებიათ. ტანკრედი კი ამბობდა: „ამ დროს ისეთი ლამაზი და საყვარელი იყო, როცა განრისხებული თვალებით მიყურებდა, ტუჩები კი გაბუსხული ლეკვივით ებერებოდა, თავი ძლივს შევიკავე, რომ იქვე გულში არ ჩამეკრა და არ გადამეკოცნა, ოციოდე კაცისა და მრისხანე ბიძაჩემის წინაშე“. თქვენ, სინიორინა, ალბათ აღარც გახსოვთ, ტანკრედის კი კარგად ახსოვდა, იმდენად ნაზი გულისა იყო. იმიტომაც ახსოვდა, რომ ეს ცუდი ამბავი სწორედ იმ დღეს შეემთხვა, როცა დონა ანჯელიკა იხილა პირველად, – და დიდი ქალბატონისკენ ხელი გაიშვირა ერთ-ერთი იმ პატივისცემი ჟესტით, რომელიც გოლდონის თეატრალური ტრადიციიდან მომდინარეობდა და მხოლოდ სამეფო სენატორთა შორის იყო შემონახული.

საუბარი კიდევ ერთხანს გაგრძელდა, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ კონჩეტა მასში დიდ მონაწილეობას იღებდა. მოულოდნელმა უწყებამ მის გონებაში ნელა შეაღწია და თავდაპირველად დიდი ტკივილი არ მიუყენებია. მაგრამ როდესაც

სტუმრები გამოემშვიდობნენ და წავიდნენ, როდესაც მარტო დარჩა, ხედავ უფრო აშკარა გაუხდა, ტკივილი კი უფრო მწვავე. წარსულის მოჩვენებები წლების განმავლობაში უკვე განდევნილნი იყვნენ, თუმცა კი, ბუნებრივია, ყველგან იმალებოდნენ და სწორედ ისინი ამწარებდნენ საქმლის გემოს, მოსაწყენს ხდიდნენ სხვებთან ურთიერთობას. მაგრამ მათი ნამდვილი სახე მაინც დიდი ხანია არ გამოჩენილა ისე, როგორც ახლა, როცა მათ ხელახალ მოსვლას უკურნებელი უბედურების გამომსახველი კომიკური მწუხარება ახლდა თან. მართლაც უაზრობა იქნებოდა იმის წარმოდგენა, რომ კონჩეტას ჯერაც უყვარდა ტანკრედი: სასიყვარულო მარადისობა მცირე ხანს თუ გრძელდება, და არა ორმოცდაათ წელიწადს. მაგრამ როგორც ადამიანი, რომელმაც ორმოცდაათი წლის წინ მოიხადა ყვავილი და ალბათ დაავინყდა კიდევ გადატანილი წამება, ჯერაც ატარებს სახეზე მის ნიშნებს, კონჩეტაც ატარებდა თავისი ახლანდელი დახშული ცხოვრების სხეულზე თავისი უკვე ისტორიული იმედგაცრუების კვალს. ისტორიულობის ეს შეგნება კი იმდენად ძლიერი იყო, რომ ლამის ოფიციალურად აღნიშნავდა ორმოცდაათი წლის თავს. მაგრამ დღემდე, დონაფუგატაში იმ შორეულ ზაფხულს მომხდარი ამბების გახსენებისას, შინაგანად განცდილი უსამართლობის, მისი გამწირველი მამის წინააღმდეგ სიბრაზის შეგრძნება უმაგრებდა გულს, რომ იმ მეორე გარდაცვლილის მიმართ მტანჯველი ბოღმა არ ეგრძნო. ახლა კი მთელი მისი შეგნების ჩონჩხის შემადგენელი ეს შეგრძნებებიც ინგრეოდა. საკუთარი თავის გარდა თურმე მტერი არა ჰყოლია. მომავალი თავისივე დაუდევრობამ მოუსპო და კიდევ სალინას საგვარეულო ნიშანმა – შინაგანმა რისხვამ. სწორედ ახლა, როცა ათწლეულების შემდეგ მისი მოგონებები ასე ცხადად ცოცხლდებოდა, ერთადერთი ნუგეში აკლდა, რომ საკუთარი უბედურება სხვისთვის გადაებრალეზინა, ნუგეში, რომელიც სასოწარკვეთილთა უკანასკნელი ილუზიაა.

თუ საქმე მართლაც ისე იყო, როგორც ტასონიმ გადმოსცა, მამის პორტრეტის წინ სიძულვილის გაგემოვნებაში გატარებული მრავალი საათი, ტანკრედის სიძულვილისგან თავის დასახსნელად ყველა მისი ფოტოს გადამალვა უბრალო სიბრყვე ყოფილა. უფრო მეტიც, სასტიკი უსამართლობა. განსა-

კუთრებული ტკივილი იგრძნო, როდესაც მოაგონდა ტანკრედის ალერსიანი, თითქმის მავედრებელი გამომეტყველება, როცა ბიძას მონასტერში შეშვებას სთხოვდა. ეს მისდამი სიყვარულის სიტყვები იყო, გაუგებრად დარჩენილი, მისი სიამაყით განდევნილები, ნაცემი ლეკვებივით კუდამოძუებულნი რომ გაიქცნენ შორს. დროისაგან დამოუკიდებელი ყოფიერების ფსკერიდან შავი ტკივილი ამოიზარდა და ყველაფერს მოეცხო, ჭეშმარიტების ამ გამოცხადების მიერ გაღვიძებული.

კი მაგრამ, ჭეშმარიტება იყო ეს? ქვეყნიერების არც ერთ კუნჭულში არა აქვს ჭეშმარიტებას ასეთი ხანმოკლე სიცოცხლე, როგორც სიცვილიაში. მოვლენა ხუთი წუთის წინ მოხდა და მისი ნამდვილი ბირთვი უკვე გაქრა, შეინიღბა, შელამაზდა, ფორმა დაკარგა, ჩაიხშო, გაუქმდა სხვადასხვა ფანტაზიებსა და ინტერესებში. სირცხვილი, შიში, დიდსულოვნება, ბოროტება, ოპორტუნიზმი, კეთილგანწყობა – ყველა ეს ცუდი და კარგი ვნება ერთად თავს ესხმის მოვლენას და ნაკუნებად აქცევს. ცოტაც და გაქრა. უბედურ კონჩეტას კი ჭეშმარიტების პოვნა სურდა ნახევარი საუკუნის წინ გამოუთქმელ და მხოლოდ მინიშნებულ გრძნობებში! ჭეშმარიტება აღარ იყო. მისი სიმწირე ტანჯვის უეჭველობამ შეცვალა.

ამასობაში კი ანჯელიკა და სენატორი ფალკონერის ვილისაკენ მოკლე გზას ადგნენ. ტასონი შემფოთებული ჩანდა:

– ანჯელიკა, – თქვა (მასთან ასე, ოცდაათი წლის წინ გალანტური თავგადასავლი ჰქონდა და დღემდე ინახავდა იმ განუმეორებელ ინტიმურობას, რომელსაც ადამიანებს ერთი საბნის ქვეშ გატარებული რამდენიმე საათი ანიჭებს), – ვშიშობ, რომ რაღაც ვანყენინე თქვენს მულს. შენიშნეთ, როგორ დადუმდა ვიზიტის ბოლოს? ვნუხვარ, მშვენიერი ქალბატონია.

– ნამდვილად ანყენინეთ, ვიტორიო, – თქვა ორმაგი, თუმცა კი ფანტომური ეჭვიანობით გაღიზიანებულმა ანჯელიკამ, – იგი გაგიჟებით იყო შეყვარებული ტანკრედიზე, მაგრამ ტანკრედი ზედაც არ უყურებდა.

ასე დაეყარა კიდევ ერთი ნიჩაბი მინა ჭეშმარიტების საფლავს.

პალერმოს კარდინალი ნამდვილად წმინდა ცხოვრების კაცი იყო. ახლა, როცა უკვე დიდი ხნის მკვდარია, მაინც შემორჩა მისი სიყვარულისა და სარწმუნოების ცოცხალი მოგონება. მაგრამ მის სიცოცხლეში საქმის ვითარება მეტად განსხვავდებოდა: კარდინალი სიცილიელი არ ყოფილა, უფრო მეტიც, არც სამხრეთელი იყო და არც რომაელი. ამიტომაც მისი ჩრდილოური მოღვაწეობა მრავალი წლის განმავლობაში სიცილიური სულიერების მძიმე და უძრავი ცომის ასაფუებელი უშედეგო მცდელობა იყო როგორც საეროთა შორის, ასევე სამღვდელთაშიც. მისი კუთხიდან წამოყოლილი ორი ან სამი მდივნის ხელშეწყობით პირველ წლებში იმედი ჰქონდა, რომ სიმახინჯეს ამოძირკვავდა და გზიდან მოაშორებდა ყველაზე უფრო დამაბრკოლებელ ქვებს. მალევე შეამჩნია, რომ ეს ყველაფერი ისევე ამაო იყო, როგორც ბამბის გროვის დაშლა თოფის სროლით: ყოველი პატარა ნასვრეტი წამშივე ივსებოდა ათასი ერთმანეთს მოკიდებული ბოჭკოთი და ყოველივე ძველებურად რჩებოდა, თუ არ გავითვალისწინებთ თოფისწამლის ხარჯს, მასალის დაზიანებასა და სასაცილო ამაო ცდებს. როგორც ყველას, ვინც სიცილიურ ხასიათში რალაცის შეცვლას მაინც ცდილობდა, მასაც დროთა განმავლობაში შერეკილის სახელი გაუვარდა (რაც ადგილობრივი გარემოებების გათვალისწინებით, მართალიც იყო), რის შემდეგაც, იძულებული გახდა პასიური ქველმოქმედებით დაკმაყოფილებულიყო, მაგრამ ეს კიდევ უფრო ამცირებდა მის პოპულარობას, როცა ქველმოქმედების ობიექტებს თუნდაც მცირედი ძალის დახარჯვა უწევდათ, მაგალითად საარქივების-კოპოსო სასახლეში მისვლა დახმარების მისაღებად.

ერთი სიტყვით, სალინას ვილაში თოთხმეტი მაისის დილას მობრძანებული ხანში შესული პრელატი კეთილი მაგრამ იმედგაცრუებული კაცი იყო, რომელმაც საბოლოოდ თავისი მრევლის მიმართ ქედმაღალი სიბრალულის დამოკიდებულება არჩია (თუმცა კი ხშირად უსამართლო). ეს აიძულებდა მუდამ უხეში და მკვეთრი ქცევის გამომჟღავნებას, რაც სულ უფრო და უფრო ეწეოდა საყოველთაო უნდობლობის ჭაობში.

დები, როგორც ვიცით, ღრმად შეურაცხყოფილნი იყვნენ მათი კაპელის ინსპექციით. მაგრამ ზედმეტი ბავშვურობის თუ ქალურობის გამო წინასწარ იგემოვნებდნენ ამ მოვლენის თან-

მხლებ არაარსებით მაგრამ გარდუვალ სიამოვნებასაც. მათ ოჯახში ხომ ეკლესიის მთავარი მოდიოდა, რომელსაც შეიძლება წინ გადაუშალო სალინას სასახლის მთელი ფუფუნება, მათი აზრით, ჯერაც ხელუხლებელი, და ნახევარი საათის განმავლობაში თვითონაც ეხილათ, როგორ დაიარება მათ სახლში რალაც უცხო წითელი ფრინველი, როგორ თამაშობს და ერთმანეთში ირევა უმძიმესი აბრეშუმის სხვადასხვა ჰარმონიული და ტალღებად მოლივლივე ელფერი. საბრალოებს ამ ბოლო მოკრძალებულ იმედშიც არ გაუმართლათ: როცა გარეგან კიბეზე ჩამოსულებმა იხილეს, როგორ გამოდიოდა ეტლიდან მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა, ვალდებულნი გახდნენ, ელიარებინათ, რომ მის გამოჩენას საზეიმო არაფერი ეტყობოდა: მკაცრ შავ ანაფორაზე მხოლოდ მენამული ღილები მიანიშნებდა მის მაღალ წოდებას. სახეზე გამოსახული უზომო სიკეთის მიუხედავად კარდინალი დონაფუგატას დეკანოზზე უფრო მედიდურად არ გამოიყურებოდა. თავაზიანი იყო, მაგრამ ცივი. ბრძნულად აზავებდა სალინას სახლისადმი და მისი ყოველი მობინადრის პირადი სიქველისადმი მონინებასა და მათი ფორმალური ღვთისმოსაობის უგულვებლყოფას. ერთი სიტყვითაც არ გამოეხმაურა მონსინიორ ვიკარიუსის აღფრთოვანებას სალონების მორთულობის გამო, უარი თქვა იქვე მომზადებული მდიდრული სუფრიდან რაიმეს გასინჯვაზე („გმაღლობთ, მხოლოდ ცოტაოდენი წყალი, დღეს ჩემი მფარველი წმინდანის ხსენების კვირაძალია“), არც კი ჩამოჯდა. პირდაპირ კაპელაში გაეშურა, წამით მუხლი მოიყარა პომპეის ღვთისმშობლის ხატთან, თვალი გადაავლო გამოფენილ რელიკვიებს. შემდეგ მოძღვრულ კეთილგანწყობით აკურთხა მასპინძლები და იქვე დაჩოქილი მსახურები. შემდეგ კი:

– სინიორინა, – მიმართა კონჩეტას, რომელსაც სახეზე თეთრად გათენებული ღამის კვალი აჩნდა, – სამი ან ოთხი დღის განმავლობაში კაპელაში ღვთისმსახურება არ შეიძლება. მაგრამ აუცილებლად ყველა ღონეს ვიხმარ, რომ უახლოეს დღეებში კვლავ მოხდეს მისი კურთხევა. ჩემი აზრით, პომპეის ღვთისმშობლის ხატმა ღირსეულად უნდა შეცვალოს საკურთხევლის თავზე დაკიდებული სურათი, რომელიც თავისუფლად შეიძლება მიუმატოთ ხელოვნების იმ მშვენიერ ნიმუშებს, რომლებიც თქვენს სალონებში ვიხილე. რაც შეეხება რე-

ლიკვიებს, აქ დონ პაკიოტის ვტოვებ, ჩემს მდივანსა და უალრესად კომპეტენტურ მღვდელს. იგი შეამონმებს საბუთებს და გაუნყებთ თავისი კვლევის შედეგებს. რასაც გადაწყვეტს, მიიჩნიეთ, თითქოს მე მითქვამს.

ყველას მისცა საეპისკოპოსო ბეჭედზე მთხვევის საშუალება და მძიმედ ავიდა ეტლში თავის მცირერიცხოვან ამაღასთან ერთად.

ეტლები ჯერაც არ იყვნენ ფალკონერის მოსახვევამდე მისული, რომ რისხვით თვალეზანთებულმა კაროლინამ კბილებს შორის გამოსცრა:

– რა ეს პაპი და რა ვინმე თურქი!

იქვე გულნასულ კატერინას ასუნთქინებდნენ ნიშადურს. კონჩეტა კი მშვიდად ესაუბრებოდა დონ პაკიოტის, რომელიც ბოლოს და ბოლოს დათანხმდა ერთ ფინჯან ყავასა და ნამცხვარზე.

შემდეგ მღვდელმა საბუთების ყუთის გასაღები იკითხა, ნებართვა ითხოვა და კაპელაში განმარტოვდა. ოლონდ ჯერ თავისი ჩანთიდან პატარა ჩაქურჩი, ხერხი, სახრაახნისი, გამადიდებელი შუშა და ერთი წყვილი ფანქარი ამოიღო. ვატიკანის პალეოგრაფიული სკოლა ჰქონდა დამთავრებული, გარდა ამისა, პიემონტელი იყო. მისი საგულდაგულო მუშაობა დიდხანს გაგრძელდა. კაპელის შესასვლელთან გამავალ მსახურებს ჩაქურჩის დარტყმები, ხრაახნების ჭრიალი და ოხვრა ესმოდათ. სამი საათის შემდეგ კვლავ გამოჩნდა, დამტვერილი ანაფორითა და გაშავებული ხელებით, მაგრამ მხიარული – თვალებგადმოკარკლულ სახეზე სიმშვიდე აღბეჭდოდა. ბოდის იხდიდა, რადგან ხელში წნელის დიდი კალათა ეჭირა:

– თავს უფლება მივეცი ამაში ჩამელაგებინა უარყოფილი ნივთები. შემიძლია აქ დავდო?

და კუთხეში დადგა დაფლეთილი ქალღმერთით, პატარა კოლოფებით, ძვლებითა და ხრტილებით სავსე კალათა.

– მოხარული ვარ მოგახსენოთ, რომ ხუთი სრულიად ავთენტიკური და თაყვანისცემის ღირსი რელიკვია აღმოვაჩინე. სხვები კი იქაა, – კალათზე მიუთითა. – ქალბატონებო, შეგიძლიათ, მითხრათ, სად შეიძლება ხელის დაბანა და სამოსელის განმენდა?

ხუთი წუთის შემდეგ ისევ გამოჩნდა. ხელებს დიდი პირსა-

ხოცით იმშრალეზდა, რომლის კუთხეში წითელი ძაფით ამოქარგული ლეოპარდი ცეკვავდა.

– დამავინყდა მეთქვა, რომ ჩარჩოები კაპელაში დავალაგე მაგიდაზე. ზოგი მათგანი ნამდვილად მშვენიერია, – დაემშვიდობა. – ქალბატონებო, მიიღეთ ჩემი ღრმა პატივისცემა.

კატერინა ხელზე არ ემთხვია.

– კალათში რაც დარჩა, რა ვუყოთ?

– რაც გნებავთ, ის უყავით, ქალბატონებო. შეგიძლიათ შეინახოთ, ან ნაგავს გაატანოთ. ამას არანაირი ღირებულება არ გააჩნია.

და რადგანაც კონჩეტა უკვე ეტლის სამზადისში იყო, მღვდელმა დასძინა:

– ნუ შენუხდებით, სინიორინა, აქვე ვისადილებ, ორატორიელებთან, ორ ნაბიჯში. მე არაფერი მჭირდება.

ხელსაწყობები კვლავ ჩანთაში ჩაალაგა და მსუბუქი ნაბიჯით გაშორდა იქაურობას.

* * *

კონჩეტა თავის ოთახში განმარტოვდა. არანაირ გრძნობას არ განიცდიდა. ეგონა, რომ ნაცნობ, მაგრამ უცხო სამყაროში ცხოვრობდა, რომელმაც უკვე დახარჯა ყველა იმპულსი, რისი გაცემაც შეეძლო და ახლა მხოლოდ წმინდა ფორმებისგან შედგებოდა. მამის პორტრეტი მხოლოდ ტილოს რამდენიმე კვადრატული სანტიმეტრი იყო, მწვანე სკივრები – ხის რამდენიმე კუბური მეტრი.

ცოტა ხნის შემდეგ წერილი მოუტანეს. კონვერტს შავი არ შია ჰქონდა მოვლებული და ზედ დიდი გვირგვინის რელიეფური გამოსახულება ეტყობოდა:

ძვირფასო კონჩეტა,

გავიგე მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობის ვიზიტის შესახებ და მოხარული ვარ, რომ ზოგიერთი რელიკვიის გადარჩენა მაინც მოხერხდა. იმედი მაქვს, მივალწევ, რომ ახალნაკურთხ კაპელაში პირველი მესა თვითონ მოწინიორ ვიკარიუსმა აღასრულოს. სენატორი ტასონი ხვალ მიემგ ზავრება და შენგან კეთილი მოგონების იმედი აქვს. მალე მოვალ შენს სანახავად. სიყვარულით გეხვევი შენ, კაროლინასა და კატერინას.

შენი ანჯელიკა

კონჩეტა კვლავაც არაფერს გრძნობდა: შინაგანი სიცარიელე სრული იყო. მხოლოდ ბენვის გროვიდან გამოდიოდა უგუნებობის ნისლი. ეს იყო დღევანდელი ტანჯვა: საბრალო ბენდიკოც კი ცუდ მოგონებებს აღძრავდა. კონჩეტამ ზარი დარეკა.

– ანეტა, – უთხრა შემოსულს, – ეს ძალი მართლაც ძალიან დაჩრჩილული და მტვრიანი შეიქნა. გაიტანეთ და გადააგდეთ.

სანამ ჩონჩხი გაჰქონდათ, შუშის თვალები უარყოფილი და მოსასპობად განწირული ნივთების უხმო საყვედურით შესცქეროდნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ ბენდიკოს ნარჩენი ეზოს იმ კუთხეში გადააგდეს, სადაც ყოველ დილით მოდიოდა მენაგვე. ფანჯრიდან გასროლილმა ერთი წამით თავისი ძველი ფორმა მიიღო: ჩანდა, როგორ ცეკვავდა ჰაერში გრძელულვაშებიანი ოთხფეხი თითქოს წყევლის ნიშნად ზეალმართული მარჯვენა წინა თათით. შემდეგ კი ყველაფერმა სიმშვიდე პოვა მოლურჯო მტვრის პანანინა გროვაში.